

ISSN 0206—5746



ՀԱՅՈՒԹՅՈՒՆ

լ5-547
1986 n2


2
1986

კულტურა


— აკადემიუმის მცხოვრის

ა ღ მ გ ნ ა ხ ი


ა კ ა დ ი ნ ი ს ო რ გ ა ნ ი



886060



2⁽⁵⁷⁾
1986



සැහැදාකම වෘත්තාව

ක්‍රියා ආධ්‍යාත්‍රීක වෘත්තාව, ගුරාකුලුව, වෘත්තාව එහෙතුවේ අභ්‍යන්තර තුළ-
තුළ ඇතුළුව, ගුරාකුලුව මුද්‍රණ හැඳුවාතුළුව, ගුරාකුලුව පූජා පූජා පූජා,
මුද්‍රණ පූජා පූජා, පූජා පූජා පූජා, පූජා පූජා පූජා, පූජා පූජා,
මුද්‍රණ පූජා පූජා පූජා, පූජා පූජා පූජා, පූජා පූජා පූජා, පූජා පූජා,
මුද්‍රණ පූජා පූජා පූජා, පූජා පූජා පූජා, පූජා පූජා පූජා, පූජා පූජා,
මුද්‍රණ පූජා පූජා පූජා, පූජා පූජා පූජා, පූජා පූජා පූජා, පූජා පූජා,
මුද්‍රණ පූජා පූජා පූජා, පූජා පූජා පූජා, පූජා පූජා පූජා, පූජා පූජා,
මුද්‍රණ පූජා පූජා පූජා, පූජා පූජා පූජා, පූජා පූජා පූජා, පූජා පූජා,

70 5000--89
 δ ————— 64—81
 M 604 (08)—81

25/86

© ආධ්‍යාත්‍රීක ප්‍රකාශකා

විශ්වාසාරාත්‍ය: 380008. ත්‍රැංජලිසි, රුස්තාවුවුලිස ප්‍රාන්තයේ ත්‍රැංජලිසි, 42,
 දුපුල. 93-22-85

სკკ გრიფის და მართვის მნიშვნელოს ამობანები

მუშაობა დაამთავრა სკკ გრიფი XXVII ურილობამ, დიდი ისტორიული მნიშვნელობის ურილობამ, რომელმაც მიიღო ჩვენი სახელმწიფოს სამომავლო ფუძემდებლური დოკუმენტები. დღევანდელობის უპირველესი ამოცანაა მათი პრაქტიკული ხორციელების მატერიალური და სულიერი ცხოვრების უველა სფეროში.

ურილობამ განსაკუთრებული უურადღება მიაქცია ლიტერატურისა და ხელოვნების დღევანდელ მდგრამარეობას, მის გადასაჭრელ პრობლემებს. ლიტერატურამ უნდა მისცეს ადამიანს სულიერი საზრდო, მორალური სტიმული, რათა შესძლოს მან იმ დიდი მიზნების შესრულება, რასაც პარტია უსახავს საბჭოთა ხალხს.

ქართული ლიტერატურის წარმატებები დღეს საყოველთაოდაა ცნობილი, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ მან უველა პრობლემა გადაჭრა (ასეთი რამ არც ხდება). ლიტერატურის განვითარება სპირალისებურია, მას აქვს თავისი ზეალსვლებიც და ჩავარდნებიც. ამ საერთო კანონზომიერებას, რა თქმა უნდა, ქართული მწერლობაც ემორჩილება. ურილობაზე აღნიშნული უველა წარმატება და შენიშნული ნაკლი თანაბრად ეხება ჩვენს ლიტერატურასაც, როგორც დიდი საბჭოთა ლიტერატურის ერთ ღონიერ ფრთას.

„კრიტიკის“ ანკეტაზე უპასუხებენ პოეტი ჭანსულ ჩარკვიანი, პროზაიკოსი რევაზ ინანიშვილი და კრიტიკოსი რომან მიმინშვილი.

1. XXVII ურილობაზე ამ. მ. ს. გორბაჩივის პოლიტიკურ მოხსენებაში ნათქვამია: „უცილობელი ფაქტია, რომ ჭკვიანურ და ალალმართალ სიტყვას უდიდესი გავლენის ძალა აქვს. მაგრამ იგი ასკეც უფრო მნიშვნელოვანი ხდება, როდესაც პოლიტიკურ, ეკო-



ხოშიყურ და სოციალურ ღონისძიებებს უერთდება“. რას ფიქტურობაში ამ ერთიანობის შესახებ?

2. ყრილობაზე კიდევ ერთხელ ითქვა, თუ რა დიდი როლი ენიჭება ლიტერატურასა და ხელოვნებას ზნეობრივად ჯანსაღი აღამიანის აღზრდაში. აღინიშნა, რომ აღამიანის მორალურ სახეს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ლიტერატურისა და ხელოვნების შდგომარეობა. ეს ხელოვანის, მწერლის როლის, პასუხისმგებლობის უდიდესი აღიარებაა. თქვენ, როგორც მწერალს, ამ მისის მატერებელს, როგორ გესახებათ ამ ზემოქმედების ფორმები, ხარისხი?

3. როგორ გესმით მწერლური სიმართლე და ცხოვრებისეული სიმართლე? ხომ არ არსებობს მათ შორის მიმართების სიძნელე? თუ არსებობს, რა ფორმისაა იგი?

4. სკკპ გენერალურმა მდივანმა ამხ. მ. ს. გორბაჩივმა პოლიტიკურ მოხსენებაში შემოქმედებითი კავშირებისათვის ერთ ფრიად საჭირობოროგო საკითხზე გაამახვილა ყურადღება: „მდიდარი ტრადიციები მოსდგამთ ჩვენს შემოქმედებით კავშირებს, მნიშვნელოვანია მათი როლი ხელოვნების და საერთოდ მთელი საზოგადოების ცხოვრებაში. მაგრამ აქაც ცვლილებებია საჭირო. მათი მუშაობის მთავარი შედეგი განიზომება არა რეზოლუციებითა და სხდომებით, არამედ ნიჭიერი, ორიგინალური, საზოგადოებისათვის საჭირო წიგნებით, ფილმებით, სპექტაკლებით, სურათებითა და მუსიკალური ნაწარმოებებით, რომლებსაც ძალუდ გაამდიდრონ ხალხის სულიერი ცხოვრება. ამასთან დაკავშირებით სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს საზოგადოებრიობის წინააღმდებანი საპატიო პრემიებზე წარსადგენი ნაწარმოებებისადმი მომთხოვნელობის გაძლიერების შესახებ“. ამ საკითხზე საქართველოს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობასაც აქვს აღბათ თავის სათქმელი?

5. რას ფიქტობთ დღევანდელი ქართული ლიტერატურული კრიტიკის დონეზე? როგორ გესახებათ მისი ხვალინდელი დღე?

ჯანსულ ჩარჩვიანი

1. ჭიკვიანურსა და ალალმართლად ნათქვამ სიტყვას დიახაც რომ დიდი ძალა აქვს. ამ შემთხვევაში, მე რატომლაც პოეტი წარმომიდგენია ტრიბუნაზე, ხალხთან, იქ, სადაც ყველაზე დიდი გავლენა:

აქვს სიტყვას, ზეპირ სიტყვას. ჩვენი დიდი მწერლობა ხალხის ინტერესებს ეძსახურება. იგი ყოველთვის წყარო იყო კაცობრიობის სიხარულისა. მწერლობა ყოველთვის ქტიურად ამდიდრებდა და სულიერ საზრდოს აწვდიდა მილიონობით ადამიანს. მთავარი ხაზი მწერლობისა ყოველთვის იყო და არის მჭიდრო ურთიერთობა ხალხთან. მწერალი მოვალეა მკაცრად ამხილოს ყოველივე ხელის-შეშტლელი და უარყოფითი, რაც უკან სწევს კაცობრიობის წინსვლას. როცა მწერალი ხალხთან გამოდის და საუბრობს, როდესაც ეს საუბარი პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ღონისძიებებს უერთდება, სწორედ რომ მნიშვნელოვანი ხდება მწერლის სიტყვა, ზეპირი სიტყვა.

2. ჩვენ ყოველთვის მოგვიწოდებდნენ დისკიპლინისა და წესრიგის განმტკიცების, ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების აღმრჩევისათვის, კეთილსინდისიერი და პატიოსანი შრომისათვის. დღეს, კიდევ უფრო მძაფრდება ბრძოლა რესპუბლიკის ავტორიტეტის გაზრდისათვის, სულიერ სფეროში პარმონიულად განვითარებული, საზოგადოებრივად აქტიური პიროვნების ჩამოყალიბებისათვის.

დღეს პარტია საქვეყნოდ აცხადებს, რომ იგი პატივს სცემს მწერალს, შემოქმედს, რომელიც ნიჭიერია და ეძიებს ახალ გამომხატველობით ფორმებს. სწორედ ესაა მწერლის როლის მნიშვნელობა ცხოვრებაში და თუ გნებავთ, მწერლის პასუხისმგებლობის აღიარებაც.

3. ცხოვრებისეულ სიმართლესა და მწერლურ სიმართლეს შორის ერთი განსხვავებაა. დემოკრატია და თავისუფლება არსებობს თუ არა, ცხოვრებისეული სიმართლე ყოველთვის ძალაშია, მიჩქალული, მაგრამ მაინც ძალაში, ხოლო თუ მწერლობაში არ არსებობს დემოკრატიზმი და სიტყვის თავისუფლება მწერლურ სიმართლეზე ლაპარაკი ზედმეტია.

ჩემი ღრმა რწმენით, თანდათან უფრო ლალად შლის ფრთებს დემოკრატიზმი, რომელიც მწერლის რეალისტურ ყოფას უფრო ფასეულად ხდის. დემოკრატიზმი მწერლობაში განსაზღვრავს ჩვენი მოძავალი შემოქმედებითი მუშაობის არსს, მწერლურ სიმართლეს.

4. უთავებოლო რეზოლუციებმა და სხდომებმა შეჭამეს ნიჭი.

უნიჭოს სხდომა და რეზოლუცია ვერაფერს დააკლებს, ნიჭიერი კაცისათვის კი მოქავდინებელია. რა უკიდურესობამდე უნდა ვიყოთ ჩაფლულნი რეზოლუციებში და რა ყოველდღიურ სხდომებს უნდა ვიყოთ გაღაყოლილნი, რომ ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან გენერალურშა მდივანმა მოგვიწოდოს საჭიროა წიგნები და არა კრებები. საჭიროა კარგი წიგნები, რომლებიც გაამდიდრებენ ხალხის სულიერ ცხოვრებას.

რაც შეეხება საპატიო პრემიებს, ამ მხრივ საქართველოს მწერალთა კაციებს აქვს თავისი წინადაღება და ალბათ მოკლე ხანში აქ წინადაღებას მიაწვდის პარტიის ცენტრალური კომიტეტის შესაბამის განკოფილებას.

5. კრიტიკის დონეზე მეკითხებით. ვერაა კარგად საქმე, რატომ და რისთვის, ახლავე მოგახსენებთ:

ჩვენი ლიტერატურა განიხილება მსოფლიო სტანდარტების დონეზე, იგი აღმოცენებულია დიდ ქართულ ფოლკლორზე, დიდ ქართულ ჰაგიოგრაფიაზე, დიდ რუსთაველზე, დიდ კლასიკოსებზე, აგრეთვე იმ დიდ ტრადიციებზე, რომელსაც გვთავაზობს მსოფლიო შეერლობის უზარმაზარი გამოცდილება.

პარტიის პროგრამაში გკითხულობთ: „პარტია უფრთხილდება ტალანტს“, ტალანტს, რომელსაც თან ახლავს ჯანმრთელი საზოგადოებრივი აზრი. ხოლო მოშიტევონ ჩემმა მეგობარმა კრიტიკოსებმა და ხშირად, ძალიან ხშირად კრიტიკა არ უფრთხილდება ტალანტს. პირიქით, უდიდერად ექცევა.

კრიტიკის შოგალეობაა, თქვას გულაბდილად, მეაფიოდ და ზუსტი შისამართებით. ზოგმა ცუდმა კრიტიკოსმა ერთმანეთისაგან გათიშა ერთმანეთის მოყვარული მწერლები. დღეს, უმეტეს შემთხვევაში, მწერალსა და კრიტიკოსს შორის ირონიული დამოკიდებულებაა. მომრავლენენ პირადი თუ კარის კრიტიკოსები, (რა თქმა უნდა, გამონაკლისებს არ ვგულისხმობ) რომლებიც ქართულ მწერლობაზე კი არ ფიქრობენ, არამედ პირად კარიქაზე, თავიანთი არაფრისმთქმელი წიგნების ტირაზზე. ხეალინდელი დღე როგორ შესახება? იქნებ ხეალინდელი არ იყოს ის დღე მე რომ მესახება, იქნებ სულაც ზეგინდელია, მაგრამ იგი ნათელია, ჭეშმარიტი და უანგარო.

შაგრამ, ვინ იცის, იქნებ ჩაუფიქრდნენ, იქნებ უფრო წინ გაიხე-

ზონ უკანმაცემრალებმა, არც ესაა გამორიცხული, თუ ასე იქნა; მე
პირადად მივესალმები.

ბოლოს, ვალიარებ, რომ რამდენიმე კრიტიკოსი პატიოსნად ემ-
სახურება ჩვენს დიდ ქართულ მწერლობას, სიამოვნებით დავასახე-
ლებდი, შაგრამ თავს ვიკავებ, რათა კიდევ ერთხელ ხაზი გავუსვა
ჩვენი კრიტიკის არადემოკრატიულობას.

რევაზ ინანიშვილი

1. ეს ფაქტი უძველესი დროიდან არის ცნობილი. ძველი
ეგვიპტელები, შუამდინარეთელები, ბერძნები, ქართველები... ყვე-
ლა ხალხი, სახელმწიფოებრივი გაერთიანებები უდიდეს მნიშვნე-
ლობას ანიჭებდნენ სიტყვას, კარგად თქმულ ჰქვიანურ სიტყვას.
ამ გარემოებამ აღმოაცენა შელოცვები, ზღაპრები, სიმღერები,
შთელი ეპოსები. მძაფრადმოქმედი სიტყვა სჭირდებოდათ ადამია-
თებს ბრძოლაში, შრომაში, ჭირში თუ ლხინში. არავითარ საქმეს
არ აჰყვებოდა სასურველი მადლი, თუ ის ხელოვნების, პოეტურო-
ბის, არტისტულობის რანგში არ იყო აყვანილი. თვალწინ მიღებას
გუთნეულის გაშლა, გუთნის ჭაპანივით გაგრძელებული და გამდლე
„ოროველა“, მეხრეთა შეძახილები; მკა — „ბაგიბუგით“, კალო, ვე-
ნაბის თოხნა, რთველი, ღამ-ღამობით კი, ხელ-ფეხის მოცალეობა-
ში — ბრძნული ზღაპარი. და ვაი, ხალხს, რომლის სიტყვიერება,
ლიტერატურა ამ ოდითგანვე დაკისრებულ ფუნქციას დაკარგავს,
ალარ აშოუდგება სასიკეთო საქმიანობაში ადამიანებს მხარში, აღარ
ცნება მათი შუღლივად საიმედო თანამგზავრი!

ჩვენ, მწერლებმა, რასაც არ უნდა ვწერდეთ, არასოდეს არ უნ-
და დავივიწყოთ ეს. გამორჩევით ახლა, როცა ყოველმა ჩვენგანმა
იცის, რომ სხვის მიერ მოყვანილი საზრდელით ვართ, ჩვენ მაინც
ჩრდილში ვაკეთებთ ჩვენს საქმეს, მაშინ, როცა ჩვენი საზრდელის-
თვის მრავალი ჯანსუსტი დედაბერი ნიათგამოცლამდე ქანაობს
ბარზე.

2. დროა გულახდილი ვიყოთ და ვთქვათ: დღევანდელი ქართ-
ველი მწერლები ქვეყნად უიშვიათესი მოვლენის შემსწრენი ვართ.
პატარა ერი, რომელიც სამნახვარ მილიონზე ცოტა მეტს ძლივს
ითვლის, გამძაფრებული ინტერესით დაეძებს წიგნებს. მარტო ის
ფაქტი, რომ ასიათასობით ცალად იბეჭდება მრავალი დიდი ლექსთა

კრებული და კიდევ რიგებია იმ წიგნებზე მაღაზიაში, დიდ სულიერ ძალას უნდა უნერგავდეს როგორც მწერალს, ასევე მკითხველს. კი ბატონო, გეთანხებით, წიგნური „ბუმი“ იმითაც არის განპირობებული, რომ დიდად გაიზარდა მოსახლეობის მატერიალური შესაძლებლობის დონე, მაგრამ ეს მაიც არ გამორიცხავს იმას, რომ ჩვენს წიგნებს ბევრი კარგი მკითხველი ყავს. კარგი ქართველი მწერალი უმეტესი ქართული ოჯახის სულიერი წევრია. ეს „წევრობა“ მე მომავალს ერთი ფშაველი კაცის სიტყვიდან, რომელმაც საარაგვიში, გლეხური სახლის ჭერქვეშ, გვითხრა: — ნოდარ დუმბაძე ყველა ნაძვილი ქართული ოჯახის წევრი იყო, დამილიეთ ჩემი სახლიკაცის ნოდარის შესანდობარით.

ამგვარი ვითარებიდან ისეთი დასკვნა არ უნდა გავაკეთოთ. თითქოს მთელი ქართველი ხალხი იმ პრინციპებით სულდგმულობს, რასაც ქართული მწერლობა ქადაგებს. არა, ჩვენი ხალხის დიდ წაწილს ობივატელური მაჯლაჭუნა აწევს, — ჩამკლავებულნი არიან საოჯახო დოვლათის დაგროვებაში, თითქოს ეს იყოს მხოლოდ სასუფეველის გზა, — მაგრამ ულიდესი ნაწილი მაიც ჯანსაღი მორალური ატჰოსფეროთი სუნთქვას, და ჩვენდა გასახარად, ამ ჯანსაღი ატმოსფეროს შენარჩუნებაში ქართველ მწერლებს დიდი წვლილი შეაქვთ.

3. სიმართლე, უთუოდ, ერთია ქვეყანაზე. თუ მაიც ვამბობთ ზოლმე — „შენც მართალი ხარ, შენც“, ამით ერთის სიმართლეს რაღაცას ვაკლებთ და მეორეს ვუმატებთ, ე. ი. ჩვენდა სასარგებლოდ ვითოლებთ საქმეს, მაგრამ ყოველნაირი სიმართლის მასობრივი გამოფენის, აფიშირების მომხრე არც ძელად იყვნენ ადამიანები და არც დღეს არიან. მე ვყოფილვარ მოსკოვის კრიმინალისტიკის მუზეუმში. იქაც კი გამორჩეულად შემაშფოთებელი და თავზარდამცემი უქსპონატები საგანგებოდ დაგმანულ კარადებში აქვთ. ერთ ამბავსაც ვყვები ხოლმე ამ ამბებთან დაკავშირებით: ერთი ჩემი თანაკლასელი „გზას ასცდა“, ცნობილი დამნაშავე გახდა. მერე მოიხადა უმკარესი სასჯელი და წესიერ ცხოვრებას დაუბრუნდა, კარგი ავტომძღოლი გახდა. ერთხელ ერთმანეთს შევხვდით, — ჩა კარგია, რომ გნახე, შენთან სალაპარაკო მაქვსო. სანაპიროსთან გავჩერდით და გულსევდიანმა მიამბო: ამასწინათ ქართულად დაბეჭდილი ბალ-თასარ კოსას ცხოვრება ვიყიდე. დაბეჭდილია მთელი 40 ათასი.

როგორ ფიქრობ, საჭიროა ამნაირი წიგნების ამ რაოდენობისთვის ბეჭდვა? რამდენი ახალგაზრდაა, თითის წვერებზე ქანაობს, ძლიერ იკავებს თავს, დანაშაულისკენ არ გადადგას ნაბიჯი, ის ახალგაზრდები რომ წაიყითხავენ — თვით პაპი სჩადიოდათ წარმოუდგენელ სისაძაგლებს, გაუჭირდებათ თუ გაუადვილდებათ დანაშაულისკენ ნაბიჯის გადადგმა? თქვენ თქვენი იცოდეთ, მე კი იმ საზიზლარ წიგნს ჩემს შეიღებ არ ჩავუგდებ ხელშიო.

ჩვენ აჩქარებული და ცალმხრივი გაგება ვიცით ხშირად ნათქვა-შისა. მე იმას კი არ ვქადაგებ, აღამიანური ნაკლოვანებები არ უნდა გამხილოთ, პირიქით, მწერლობა თავისებური სარკეა ცხოვრებისა, შიგ სრულად უნდა ჩანდეს, რასაც ცხოვრება ჰქვია, მაგრამ თუკრ ზოგჯერ მაინც დგება საკითხი იმგვარად, როგორც თქვენს კითხვარ-შია, მაშინ ვამბობ ამას: არის ხოლმე მოვლენები, რომელსაც სარ-კეში ყურება კი არ სჭირდება, სკალპელით შეიარაღებულმა სპეცია-ლისტმა უნდა მოუაროს, თანაც საჯაროობისგან იზოლირებულ სივრ-ცეში. მწერლის კალაში აქ სკალპელობას ვერ იქმს.

პირადად მე უმთავრესად იმას ვალევ ჩემს შესაძლებლობებს — ვამოვავლინო, რისთვის ლირს ცხოვრება ქვეყნად.

4. შემოქმედებითი კავშირების ძირითადი მიზანი შემოქმედთა კეთილდღეობაზე ზრუნვა და მათი საჭმიანობის სახელმწიფოობრი-ობისკენ წარმართვა უნდა იყოს. ყოველნაირი ღონისძიებანი, სა-ზოლოოდ, უნდა ფასდებოდეს, თუ რა სიკეთეს მოუტანენ ისინი ქვეყანას, ხალხს. და რადგან ისიც ცნობილია, რომ ხელოვნება თა-კისებურად თბილი ქვეყნების შეცნარეულს ჰგავს, ადვილად აზრობს სიქაცრეები, შემოქმედებითი კავშირები ამ სითბოსა და გასაძლი-სობას უნდა ამკვიდრებდნენ. ბოლო ხანებში კი თვალშისაცემად იშძლავრა ერთთა აღზევებამ, მათმა მსაჯულებრივმა ზემოდან მზე-რამ, ხოლო მეორეთა ამ მზერას მორიდებულობამ, განდგომამ.

მე მახსოვეს ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების მშვენებანი: ალექსანდრე აბაშელი, ლეო ქიაჩელი, გერონტი ქიქოძე, დიდი გა-ლაკტიონი. მე მათი თაყვანისმცემელი ვიქენები მუდამ. ისინი ისეთ განწყობილებას ამეფებდნენ ირგვლივ, რომელშიაც დიდად იშვებ-და შემოქმედი სული. ყოველნაირად უნდა შევეცადოთ ასეთი გან-წყობილების დაბრუნებას ჩვენს კავშირში.

5. მე არც ჩვენი მხატვრული ლიტერატურით ვარ ბოლომდე,

კბაყოფილი და არც ლიტერატურული კრიტიკის დონით? ურთისაც და მეორესაც ჯერ კიდევ ძალიან ბევრი აქვთ გასაკეთებელი.

მაინც რას ვუკიდინებდი ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკას? ერთ უპთავრესს-გადამეტებული ხომ არ არის ლიტერატურულობისაკენ სწრაფვა?! თითქოს მარტო მწერლობა იყოს ვალდებული, გამუდმებით გრძნობდეს ქვეყნიერების ავ-კარგს — როგორ აღმოცენდება სიკოცხლე მიწაზე, როგორ სცემს მშრომელი კაცის პულსი-კრიტიკოსი კი ბარტო იმას უნდა ამოწმებდეს, რანაირად ესადაგება მწერლის ნაშუშევარი სხვათა წიგნების მიერ ღილაკის დაგენილ ნორაბებს. მე არ შოვთხოვ, კრიტიკოსები კოლმეურნებს მოუდგრენ გვერდზე თოხით ხელში. უბრალოდ — მიწის, ქვეყნის სუნთქვას მათ ბაწერებშიც ვგრძნობდეთ. მათაც იგრძნონ ხალხის (ფართო გაგრძით) განუყოფელ ნაწილად თავი, თორემ...

არის ასეთი თქმულება: ერთმა მეფემ თავისი პირველი მეუღლის შვილი ჩვილობიდანვე მთლად განცალკევებულ სენაჟი ჩაკეტა, გაალებდნენ კარს და ხმისამოუღებლად შეაწევდიდნენ საზრდელს. და რა ისწავლა იმ ბავშვმა, იცით? მხოლოდ ის ბგერები, რასაც კარი გაღებისა და დახურვის ღროს გამოსცემდა, — ჭრიი-ჭრულ! ჭრიი-ჭრულ!... მეტი ვერაფერი.

რომან მიმინოზვილი

1. სიტყვისა და საქმის ერთიანობა ცხოვრების ნიშანსვეტია. გზა შაშინ გამრუდდება, როცა სიტყვა საქმეს სცილდება. ჩვენ ვურიგდებოდით ზოგჯერ ისეთ მდგომარეობას, როცა კაცი სხვას ამბობდა, სხვას აკეთებდა, სულ სხვას კი ფიქრობდა. მარტო სიტყვა და საქმე კი არა, აზრი, სიტყვა და საქმე იყო ერთურთს დაცილებული. მწერლობის იარაღი სიტყვაა. მწერლობამ იმისთვის უნდა იბრძოლოს, რომ სიტყვა ჩვენს ფიქრს და მისწრაფებას გამოხატავდეს და საქმეს ჩირალდანივით წინ მიუძლოდეს.

2. არასდროს ასე გამოკვეთილად არ თქმულა მწერლობის დიდი აღმზრდელობითი მისის შესახებ. განსაკუთრებით გაზარდა ამან ჩვენი პასუხისმგებლობა. უნდა გაფართოვდეს მკითხველთან მწერლის დიალოგის არსებული ფორმები, ლიტერატურული საღამოები, გაძოსვლა ტელევიზით. მეტი ღრო უნდა დაუთმონ ასეთ შეხვედრებს ჩვენმა სახელოვანმა მწერლებმა. თქვენ ხარისხი ახსენეთ. ძნელია სიტყვა მოგიბრუნდეს ჩვენი მასობრივი ინფორმაციის ორგა-



წოთა სასაყვედუროდ, ბევრს აკეთებენ ისინი მხატვრული ლიტერატურის ტურის პოპულარიზაციისათვის, მაგრამ ზოგი პუბლიკაციის თუ გადაცემის შემდეგ არაერთხელ გვითქვამს, ნეტავ არ წამეკითხა, არ შომესმინაო.

3. ამ კითხვაზე მოკლედ პასუხის გაცემა რომ შემეძლოს, რაღა შივირდა! იქნებ ვერც ვრცლად გავცე მთლად სწორი პასუხი. ამიტომ თავს შევიკავებ. მით უმეტეს, რომ რამდენადაც ვიცი, არის ტოტელედან მოყოლებული დღემდე ეს საკითხი დღის წესრიგიდან არ მოხსნილა და სანამ მოიხსნება, იმდი მაქვს, პასუხს მოვიფიქრებ.

4. მწერალთა კავშირი იმისათვის არსებობს, რომ მეტი კარგი შიგნი დაიწეროს. ჩვენი საქმიანობა მთლიანად ამ მიზანს უნდა ემსახურებოდეს. ამისათვის საჭიროა გულახდილი ლაპარაკი თითოეული მწერლის მუშაობაზე, მისი შემოქმედების ავ-კარგზე, რაც, სამწუხაროდ, იშვიათად ხდება. შემოქმედებითი სექციები მწერლური ლაბორატორიებიდან რაღაც საკლუბო ერთეულებად იქცნენ, რაც სწორი არ არის. უნდა გაძლიერდეს მომთხოვნელობა პრემიებზე წარსადგენი ნაწარმოებების მიმართ. ალბათ, უნდა გაიზარდოს პრემიების შინიჭების პერიოდულობა, თორემ მაღლ დაგვჭირდება ლოზუნგი „არც ერთი მწერალი უპრემიოლ!“ დიდი თავსატეხი გაგვიჩინა, შაგალითად, ყოველწლიურად ვ. მაიაკოვსკის სახელობის პრემიის მინიჭებამ. ჩვენ ხომ არ შეგვიძლია, თუ პრემია არსებობს, ვინშეს რომ არ მივანიჭოთ? სად არის, თორემ, იცოცხელე, კარგია ყოველწლიურად ამომავალი ვარსკვლავი! რაც ვარსკვლავები გვყავდა, უკვე დავაჯილდოვთ, რა გვეშველება გაისად?

5. ხვალინდელი დღით დავიწყებ. არ დარჩება შეუფასებელი არც ერთი მნიშვნელოვანი ლიტერატურული მოვლენა, გაიმართება დისკუსიები ლიტერატურის აქტუალურ საკითხებზე. დღევანდელ ქართულ სალიტერატურო კრიტიკას შესწევს ძალა გაითხონს ასეთი ხვალინდელი დღე. მანამდე კი... მიუხედავად კრიტიკოსთა პროფესიონალიზმისა, გაბედულებისა და მაღალი ზნეობისა, ქართულ სალიტერატურო კრიტიკას აკლია, მე ვიტყოდი, ორგანიზებულობა. არავინ ცდილობს წარმართოს კრიტიკა. დიდ საყვედურს იმსახურებენ ამ მხრივ ჩვენი რედაქციები, განსაკუთრებით აღმანას „კრიტიკის“ რედაქტორა, მწერალთა კავშირის კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის სექცია.

ცხოვრება

ლიტერატურა

პრიტიბა

□ □ □

ყოფიერების პრიზაული მისტერიები

□
გურამ გენაზოლი
□

რამდენიმე მოთხრობა გამოაქვეყნა ამ ბოლო დროს რეზო ჭეი-შვილმა. ამ მოთხრობებში ჩვენი ცხოვრების ის მხარეებია წარმო-ჩენილი, რომელთა მოჩვენებითი რესპექტაბელობის ატმოსფერო შინაგანი მოუწესებიგებლობის იმგვარი ძალისხმევით სუნთქავს, რომელიც მხოლოდ უნაყოფობისა და უნიადაგო ფაციფულის ინე-რციას უქმევს გუნდრუქს. პერსონაჟთა ინდივიდუალურ გამომსახ-ველობას ყოფიერების საერთო დისპარმონიაში თავისი გნახაკუთ-რებული წვლილი შეაქვს. არათერია მათვის ამ უნაყოფო ღინამი-კაში უცხო და არაორგანული, რადგან იგი მათ მიძინებულ ცნობიე-რებაში შემოდის თანამედროვე ცივილიზაციის ძლევამოსილი ტენ-დენციის ლოგიკურ გამოვლინებად.

საზოგადოებრივი ცხოვრების საზრისი ყველაზე მძაფრად წარმოშობის „ცისფერი მოქმედი“, რომელსაც ავტორი დაუმთავრებელი რომანის ფრაგმენტად წარმოგვიდგენს.

სიტუაციის აბსურდულობა ამ მოთხოვნის თემატური ცენტრის. ყველას და ყველაფერს დასწოლია დაშრეტილი გონისა თუ სულის დამთრგუნველი აჩრდილი. უსიცოცხლო რობოტებად ქცეულან აღამიანთა მორჩილი და არაფრისმთქმელი სახეები.

მოთხოვნის სიუჟეტი წარმოსახავს ერთი ჩვეულებრივი შემოქმედებითი დაწესებულების კედლებში მდორედ მიმღინარე „საქმიან“ დღეებს.

მწერლის მახვილი თვალი, ბუნებრივია, სინამდვილისაგან არეპლილი სიტუაციების გამკვეთრებასა და ზოგჯერ გროტესკული შტრიხებით წარმოჩენას ცდილობს. ამით იგი უფრო ხელშესახებსა ხდის მთვლემარე უცოდველობაში ჩაძირული არარაობის უპერსპექტივობას. არაამქვეყნიური გულგრილობით მოცულა „პერსონაჟთა“ ირგვლივ არსებული ანტურაუი, რომლის გაცრიატებულ სივრცეს კედლიდან უზრუნდეს მზირალი ფერწერული ტილო ამთავრებს. „გრენლანდიის პირქუში პეიზაჟი. ლაუგარდისფერი გლეტჩერი გადამხმობია ცივი ოქანის ნაპირს. გლეტჩერს იქით ცისფერგადაკრული ყინულოვანი ველია, ყინულის ხორგთან თეთრი დათვი უნდა იყოს დაყუნცული. მოოქროვილ, იმუამად ფერდაკარგულ ჩარჩოში ჩასმული უზარმაზარი ფერწერული ტილოს „გრენლანდიის პეიზაჟის“ ქვეშ დგას დაფიქრებული ვასო ჩორგოლაშვილი“. ამ გაყინული სივრცის უპერსპექტივობას მოუცავს ფსევდოკლასიკური შენობის სივრცე, რომლის სამედოვდ დაგმანულ ფანჯრებში ვერ აღწევს მანქანების ხმაური და ქალაქის შორეული გუგუნი. ამ აქვარიუმის ბინადართა უსიცოცხლო დეკლამაციებს ხაზგასმული ჩვეულებრიობის მიუხედავად, საქმაოდ ძლიერი ინტონაციური შეფერილობა გააჩნიათ. ძუნწი აღწერილობა აქ ორგანულად ერწყმის მოფუთფულე ადამიანების ავტომატურად წარმოთქმულ წინადაღებებს და ამით უფრო ძლიერებს ამაოების განცდას. სიტუაციის ამგვარი „თეორია“ მწერლის ბედნიერი აღმოჩენაა, რომელმაც უნიადაგო ოპტიმიზმის მოჩვენებითობას საბოლოოდ უნდა ახადოს ფარდა.

მოთხოვნის უმთავრესი პათოსის განმასახიერებელი ამ სამყაროს ერთი ჩვეულებრივი ბინადართაგანია, რომელსაც რამდენიმეჯერ

დაწუნებული რომანი შეუსწორებია და კვლავ „სპეციალისტთა“ სა-
 მსჯავროზე გატანის მოწადინე გამხდარა. დაქვეს საქუთარი ნაწარ-
 მოების ამდენიმე ეგზემპლარი ამ ახალგაზრდა ხელმოცარულ მწე-
 რალს ოთახიდან ოთახში და ამაოდ ცდილობს საბჭოს რომელიმე
 წევრთაგანი გულწრფელად დააინტერესოს მისი შემოქმედების ნა-
 ყოფით. არის გაუთავებელი შეხლა-შემოხლა, რომელსაც საქმიანი
 სიმწვავე და აზრი აკლია. სურვილის აღსაჩულებლობით დაღლილი
 სოსო ხელჩაქნეული, წამიერად კვლავ წამოიმართება ხოლმე, რომ
 დაუცხრომელი ენერგიით ისევ გადაეშვას გულგრილობის მორევ-
 ში. გადის ღრო და არაფერი იცვლება ამ უპერსპექტივო ვნებათა
 ღელვაში, გარდა იმისა, რომ ნელნელა იყარება რომანის წასაკით-
 ხავად ჩამორჩიგებული ეგზემპლარების ცალკეული ნაწილები. საბ-
 ჭოს წევრები უხალისოდნა ათვალიერებენ გადარჩენილ ფურც-
 ლებს — „მობუზულები დადიან თანამშრომლები ღერეფნებში. არ
 ცივა, მაგრამ, როგორც ჩანს, ზაფხულში სიცხე და ზამთარში სიცი-
 ვე აწუხებთ მაინც. სოსო მიაბიჯებს უხალისოდ, აუჩქარებლად,
 გზაღაგზა აღებს თითქმის ყველა კარს, რომელიც მისი სურვილისა
 და მონდომების შედეგად იღება. აღებს, თუმცა არსად არ შედის,
 არსად არ ჩერდება. თავწახრილი მოდის და ღროდაღრო საგანგე-
 ბოდ თუ ძალაუნებურად ახახუნებს პარკეტზე ფეხსაცმელს. საერ-
 თო ოთახიდან გამოსული გაძეგილი ასანთის კოლოფის მაგიდაზე
 დაცემის ხმას მიყვება. შეუცდომლად ისვრიან ასანთს შორიდან ბო-
 რია, კაკო და თენგიზი. კოტე თავისუფალ მაგიდაზეა გწოლილი გუ-
 ლაღმა, ფეხები ზევით აქვს აშვერილი, ხელში მარაოსაცით გაშლი-
 ლი თაბახის გვერდები უჭირავს და ერთდროულად კითხულობს თი-
 თქმის ყველას“.

ამ უცნაურად შემოზღუდულ პანკტიკუმში მხოლოდ მოჩვენე-
 ბით თანხმიერებას დაუსადგურებია. სამსახურეობრივი მიზანსწრა-
 ფვა ინსტინქტური პროცესების ალყაშია მოქცეული, რომელიც
 მხოლოდ შინაგანი უსუსურობის ჯიუტი განმეორებითა ავლენს
 მოქმედებისა და მოძრაობის მოჩვენებით რიტმს. ქაოტური ატმოს-
 ფეროს . ელსაცია მრავალრიცხვანი კოლექტივის ისეთ თვისებებს
 ავლენს, აომლის აზრსა და მნიშვნელობას თვით მოთხრობის პრო-
 ტაგონისტი ახალგაზრდა მწერალიც კი ვერ სწვდება. პირიქით,
 მკვრივი და დაუძლეველი აბსურდული თავისი უშფოთველი მდი-



ნაჩებით თვით მასაც აბრუებს და უკარგავს ელემენტარული წინა-
აღმდეგობის ძალას. მოთხრობის სიუჟეტური კულმინაცია საგამომართო
ცემლო საბჭოს სხდომაა, რომელმაც საბოლოო აპრობაცია უნდა
მისცეს რომანს. ამ მოუწესრიგებელ საკრებულოზე თვალსაჩინოვ-
დება ყოველივე ის, რაც პოტენციურად მოვლენათა ქაოსში იგული-
სხებოდა. ადამიანთა არაფრისმთქმელი სახეები საბოლოოდ ადას-
ტურებენ საკუთარი ფასაღის მიღმა მყარად ფეხგამდგარ სიცარიე-
ლეს. ბოლოს და ბოლოს აღმოჩნდება, რომ არც ერთ მათგანს წა-
კითხული არა აქვს ის, რის განსახილველადაც შეიყარნენ. გამომსვ-
ლელნი ცდილობენ ზოგადი ფრაზების კორიანტელში დაფარონ სა-
კუთარი გულგრილობა და უპასუხისმგებლობა და ამით ვალი მოი-
ხადონ ავტორისა და უაზრო არეოპაგის წინაშე. რომანის სათაური-
ლაა მათვის უსაგნო მსჯელობის ერთადერთი ხელმოსაჭიდი. და
ისინიც დაუშურებელი ენაწყლიანობით ჰქალაგებენ უნიადავო მოსა-
ზრებებს, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო განსჯის ობიექტან.
„მე, — აცხადებს ერთი მათგანი, — მინდა მოგახსენოთ, რომ ძალი-
ან მომეწონა სათაური „ტიან-შანი“ ანუ „ცისფერი მთები“. ყველა-
ფრიდან ჩანს, რომ ავტორს, ეს მხოლოდ ჩემი აზრი არ არის, შემთ-
ხვევით არ აურჩევია ეს სახელწოდება... — ერთი დაამატე თუ გი-
ნდაო, დიახ — განაგრძობს ბორია. — ცისფერი სიმბოლოა სიმსუ-
ბუქის, სინაზის, სილამაზის. მთები კიდევ სიღიადის, მიუწვდომლო-
ბის განსახიერებაა. „მსდევდნენ, მეძახდნენ, მიზიდავდნენ ის მწვე-
რგალები!“, ანდა „გინახავთ თქვენ მთები დაბინდულ ქლიავის!..“
ამიტომაცაა, რომ ამ უმშვენიერესი სათაურიდანაც ჩანს მომავალი
ჩანაფიქრის იდეის სათაურამდე დავიყვანო ყველაფერი, მაგრამ მშვე-
ნიერების სათავე თვით სათავეში და არა სათივეში, საწყისში, პირ-
დაპირ რომ ვთქვათ, სათაურში მდებარეობს. მე, ისევ გავიმეორებ
პოეტის სიტყვებს: „მსდევდნენ, მეძახდნენ, მიზიდავდნენ ის მწვერ-
ვალები!“.

ამ საოცრად ყალბ და არაფრისმთქმელ რიტორიკაში, ბუნებრი-
ვია, ერთი აშკარად გამოხატული წადილი ღვივის — ფსევდოპოე-
ტური განცდის ტალღებში ჩამალოს საკუთარი დილეტანტიზმი და
თავდახსნის ეს უსახური ნიღაბი მხოლოდ მას შემდეგ მოისროლოს,
როცა ამოწურულად ჩათვლის (ან ჩათვლიან) მისთვის მიცემული
როლის ხანგრძლივობას. მოთხრობაში ვლინდება ფსევდოქლასი-



კური შენობის შინაგანი გონიერივი უნიათობის ის მუხტი, რომელიც არღვევს და აქუცმაცებს მის ერთ დროს ამაყად მდგარ კედლებს, კირისა და გაჯის უმცირეს ნაწილაკებად შლის მის დაჭიანებულ „გულმუცელს“.


შესაძლოა, ინტელექტუალური ფსევდოდენდიზმი ყველაზე ხელშესახებად გამოხატავს დროითა და სივრცით შემოზღუდული ამ ინტელიგენტური საზოგადოების შინაგან თვისებას. აქ წარმოდგენილი უნიკალური სივრცის წიაღში გაუცნობიერებელი წინააღმდეგობები სუფევს, რომელთა ავადმყოფურ შედეგებსაც სიხარულით უჟერენ მხარს და ამით მშვენიერ წინაპირობას ქმნიან მოშვებულობისა და მცონარობისათვის.

ეს არის ერთ ჭერქვეშ შეფარებულ ადამიანთა მასა, რომელთაც მხოლოდ შენობის კედლები და პროფესიული ინტერესების საერთოობა აკავშირებს. მართალია, ფრიად ბუნდოვანი და მოუხელთებელია ამ ინტერესების კონტურები, მაგრამ ისიც ცხადია, რომ მისი ჩაღაც ნიშან-წყალი მაინც არსებობს. საკუთარი პერსონის კეთილდღეობის დაცვის იმუნიტეტი არასოდეს აძლევთ უფლებას ბოლომდე მხარი დაუჭირონ ან დაუჭირისპირდნენ მოვლენებს; ამგვარ გამოიჩინებლებზე ისინი მხოლოდ სუსტ ჩაეჭიას იძლევიან, რადგან მათთვის სივრცეში არსებობის ეს ფორმა ჩვეული ცხოვრებისეული რიტმის შენარჩუნების მყარი გარანტია — არც მეტი და არც ნაკლები. ამიტომაცაა, რომ თვით უცნობი რომანის ავ-კარგზე საუბარი მოკლებულია კატეგორიალურობას და საბოლოო დასკვნაც უსაგნოდ არსებულ მოწონებასა და არმოწონებას შორის ფართატებს. საოცრად დამაფიქრებელია ალბათ ადამიანთა გონიერივი უმწეობის იმგვარი გამოვლენა, როგორსაც ამ „პოლემიკის“ უამს ვხვდებით. მწერლის ირონიული პათოსი, შესაძლოა, სწორედ ამ სიტუაციაში აღწევს აპოვებს. სხდომის დასაწყისშივე საჯაროდ წაიკითხავენ საბჭოს ერთ-ერთი იქ არმყოფი წევრთაგანის გამოგზავნილ დასკვნას, რომელშიც ამგვარი უგუნურობა წერია: „გულდასმით გადავათვალიერე „ლურჯი მთები“ (თვით სათაურიც არ არის ბოლომდე წაკითხული და დამახსოვრებული, გ. ბ.). უნდა მოგახსენოთ, რომ ძირითადად ვემხრობი და ვიზიარებ აქ გამოსული ამხანაგების შეხედულებებს, აზრებს, შენიშვნებს...“. სიტუაციის კომიკურობისათვის ალბათ ესეც საკმარისი იქნებოდა, მაგრამ მთავარი ის არის,



რომ სიტყვაში გამოსული ამ კურიოზულ დასკვნას ეყრდნობიან, და მართვა
სანიმუშოდ სახავენ, რადგან თვითონ საერთოდ არა აქვთ წარმოდ-
გენა საკითხზე. „მე უნდა გამოგიტყვდეთ, — იწყებს თავის სიტყვას
ერთ-ერთი ორატორი, — ძალიან მომეწონა გამრეკლიძის დასკვნა,
რომელიც თქვენგან განსხვავებით აღრევე წავიკითხე... როგორც
პატიცემული გამრეკლიძე აღნიშნავს...“ და სხვა და სხვა. შესაძლოა
(და ეს მართლაც ასეა) ამ შემთხვევაში მწერლის წარმოსახვის გრო-
ტესკულ ვარიაციას ეძლეოდეს გასაქანი, მაგრამ თვით საფუძველი
ამ კომიკური დეკლამაციებისა ის დამკვიდრებული სააზროვნო სტე-
რეოტიპია, რომელსაც, სამწუხაოოდ, არც თუ იშვიათად ვეკლებით
ჩვენი ცხოვრების საქმიან ატმოსფეროში. ამ „საიდუმლო სერობას“
მწერლის ფუნქცის კიდევ ერთი მახვილი მონასმი ანიჭებს დასრულე-
ბული სურათის ელფერს. სხდომაზე დაგვიანებული ახალგაზრდა
მწერალი უცხო აღჭურვილობით შემოაბიჯებს ისედაც გაურკვევე-
ლსა და მოუწესრიგებელ გარემოში. „სოსოს სამუშაო სპეცტანსაც-
მელი აცვია. ზურგზე ლათინური ასოებით აწერია მე ტრო. მა-
ღალყელიან წალებზე ტალახი აქვს მიმხმარი. თავზე შეჯავშნილი
მუზარადი ახურია. გაოცებულნი მიშტერებიან. ბელას კალმისტარი
უჭირავს ტუჩებით. დუმან. სოსოც ალარ იღებს ხმას“.

უხალისოა ფსევდორატორთა ზოზინით გაწელილი სათქმელი.
იგი, ბუნებრივია, სულაც არ არის ლიტერატურული შეფასების თუ-
ნდაც ზედაპირული ნიმუში. ერთმანეთთან დაუკავშირებელი ასო-
ციაციების კონგლომერატი რადიკალურად სცილდება განსასჯელი
რომანის ფარგლებს და სადღაც შორს, გაურკვეველი აბსტრაქციის
სფეროში იკარგება. შესაძლოა მეტს არც ავტორი მოელოდა, რად-
გან ისიც იობის მოთმინებით ისმენს უაზრო სიტყვათა „ჯირითს“
და მხოლოდ რაღაც უმწეო კომენტარებით ცდილობს ბუნდოვან სი-
ვრცეში საკუთარი გაცრეცილი კონტურების შემოხაზვას, თუმცა
ამას ვერ ახერხებს და ამ შედედებულ მასაში თვითონაც ინთქმება.
ბოლოს თითქოს მოიწონეს კიდევაც რომანი, მაგრამ სავალალო ის-
ლაა, რომ ფიზიკურად იგი ალარ არსებობს, რადგან დროთა განმავ-
ლობაში ფურცელ-ფერცელ დაკარგულა და განიავებულა. ასე რომ,
აბსტრაქტულად აპრობირებული რომანი სანთლით საძებარი გამხ-
დარა. მოთხოვთ ფინალში კიდევ მერამდენეჯერ გამოსახივებს აბ-
სურდული ამბავთა წყების კიდევ ერთი ფურცელი — მანქანაში. მანქანაში მანქანაში





მჯდარი დაკარგული რომანის ავტორი, სრულიად შემთხვევთუ უკავანა ფანჯარასთან ნაცნობ საქალალდეს მოპკრავს თვალს, რომელსაც მისთვის აგრერიგად მნიშვნელოვანი წარწერა აქვს — „ცისფერი მთები“, „ტიან-შანი“. ცნობისმოყვარე მძღოლი აუცილებელი ავტორს ამ დაკარგული ეგზემპლარის სევდიან ისტორიას: „— ვიღაცას დარჩა გასულ შემოღომაზე... ოლარავინ მოაკითხა, ნაპოვნი ნივთების შემნახველ ბიუროშიც არ ჩაიძარეს და დევს იმ დღის შემდეგ აქ, გახუნდა მზეში“. ბუნებრივია, მოვლენის ასეთ განვითარებას, თვით რგვარი ორგანიზაციის სიურპრიზებით განებივრებული კაციც კი, როგორიც თვით სოსო იყო, არ მოელოდა. ნირწმედარი ფურცლავს უკვე ინტერესგანელებული რომანის იდუმალი სათაურის მიღმა დაფარული სიმბოლიკის აზრს, რომელიც თითქოს უველავე უკეთ უპირისპირდება თვით ავტორის ცხოვრების რომანტიკისაგან დაშრეტილ ყოფიერებას: „ცისფერი სილამაზის, სიშორის, მიუწვდომლობის, აუხდენელი ოცნების, დაკარგული წლების და დამსხვრეული იმედების სიმბოლოა და ამ სიცისფერები იმალება სიცოცხლის მარადიულობის საფუძველთა საფუძველი — იმედი“. ამ პოეტური სიმბოლიკის ღრმა განცდა დასამარდა თითქოს ახალგაზრდა მწერლის მეოცნებე სულში, რადგან დამშრალი მდინარის კალაპოტივით უსახური იყო ცხოვრებისეული მდინარების ის ლანდშაფტი, რომელსაც უხალისოდ მიუყვებოდა წყალუხვობას მონატრებული მისი სიცოცხლის ნაკალული. გულგრილობისა და პროზაული ყოფის სუსტიან უნაყოფობაში უჩინარდება სახე მთავარი პერსონაჟისა, რომელსაც ამაღლებული ვნებათაღელვის სივრცის საძიებლად ძნელად თუ შემოაბრუნებს თვით ისეთი უბიწო მაცდუნებელი, როგორიც გაზაფხულია. ამიტომაც ასე სევდაშეპარული აღტაცებასა-ვით მისდევს მოთხრობის ჩამუქებულ ატმოსფეროს მრავალი უაზ-როდ ჩავლილი გაზაფხულების მიმქრალი სურნელის კაეშანი.

„გაიხედე, სოსო, გაზაფხული მოსულა“ — გადაშუადღებული მზით აელვარებულ ცისფერ მთებს ხედავს თვალდახუჭული, ოთახში მარტო დარჩენილი, ხელებში თაეჩარგული, პირველი სითბოთი მოთენთილი ბელა. გაზაფხული კი მართლა მოდის, საღღაც მაინც ყვავის ხები და ასკდება კვირტები რტოებს“.

მოთხრობის სიუჟეტური ქსოვილის ერთი ფრიად ალეგორიული ელემენტია ფსევდოკლასიკური შენობის თანდათანობითი რღვევის

პროცესი, რომელიც დროდალრო ახსენებს თავს უამისოდაც აფო-
 რიაქებული მშერებივით აზუზუნებულ ადამიანებს. რას უნდა მოას-
 წავებდეს მიწისქვეშა ბიძგებით ნაჭრილობები შენობის მოახლოვე-
 ბული მიმწუხარი, ან მისი გაბზარული კედლებიდან უხვად ჩამომ-
 დინარე მტვრად ქცეული გაჯის ნაწილაკები, რომელიც წამიერ სა-
 ზრუნავს უჩენს უსაქმურობით გაოგნებულ თანამშრომლებს. რაღა
 თქმა უნდა, ამ „ცოდვაში“ მეტროს მიწისქვეშა გვირაბსაც მიუძლ-
 ვის ბრალი, რომელსაც ამ შენობის მახლობლად უდევს გზა, მაგრამ
 ისიც სავარაუდოა, რომ სწორედ ამ ტიპის შენობას უნდა დაეტია
 აბსურდული ყოფის ის უიმელობა, რითაც მისი გერმეტიულად შე-
 მოსაზღვრული სივრცე სუნთქვავდა. თავისი შეუნელებელი რყევით
 იგი ადამიანებს უფრო მეტს ეუბნებოდა, ვიდრე ფიზიკური კატას-
 ტროფის მოსალოდნელი შეგრძნებაა. ფსევდოკლასიკური შენობის
 სეული უფრო ფსევდოადამიანური სულის ზეობითაა დაღრღნილ-
 დაჭიანებული, ვიდრე ბუნებრივი სიძაბუნით. საძირკვლიდან ამო-
 ტანილ ოხვრასავით გაისმის ჭიანჭველური ფუსფუსით გართულ
 ადამიანების თავზე რწევისა და რღვევის ხმა, რომელსაც მშვიდი
 გაკვირვებით პასუხობენ. ბოლოს ერთგვარად თითქოს გამოფხიზლ-
 და მათი მიძინებული ცნობიერება. ძლიერმა ბიძგმა კედელზე ჩა-
 მოქიდებული „გრენლანდიის პეიზაჟი“ ძირს ჩამოაგდო და მის
 ქვეშ ოცდაშვიდი წლის განმავლობაში მაგიდასთან მჯდარ თანამშ-
 რომელს ზედ დასცა. ამ მოსალოდნელ კატასტროფას მხოლოდ ერ-
 თი თანამშრომელი, პროფესიით ვულკანოლოგი, თუ გრძნობს. მისი
 პროფესიული ალლო მხოლოდ ოცი წამით ცდება, მისი ვარაუდი
 ოდნავ გვიან ანგარიშობდა მომხდარ უბედურებას, ამიტომაცაა იგი
 განცვიფრებული: „გრენადა, გრენადა! — გრენლანდიის თქმა უნ-
 დოდა, შეიძლება. გაქვავებულ წამზომს დაჩერებია, — ოცი წამით
 ადრე ჩამოვარდა, საოცარია, სად შევცდი!“ ტრაგედიის მოახლოე-
 ბული ნაბიჯებიც კი ვერ ცვლის ამ ადამიანების ცხოვრების დაკანო-
 ნებულ წესსა და რიგს. წამიერი შეშფოთების გაკრთომა მათ გადა-
 რეცხილ სახეებზე მალევე უკვალოდ ქრება. მათ არა აქვთ საქმე
 ერთმანეთის ტკივილთან და გაჭირვებასთან, არც თვითონ მოითხო-
 ვენ სამაგიეროს. ფაქტის გულთან მიტანის ეფექტს, შესაძლოა, არც
 ახალგაზრდა ქალის ცრემლი ქმნიდეს, რაღან იგი უფრო საკუთა-
 რი უიმედობის გამომხატველი მწარე საყვედურია, ვიდრე მის გვე-

რდზე მყოფი ადამიანისადმი თანალმობის სევდა. არავის არავისთვის არ სცალია, რადგან სამსახურის „თავბრუდამხვევი“ ტემპი უნდა აჰყვეს და შეერწყას თანამედროვე ცივილიზაციისათვის ნიშნეულ შეუნელებელ ღინამიკას. კვლავ და კვლავ გაისმის შენობის დაბზარულ კედლებში ამ ღიღი ორგანიზაციის „უნარიანი“ ხელმძღვანელის ენერგიული ხმა — „დირექტორი ალაბელურად უბერავს მაგიდას სულს დრო და დრო, იცინის და ნეკა თითს ისობს ხანდახან თავზე. კირი თუ აყრია, არ იცის — დიახ, დიახ, დიახ, დიახ, კი ბატონო, კი, კი, გასაგებია, კი ბატონო, დიახ, კი... — პირველ ყურმილს დებს და მეორეს იღებს“. საქმიანი კონტაქტი გარესამყაროსთან კვლავ გრძელდება და, შესაძლოა, უფრო ინტენსიურიც კი ხდება, რადგან მთავარი თურმე საქმიანი ატმოსფეროს მოჩვენებითი რესპექტაბელობა ყოფილა და არა ცოცხალი შემოქმედებითი შრომის გარეგნული ჩვეულებრიობა.

მოთხოვობის სატირული თუ იუმორისტული სიტუაციებით აღბეჭდილ ქსოვილში, მიუხედავად სივრცობრივი სიმჭიდროვისა, მშვენივრადაა რეალიზებული აეტორის ჩანაფიქრი. იგი არამც და არამც არ არის გლობალური იმედისგაცრულების მხატვრული მანიფესტაცია. იგი დაცინვაა, ზოგჯერ უკიდურესად ბრაზიანიც კი, ყოველივე იმისა, რაც ხელს უშლის გაუცხოვების მომავლინებელი უფსკრულიდან თავდახსნის ცდას, რამაც, წარმატების შემთხვევაში, ადამიანს საკუთარი, ინდივიდუალური სახე უნდა დაუბრუნოს. მხოლოდ საკუთარი სულის განუმეორებლობასთან ნაზიარები შესძლებს გაღვიძებული გრძნობათა ნაკადიდან გამოარჩიოს, გააღვივოს და დროებით მიმქრალი სიცოცხლე კვლავ დაუბრუნოს გაუხეშების გარსში ტყვედქმნილ ადამიანური ლმობიერებისა და სიყვარულის დროსთან ჭიდილით დაღლილ ძალას.

მოთხოვობა „ცისფერი მთები“ მწერლის სატირული თვალის, მდიდარი ფანტაზიისა და ფსიქოლოგიური წვდომის შესანიშნავი ნიმუშია, რომელმაც მკითხველი მაღალი მორალურ-ზნეობრივი და ეთიკური დილემის წინაშე დააყენა.

ბუნებრივი და თვალისათვის შეუმჩნეველი ოსტატობითაა შერწყმული მასში უცნაური, ექსტრავაგანტური ჩვეულებრივთან. „ირეალური“ სიტუაციები ცხოვრებისეული ლოგიკის კანონებით ვითარდებიან და რომანტიკული გამონაგონისა და ყოველდღიურობის



გამთლიანებისაკენ ილტვიან. ლეთარგიულ ძილს მიცემული მიკროფონების სამყარო და მასში აღქმული უნაპირო მანკიერება სწორედ ამ ესთეტიკური პრინციპითაა ნაძერში და ფორმადებნილი.

ჩეზო ჭეიშვილის მხატვრული სამყაროს არსებითი სტრუქტურული თავისებურებანი ისე არასოდეს მოქცეულა ერთ ფოკუსში, როგორც მოთხოვნაში „ვაიმე, ჩემო ვენახო“. მასში წარმოსახული მსოფლშეგრძენება, სინამდვილის მხატვრული ხედვის პრინციპითა და სიტყვიერი ქსოვილის ხელრთვით, ხელშესახები ნიმუშია მწერლის კონცეპტუალური შემოქმედებითი საზრისის წარმოსადგენად. მოთხოვნაში პერსონაჟთა ფსიქოლოგიური სამყარო იმ გამახვილებულ სპექტრში გაივლის, რომელსაც ძალუძა მიწიერი ვნებათალევის მარტივი გამოვლინებები ზნეობრივი მაგალითის ნიშნით აღჭრებოს და პიროვნების მიწიერ სურვილებს ფესვეული წარმომავლობა მოუძებნოს. არაფრია მწერლისათვის თუნდაც იმგვარი უბრალოება წარმოსაჩენი მასალისა, როგორიც ამ მოთხოვნაშია მხატვრულად დამუშავებული. მწერლის ფილოსოფიური ჩანაფიქრის ხორცშესხმის სურვილს ცხოვრების იმგვარი წახნაგი შეურჩევია, რომელიც თავისი უპრეტენზიო, მაგრამ ძალუმი თვალსაჩინოებით ტოლს არაფრიათ დაუდებს მაღალი აღმაფრენით აღბეჭდილი მოვლენების რომანტიკულ ბუნებას.

ერთი ჩვეულებრივი ოჯახის, უფრო სწორად კი ამ ოჯახის ერთი წევრის გიორგი თაბორიძის უაზრო „ვნებათა სიმძაფრე“ განსაზღვრავს ამ უაღრესად საინტერესო მოთხოვნას აზრთა დინებას. იგი მუხლასუხრელად იღვწის მეზობელთან ატეხილი „ღრმა“ უთანხმოების გადასაწყვეტად (რა ოქმა უნდა, თავისი სასარგებლოდ). საკუთარი სიმართლის განცდით ანთებული, დასახმარებლად მიმართავს არა მხოლოდ სახელმწიფოში არსებულ ინსტანციებს, არამედ სამართლიანობისათვის მებრძოლ საზღვარგარეთულ ცენტრებსაც (გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და სხვ.). ღრო და ღრო უკიდურესად სასომიხდილი „ჩაგრული“ ხელში იღებს ნაცად კალამს და გულისამაჩუყებელი წერილებით საშველად უხმობს გამოჩენილ მწერლებს. ამ დაუცხრომელი ამბოხის მიზეზი შემზარავია თავისი კომიკურობით — საპირფარეშოს თანაზიარობა და ფეხის საწმენდი ტილოს დასადები ადგილის მოპოვებაა მისი მიზანი. ბუნებრივია, სქემა სიტუაციისა თითქოს ბანალური და არაფრიათ აღსანიშნავი

არა. მაგრამ ყოფითი სინამდვილის ეს ნედლი ნაგლეჯები შთაგონების ისეთი მაღალი ტემპერატურის ბრძმელში გადიან, რომლის სიმხურვალე აღნობს, ახალ შემადგენლობად აყალიბებს და საკუთარი სტილისა და ტონის ღრმა ანაბეჭდით აღბეჭდავს მის საბოლოო სახეს. ერთი „უცნაური ზე“ ჭირს ამ შთაგონებას, არასოდეს იქრებს თავის გარშემო გრძნობად-ემოციური ფერადოვნების ხელოვნურ თრთოლვას. თვით პეიზაჟური ჩანახატიც კი უზუსტესი კონტურებით იქმნება, რომელმაც არ იცის ფერადოვანი ასოციაციების უსასრულო გამმა, ანდა ელეგიური განწყობილების ხაზგასმული მოძალება. ბუნებრივი, ორდინარული ლექსიკით გადმოიცემა ყოველივე ის, რასაც მწერლისათვის მხოლოდ ვიზუალური მნიშვნელობა გააჩნია. „ხანთაძის ქუჩის ცხრა ნომერი სახლის სახურავიდან თავდარმართად დაშვებული ვიწრო ქუჩები და ძველი სახლების ყავისფერი სახურავები ჩანდა. ქუჩები ბილიკებად ეშვებოდნენ მთავარ გზაშარზე, მოედნებსა და ხილებზე. გატოტვილი კაპილარებიდან შეუმჩნევლად იქსებოდა, იბერებოდა, იკუმშებოდა და ხმაურობდა ქალაქი. დანაწევრებული ხმები ერთმანეთში იწნებოდნენ, მოიწევდნენ ზევით, იმსხვრეოდნენ გზადაგზა და ნაწილნაწილ ცვიოდნენ სახურავზე. მუქად შეღებილი, სხივდაყრილი თუნუქი მაინც ისე ხურდა, რომ სახსრებში ჩაკეცილი, ბალიშებში ბრჭყალებშემალული კატა ჩრდილს ეძებდა ჩაუანგულ, ჩახმელფოთლებულ ღვარსადენში“.

მოთხრობა ხაზგასმული დეტალიზაციით აღადგენს სასამართლო პროცესის მსვლელობას. მოსაწყენია ის ერთფეროვანი ხასიათის პროცესუალური ენობრივი და აზრობრივი სტერეოტიპი, რასაც ვერაფრით მოექებნება აღქმის მხატვრული ექვივალენტი. მწერალი არც ცდილა ამ შემთხვევაში ეტვირთა ხელმოცარული ალქიმიკოსის როლი. მოთხრობაში ხვავრიელად წარმოდგენილ სასამართლო ჩვენებებს, დადგენილებებსა თუ ექსპერტთა დასკვნებს თვითორიებული მნიშვნელობა რომ არ გააჩნიათ, აღბათ ყველასათვის ნათელია. მწერლის მოქალაქეობრივ-აღამიანური პოზიცია შინაგანი სიმართლის ძალით სამართალწარმოების იმ პაროდირებულ ფორმებს უპირისპირდება, რომელთა მოჩვენებითი ჩესპექტაბელური სამოსელი ვერაფრით გალავს სიბრალულის აღმძვრელ გაცვეთილსა და ნირწამხდარ ნაკვებს. ავტორი, როგორც გულმართალი მთხრობე-



ლი, არ მოერიდა მოვლენათა ნატურალისტურ აღწერას მკითხველის გემოვნების გალიზიანება უფრო მნიშვნელოვანი შედეგით უნდა ყოფილიყო ანაზღაურებული. ცნობიერების თვალსაწიფრმა უნდა მოინიშნოს და გაამქარივოს სინამდვილის კიდევ ერთი, მავანთათვის უკვე კარგად ამოხსნილი „იდუმალება“. საპირფარეშოსა და ფეხის საწმენდი ტილოს ირგვლივ გამართული ვრცელი სჯა-ბასი ისეთ სერიოზულ სახეს იღებს რომ მოსამართლისა და ექსპერტთა კომისიის მთელი პროფესიული გამოცდილების მომარჯვების ფასად-ლა მიაღწევს საბოლოო განმუხტვას — „ფეხის საწმენდი ტილო, ქალბატონო თინა, შეგვიძლია უკვე აქ გავფინოთ, ხელს ველარ ახლებს ვერავინ“ — აი, ის დიდი მონაპოვარი, რომლის დაკანონებასაც აღამიანებმა დაუშურველად შესწირეს ძალა და ენერგია.

ხანში შესულმა გიორგი თაბორიძემ ველარ გაუძლო ამ ღრმად განცდილ ქარტეხილებს, ნელნელა მოეშვა და დაძაბუნდა. ყველაზე გულისმომწყველელი ის არის, რომ სწორედ გონებრივი პროსტრაციის უამს განიწმინდა იგი უაზრო და წვრილმანი ვნებათალელვისა-გან. წამიერად მას რალაც „ანგელოსური“ უინიც კი ეწვია, გადაეხადა ბინის გადასახადი მტრად ქცეული მეზობლისა. მართალია, ამგვარი გასხივოსნება აღარ განმეორებულა, მაგრამ ამ ცნობილი „მოშულარის“ ცხოვრების წესი მაინც შინაგანი სიმშვიდის ღრმად განცდილ სურვილს დაემორჩილა — „შესაღამოვებულს გავიდოდა ისევ ქუჩაში, მიიარ-მოიარდა პატარა უბანს, დაუყვებოდა ბოლოს კარგარეთელის შარას და მეტროს სადგურთან ელოდა სამსახურიდან დაბრუნებულ მეუღლეს. ზუსტად, პუნქტუალურად, ერთსა და იმავე ღროს დაიწყობდა ხელებს წელზე, გვირაბიდან ამოსულ ხალს ათვალიერებდა და ამ სახელდახელოდ შემუშავებულ წესსა და რიგს მისდაუნებურად ჩვევაში ზრდიდა“. ეს მისი ყველაზე კეთილშობილური და გულწრფელი სურვილის აღსრულება იყო. შესაძლოა, ფიქრობდა კიდევაც ამგვარი ყოფის დაუსრულებელ დინებას, მაგრამ სულ მალე გონებადამძიმებული გიორგი მარაზმატიკულ ტრანსში ჩაიძირა — „ერთხელ მეტროს ველარ მიაგნო, მეორეხელ სახლს, უკვირდა ყოველი მხრის ცვლაზე. ნუ მხვდები, არ არის საჭირო, აწი აღარავინ მომიტაცებსო, საყვედურობდა ცოლი და მაინც უხაროდა ეს ყურადღება“. გონებაარეულს ერთხელ კიდევ შეახსენეს



თავი წარსულის ცოდვებმა. კიდევ ერთხელ სცადა დაბინდული გრაფიკის ნებით მოაზრებული მცირედი წყენა მიეყენებინა მეზობლისათვის. მან დიდი ბრძოლების შედეგად დაკანონებული ფეხის ტილოს აღგილმდებარეობა ოდნავ შეცვალა (მეზობლის „საზიანოდ“). ამ უცოდველი ეშმაკობისათვის სასტიკად გაილანდა საბრალო მოხუცი. სანამ საბოლოოდ დასდებდა „ბრძოლებში გამოწროთობილ ხმალს“ კიდევ ერთი, აწ უკვე უკანასკნელი განწირული ხმით შეპბლავლა კანონიერების დამცველთ, დაკინებული სამართალის აღდგენა შესთხოვა მათ. ცხოვრების „ქარის წისქვილებთან“ ბრძოლით ამაოდ დამაშვრალ მოხუცს მშობლიური სოფლის ნოსტალგია მოეძალა. შესაძლოა იგი მაშინდა მიხვდა, რა ამაო იყო ყოველივე და ბავშვივით გულწრფელად ატირდა — სახლში წამიყვანეთ, ჩემი ხის სახლი მინდაო. „იმ დღის შემდეგ ღროდადრო, ხშირად სრულიად უადგილოდ გახსენდებოდა ბარჯებ-ბოკონებზე შემდგარი ხის გრძელაივნიანი სახლი, ცრემლად იღვრებოდა და, წამიყვანეთო, იხვეწებოდა გულმომჯდარი“.

ყოველდღიურობის უხამსი წვრილმანებით დამონებული და მთელი არსებით მასში ჩაძირული ადამიანი გაცვეთილ ნივთს ემს-გავსება, რომელსაც დაკარგული ქქს ჰქმარიტი ღირებულება. მაგრამ საოცარი ის არის, რომ ის უფრო დიდ ხრწნილებაში ვარდება, ვინც საკუთარ თავს ამ ყოველდღიურობაზე მაღლა წარმოიდგენს. ასე რომ, ყოფიერების მონაძლევა კარგია ანდა ცუდი მხოლოდ იმის მიხედვით, როგორ შევხედავთ და შევაფასებთ მას.

ბოლოს, სასიკვდილო სარეცელზე გართხმულ გიორგის კიდევ ერთხელ ეწვია წარსულის უსასრულო ბინდში გაუჩინარებული უცნაური ხილვები — „დანისლული გორები და ფესვებაფშეკილი, თავდალმა დარგული ხეები დედის სამარიდან... „ჩურჩულით უხმობდნენ ომის წლების საშინელი მოგონებანი, უცხო ნათელით გაოცებული მიჰყევა ამ ხმათა მოწოდებას. „რომელი პირველად ვიყავ მგმბარ და მდევნელ და მაგინებელ, არამედ შევიწყალე, რამეთუ უმეცრებით ვიყავ, ურწმუნოებასა შინა“, ამ უკანასკნელი მონანიებით შეეძლო სამუდამოდ მოესვენა ამაო ვნებათალელებით დაღლილსა და დაქანცულ გიორგის.

მთავარი თავისებურება ამ მოთხოვნისა (და საერთოდ შემოქმედებისა) მწერლისეული მხატვრული აღქმის დიალექტიკაა, რაც

იმაში მდგომარეობს, რომ ერთი და იმავე კითხვის ორი შესაძლებელი პასუხის წინააღმდეგობრიობა არ იჩქმალება, მაგრამ არც საგანგებო ხაზი ესმება. სხვა ღირსებებთან ერთად ეს არის მისი ერთი მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ნიშანი ტრაგიკული ანტონონიებისაკენ მიღრებილი მხატვრული ქმნილებებისაგან. იგივე დიალექტიკა ცხოვრებასთან დამოკიდებულებაში არათავსმოხვეული და დელიკატურია. მასში არაფერია ქედმაღლური და პრეტენზიული. დაბოლოს, ეს არის დიალექტიკა, რომელიც არ გაუტბის სინამდვილესთან შებმის სიმძაფრეს, მაგრამ უკიდურესად არ ამწვავებს მას ტრაგიკული პათეტიკითა თუ გარჯიშით დახელოვნებული გონების თვალმოსაჩვენებელი ცდებით. ადამიანურია ცხოვრების ფილოსოფიური წვდომით აღქმული მიწიერი სიმართლე, კერძოდ რომ გარდუვეალია ყოველივე ის, რასაც ბუნებრივი აუცილებლობის ძალით ერწყმის ჩვენი არსებობის ღრმა აზრი. არსებობის ამ წინააღმდეგობრივ გზაზე საჭიროა საკუთარი მოვალეობის მძიმე ჯვარი ატაროს ყველამ, მაგრამ ისე, რომ უკანასკნელ წამს, საკუთარი ტვირთის ზიდვით დამაშერალსა და ოფლიჩმომდინარეს, მაცოცხლებელ წვეთებად დაეპუროს ნათელ მოგონებათა სიგრილე...

აქ კი, ხანთაძის ქუჩის „სამსართულიანი სახლის შუანა სართულზე ყბებს უკრავდნენ უკვე მიცვალებულს. მეზობელი დურგალი უსკვნიდა ხელსახოცს ნიკაპთან. ზედა ოთახიდან დისწულებსა და კულონბეგიშვილის (მტრად ქუცული მეზობლის, გ. ბ.) ქალიშვილებს ავეჯი გამოჰქონდათ, უხმოდ მუშაობდნენ და წვრილ-წვრილ ნივთებს ფეხისალაგთან ალაგებდნენ დროებით. ქვევიდან ზედა, ზევიდან პირველი, ეზოდან მეორე, ქუჩიდან მესამე სართულის დიდი ოთახი, სადაც გოორგი თაბორიდე უნდა დაესვენებინათ, ნელ-ნელა ცარიელდებოდა და პატარავდებოდა“.

* * *

„და თავი და თმანი მისნი სპეტაკ, ვითარცა მატყლი სპეტაკი, და ვითარცა თოვლი; და თვალი მისნი, ვითარცა ალი ცეცხლისა... და მარჯვენასა ხელსა მისსა აქვნდეს ვარსკვლავნი შვიდნი; და პირისა მისისაგან გამოვიდოდა მახვილი ორპირი აღლესული, და პირი მისი, ვითარცა მზე, ბრწყინავს ძალით თვისითა“.

ახლა უკვე ყველამ იცის, რომ ამგვარი იყო იგი... თვით იმათაც,

მოთხოვთ „რასემონის“ პერსონაჟები რომ არიან. რომ აღარაფერი ვთქვათ „მწ. პრეზიდიუმის“ შემადგენლობაზე. მაგრამ მაშინ, სამ-წუხაროდ, სულ სხვანაირად იყო. მისი ანგელოზური უცნაურობე-ბით აღდეჭილი სიცოცხლე იყო ალბათ ამის მიზეზი.

უილიამ ფოლკნერს სხვა ბრწყინვალე რომანებთან ერთად აქვს ერთი გამორჩეული და შესრულების მანერით უნიკალური რომანი „ხმაური და მძვინვარება“. მასში მოვლენები რამდენიმე აღამიანის ცნობიერებაში აირეკლება და ამდენად შინაგანი მონოლოგის ფო-რმით წარმოსდგება. გონებასუსტი ბენჯამინი, მისი უფროსი ძმა კვენტინი და საშუალო ძმა ჯეისონი ჰყვებიან საკუთარ ოჯახში და-ტრიალებულ ამბავს. მათი სუბიექტური შეხედულებები ჯამდება თვით მწერლის საბოლოო სიტყვაში. ასეთია XX საუკუნის მსოფ-ლიო პროზის ამ შედევრის კომპოზიციური სტრუქტურა. ამერიკე-ლი მწერლის რომანი გამახსენა რეზო ჭეიშვილის ანალოგიური პრინციპით შექმნილმა მოთხოვთამ.

„რასემონი“ სტრუქტურულად ოთხი აღამიანის მიერ წარსულ-ში ერთად განცდილი კურიოზული ეპიზოდის გახსენებაა. მისი აზ-რი და მნიშვნელობა მოგვიანებით ხდება ნათელი, რადგან მათთან ერთად ამ ეპიზოდის მონაწილე თურმე იმ რანგის მწერალი ყოფი-ლა, რომლის ცოცხალი ხილვაც სიამაყისა და შინაგანი ლირსების საგნად ცეცულა დროთა ვითარებაში. ფეხბურთზე დაწრების მსუ-რველ უბილეთო გულშემატკივრებს მილიციელები შეამჩნევენ და შემთხვევით ახლომახლო დიდი ტყავის პორთფელით მდგარ „მეტ-ნაკლებად“ ცნობილ მწერალთან ერთად სპეციალურ მანქანაში მო-თავსებენ. სტადიონიდან შორს, ქალაქის გარეუბანში ათავისუფლე-ბენ მათ. სასჯელმოხდილი ფეხით გამოუყვებიან ქალაქისაკენ მო-მავალ გზას. უცნაური აღტკინებით გამორჩეული მწერალი ჩამორ-ჩება გულშემატკივრებს და „მარტოდშთენილი“ გაყყურებს მის წინ გადაშლილი ქალაქის ხედს — ი, ის კურთხეული უამი, რაც ამ ოთხეულის მეხსიერებამ გააცოცხლა. უმნიშვნელო დეტალებშია გა-ნსხვავებული მათი მონათხოვთამ, თუმცა სუბიექტური აღქმა პერ-სონაჟი მწერლისა მაინც პრინციცულად შორდება მათ. ერთადერთი, ვინც ბოლომდე გაიაზრა იმ ეპიზოდის საკრალური მნიშვნელობა და აზრი, ალექსანდრეა, თვითონაც პოეზიასთან დამეგობრებული და ნაზიარები კაცი. „როგორ არ ვიცნობდი, ყოველ შემთხვევაში, ვი-

ცოდი, ვინ იყო. პოეტი ვთქვი? რა მნიშვნელობა აქვს. დიახ. სხვისი რა მოგახსენოთ და მე ვეთაყვანებოდი. როგორ ვიფიქრებდი, თუ ასე ადრე აღესრულებოდა. ის დღე კი, სანამ სული მიღვას, ჩემი მექსიერებიდან არ ამოიშლება».

ხომ უცნაურია, გენიალური შემოქმედი, თვით თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მიმწუხრის უამს, ასე ჩვეულებრივი მოქვდავივით დაფარფატებდეს ბანალური ყოფიერების არაგონიერ ტალღებზე; შინაგანი სიღიადის ჩრდილში ჩამყუდროვებული, ასე ბავშვური გულუბრყვილობით იქარგვებდეს მისთვის აგრერიგად არათრისმოქმედ და, ამდენად, მხოლოდ ცხოვრების ინერციად აღქმულ პიკანტურ შემოტევებს. უცნაურია, მაგრამ ასეთი იყო იგი გადმოცემით. მოთხრობის ავტორის მდიდარმა წარმოსახვამ მწერლის განცდაც გააცოცხლა და პროზაული ვითარება მისეული პოეტური ნიშნით აღბეჭდა. ზეაწეული ინტონაციითაა მასში მოთხრობილი უმიზეზოდ მსხვერპლად შეწირვის საკუთარი ისტორია. ლამაზი ილუზიების სასიმოვნო ტყვეობაში მოქცეული, იგი რომანტიკული გატაცებით ალადგენს იმას, რასაც მისი მარადისობისაკენ მიქცეული სულისათვის აზრი უკვე აღარ ჰქონდა. აქ ერთი ფრიად ღრმადმნიშვნელოვანი დეტალია სხივფენილი. კერძოდ, ის ლეგენდარული ტყავის პორტფელი, რომელსაც ასე სათუთად ითარევს მწერალი ცნობისმოყვარეთა შემოტევებისაგან. ავტორისეულ სიტყვაში ბოლოსა და ბოლოს იხსნება აწ უკვე სევდიანი ღიმილით განსაცდელი იღუმალება იმ აუხსნელი ქცევისა — „დიახ. პორტფელში ედო საკუთარი ხარჯით სახელმწიფო სტამბაში დაბეჭდილი ხუთი ათასი მოსაწვევი ბარათი. ათვალიერებდა რეინის მესრისაკენ მისწრაფებულ, შემორაგულში თავშერგულ ხალხს, ეტირებოდა და გულზე ახუტებული მოსაწვევებით გატენილ პორტფელს არ უშვებდა ხელს. სად უნდა დაერიგებინა ამდენი მოსაწვევი ბარათი. ჭირდებოდა ვინმეს? მოვიდოდნენ კი რეინიგზის არმიელთა სასახლეში ეს პატიოსანი მოქალაქენი? დაგერიგებია შე კაი კაცო, ან მოვიდოდნენ ან — არა!“ ეს ღრმა თანაგრძნობით ნათქვამი, თითქოს ირონიული შეფერილობის რეპლიკა ოპტიმალური გამოხატულებაა მწერლის ჩვეული სტილის-ტიკისათვის დამახასიათებელი იმ მსუბუქი ჰაეროვნებისა, რომელიც თავიდან ბოლომდე აწესრიგებს კომპოზიციურ-სიუჟეტურ ერთიანობას.

მოთხობის ერთი თავი უსაზღვროდ აღშფოთებული არეოპაგის უმწეო მსვლელობას ეძლვნება. აი, თურმე, რა აუტანელი ყოფილა თავის თუნდაც გრანდიოზულ შემოქმედებასთან მარტოსულად შდგარი ადამიანის გარემომცველი, წესითა და რიგით მისთვის ყველაზე ახლობელი ატმოსფერო. გულშემატკიფრის გულშრფელ როლს აქ ენაცვლება საკუთარი ამბიციების დაჩრდილვით შეძრულ კოლეგათა ჭიანჭველური ფუსტუსი იმ შემოქმედებითი საღამოს ჩაშლის თაობაზე, რომელსაც ასეთი პირველყოფილი უბიწოების განცდით ელოდა მრავალი ცხოვრებისეული სიხარულისათვის გვერდავლილი მწერალი — „ხალხი, მკითხველ საზოგადოებაზე მოგახსენებთ, არც კი იცნობს მაინცდამაინც, როგორც ჩვენი წინაპრები იტყოდნენ, საყველთაო სიყვარულით ვერ სარგებლობს და თავი უნდა შევაკავებინოთ გრანდიოზულ სპექტაკლ-საღამოსაგან, თორემ მაყურებელი სასახლეში არ მოვა, ძალით მაგას ხალხს არავინ მიუყვანს და შევრცხებით, თავი მოვეჭრება საშვილიშვილოდ, პასუხი უნდა მოვთხოვთ იმას, ვინც ეს საქმე წამოიწყო, ვინც ის ადამიანი საამსაქმედ წატეჭაო... თუ მაინცდამაინც, ჯერ ენას ნუ მივუტანთ, იქნებ სხვანაირად შივულგეთ, თავადვე ვათქმევინოთ საღამოზე უარი. ასეა თუ ისეა, ყველა ვეკვდებით, ამნაირი საღამო არ უნდა გაიმართოს“.

მათდა საბენიეროდ, ამ სხდომას შემოუსწრო ცნობამ „დაუმ-სახურებელი დიდების“ მოსურნე მწერლის ავადმყოფობისა. ფარი-სეველთა აღშფოთებამ ახლა სხვა საღინარი იპოვა და სამკურნალო კომბინატში რა უფლებით დაწვაო — ამაზე აყაყანდა.

ბოლოს და ბოლოს, მოხდა მოსახლენი. „...ეს იყო უმაღლესი ზიზლი მათლამი. პასუხის სრული გაუცემლობა და ჩვეულების დარღვევა“.

მის დასაფლავებას, მავანთათვის სამწუხაროდ, იმდენი თაყვანი-სმცემელი ესწრებოდა, რომელთა სულ უმნიშვნელო ნაწილიც კი პირთამდე აავსებდა მისი შემოქმედებითი საღამოსათვის განკუთვნილ სასახლეს.

რა მოუნელებელი საყვედურივით ისმის ამ ეპიზოდის თითქოს უმნიშვნელო გულისწუხილი — „ერთმა ქალმა ბიჭუნა ასვა ღობეზე, ნუ გეშინა, არ გაღმოვარდები, დახედე, ცოცხალი ვერ გაჩვენე და მკვდარი მაინც ნახე როგორიაო“.

მიწას ებარებოდა დიდი შემოქმედის ნეშტი და, როგორც მუსი-

კალური რექვიემი, ცის უსასრულობისაკენ მიმსწრაფ სულს მიაკი-
ლებდა არაამქვეყნიური ვნების პარმონია — „გამჭვირვალე და მყი-
ფე ჰაერში სუსტად ჩამორეკილი ბროლის ლოლუების წერიალი
ისმოდა. წყლის ნათლია არხევდა ისრიმისფერ ფრთებს მშრალ სამა-
რესთან. მსუბუქი უხილავი კვამლი ასდიოდა საფლავის ფხვიერ,
ნეტარებით გაელენთილ მიწას; ადიოდა კვამლი ზევით, ბროლის
სტალაგმიტების წერიალი მიჰქონდა და ზეცის თავანს უერთდებო-
და“.

რეზო ჭეიშვილის უკანასკნელი წლების მოთხრობები უცნაური
ძალით გეზიდებიან თავისკენ. შეუძლებელია მათი გულდინჯი წაკი-
თხვის შემდეგ სასიამოვნო ნოსტალგიამ არ შეგახოს გულწრფელი
უინით ოღებეჭდილი „ხელი“ და კიდევ ერთხელ არ მიგაბრუნოს გამ-
ჭვირვალებისა და სინათლის უმართლესი სამყაროსაკენ.

□ □ □

გევაზასრთ გადაჭკაროვასიულად. სწორი გათოდოლობით

□

რევაზ გიგვილაძე

□

ერის სულიერ ცხოვრებაში მწერლობის განუზომელი ადგილი-
ძირითადად იმ გარემოებამ განაპირობა, რომ კაზმული სიტყვა ტრა-
დიციულად ადამიანთა მაღალი იდეალების სამსახურში იდგა, ერის
გულისთქმას გამოხატავდა, სამშობლოს თავისუფლებისათვის იბრ-
ძოდა, უხიზელ გუშაგად ედგა თავისი ქვეყნის დვრიტას.

ლიტერატურის ეს დიადი მისია დღის წესრიგიდან არასოდეს მო-
ისანება. მწერალი ეროვნული იდეალების მებაირახტრის ფუნქციის
მეხოტბისა და თვალდახუჭული მგალობლის როლზე რომ გაცვლის,
ეს იმას ნიშნავს, რომ იგი უარს ამბობს თავის ჟეშმარიტ მოწოდება-
ზე და იგავის ღამურას სავალალო ბედისთვის განემზადება.

თანამედროვე ქართველ მწერალთა მეწინავე რაზმი მხარს უჭერს
და შემოქმედებითად კვერს უკრავს იმ ფართო მოძრაობას, ქართვე-
ლი ერის ღირსების საქმედ რომ ქცეულა. ამიტომაც სრულიად
ბუნებრივია ის სიყვარული და ყურადღება, რითაც მკითხველი სა-
ზოგადოება მისი გულის მესაიდუმლეს — მწერალს უპასუხებს, მა-
გრამ, სამწუხაროდ, ლიტერატურის კაცი ყოველთვის როდი ამარ-
თლებს ჩვენი სულგრძელი მკითხველის იმედს. სახელდობრი:

არაერთმა მწერალმა უკანასკნელ ხანებში დათმო მებრძოლისა
და ტრიბუნის პოზიციები და გამრთობის „ესთეტიკური“ ფუნქცია
დაიტოვა. მომრავლდა არაფრისმთქმელი, ყალბირონიული ლექსები
და აშკარად რებუსული პოემები. უურნალები და მათი დამატებები
დღითი დღე ივსება აქტუალური, საჭიროობოტო პრობლემებისაგან
დაცლილი არა მხოლოდ ახალგაზრდა მწერალთა თხზულებებით.

სადღეისო პრობლემებისაგან ზოგიერთი მწერლის გაქცევამ,
მკვეთრად გამოხატული პოზიციის უქონლობის გარდა, კიდევ ორი
არანაკლებ საშიში ფორმა მიიღო: პირველი გახლავთ, არაერთი ნი-
ჭირი მწერლის ჭარბი გატაცება ისტორიული თემატიკით, რაც
ეშირად ერის აქტუალური საკითხებისადმი ზურგის შექცევის ხარ-
ჯზე ხდება, ხოლო მეორე — იდეურობის რუბრიკით ყალბათეტი-
კური, სახოტბო, პანგირიკული ნაწარმოებების მომრავლება.

ჩვენი ხალხის წინაშე არანაკლებ მძაფრი სასიცოცხლო პრობლე-
მები დგას, ვიდრე ოდესმე მდგარა. მწერლობის ვალია მასათა ერო-
ვნულ შემართებას საღი აზრის გარშემო შემჭიდროება-შეკავშირე-
ბითა და ახალი, მოქალაქეობრივად აქტუალური, მებრძოლი ნაწარ-
მოებებით უპასუხოს.

თანამედროვე ქართული მწერლობისადმი მკითხველის ეს პრე-
ტენზიები მწერლისა და მკითხველის ურთიერთობის მედლის ერთი
მხარეა. ყალბათეტიკური ნაწარმოებების მომრავლებას, რასაკვირ-
ველია, საერთო ჯამში მოსდევს ხოლმე მკითხველთა ინტერესის შე-
სუსტება ლიტერატურისადმი, მაგრამ ამ მიმართულებით ჯერჯერო-

ბით საგანგაშო არაფერი გვაქვს, რადგანაც ქართველ მწერალთა სა-
 უკეთესო ძალებს მშვენივრად ესმით თავისი მოვალეობა ქვეყნის
 წინაშე. ისინი სახელოვნად აგრძელებენ ჩვენი ლიტერატურის დე-
 მოკრატიულ ტრადიციებს და მაღალი სამწერლო კულტურით ესა-
 უბრებიან ხალხს იმ პრობლემებზე, რაზეც ერის ჭეშმარიტი გულ-
 შემატებივარი პასუხს აგებს მომავალ თაობათა წინაშე.

მწერალი რომ ერის მებაირახტრეა, მისი ნათელი იდეალებისათ-
 ვის მებრძოლი და წინსვლის გზათა მაჩვენებელი, ეს სადაც აღარ
 არის და მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაა ამის უტყუარი ბეჭე-
 დი, მაგრამ იმისათვის, რომ მწერლის მართალმა სიტყვამ თავისი
 ფუნქცია შეასრულოს, იგი, უპირველეს ყოვლისა, მკითხველამდე
 უნდა მივიღეს. მწერლისა და მკითხველის ურთიერთობის გზაზე ამ
 ბოლო დროს არაერთი ბარიერი გაჩნდა. ეს პრობლემები ცხოვრე-
 ბამ წარმოშვა და მათი გადაწყვეტის გზებზე სერიოზულად უნდა
 დავფიქრდეთ.

სოციოლოგიურმა გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ სათანადო
 პროპაგანდას ვერ ვუწევთ ყოველივე საუკეთესოს, რასაც სიტყვა-
 კაზმული მწერლობა ქმნის. სწორედ ეს გახლავთ ერთ-ერთი მიზეზი
 იმისა, რომ ჩვენ მკითხველს თანდათან ვკარგვათ. თუმცა ჩვენში
 ჯერ კიდევ არსებობს „წიგნის ბუმი“, მაღაზიათა თაროებზე იშვია-
 თად შეხვდებით მხატვრულ ლიტერატურას (არა მარტო კარგი წიგ-
 ნი საღლება სწრაფად), ხშირად ეწყობა შეხვედრები ლიტერატური-
 სა და ხელოვნების მუშაკებთან და ა. შ. ყოველივე ამის მიუხედა-
 ვად, შეკითხვაზე: „თანამედროვე ქართველი მწერლის რა ნაწარმოე-
 ბები წაიკითხეთ ამ ბოლო დროს?“ დიდი დარბაზები, რომელშიც
 სხვადასხვა განათლებისა და სოციალური მდგომარეობის მოქალა-
 ქენი სხედან — სდუმან. შთაბეჭდილება ისეთი იქმნება, რომ წიგნს
 ყიდულობენ, მაგრამ თავისუფალი დროის უქონლობის გამო ვერ
 ასწრებენ წაკითხვას. როგორც ირკვევა, განსაკუთრებით ცოტას კი-
 თხულობს ახალგაზრდობა; ნიშანდობლივია ისიც, რომ ჩვენი მკით-
 ხველების სოლიდური პროცენტი დისახლისებზე (რისთვისაც დი-
 დი მაღლობა მათ) მოდის. მსგავსი სოციოლოგიური „მწარე სიმარ-
 თლენი“ სანუგეშოს ვერაფერს აძლევს იმ ტიტანურ ესთეტიკურ სკო-
 ლას, რომელსაც მწერლობა ჰქვია და რომელიც საზოგადოების სუ-

ლიერი ბელადისა და წინამძღვალის ფუნქციის დათმობას არა და არ აპირებს.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ მწერლის სიტყვა კვლავინდე-
შურად იპყრობდეს მილიონთა გონებას, რომ მხატვრული სიტყვის
აღგილი ადამიანთა სულზე ზემოქმედების სხვა (და მათ შორის ხში-
რად საეჭვო ღირებულების) საშუალებებმა არ დაიკავოს?

გარდა საკუთრივ მწერლობის თემატურ-მხატვრული ხარისხის
ამაღლებისა (რაზეც ზემოთ უკვე მოგახსენეთ), საჭიროა მხატვრუ-
ლი ლიტერატურის პროპაგანდის უკველა საშუალების მობილიზება,
ჩაყენება კეშმარიტი მხატვრული ფასეულობების გახმაურებისა და
მხარდაჭერის სამსახურში.

ამ მხრივ საქმე არც თუ სახარბიელოდ გვაქვს.

რადიო და ტელევიზია — ჩვენი პროპაგანდის ეს მძიმე არტი-
ლერიაც — მხატვრულ ლიტერატურასთან მიმართებაში ჯერ კიდევ
ძიების პროცესშია. მისი სპეციფიკური დანიშნულების გამო რადიო
და ტელევიზია ჯერ კიდევ ვერ იქცა მწერლობის ღონიერ და მაღალ
ტრიბუნად. ეს შეიძლება ითქვას რადიო-ტელემაუწყებლობის მუშა-
ობაზე საერთოდ და არა მხოლოდ ჩვენი რესპუბლიკის მასშტაბით.
მსმენელი თუ მაყურებელი არაერთხელ მოხიბლულა ლიტერატუ-
რულ გადაცემათა მაღალი დონით, მაგრამ ცოდვა გამხელილი სჯობს,
რადიოსა და ტელევიზიაში მწერალი ჯერ კიდევ არ არის შინაური
კაცი. ჯერ კიდევ იშვიათია მწერლის ხელოვნებაზე პროფესიონა-
ლური, უნამდებულებელი საუბრები ეთერში.

ღრმ ზიდის, ჩვენი ეპოქა ტექნიკის სასწაულებს ახდენს. მწერ-
ლის ნახულავის მკითხველამდე მიტანის ფორმები კი ჩვენში ლამის
უცვლელია. მწერალი კონსერვატული პროფესიის პიროვნებად გა-
მოიყურება. მაგნიტოფონების და ვიდეო-კასეტების ფოიერვერკი
ჩვენში მწერლის პოპულარიზების საქმეს თითქმის არ შეხებია. არა
და დრო კია. ამერიკაში და იაპონიაში მინახავს მაგნიტოფონის კა-
სეტებზე ჩაწერილი ცნობილ მწერალთა ლექსები, მოთხრობები და
რომანებიც კი. ან თვით ავტორი კითხულობს, ან მსახიობი. როცა
მხატვრული სიტყვის ამგვარი ტექნიზაციის მიზეზი ვიკითხე, ამის-
ნეს: დღიური შრომით დაღლილ თანამედროვეს, ზოგჯერ ძალა აღარ
ჰყოფნის იმგვარი ძნელი ფიზიკური სამუშაოს შესასრულებლად,
რასაც კითხვა გულისხმობს. წამოწვება, თვალებს დახუჭავს, მაგნი-

ტოფონს ჩართავს და მისი საყვარელი მწერლის ხმას ისმენს, ან ახ-
 ალ ნაწარმოებს მოსმენით ეცნობათ. არის ამაში რაღაც საგულისხ-
 მო, ურბანისტული ეპოქის მოქალაქისათვის დამახასიათებელი და
 ნიშანდობლივი.

რატომ არ გვინდა ტექნიკის „ჩათრევას ჩაყოლა“ ვარჩიოთ და
 ჩვენშიც საინტერესო წიგნებთან ერთად იყიდებოდეს კასეტებზე
 ჩაწერილი მხატვრული ლიტერატურა? მაშინ, როცა ყოველ გაჩე-
 რებაზე იაფთასიან მუსიკალურ „ხელოვნებას“, კასეტებზე უგემოვ-
 ნოდ გადაწერილს, დაუინებით გქთავაზობენ?

რა დაშავდება რუსთაველის და გალაკტიონის კასეტებიც გამო-
 ვუშვათ? ამით მაგნიტოფონით გატაცებულ ახალგაზრდობას მხატ-
 ვრული სიტყვისაკენ მოვაბრუნებთ და დეკლამაციის ოსტატ მსა-
 ხიობებსაც ეკონომიკურად ხელსაყრელ საქმეს გავუჩენთ.

მხატვრული ლიტერატურის პროპაგანდის და, საერთო ჯამში,
 მწერლის პოპულარობისათვის ხელშეწყობის თვალსაზრისით ვალ-
 შია ჩვენი კინოც. საინტერესო, ახალი ნაწარმოების ეკრანიზება რა-
 ტომდაც პოზიციის დათმობად ითვლება, რეჟისორის თანავტორო-
 ბით „ორიგინალური“ საეჭვო მხატვრული ღირსების კინოსცენარის
 გადაღება კი — კარგ ტონად. ხშირია კინოინტერვიუები და კინო-
 ნარკვევები წარმოების მოწინავე ადამიანებზე, მაგრამ იშვიათზე
 იშვიათად ვქმნით ცოცხალ მწერალთა კინობიოგრაფიებს, კინოდი-
 ალოგებს და კინოპორტრეტებს. ჩვეულებრივ, მწერლის გარდაცვა-
 ლებიდან რამდენიმე თეული წლის შემდეგ გაირკვევა ხოლმე, რომ
 ესა და ეს მწერალი, რომ იტყვიან, „არ იყო დასაკარგი კაცი“. მერე
 დავუწყებთ კინოქრონიკებს ჩხრეკას და კინოარქივებს თვალიერე-
 ბას, მაგრამ გვიანაა და ვქმნით დოკუმენტურ ფილმებს მწერალზე,
 რომელშიც ყველა კარგად ჩანს, გარდა თვით ობიექტისა, იმ უბრა-
 ლო მიზეზის გამო, რომ სიცოცხლეში ამ მწერლის „გადაღებით“
 არავინ დაინტერესებულა.

ლიტერატურა ადამიანის აზროვნების ის უნიკალური სფეროა,
 ჩვენს თანამედროვეს სულის უტყუარ სარკეში რომ ჩახხდებს და
 მომავალს ეჭვმიუტანელ, პანორამულ სურათებს რომ შეუნახავს,
 ამიტომაც ყოველი ღონე უნდა გამოვიყენოთ, რათა მწერალს თავი-
 სი განუმეორებელი შარავანდი შევუნარჩუნოთ და მკითხველის გუ-
 ლისკენ მწვანე შუქი გავუნათოთ.

მხატვრული ნაზრევის მკითხველთა ფართო მასებისათვის მისა-წვდომად და გასაგებად ქცევის ერთ ნაცად ფორმად იყო და რჩება ლიტერატურის კეთილი, ბებერი დარგი — კრიტიკა. მას, ხშირად სრულიად უმიზეზოდ და უსამართლოდ გაკიცხულს, ისტორიამ უდიდესი მისია დაკისრა — ლიტერატურული მოსავლიდან გამოარჩიოს ჭეშმარიტი და ღირებული, თავისი სახელი დაარქვას ლიტერატურულ სუროგატს, ახალი თემები და პრობლემები უკარნახოს მწერლობას და ამით შეასრულოს მწერლობის პროპაგანდისტისა და ორგანიზატორის უაღრესად საპატიო ამოცანა.

რაც თავი მახსოვს, კრიტიკის მიმართ მხოლოდ ის მესმის, რომ იგი სათანადოდ ვერ ასრულებს თავის მოვალეობას. კრიტიკის მიმართ უკმაყოფილება, ალბათ, არც არასოდეს დამთავრდება, რადგანაც მას პასუხს ავებინებენ მრავალი, ხშირად ურთიერთგამომრიცხავი, მიზეზის გამო. თუ სტატიაში ნაწარმოები შექმნაულია, ასეთ სტატიას კომპლიმენტურს უწოდებენ და კრიტიკის ბალასტად თვლიან; თუ კრიტიკოსმა თავზე ხელი აიღო და მწერალი მკაცრად გააკრიტიკა, ასეთ კრიტიკულ ნააზრევს განმაქიქებელი, მჩეხავი კრიტიკის ნიმუშად მიიჩნევენ და ავტორს წყევლა-კრულვას უთვლინ; თუ კრიტიკოსმა საშუალო გზა აირჩია, არც მწვადი დაწვა და არც შამფური, ქებას სათანადო შენიშვნებიც მიაყოლა და რადიკალურ მსჯელობას არ მიმართა, ასეთ წერილს ვეგეტარიანული კრიტიკის ნიმუშად ჩათვლიან და დავიწყების ნაცარს წააყრიან. „ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდების“ სავალალო სიტუაციაშია ჩავარდნილი ხშირად ჩვენი ძმა კრიტიკოსი. მან პასუხი უნდა აგოს არა მარტო თავისი კომპლიმენტურობის, განმაქიქებლობის, ან ვეგეტარიანულობის გამო, არამედ ლიტერატურის დონის გამოც და აქაც ცალმხრივად. თუ ლიტერატურა ცხოვრებას ჩამორჩა, უმთავრესი დამნაშავე ლიტერატურის „ამძრავი ღვედი“ — კრიტიკაა. ხოლო თუ ლიტერატურა მაღალ დონეზე დგას, კრიტიკა არაფერ შუაშია, უბრალოდ მწერლებმა კარგი თხზულებები შექმნეს.

ამ სტრიქონების ავტორი დიდხანს იყო მოქმედი კრიტიკოსი და აღელვებული მკითხველისაგან ხშირად მოუსმენია: „რა ლექსები და რომანები იბეჭდება. რას აქეთებთ, თუ ძმა ხარ, თქვენ, კრიტიკოსები?“ ჩემი კრიტიკული თავმოყვარეობის გამო არ ვუხსნიდი გაცხარებულ თანამოსაუბრეს, რომ კრიტიკოსებს სუსტი ლექსების და

რომანების (და არც კარგის, სხვათა შორის) დაბეჭდვასთან საერთო არაფერი გვაქვს. ჩვენი საქმე უკან მიდევნებული ლამპარივითაა; დაიბეჭდება სუსტი ნაწარმოები, მივაყოლებთ კრიტიკულ წერილს. ხშირ შემთხვევაში არც ჩვენი კრიტიკული ნააზრევის დაბეჭდვის საქმეა ჩვენსავე ხელში. მერე ჩვენს მიერ გაყრიტიკებული ნაწარმოები, თითქოსდა ჩვენს ჯინაზე, სწრაფად, ხელმეორედ, მასობრივი ტირაჟით იბეჭდება და, პოი საკვირველებავ, ჩვენ გულზე გასახეთქად, მწერალს არცერთი (თუნდაც პუნქტუაციური) შენიშვნა არ გაუთვალისწინებია. კრიტიკის იგნორირება ამაზე შორს ვერ წავა. ცოდვა გამხელილი სჭობს და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს კრიტიკა და კრიტიკოსები ცალკე სამყაროა, ისინი ლიტერატურული ცხოვრებისაგან განცალკევებით ცხოვრობენ და თუ კრიტიკოსს კეთილშობილური სურვილი აქვს — ჩაერიოს ლიტერატურულ პროცესში, სამაგიეროდ, „ლიტერატურულ პროცესს“ არავითარი სურვილი არა აქვს კრიტიკოსი თავის საქმიანობაში გარიოს.

ეს საუბარი რომ „არ ახალია“, თვითონაც კარგად ვგრძნობ, მაგრამ ამჯერად კალამი კრიტიკის მიმართ უფრო თბილი დამოკიდებულების საქადაგებლად არ ამიღია ხელში. ამ მიმართულებით ჩემს ღალადისს კვლავაც არაფერი სიკეთე მოჰყვება. ჭეშმარიტმა კრიტიკოსმა მშვენივრად იცის, რომ რაკი ეს მძიმე ტვირთი მოიგდო ბეჭებზე, ბოლომდე უნდა ატაროს. მისი შუბლი არასოდეს დაიღავნება და თუნდაც ყველაზე მეტად დაუახლოვდეს ჭეშმარიტებას, ქილიკის და იგნორირების ხმები კვლავაც მიწვდება მის ყურს, კვლავაც ჩათვლიან მის უანგარო შრომს მეორად საქმიანობად და ლიტერატურული მომსახურების სფეროდ. მაგრამ ღმერთმა ხომ იცის, რომ მყითხველსა და მწერალს შორის ამ კეთილ შუამავალს — კრიტიკოსს ლიტერატურის წინსვლის გარდა სხვა რამ მიზანი არ ამოძრავებს.

ამ წერილის მიზანი უფრო იმ პრობლემების კვლევაა, რომელიც ცოტა საბუთს როდი აძლევს ხელში კრიტიკაზე ისედაც გულაყრილ კაცს, ჩვენს ნაწერებზე ცხვირი აიბზუოს და რომლის გადაწყვეტაც ჩვენსავე ხელშია. ამ პრობლემას ცოტა არ იყოს შემაშინებელ ტერმინს — კრიტიკის მეთოდოლოგიას უწოდებენ.

უკანასკნელ წლებში დაბეჭდილ ლიტერატურულ-კრიტიკული

წერილების უმეტესობას, სულ მცირე, სამი ნაკლი მაინც გააჩნია. წერილების ერთი ნაწილი მხატვრული ნაწარმოების კომპონენტები—საღმი ცალმხრივი დამოკიდებულებით სცოდავს. კომპლექსურად კი არ შეისწავლის თხზულებას, ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ იმ მხარეებზე, რაც მეტ სალაპარაკოს აძლევს. ვთქვათ, კრიტიკის საგნად ქცეულა რომანი. ხშირ შემთხვევაში კრიტიკოსი გვესაუბრება მხოლოდ და მხოლოდ რომანის შემეცნებით ღირებულებაზე და ცალკეულ ეპიზოდთა მხატვრულ-ფსიქოლოგიურ მოტივირებაზე, მაგრამ სიტყვას არ სძრავს ნაწარმოების სხვა განზომილებებზე, ვთქვათ, სიუჟეტზე, პერსონაჟთა ხატვის საშუალებებზე, კომპოზიციაზე და ა. შ. ჩამთავრებოთ წერილს და მიუხედავად იმისა, რომ იგი ოსტატურად იყო დაწერილი (ხაზგასმით უნდა ვთქვა, რომ ჩვენი კრიტიკოსები კარგად, მიმზიდველად წერენ), დაუკმაყოფილებლობის გრძნობა გრჩებათ. კრიტიკოსის მიერ ჰქვიანურად შემჩენეულმა ხარვეზებმა თუ ლირსებებმა თქვენ ვერ შეგიმნათ სრული წარმოდგენა ნაწარმოებზე. რეცენზენტის თვალთახედვის გარეშე დარჩენილ მხარეებზე ფიქრი კი მყითხველს ძალაუნებურად გარტყულებს უსიამო დასკვნისაკენ — კრიტიკოსმა წინასწარგანზრაცხვით ხომ არ მოკიდა ხელი მხატვრული ნაწარმოების სუსტ ან შედარებით ძლიერ მხარეს (ეს უკვე იმის მიხედვით, ქება სურდა თუ განქიჭება) და სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან დეტალებზე მსჯელობა ასევე წინასწარგანზრაცხვით ხომ არ მიაფუჩხა? ნაწარმოების ცალმხრივი, არაკომპლექსური განხილვა კი არც კრიტიკოსს ახასიათებს ობიექტურ, შეუვალ რეცენზენტად და მწერალსაც, სრულიად სამართლიანად, საპასუხოდ განაწყობს.

ჩვენი კრიტიკული წერილების მეორე ნაწილს სხვა ნაკლი — ავტორის პოზიციის გაურკვევლობა ახასიათებს. თუ ზემოთ კრიტიკოსის დამოკიდებულება მხატვრული ნააზრევისადმი თვით ანალიზამდე, საკითხისადმი მიღოვმაშიც კი აშკარად ჩანდა, ამჯერად გულდასმითი ძიებითაც ვერ აღმოაჩენთ, მოსწონს თუ არა კრიტიკოსს სარეცენზიონ ნაწარმოები. ვის რაში არგებს ასეთი შეფარული, მორცეპატარძლური დამოკიდებულება მწერალთან? კრიტიკოსი ფაქტიურად ნაწარმოებს კი არ განხილავს, მის ლირსება-ნაკლოვანებებზე კონკრეტულად კი არ მსჯელობს, თითქოსდა მხატვრული თხზულების გაგრძელებას წერს, ლირიკულ დღიურს ქმნის იმაზე,



რაც ერთხელ უკვე დაწერილა და რაზეც კრიტიკოსს თავისი პრიქ-
ჟტური სიტყვა უნდა ეთქვა. „ლირიკული კრიტიკა“ ამ ბოლო დროს
რატომძაც მოეძალა ჩვენს ლიტერატურულ პერიოდიეს. აქაოდა
კატეგორიულობა არ დამწამონ, ან, ე, მანდ, შეფასებაში არ შევც-
დეო, კრიტიკოსი ფრაზათა ფოიერვერკით ნიღბავს თავის შეხედუ-
ლებას, ერიდება დასკვნების გაცეთებას. შუაზე სწყვეტს მსჯელობას
და სხვა საკითხზე გადაღის. კრიტიკოსი ლამაზსიტყვაობაში და ფან-
ტაზის უკიდეგანობაში კი არ უნდა ეჭიბრებოდეს მწერალს, იგი —
ლიტერატურის შემფასებელი, მკითხველს ნათლად უნდა უამბობ-
დეს იმაზეც კი, რაც მწერლის თხზულებაში, ცოტა არ იყოს, გაუ-
გებრად წარმოჩინდა. რეცეზიამ უფრო მეტად კი არ უნდა დაგვა-
ბნიოს, არამედ გაგვარკვიოს, წარმოდგენა შეგვიქმნას ნაწარმოების
ისეთ შრეებზე, რაზეც ჩვენ, არაპროფესიონალ მკითხველებს, გაგ-
ვიქირდებოდა კომპეტენტური აზრის შემუშავება.

სალიტერატურო კრიტიკის მესამე ნაკლს პირობითად შეიძლე-
ბა სქემატურობა ვუწოდოთ. ეს გახლავთ ზოგიერთი კრიტიკოსის
მიერ მომარკვებული მეთოდოლოგიურად აბსოლუტურად მიუღე-
ბელი ხერხი — წინასწარშემუშავებული სქემით მივიღეს მხატვ-
რულ ნაწარმოებთან. კრიტიკის მეთოდოლოგია გულისხმობს მსჯე-
ლობას — კონკრეტულიდან ზოგადისაკენ, ე. ი. ამოსაგალია მხატვ-
რული ნაწარმოები. ვიდებთ წინ მწერლის ნამუშავევს და ვაფასებთ
მას იმ კრიტერიუმების მიხედვით, რაც ნაწარმოების შესაფასებლად
ესთეტიკურ მეცნიერებას საუკუნეების განმავლობაში შეუმუშავე-
ბია. უგლვებელყოფს რა ამ ელემენტარულ, ნაცად გზას, ზოგ
კრიტიკოსს კრიტიკის მეთოდოლოგიის შემოქმედებითად ათვისება
ისე ესმის, რომ მისი ლიტერატურული ერულიციის და ნაკითხობის
შსვერპლად აქცევს სოლმე მხატვრულ ნაწარმოებს. იმ კვირაში
ლიტერატურულ ენციკლოპედიებში ამოკითხული „იზმების“ პრო-
კრუსტეს სარეცელზე ათავსებს მწერალს და ცდილობს ძალად ჩა-
მოაცვას ნაწარმოების ბუნებრივ სხეულს ლიტერატურული სიძვე-
ლიდან ნანათხოვარი ქურქი. არას დაგიდევთ, რომ ამ ქურქს ლომ-
ბარდის სუნი ასდის და მხატვრული ნაწარმოებიც სხვის ტანზე შე-
კერილ სამოსელში არაბუნებრივად გამოიყურება. სალიტერატურო
კრიტიკის მეთოდოლოგიის ცალკეულ მომენტებზე საუბარი პროფე-
სიონალიზმის ხსენებიდან უნდა დავიწყოთ. რა მშვენივრადაც უნდა

გიცოდეთ, რომ ჩვენ შედარებისა და ანალიზის მეთოდს უნდა დავე-
 ყრდნოთ, რომ მყარად უნდა ვიღეთ ლიტერატურის ფუნქციების
 შარქსისტული გაგების ნიადაგზე და ამოვდიოდეთ სოციალისტური
 რეალიზმის პრინციპებიდან, ჩვენი მსჯელობა ყინულზე დანთებუ-
 ლი კოცონი იქნება, თუ პროფესიონალები არ ვართ და ნაწარმოებ-
 ზე ჩვენს საუბარს მკითხაობის თუ ალალბედზე მიმხვედრიანობის
 ელფერი დაჰკრავს.

რას ნიშნავს არაპროფესიონალიზმი ნაწარმოების შეფასებაში? საუკუნეები დასჭირდა იმას, რომ ლიტერატურის ისტორიას მხატვ-
 რული ნაწარმოების შეფასების კრიტერიუმები გამოემუშავებინა. ანტიკურ ფილოსოფოსთა პოეტიკიდან დღემდე არაერთი ბრწყინვა-
 ლე გონება ცდილობდა მოეხსნა მხატვრული ქმნილების საიდუმ-
 ლოებანი და მკითხველისათვის ესწავლებინა, რას ნიშნავს მხატვრუ-
 ლი აზროვნება და რა ღირსებები უნდა ახასიათებდეს ხელოვანის
 ნამუშევარს. დღეს საჭიროთა ესთეტიკის მრავალწლიანი რუდუნე-
 ბით ხელთა გვაქვს ეს კრიტერიუმები. ნაწარმოების შეფასების ხე-
 ლოვნება ზუსტი ხელოვნებაა. საკმარისია იმ მდიდარ არსენალთან
 მივიღეს ნიჭიერი, გემოვნებიანი, ლიტერატორად დაბადებული კა-
 ცი სუფთა გულითა და სუფთა ხელებით და შედეგიც არ დააყოვ-
 ნებს — ლიტერატურის ისტორიას შეემატება კეშმარიტი, მეცნიე-
 რული აზრი ამა თუ იმ ნაწარმოებზე. პროფესიონალმა კაცმა თი-
 თის ქარში აწევით კი არ უნდა გაარკვიოს კეშმარიტება, კარგად
 უნდა აწონ-დაწონს, მეცნიერული ლამპრით იაროს მხატვრული
 ქმნილების ლაბირინთებში და თავის სიტყვას მტკიცების ძალა მია-
 ნიჭოს. მკითხველს კრიტიკაზე გული მაშინ უტყდება, როცა სერიო-
 ზული ლიტერატურული ორგანო თავის ფურცლებზე რუბრიკით
 „ორი აზრი ერთ რომანზე“ ბეჭდავს ორ, რადიკალურად საწინააღმ-
 დეგო შეხედულებას ერთსა და იმავე ნაწარმოებზე. და როგორ
 ფიქრობთ, „აზრებს“ ხელს აწერენ ცნობილი, პრობირებული კრი-
 ტიკოსები! როცა ორ პროფესიონალს საფუძველშივე საწინააღმდე-
 ბო აზრი აქვს (ერთს მიაჩნია გენიალურად, მეორეს სისულელედ)
 მხატვრულ ქმნილებაზე, აქ მხოლოდ ორი დასკვნის გაკეთება შეი-
 ძლება; იმ ორიდან ერთი ან ტენდენციურია და სტყუის, ან გემოვ-
 ნება ღალატობს და მისი, როგორც ლიტერატურული არბიტრის,
 ნდობა მომავალშიც არ შეიძლება. წარმოუდგენელია, ორ ჭკუადა-

მჯდარ, ნიჭიერ კრიტიკოსს ლიტერატურის შეფასების გაფხავებული არსენალის ამ პერიოდში სხვადასხვა აზრი ჰქონდეს „მერანზე“ და „დიდოსტატის მარჯვენაზე“. ჩვენ თვითონ ნუ შევუწყობთ ხელს იმ მოარული, მცდარი შეხედულების გავრცელებას, რომელიც თვლის, რომ ჰეშმარიტ კრიტიკის მხოლოდ სათათბირო, საკამათო ხმა აქვს და ნაწარმოების ზუსტი „დიაგნოზირება“ არ ძალუს. კრიტიკა მეცნიერული და მხატვრული აზროვნების სინთეზია, მის საუკეთესო გამოვლინებაში იგი დიალაც რომ შემეცნების ამ ორი ფორმის ბეჭვის ხიდზე გადის და რაკი მეცნიერება, თუკი იგი ნამდვილად მეცნიერებაა, არ შეიძლება არაზუსტი იყოს, ასევე დამამცირებელია კრიტიკისათვის ზედმეტი მოთავმდაბლება, რაც საბოლოოდ არაკომპეტენტურობის შეფარვის საშუალებად უფრო ჩანს, ვიდრე კრიტიკოსის შეგნებულ პოზიციად — კატეგორიულობას თავი აარიდოს.

ბოლოს და ბოლოს, რა არის სალიტერატურო კრიტიკის ფუნქცია? თავისი ადგილი მიუჩინოს მხატვრულ ნაწარმოებს ლიტერატურის ისტორიის დიდ წიგნში, მხარი დაუჭიროს კარგს, დაიწუნოს სუსტი, მწერალს მიუთითოს ხარვეზებზე და მისი დაძლევის გზებზე, ამით საბოლოოდ ხელი შეუწყოს ლიტერატურის განვითარებას, მყითხველს კი საშუალება მისცეს უკეთ გაერკვეს ნაწარმოების ავტორში. ამ მაღალი მისის გათვალისწინებით თუ ვიმსჯელებთ, კრიტიკას უნდა ექვემდებარებოდეს ყველა გამოქვეყნებული ნაწარმოები და რაკი აურაცხელი ბეჭდვითი პროდუქციის შეფასება პრაქტიკულად შეუძლებელია, მწერალს უნდა ახარებდეს, თუ მისი ქმნილება კრიტიკის თვალთახედვის არეში მოექცა (მითუმეტეს, რომ კრიტიკას დუმილით, გვერდის ავლით გაკრიტიკების ფორმაც გააჩნია). ბოლოს და ბოლოს, თუ კრიტიკული წერილი დაიწერა, ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ შენმა ყურადღებიანმა კოლეგამ სხვათაგან გამოგარჩია, ყურადღებით წაიკითხა შენი ნააზრევი და დახმარების სურვილი გაუჩინდა. სამწუხაროდ, კრიტიკულ კეთილგანწყობას ნაწარმოების ავტორის სახით ყოველთვის როდი ხვდება მაღლობისთვის გამზადებული მხარე და არც „კრიტიკული კეთილგანწყობაა“ ყოველთვის ჰეშმარიტი კეთილგანწყობა.

თქვენ წარმოიდგინეთ, გასაკრიტიკებული ობიექტის შერჩევაც კი შეიძლება კრიტიკის მსჯელობის საგნაც ვაქციოთ კრიტიკოსისა

და მწერლის ურთიერთობის ამ გართულებულ ვითარებაში. ამასთან დაკავშირებით ერთ კურიოზულ შემთხვევას გავიხსენებ. ამ რამდენიმე წლის წინათ, ერთი ლიტერატურული ორგანოს წლის პოეზია მიმოვიხილე. ბევრი ლექსი არ მომეწონა. გაკრიტიკებულთა შორის, ჩემდა უნდა ურალი, მოხვდა ერთი საშუალოზე ნაკლები ნიჭის პოეტი, რომელიც ოთხ წელიწადში ერთხელ პარატინტელა კრებულებს ბეჭდავს და ლექსების არასაეჭვოდ დაბალი ღონის გამო თითქმის შეუმნიველა მკითხველისათვის. რამდენიმე დღის შემდეგ მწერალთა კავშირში კიბეზე შემაჩირა ამ პოეტმა, განზე გამიხმო და შეწუხებული სახით მითხრა: „წავიკითხე შენი წერილი. რა გინდა, რა დაგიშავე, რას გადამეკიდე, თუ ძმა ხარ. ხომ იცი, მე ჩემთვის ვარ მარტო, ჩუმად, არავის არ ვაწუხებ. რაში გამომადგება შენი კრიტიკა? როგორ ფიქრობ, შემიძლია უკეთესი ლექსების წერა და განხრას არა ვწერ? მე თვითონ ვწუხვარ, რომ უკეთესად ვერ ვწერ, ზენ გგონია არ ვწუხვარ? არ დაიჯერო, რომ თუ გამარიტიკებ, უფრო კარგ ლექსებს დავწერ. თქვენ, კრიტიკოსებმა, ორ შემთხვევაში უნდა აიღოთ კრიტიკული მახვილი ხელში. პირველი — თუ ნიჭიერი მწერალი სუსტ ნაწარმოებს გამოურებს, ე. ი. მან ყურადღება მოადუნა, შესაძლებლობა სრულად არ გამოიყენა. მეორე — თუ უნიტო პოეტი ხმაურს სტეს, ბაქიბუქობს, დიდი წარმოდგენა აქვს. თორემ ჩემისთანა წყნარ და უჩინარ კაცთან რა გესაქმებათ“.

დიდხანს ვფიქრობდი ჩემი კრიტიკული წერილით განაწყენებული იმ პოეტის ნათქვამზე და, თქვენ წარმოიდგინეთ, მასში ბევრი რამ საგულისხმო აღმოვაჩინე. მართლაცდა, ყოველთვის სწორად მიემართავთ ჩვენს კრიტიკულ არტილერიას? ხანდახან ბეღურებს ზარბაზანს ხომ არ ვესვრით? მე ვფიქრობ, კრიტიკული მსჯელობის საგნად უფრო ხშირად ის ნაწარმოები უნდა ვაქციოთ, რომლის ავტორისთვისაც სამომავლოდ მაინც ჩვენს საუბარს პოზიტიური შედეგები მოჰყვება. აქაც, მომქმედი, სახელიანი მწერლის მიმართ კრიტიკას სათანადო სიფრთხილე და ზომიერება მოეთხოვება. სანამ კრიტიკულ მახვილს მოვიმარჯვებდეთ, ავტორს ცოტა შორიდან შეგხედოთ, მისი დამსახურება და პოზიცია გავითვალისწინოთ. ღმერთმა დამიფაროს იმის მტკიცებისაგან, რომ ავტორის სახელის გამო რამე შედავათი მივცეთ ნაწარმოების შეფასებას. ჩვენ ხომ ნაწარმოებს განვიხილავთ და არა ავტორს, მაგრამ არც ის ვარგა, საქ-

ვეუნო რუდუნებით დამაშვრალი, მკითხველისთვის საყვარელი მწერლები რალი ერთი, თუნდაც სუსტი, ნაწარმოების გამო შეშლილად და უვიცად გამოვაცხადოთ. აუცილებელია, თუნდაც იმ ჩვენი კრიტიკული „უინის მოკვლის“ შემდეგ მაიც ვაუწყოთ იმავე წერილში მკითხველს, რაოდენ პატივსაცემი მწერალია ამ თხზულების ავტორი, რა ზემოქმედება მოახდინა ერის სულიერ ცხოვრებაზე მისმა ნაწარმოებებმა და რა ღირსებები გააჩნია განსახილველ თხზულებას. დამერწმუნეთ, ეს რევერანსად არ ჩამოგვერთმევა, ჩვენს მსჯელობას ობიექტურობის და დამაჯერებლობის ელფერს შემატებს. ჩვენ ხომ, ბოლოს და ბოლოს, ის გვინდა, რომ მკითხველს სწორი წარმოდგენა შევუქმნათ ნაწარმოებზე და არა ის, რომ მწერალი ხელალებით ამოვკვეთოთ მკითხველის გულიდან და ამით მას ერთი თანამდგომი და ჭირისუფალი დავუკარგოთ.

შემიძლია სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ ამ ბოლო დროს ქართულმა სალიტერატურო კრიტიკამ ერთბაშად გადალახა ის ბარიერი, რომელიც ათეული წლების განმავლობაში ლამის წესად იქცა ჩვენში და კრიტიკოსთა მრავალ თაობას ხელს უშლიდა ლიტერატურის ობიექტური არბიტრის ფუნქციის შესრულებაში. სიტყვა ეხება ე. წ. „კრიტიკული ხელშეუხებლობის“ ზღვარის გადალახვას. რა დასამალია და მწერლობაში თანდათან (ისევ ჩვენივე გაუბედაობით და ვერშეკადრების უსაფუძვლო მოტივით) ჩამოყალიბდა კრიტიკაშეუხებელი ლიტერატორის ტიპი. რომ გადახედავ ასეთ მწერალთა სიას, ერთ უსიამო დასკვნამდე მიხვალ: ძირითადად, ამ კრიტიკულ „წითელ წიგნში“ შეტანილი იყვნენ თანამდებობითი მწერლები, მაშინ როდესაც კრიტიკული აზრი ირაოს მკეთრებელი ქორივით თავს დასტრიალებდა გალაკტიონს და გამსახურდიას და ამით, ვინ იცის, რა კარგ საქმეს აკეთებდა დიდ მოქალმეთა შემოქმედებითი ცხოვრებისათვის (აფხიზლებდა, აფრთხილებდა, უკეთესის შექმნისკენ აგულიანებდა). იმ დროს კრიტიკის საწინააღმდეგო სკაფახდრის ქვეშ თავს „მშვენივრად გრძნობდნენ“ ისინი, ვისაც, ფაქტიურად, ობიექტური კრიტიკის ფართოდ გაშლისათვის ხელისშეწყობა მწერალთა კავშირსა და გამომცემლობა-რედაქციებში ოფიციალურად ევალებოდათ. რაოდენ მტკიცნეულიც არ უნდა ყოფილიყო კრიტიკოსთათვის მდუმარების ყინულის ერთბაშად



გალლობა და კრიტიკის საყოველთაობის პრინციპის დამკუიღრება, ეს საქმე გაფეთდა.

კატეგორიულად ვეკამათები ყველას, ვინც ამ ბოლო დროს თავის ინტერესუებსა და გამოსვლებში ძველი ინერციით კრიტიკის „სალათას ძილზე“ და ე. წ. „ფუნქციის ვერშესრულებაზე“ ლაპარაკობს. მე ვფიქრობ, ამოცანა ახლა ის არის, რომ კრიტიკამ პირველ რიგში სწორედ იმ მწერალს გააცნოს თავი და აგრძნობინოს თავისი არსებობა, ვინც წლების განმავლობაში თავმიბრუნებული, საქმეში ჩაუხედავად, გაფუჭებული გრამოფონივით მიეორებს: „კრიტიკა არა გვაქვს“, „კრიტიკა ორივე ფეხით კოჭლობსონ“. აქვე უნდა დავძინო, რომ არ ვიქნები მართალი, კრიტიკის საყოველთაობის პრინციპი ბოლომდე გამარჯვებულად მივიჩნიო და ამ მხრივ ჩემს კოლეგებს ახალ საბრძოლო სამიზნებზე არ მივუთითო. ჯერ კიდევ გვყავს ჩვენი ლიტერატურის „სახელოვანი წარმომადგენლები“, ვისაც ათეული წლების განმავლობაში დათვური სამსახური გაუწია კრიტიკამ. იწერებოდა სუსტი წიგნები და იმ სუსტ წიგნებზე მშვენიერი, მაგრამ უპრინციპო, მაქებარი რეცენზიები, არადა რა კარგს ვიზამდით, თავის დროზე რომ გვეთქვა სიმართლე ჩვენი არც თუ უნიჭო კოლეგებისათვის და დაგხმარებოლით მათ. ქნარი სახოტბო, ყალბი ალტაცების გამომცემი ხმებიდან სხვა ჰანგზეც გადაწყოთ. ახლა, როცა თითქმის უკვე გვიან არის, ჩვენ ვნანობთ, რომ მათივე გცდელობითა და მიღებომ-მოღებომით ადრე და უსამართლოდ მივეცით მათ კრიტიკული ხელშეუხებლობის სიგელ-გუჯარი და ამით, ვინ იცის, ქვეყანას არშემდგარი მწერლები დავუტოვეთ.

გამოცოცხლდა-მეთქი კრიტიკა, ვამბობ და სამწუხაროდ, იმის აღნიშვნაც მიხდება, რომ მაშინვე მისი ჩახშობისა და გაჩუმების მაქანაც ამუშავდა. დაიწერა კრიტიკული წერილი, დაიწერა სამკერ უფრო დიდი „პასუხი“ გაკრიტიკებული მწერლის მიერ. მე იმ აზრისა გახლავართ, რომ „პასუხები“ დიალაც უნდა დაიბეჭდოს, რადგანაც ეს ფაქტი, სხვა არა იყოს რა, მწერლისა და კრიტიკოსის ურთიერთობის მაჩვენებელია, ლიტერატურულ ცხოვრებას გამოაცოცხლებს ხოლმე და მკითხველსაც ნათლად დაანაცვებს მართალს და მტყუანს. მაგრამ გაკრიტიკებულმა მწერალმა მხოლოდ მაშინ უნდა გასცეს პასუხი კრიტიკოსს, როცა საჭიროდ დაინახავს, რომ მკითხველს უნდა მისცეს განმარტება ამა თუ იმ, კრიტიკოსის მიერ

მცდარად გაგებული საკითხის გამო. თანაც ეს „განმარტება“ უნდა იყოს დიდსულოვანი კაცის მიერ სულ რამდენიმე გვერდზე თავაზიანად და მაღლობის გრძნობით დაწერილი. განა საჭიროა პუნქტობრივად „თავის მართლება“ კრიტიკული სტატიის გამო? განა რა „უბედურება დაატყდა“ ასეთი მწერალს? ათასობით მკითხველიდან ერთს, თუნდაც კრიტიკოსს, მისი წიგნი არ მოეწონა, დაიქცა ქვეყანა? რატომ ვალრმავებთ ამ პასუხით უფსკრულს მწერალსა და კრიტიკოსს შორის? რატომ ვაფიქრებინებთ საქმეში ჩაუხედავს, მწერლები და კრიტიკოსები „ერთმანეთს ჰამენი?“ განა ჩვენ, მწერალიცა და კრიტიკოსიც, ჩვენი კალმით ქართველი კაცის ცხოვრების გაუკეთესების საერთო საქმეს არ ვემსახურებით? „პასუხი“ ხშირად გაუგებარი პრესტიულობის და, იმავე დროს, შიშის გამოხატვა; აქაოდა, თუ გავუჩუმდი, ვაი, თუ კრიტიკამ ხელი შემაჩვიოსო.

და მაინც იმ საკითხს უნდა დავუბრუნდე, რისთვისაც ეს წერილი იწერება. ჩვენი კრიტიკული წერილები გაცილებით უფრო ობიექტური და ადრესატთაგანაც უფრო მოსათმენი მაშინ იქნება, თუ ნაწარმოებთან მიმართებაში სწორ მეთოდოლოგიურ პოზიციაზე დავდგებით. თუ მხატვრულ თხზულებას კომპლექსურად, მრავალი განზომილებით, სხვადასხვა რაკურსით შევხედავთ და ერთმანეთს წევუფარდ-შევუწონასწორებთ მის ღირსება-ნაკლოვანებებს.

გავკადნიერდები და ჩემს ახალგაზრდა კოლეგებს იმ კრიტერიუმებს შევახსნებ, რაზეც სასურველია საუბარი, როცა ეპიკური ნაწარმოების (რომანი, მოთხრობა, ნოველა, ეპიკური პოემა, პიესა) და ლირიკული ლექსის ყოველმხრივი შეფასების მიზანს დავისახვთ. ეპიკური ნაწარმოებისათვის: 1. ავტორი, 2. ნაწარმოების ადგილი ავტორის შემოქმედებაში, 3. ეპოქა (შემეცნებითი ღირებულება), 4. პრობლემურ-იდეური ანალიზი (დიდაჭრიკული ღირებულება), 5. ესთეტიკური ღირებულება, ა) სიუჟეტი, ბ) პერსონაჟები და მათი დახასიათება, გ) მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებანი, სტილი, ენა. ლირიკული ლექსისათვის: 1. პოეზიის რომელ სახეს განეკუთვნება (ინტიმურ-მედიტაციურია თუ სამოქალაქო-პუბლიცისტური; 2. თემატურ-პრობლემური ორიგინალურობა, 3. განწყობილების უშუალობა, 4. შინაგანი სიუჟეტი და დრამატიზმი; 5. კომპოზიცია, 6. მხატვრული სახეები; 7. რითმა და რიტმი, 8. ენა.

სანამ სხვა შემნიშნავდეს, მევე მოგახსენებთ, რომ ეს სქემაც, როგორც ყოველგვარი სქემა ესთეტიკაში, რასაცირკველია, ნაკლულოვანია და არასრული. არავინ იფიქროს რ. მიშველაძე, რომელმაც ამავე წერილში ზემოთ სქემატიზმის წინააღმდეგ გაიღაშქრა, ახლა თავის „სქემას“ ახვევდეს კრიტიკოსს თავზე და ამით კრიტიკულ აზროვნებას თვითონვე უბიძგებდეს სქემატიზმისაკენ. არამც და არამც. ამგვარი, ჰკუისდამრიგებლური პოზიციისგან ღმერთმა და-მიფაროს. მე, უბრალოდ, ბოდიშის მოხდით ჩამოვთვალე ზოგიერ-თი ის მხარე მხატვრული ნაწარმოების რთულ ორგანიზმს რომ შე-ადგენს და მხატვრული ნაზრევის შეფასების მეთოდიკურ ანბანს რომ წარმოადგენს. ეს ყოველ კრიტიკოსს თავადაც მშვენივრად მოეხსენება, მაგრამ წერის დროს ზოგჯერ ის გარემოება გვრჩება მხედველობიდან, რომ ამ საკითხთა თუნდაც უმეტესობაზე საუბრის გარეშე ჩვენი შეფასება სრული არ იქნება. ცალმხრივი შეფასება კი მხოლოდ ცალმხრივ წარმოდგენას შეუქმნის მკითხველს ნაწარ-მოებზე და არც ჩვენ დაგვახასიათებს მაღალპროფესიულ შემფასე-ბლად.

როცა სქემათმოძულე კრიტიკოსი (და ნაწილობრივ ამ სტრიქო-ნების ავტორიც მათ რიცხვში რაცხს თავისთავს) ამ სქემებსაც ამ-რეზილად შეხედავს, გულზე ხელი დაიდოს და თქვას, განა იშვია-თია შემთხვევა ნაწარმოებს რომ ამოგლეჭილად განვიხილავთ ავტო-რის შემოქმედებითი პროფილის გაუთვალისწინებლად, ან იმის გა-უაზრებლად, რა ადგილს იჭერს სარეცენზიო თხზულება მწერლის შემოქმედებაში? არის თუ არა იგი სიახლე თემატურ-ეანრული თვა-ლსაზრისით, თუ ავტორისვე ტრადიციული ხელწერის ყალიბში ზის? როცა ნაწარმოებში ასახულ ეპოქას და რეალურ ეპოქას ერთ-მანეთს ვადარებთ, ნაწარმოების შემეცნებით ღირებულებას ვარკ-ვეთ, განა იქვე ვუფიქრდებით იმასაც, რისთვის დაიწერა ეს ნაწა-რმოები, რა პრობლემები წარმოაჩინა და გადაწყვიტა ავტორმა? ცოდვა გამხელილი სქობს და რამდენ კრიტიკულ წერილში შეგხ-ვედრიათ ამ ბოლო დროს პროფესიონალური საუბარი ნაწარმოების სიუკურტზე, კომპოზიციაზე, პერსონაჟთა გამოხატვის ხერხებზე, ენო-ბრივ ფენომენზე? საკითხავად ალბათ უფრო მიმზიდველია მხატვ-რულ თხზულებაზე იქნებ არანაკლები მხატვრულობით დაწერილი,

კრიტიკოსის ლირიკული სტრიქონების კითხვა (და, ღმერთო შეგ-
 ცოდე, იქნებ ყველაფერზე და არაფერზე ლაპარაკი დასაწერადაც
 უფრო ადვილი იყოს), მაგრამ კრიტიკა, შეფასება მაშინ იწყება,
 როცა ცალკეულ მხარეებზე საქმის ცოდნით საუბრობ და გულისხ-
 მიერი დოსტაქარივით დასცერი და სინჯავ მხატვრული ორგანიზ-
 მის ცალკეულ ნიუანსებს შენი ობიექტური და პროფესიონალური
 დასკვნის გასაკეთებლად.

ნუთუ ასე აუცილებელი და სასარგებლოა გაუთავებელი ფსევ-
 დო-ინტელექტუალური საუბრები პოეზიაზე (ხშირად უფრო ბუნ-
 დოვანი, ვიდრე თვით ლექსია, რომლის უსაფუძვლოდ „გადარჩე-
 ნაც“ განუზრახავს კრიტიკოსს), უმისამართო ხეტიალი რეალურისა
 და ორეალურის ხელოვნურად დაქსელილ ბილიკებზე და ნუთუ ყა-
 ვლებასულად, ან პრიმიტიულ აზროვნებად მიაჩნია ვინმეს, დაუჭდე
 წინ მკითხველს თუ პოეტს და ადამიანურად ესაუბრო: არის ეს ლე-
 ქსი ორიგინალური თემატურ-პრობლემური თვალსაზრისით, შეძლო
 თუ არა ავტორმა უშუალო განწყობილების გადმოცემა, გიზიდავს
 თუ არა შინაგანი სიუჟეტი ან დრამატიზმი ლექსის კითხვისას, არის
 თუ არა ლოგიკური კავშირი ლექსის ცალკეულ ფრაგმენტებს შო-
 რის, რაც ნაწარმოების კომპიზიციური სხეულის სიმკვრივეზე მიგ-
 ვანიშნებს, რა მხატვრული სახეებით აზროვნებს ავტორი და შეესა-
 ბამება თუ არა გამომსახველობითი საშუალებანი (რითმა, რიტმი,
 ენა) ლექსის შინაარსს? დამერწმუნეთ, მკითხველიც და ავტორიც
 ჩენგან, კრიტიკოსის მანტიამოსხემული ლიტერატორისაგან, უპირ-
 ველეს ყოვლისა, ამ კითხვებზე პასუხს მოელიან.

კრიტიკოსმა ჯერ ის უნდა გააანალიზოს, რაც არის, რეალური
 სურათი უნდა გვიჩვენოს და მერე, რასაკვირველია, წინაც უნდა
 გაიხედოს, მომავლის გზები დასახოს. თუ არ იცი, საით მიდის ლი-
 ტერატურა, სრულიად ბუნებრივია, გაგრუირდება მისი გზის სისწო-
 რე-სიმრუდეზე და მომავლის პერსპექტივებზე საუბარი. დაბეჭითე-
 ბით ვამტკიცებ: კრიტიკოსი მოვალეა ყოველთვის უკან კი არ მიჰ-
 ყვებოდეს, საჭიროების შემთხვევაში, შორსმიმართული ლამპრით
 წინ უნდა გაუძლვეს ლიტერატურულ პროცესს. ამის შესახებ გერო-
 ნტი ჭრებოდე წერდა: „ის (კრიტიკოსი, რ. მ.) აღნიშნავს არა მარტო

იმას, რაც არი, არამედ იმასაც, რაც უნდა იყოს. ის არ კმაყოფილ-დება მხატვრულ ნაწარმოებთა ახსნით, ის ახალ იდეალებს, ახალ ნორმებს, ახალ შესაძლებლობებს უჩვენებს. ეს კი მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა კრიტიკა სცილდება ვიწრო თემის გატკეპნილ ბილიკებს და უნივერსალური ურთიერთობის სიმაღლეზე აღის.“ ასე რომ, კრიტიკის როლის დაკნინებას და მისი ფუნქციის უსაფუძვლო ლოკალიზებას ნურვინ შეეცდება. სკეპ XXVII ყრილობაზე მ. ს. გორგაშვილის მოხსენებაში პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ „კრიტიკა საზოგადოებრივი საქმეა და არა ავტორთა პატივმოყვარეობისა და ამბიციების მომსახურების სფერო“.

კრიტიკოსთა ერთი ნაწილის მიერ თანამედროვე სალიტერატურო კრიტიკის მეთოდოლოგიის უგულვებელყოფამ ან, უფრო რბილად რომ ვთქვათ, გულმავიწყობამ ამ მეთოდოლოგიის ამოსავალი პრინციპებისადმი ის ნაყოფი გამოიღო, რომ ჩვენი მწერლების მხატვრული ნააზრევის დიდი ნაწილი შეუფასებელი დაგვრჩა. „შეუფასებლობაში“ იმას ვგულისხმობ, რომ ვერ შევუქმენით მკითხველს სწორი წარმოდგენა ლიტერატურის მდგომარეობაზე. კრიტიკოსები ცოტას როდი წერენ, არც ბეჭდვის საქმეა სავალალო მდგომარეობა-ში — გვაქვს ორთვიური აღმანახი და სხვა ლიტერატურული ორგანოებიც ხელგაშლით ხვდებიან რედაქციაში კრიტიკოსის გამოჩენას, მაგრამ კრიტიკოსთა ყურადღებით ყველაზე განებივრებული მწერალიც კი კითხვაზე: „მიაჩნიათ არა, რომ კრიტიკის მიერ სათანადოდაა შეფასებული“, უარყოფითად გიპასუხებთ. უამრავი ლირიკული „სალტომორტალე“ წაუკითხავს მის ნაწერებზე, არაერთგან კრიტიკოსის მიხვედრითაც მოხიბლულა, მაგრამ თითქმის ყველა წერილს ბოლოს მაინც დაუკმაყოფილებლობის გრძნობა დაუტოვებია მის გულში, რადგან ვერ აღმოუჩენია პასუხი მთელ რიგ კითხვებზე მას — როგორც შემოქმედს — რომ აინტერესებდა. ბოლოს და ბოლოს, რა განსაკუთრებული იმ კითხვებში? რასაკვირველია, არაფერი. ავტორსაც და მკითხველსაც კრიტიკოსში, უპირველეს ყოვლისა, შემფასებელი აინტერესებს, შემფასებლის როლს კი რატომდაც გავურბივართ. ზოგჯერ ისე ჩავამთავრებთ ვრცელ მიმზი-



დველ ბაასს ნაწარმოებზე, რომ მინიშნებითაც არ მივანიშნებთ; სწორ გზაზე დგას თუ არა ავტორი, როგორია მისი წევლილი თანა-მედროვის სულის კვლევაში, სწორად ხედავს თუ არა მოვლენებს, რა მხატვრულ საშუალებებს მიმართავს ჩანაფიქრის გადმოსაცემად, არის თუ არა გამძლე მის მიერ მოხმობილი ფერები, როგორი ფრაზა აქვს, შთამბეჭდავია თუ არა მისი სიუჟეტები, პორტრეტები, მხატვრული სახეები.

ზოგი კრიტიკული წერილის კითხვისას ისეთი შთაბეჭდილება გრჩებათ, თითქოს კრიტიკოსი თავისი ერუდიციის ჩვენებით უფროა გართული, ვიდრე მთავარი საქმით — ნაწარმოების ღირსება ნაკლოვანებებზე საუბრით. რასაკვირველია, კრიტიკა მწერლობის და-რგია და მიმზიდველად წერას კრიტიკოსიც უნდა ცდილობდეს, მაგ-რამ კარგი იქნება, მიმზიდველად წერაზე ზრუნვისას იგი ნათლად თქმის პრინციპს გულთან ყველაზე ახლოს მიიტანდეს; უბრალოდ და სადად, ყოველგარი ლექსიკური ჭრელა-ჭრულისა და უცხო სი-ტყვათა ლექსიკონის მოშველიების გარეშე გვიამბობდეს თავის უშუალო შთაბეჭდილებას; „გაჭითხულობის“ გარეშე გვაწვდიდეს თა-ვის ობიექტურ აზრს მხატვრულ ქმნილებაზე.

ლიტერატურის კრიტიკოსი, მწერალსა და მკითხველს შორის ეს უანგარო და კეთილი შუამავალი, ლიტერატურის განვითარების ყო-ველ ეტაპზე შეუცვლელი და საჭირო კაცი, თავის ღვთიურ ვალს უფრო უკეთ მაშინ შეასრულებს, როცა კრიტიკული ხელოვნების სწორი მეთოდოლოგიის მომარჯვებით ჩაულრმავდება მხატვრული ქმნილების მრავალგანზომილებიან ფენომენს.

□ □

სოციას გულით და მარკის სიბრძნით

□
არჩილ ფირცხალაშვილი
 □

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ სერიით „ქართული საბჭოთა პოეზია“ მკითხველს მიაწოდა გენო კალანდიას ლექსების კრებული. ეს წიგნი პოეტის მიერ განვლილი გზის ერთგვარი შეჯამებაა და ამიტომ გადავწყვიტეთ თუნდაც პოეზიის რიგითი გულშემატკიცრის პოზიციებიდან განვიხილოთ წარმოდგენილ ლექსთა ავტარები.

ახლა გვიანიც კია იმაზე ლაპარაკი, რომ ქართული სალიტერატურო კრიტიკა დღემდე ვალშია ამ ნიჭიერი ლირიკოსი პოეტის წინაშე. გარდა მცირეოდენი გამონაკლისისა, ჯერჯერობით თითქმის არაფერი დაწერილა გენო კალანდიას პოეზიის შესაფასებლად. დღეს კი, როცა ამ მეტად საპასუხისმგებლო სერიით გამოცემული კრებული გაგვაჩნია, ეს ხარვეზიც შეძლებისდაგვარად უნდა გამოსწიორდეს.

ვინ ჩაითვლება გენო კალანდიას ლიტერატურულ წინამორბედად?

პოეტი თვითონ გვეუბნება: „მე იაშვილის ვატარებ ორდენს და ხშირად ვფიქრობ საკუთარ ბედზე“.

პაოლოსებური ესთეტიზმი, დახვეწილი, თითქმის რაფინირებული ფრაზა, წერის მაღალი კულტურა და უშუალო, შეურყუნელი ლირიკული ხედვა წარსულისა და დღევანდელობის ზომიერად მოხსენიერებული პარალელები, მშობლიური ლანდშაფტების ხატვის უნარი გენო კალანდიას მართლაც წარმოგვიდგენს „იაშვილის ორდენის“ წევრად.

მით უფრო გვევჭვება პოეტის მიერ ნათქვამი ფრაზა: „მე ნათე-სავად ვეკუთვნი ბოდლერს“.



პოეტები, განურჩევლად რანგისა და ეროვნებისა, რაღაცით მიაწვდეს
ინც ენათესავებიან ერთმანეთს. ჩვენ პირადად შარლ ბოდლერის
პოეზიის დიდი ცოდნით ვერ დაგიკვეხნით, მაგრამ ფაქტია, რომ გე-
ნო კალანდია სულით-ხორცამდე ქართველი პოეტია და ამ წიგნის
მიხედვით არავითარი ნათესაობა არ იგრძნობა გახმაურებული „ბო-
როტების ყვავილების“ ავტორთან. თუმცა პოეტმა უკეთ იცის, ვის-
თან უფრო გრძნობს სულიერ ერთობას, მაგრამ ჩვენ პირადად ვერც
ამ სტრიქონებს ვეთანხმებით მაინცდამაინც: „მე ნათლიმამას ვეძახი
დოდეს, მე ჩემი მორდუ მგონია შელი“.

სარეცენზიო წიგნი სხვას ამტკიცებს. გენო კალანდიას „პოეტუ-
რი მორდუ“ უფრო აკაკის ლექსებშია საძიებელი, ვიდრე სხვაგან.

და საყვარელი ვით მამაჩემი
თოახში სტუმრად შემოდის ბლოკი.

„მამასავით საყვარელიც“ უფრო აკაკის მიმართაა უპრიანი, თუ
პოეტის ლექსის მუსიკალურ მხარესა და ეროვნულობით ბეჭედდას-
მულ სტრიქონებს ჩავულრმავდით.

პაოლო იაშვილის ხატის მოხმობა და ტიციან ტაბიძისადმი მიძ-
ლვნილი ლექსი შემთხვევითი არ უნდა იყოს გენო კალანდიას შემო-
ქმედებაში. ქართველ „ცისფერყანწელებთან“ ბევრი საერთო აქვს
პოეტს როგორც ოსტატობის, ისე მამულიშვილობის თვალსაზრი-
სით. გენო კალანდია არსად, არცერთ ლექსში არ მიმართავს სათქ-
მელის გაბუნდოვანებას და ყალბი ფილოსოფიურობით გაღრმავე-
ბას. მისი გულის ფეთქვა სამშობლო მიწის გულის ფეთქვასთან
ორგანულ კავშირშია შაშინაც კი, როცა პოეტი სრულიად განყენე-
ბულ თემებზე წერს და სამშობლო-მამული თავისი დღევანდელო-
ბითა თუ ისტორიით აღარც კია სიტყვიერად ნახსენები.

თითქოს შეწყვეტილ საუბარს აგრძელებსო, კრებულის პირვე-
ლივე ლექსში — „ჩვენი სიმღერა ვაშლის ხეა აყვავებული“, ვკით-
ხულობთ:

თქვენ აბრეშუმი ნუ გგონიათ ცა ივერიის,
ან გაზაფხულის ხასხასა ვარდი,
ეს ჩვენი სული გადაჭიმეს მთებიდან მთებზე
სამი ათასი წლის წინათ, ძმებო.

ძველკოლხური სიმღერების სევდანარევი ნათელია ჩაფენილი
პოეტის ლირიკულ ლექსებში და ეს არაა მარტო ერთი ინდივიდის
4. კრიტიკა № 2



სევდა, ეს არაა მარტო ერთი თანამედროვე ქართველი პოეტის ტერიტორიაზე ვიღის — საწუხარის გამოვლენა. ეს სევდა ყველა პოეტის საძმო-საზიანო სევდადა და ეს ნათელიც, ქართველი ერის უძველესი ისტორიიდან წამოსული, იმედიანი სულის ნათელია. გალაკტიონის თქმისა არ იყოს — „ეს სიმღერაა საქართველოსი“.

ჩვენი სიმღერა ვაშლის ხეა აყვავებული,
ქარბორია მწვანე მინდვრებს გადევნებული,
წარსულის ხმაა, ციხე-კოშკში ჩაბუდებული,
მთვარის ძნა არის შუალამით ათრთოლებული,
სიმინდის ტყეა,
ცხენის რემა აჩქარებული.

შეწყვეტილი საუბარი ვახსენეთ ზემოთ. თითქოს ამ ლექსის ლოგიკური გაგრძელებაა „ქართული სიმღერა“, რომელიც თავისი ეროვნული სულით, თავისი რიტმითა და შესრულების მაღალი დონით კრებულის ერთ-ერთ საუკეთესო ლექსად მიგვაჩნია:

მზედ,
წვიმად,
ქარად ეხვეოდი მამულის ყანებს,
გლეხის იმედად თოხის ტარზე გეძინა ხშირად,
ცხენის ფაფარზე ეკიდე ბრჭყალით,
საფეხჭლებიდან უონავდა სისხლი.
...და შენი ცეცხლით თბებოდა მრევლი,
დარიალიდან პონტოს კარამდე.

თუ ფაქტია, რომ ქართული ეროვნული სული და გენია ყველაზე უკეთ ქართულ ხალხურ სიმღერებში გამოიხატა, თუ ფაქტია, რომ ქართულმა სიმღერებმა უდიდესი როლი შეასრულეს ქართველი ერის გადარჩენაში, გენო კალანდიას „ქართული სიმღერა“ სწორედ ამ დიდი ისტორიული ღვაწლის წინაშე პოეტური ვალის მოხდა.

გენო კალანდია არსად, არცერთ ლექსში არ მიმართავს ყალბ რიტორიკას. პირიქით, იქაც კი, სადაც უშუალოდ პოეტის შინაგანი სამყაროდან წამოსული მამულის მოსაფერებელი სიტყვები იგრძნობა (დიახ, იგრძნობა), პოეტი თითქმის განზე დგება და თავისი დიდი წინაპრის ხატს, სწორუპოვარი ცოტნე დადიანის ხატს იშველიებს საკუთარი გრძნობის გამოსავლენად:

წავალ, დავდგები ფაზისის პირზე,
რომ ჩემი სისხლი წვეთშვეთად მოგცე,
მოყენება, მიყვარდე ისე
როგორც უყვარდი მამულო, ცოტნეს.

პოეტი არაერთხელ ახსენებს ცოტნეს. ცოტნე მისთვის მარტო ერთი გამორჩეული პიროვნება როდია, ცოტნეა გენო კალანდიასა-თვის მამულისადმი ერთგულების ხატი; ცოტნე — რწმენაა, ცოტნე სინათლეა ქართველი ერის ზნეობრივი სისუფთავის წარუვალობისა, ცოტნეს სიყვარული ერისკაცური სიყვარულის მწვერვალია:

მე არ ვარიგებ, აზრებს, თქმულებებს,
არ ვედავები შთამომავლობას,
მე მხოლოდ ლექსებს ვამბობ ცოტნეზე
და შენი გულის ვიცი წამლობა, —

გვეტყვის პოეტი და აქ მოხმობილი ერთი სიტყვა „მხოლოდ“ ბევრის დამტევია.

ვხედავ, ოდიშით ცოტნე დადიანს
ძიძიშვილების მოსდევს ლაშქარი,
ო, ერთგულებავ, — ჩემო ნათლია,
მუხლებს გიკოცნის ქვეყნის მაშერალი.

ერთგულება და კიდევ ერთგულება! ამ შეურყვნელი ხატის გარეშე ვერცერთი ერი ვერ მიაღწევს სასურველ მიზანს.

ერთგულების ხატია თავად გენო კალანდიას პატრიოტული ლი-რიკის უმცდარი გასაღები: „ვარ ციხე-გოჭით, მარტვილით, რუხით,
ფაზისის ვარდით, გუბაზის სისხლით, (ო, როგორ შვენის ტყეს ჩვენი მუხის სამკაულები მთვარის და ნისლის). ყოფნა-არყოფნის გა-დავშლი წიგნებს, შემომანათებს ვით ძველი განძი, ვარ ჰყონდიდე-ლით, — მამულის სიბრძნით, მკერდზე მედეას ცრემლები მაწვიშს, ვარ ითანით, არესის ჭალით, ქართული სიტყვის ვარდის მკრეფე-ლით, ვარ ცოტნეს გულით და კიდევ ათი მეფის ძენით და მეფის-მეფენთ“.

ცოტნეს ხატს მამის ნათელი ხატი ენაცვლება. თუმცა უფრო უპრინა იქნება, თუ ვიტყვით, რომ გენო კალანდიას მამის ხატება ცოტნეს სიმაღლის, ცოტნეს ერთგულების რანგში აქვს აყვანილი. მამის პორტრეტები, თუნდაც ცალკეული მინიშნებები მშობელი მა-

მის შინაგან სიწმინდეზე, ამ კეთილ გლეხეცს დიდი ცოტნეს შარა-
ვანდის შუქში აყენებს:

მე შავი ზღვისას ჩავყურებ კბოდეს
 და წყლულზე ვიფენ ფაზისის ბალახს,
 თქვენ კარლინალის სამოსი გქონდეთ,
 მე გამაჩემის მოვისხამ ხალას.

გენო კალანდია ოჯახის უფალს უწოდებს მამას, „უფალს“ კი
 ყველა შემთხვევაში პატარა ტვირთი როდი აკისრია:

მამა მთელი დღე ეკიდა გუთანს,
 ნატრობდა წვიმას, მხიარულ მაშველს,
 და ყანის პირას მთვლემარე ბავშვებს
 მწვანე აძრეშუმს გვაფენდა თუთა.

ყოველგვარ მონატრებას გარკვეული საფუძველი აქვს, და მარ-
 თლა ვაი მას, ვისაც უამი-უამ მონატრების უინი არ მოუვლის, თავი-
 სი ფუძის უფლის ხმა არ წამოაგდებს, არ ააფორიაქებს, არ აწრი-
 ალებს და გამზრდელი კერის დასახედავად არ განამზადებს: „აქ
 არის ჩემი ცისფერი სახლი, აქ ცხოვრობს ჩემი კეთილი მამა...“ მო-
 ცერებისნაირ სილბოს ვერდნობ პირადად მე ამ სტრიქონებში, მო-
 ცერებისნაირი სილბო და მოწიწება იგრძნობა თუნდაც ოდნავ რი-
 ხგარეულ სხვა სტრიქონებშიც:

ო, მამაჩემო, აანთე ცეცხლი,
 გახსენი სულის შვიდივე ბჟენი,
 ავწონოთ ჩემი ოქრო და ვერცხლი,
 ზედ მივაწეროთ სახელი შენი.

სამი ხატის მთლიანბა გასდევს ამ წიგნს დასაწყისიდან დასას-
 რულამდე: მამული, მამა, ცოტნეს ხატი — ამ სამებაში თვით პოე-
 ტის შინაგანი მრწამსი ილანდება: მამული — სულის სახატეა, მამა
 ოჯახის უფალი და კერის ხერხემალი, ცოტნე — ერთგულების სი-
 ნონიმი. ეს სამება არცერთ პოეტს არ უღალატებს. ეს სამება ამთ-
 ლიანებს ყველას და ყველაფერს, რაც კი საწალმართო ფიქრებით
 დაღდასმულა.

„მოგონება“ გენო კალანდიას ერთ-ერთი საუკეთესო ლექსთაგა-
 ნია. ყველაზე უფრო აქ ანათებს ოჯახის ხატი. ამ ლექსში მამის სა-

ხე მართლაც შვილური მოწიწებითაა დახატული და კიდევ... ამ ლე-
 ქსში ვკითხულობთ ასეთ სტრიქონს:

ვიღაცა შინდით ღებავდა დაისს,
 ველოდით მამას — ოჯახის უფალს,
 დილას თუ არა, საღამოს მაინც
 ჯელინი ერთად ვუსხედით სუფრას.

რატომაა აქ ნათქვამი „საღამოს მაინც“, სოფელში ნაცხოვრები
 კაცი თუ მიხვდება. სოფელს თავისი ცხოვრება აქვს, ერთი რომ გა-
 მთენისას დგება და ტყისკენ მიემართება, მეორე თავლას ასუფ-
 თავებს, მესამეს კი... და ასე შემდევ... საღამოს იქრიბება მთელი
 ჯალაბი და ირჩევა მთელი დღის ნაღვაწ-ნაჯაფი.

ღმერთო, მიურთხე მამა მშობელი,
 ყოფნა-არყოფნის ზღვართან მისული.

არის სინათლე ამ ლოცვისმაგვარ სტრიქონებში. არის სინათლე,
 რომელიც თავად მშობელ მამას გადაუცია შთამომავლისათვის.

ადგილის დედას სხვანაირი ყურის მიგდება და სხვანაირი მოფე-
 რება სჭირდება მუდამ. ვინც თავის ძირძველ ფესვებს, თავის მშო-
 ბლიურ კუთხეს მოწყვეტილა ან შეგნებულად უარუყვია, იგი ვერც
 თავის თავს და, მითუმეტეს, ერს ვერაფერში გამოსდგომია. მშობ-
 ლიური კუთხეა ყველაფრის საწყისი და გაგრძელება.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგი სამეგრელოში აღზრდილი პო-
 ეტისაგან განსხვავებით გენო კალანდია არც ერთ ლექსში ხაზს არ
 უსვამს თავის კუთხურ წარმომავლობას. მის ლექსებში ვერსად შე-
 კვდებით ე. წ. კოლხური მოზაიკისათვის სპეციალურად (ზოგჯერ
 საქმაოდ უადგილოდ) მოხმობილ „ნანაგეს“, „თოლიგეს“, „შური-
 გეს“, „მახარიას“. ამ გასაოცრად ტევალმა სიტყვებმა უთავბოლო
 ხმარების გამო თითქმის დაკარგეს პირველყოფილი ხიბლი. რაც შე-
 ეხება მაფშალისა, როგორც იქნა, ქართველი პოეტები თამამად მი-
 უბრუნდნენ სპარსული ბულბულის ძველკოლხურ შესატყვისს. გე-
 ნო კალანდიაც მათ ამქარშია. ესთეტიზმი, რომელზეც წერილის და-
 საწყისში მივინიშნეთ, კოლხური სამყაროს ამსახველ ციკლშიც გე-
 ნო კალანდიას ერთ-ერთ საჩინო თვისებად რჩება:

მე სამეგრელოს მინდვრების ფერი
 თვალებში ჩამრჩა, ვით ძეველი განძი,

და ბავშვობიდან სახის იერით
 მე აქაური ვეცნობა კაცი.

არ შეიძლება ამ სტრიქონებმა მკითხველს თავი არ დაამახსოვროს:

მე ჩემი სოფლის სალამურით გამიჭრეს თითი,
 და თქვენი ვარდის ფურცლებზე მიღებს,
 მე ჩემი სოფლის ცისქის სხენით გამზარდა ძიძამ,
 და თქვენი ფიქრის კალაზე ვიწვი.
 მე ჩემი სოფლის ცა ჩამეტა ორთავე თვალში
 და ბრძანავით უამი-უამ გხელავთ,

— მიმართავს პოეტი წინაპართა ნათელ აჩრდილებს. პოეტის სახატე სამეგრელო — დედა-საქართველოს საესე ძუძუ გენო კალანდიას პოეზიაში ძველკოლხური სიმღერების მაღლითაა განათებული. აქ არაა მოხმობილი რაიმე განსაკუთრებული რანგის მასშტაბები, რააა რაიმე ზეფილოსოფიური სილრმეების მოჩვენებითი ხატვის მცდელობა:

ბერვის ვახუაჭი, მამლის ყივილი
 და სალამური გულის ცალია,
 და გაზაფხული — თვალებმაყვალა
 ჩემი ერთგული გლეხის ქალია.

ასე ნათელია, ასე წმინდა და უშუალოა პოეტის ყველა ლექსი, რომელშიც ოდნავ მაინც შესამჩნევია მშობლიური სანახებიდან წამოღებული სულის მიზანსწრაფვა.

ავითლად ღუოდა ოდიშის ჭალა —
 ჩემი სიზმრების ფერადი ბალი.

„ხარის თვალებში ჩარჩენილი მწუხრის ვარსკვლავი“ თუ „კვამ-ლივით ჯარგვალს მოჩვეული ცრემლის სიმღერა“, სამეგრელოს მთვარესავით წყნარი შელამება, „მოხუცი ძიძა — თამარ დედოფლის ნაქონი ხატით“, „ფიქრიანი ალვები“ და „ძველისძველი ოდიშის ვარდისფერი ბატონის გახსენება“ გენო კალანდიას პოეზიაში მორწმუნობრივი სიწმინდის რანგშია აყვანილი და ამზიანებული.

ამ კრებულში თითქმის მარტი დგას განთქმული „ჩელას“ ავტორის პავლე აკობიასაღმი მიძღვნილი ლექსი. „ჩელას“ გარდა პავლე აკობიას აქვს მთელს ქართულ ხალხურ პოეზიაში გასაოცარი



მუსიკალობით გამორჩეული „სერია“. გენო კალანდიას „კოლხური მოტივებში“ ამ რანგის ლექსად ჩაითვლება ოსტატობით დაწერილი „ჩარიჩამა ჩემიას ლექსი“:

ჩარი, ჩარი ჩარიჩამა,
ჩარიჩამა ჩემია,
ჩალისფერი ჩაბალახით
ჩვიარე ჩხორია.
ჩარი, ჩარი, ჩარიჩამა,
ჩარიჩამა ჩემია,
ჩიქრიკელა ჩხოლარია
ჩათ მომირჩენია.

მეგრული ლექსის მუსიკალობა დიდი ხანია სპეციალისტთა კვლევის საგანია. გენო კალანდიას „კოლხური მოტივები“ ვყელა ამ სახის დღემდე არსებული ციკლებისაგან განსხვავდება. ჩვენ ვა ცით „ჩელას“, „სი სოულ ბატას“, „ართი ვარდის“, „უტუს ლაშქრულის“ ქართული ვარიაციები. გენო კალანდიას მიერ შექმნილი კოლხური ციკლი ზუსტად გვიხატავს კოლხურ სამყაროში ჭერ კიდევ შეუმჩნეველ სხვადასხვა თემატიკას. „შვიდი აბრაგის ლექსი“, „ძიძიშვილის ლექსი“, „ძიძას ლექსი“, „შეყვარებული ბიჭის ლექსი“, „ბალადა თიკაზე“, ანუ მთვარით სნეულის ლექსი“ ოსტატობის მხრივ თავისი გამზრდელი ხალხური პოეზიის რჩეული მარგალიტების დონეზეა. მაღლიანი აღმოჩნდა პოეტისათვის მშობლიური „კოლხური ხვითო“.

მხატვარი-პეიზაჟისტის ალლო იგრძნობა „ფერად ოფორტში“. სატრუთიალო ლირიკის ნიმუშები კი, რომლითაც ასე მდიდარია ეს კრებული, მართლაც განსხვავდება მავანთა და მავანთა საალბომო სტრიქონებისაგან. პოეტი-მიჭნური, პოეტი-ესთეტი დგას ამ ლექსების უკან. ამ მხრივ გენო კალანდია სხვა პოეტებზე უფრო ტიციან ტაბიძეს ენათესავება:

ქსანზე, არაგვზე ცა იფურცლება,
ვით ერისთავის ლურჯი კრებული,
თოთქს ქარია ჩემი ცხოვრება,
მამულის ველზე გაჭინებული.
ქსანზე, არაგვზე სველი ნისლია,

გჟებზეც ვარდია ნაირ-ნაირი,
 მე თქვენი ტრფობა სად შემიძლია,
 მე დატრილი ვარ ქართლის შაირით.

„არაგვის ცისკარს ჰერცოგი მარიამ“ — ჩვენის აზრით, სატრფია-
 ლო ლირიკის ერთ-ერთ სუუკეთესო ნიმუშად ჩაითვლება:

ნაირის ვარდის ჰერცონდა სინაზე
 შენს ახალგაზრდა სხეულს, მარიამ,
 უველა ლაშაზი ქალის ჭინაზე
 არაგვის ცისკარს ჰერცოგი, მარიამ.

ნაღდი ლირიკოსის ხელწერითაა ნაგვირისტები „მე თრიალეთის
 მეგონე ქრავი“, „იალტა“, „თქვენ ყვავილიგით გატირებთ წვიმა“,
 „გაზაფხული ამოსულა მთაში“, „ძვირფასო, იქნებ სულ მალე მოვ-
 კვდე“, „სიყვარულის ფილოსოფია“.

თქვენ სამოთხისას მიჰყებით ველებს,
 მე ჭოჭოხეთის მოველი წვიმებს,
 ღალატისათვის თუ დაგვსჯი, ღმერთო,
 სიყვარულისათვის ნუ დასჭი ვინმეს.

გენო კალანდიას ლექსების ამ ქრებულის გამოცემით „საბჭოთა-
 საქართველომ“ ქართული პოეზიის მოყვარულებს კარგი და ღროუ-
 ლი სამსახური გაუწია და მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის რო-
 გორც პოეტის, ისე გამომცემელთა მიმართ.

ჩვენი სადისკუსიო დარგაზე

□ □ □

საუბარი პრეტეპთან პრეზიდენტის

აღმანახ „კრიტიკის“ წინა ნომერში დაიბეჭდა გრიგოლ აბაშიძის, მუხრან გაფარიანისა და ლია სტურუას პასუხები ირაკლი კეციოშვილის მიერ დასმულ ქვემოთ წარმოდგენილ კითხვებზე, რომლებზეც ამეამად ემზარ კვიტაშვილი, შოთა ნიშნიანიძე და მორის ფოცხიშვილი პასუხობენ.

1. როგორ დაახასიათებდით დღევანდელი ქართული პოეზიის მთლიან პანორამას, ანუ თუ უკეთ ვიტყვით — მის მდინარებას? შეიძლება თუ არა გამოიყოს ამ მდინარებაში განშტოებანი, ძიებათა თუ მიგნებათა განსხვავებული გზები?

2. 10-იან წლებში გალაკტიონის თაობამ სათავე დაუდო ახალ პოეტურ ტრადიციას. გასულ საუკუნეში ამგვარი „რევოლუცია“ ორჯერ განხორციელდა. დგას თუ არა დღეს ქართული ლექსის წინაშე მსგავსი ამოცანა?

3. რას იტყოდით ე. წ. ირონიულ-პაროდიულ ლექსზე? რამდენად სრულყოფილად მიგაჩნიათ ეს ტერმინი იმისათვის, რის გამოსახატავადაც იგი არის ნავარაუდევი?

4. ჩვენი აზრით, 10-იანი წლებიდან დღემდე ქართული ლექსის ფორმებში ამა თუ იმ სახითა და დოზით ძალიან საგრძნობია ერთობული სიმბოლიზმიდან მიღებული გენების კვალი, რომლის ერთ-

ერთი დამახასიათებელი გამოვლინებაა უკიდურესი სერიოზულობა, სიცილის მიუღებლობა. იქნებ ამ პოეტური კანონისადმი რეაქციის გამოვლინებაა დღევანდელ ლექსში სიცილის ფორმების დამკვიდრებისაკენ სწრაფვა? რას იტყოდით საკითხის ამგვარ დასმაზე?

5. XX საუკუნის ინგლისურენოვან პოეზიაში ორ ხაზს განასხვავებენ. ტომას ელიოტის ხაზი ჯონ დონიდან და სხვა „გონება-ძახვილთაგან“ მოდის. საპირისპირო ხაზის პოეზია უპირველესად ცლეგიური რომანტიზმის მემკვიდრეა. რუსულ პოეზიაში ამ ორი მოდელის ანალოგებად ალბათ ბლოკ-ბრიუსოვის და მეორე მხრივ — ხლებნიკოვ-მაიაკოვსკის ხაზი უნდა მივიჩნიოთ. ფრანგულში მეორე ხაზის მსგავს მოვლენად ვიონ-ლაფორგის, ხოლო ესპანურში — გონგორას ტრადიცია უნდა ვივარაუდოთ. თუ საკითხის ამგვარ დასმას, მისი პირობითობის გათვალისწინებით, სწორად ჩათვლით, რამდენად შესაძლებლად მიგაჩნიათ XX საუკუნის ქართულ პოეზიაში ორი ანალოგიური გეზის გამოკვეთა?

6. ხშირად, მაგრამ არა ყოველთვის, პოეტურ პროცესთა აგანგარდი ახალგაზრდა თაობაა. რამდენად იგრძნობა, თქვენი აზრით, ახალგაზრდულ პოეზიაში „ავონგარდული საწყისი“? რაშედნად იმედისმომცემად მიგაჩნიათ ყველაზე ახალგაზრდა პოეტები? რა მოაქვთ მათ და რა ვერ მოაქვთ? ვინ მიიქცია თქვენი უყრადღება?

7. ჩითი ახსნით იმ გარემოებას, რომ რამდენიმე ათეული წელია ლექსების 90% 8 და 10 მარცვლიანი საზომით იწერება? ამასთანავე თავი იჩინა რეგულარული ლექსის დარღვევისაკენ სწრაფვამ — ვერლიბრამდე და თითქმის პროზამდე. რამდენად პერსპექტიულად მიგაჩნიათ ეს მეორე ტენდენცია?

8. ექვსი ტერმინიდან — „ნეოკლასიკური“, „ნეორომანტიკული“, „ნეოიმპრესიონისტული“, „ნეოექსპრესიონისტული“, „ირობიულ-პაროდიული“, „გროტესკული“ — რომელი უფრო შეეფერება თქვენს საკუთარ სტილს ან თქვენს ნაწარმოებთა გარკვეულ ერთობლიობას?. თუ არც ერთი არ შეეფერება, როგორ განსაზღვრავდით საკუთარ სტილს მოკლე ან ვრცელ ტერმინით?

9. დღევანდელ ქართულ ლექსში აშკარად შეიმჩნევა „ლიტერატურულ“ და „სასაუბრო“ ენათა შორის კარგა ხანს დადგენილი ბა-

ლანსის რღვევა უკანასკნელის უფრო ჭარბი გამოყენების ხარჯზე.
 რას იტყოდით ამ საკითხზე?

10. როგორ შეაფასებდით ბოლო დროის ლირიკულ პოემებს?

11. როგორი ხასიათის იყო თქვენი პირველი ლექსები? ვინ იყვნენ იმუამად თქვენი „კერძები“? როგორ უყურებთ ახლა მაშინ-დელ ლექსებს? იმავე კმაყოფილებით, თუ დროის ფაქტორს რაიმე კორექტივი შეაქვს მათდამი დამოკიდებულებაში?

12. თავის დროზე ტ. ს. ელიოტმა თავისი დამატყვევებელი შომხიბვლელობით ქარგა ხნით შეაყოვნა ინგლისური პოეტური სიტყვის განახლება. ვგონებ, ანალოგიური რამ მოხდა რუსთველურ ტრადიციაშიც. ხომ არ მიგაჩნიათ, რომ დღეს მსგავსი პრობლემის წინაშე ვდგავართ ვალაკტიონის მომნუსხავი პოეტური მოდელისა-გან განმსგავსების სირთულის გამო?

ემზარ პვითაიშვილი

1. ასეთი პანორამის თუ მდინარების სახელდახელოდ მოხაზვა და დახასიათება მეტად საძნელო საქმეა და, არა მგონია, ამუამად გამართლებული იყოს. თანაც ეჭვი მეპარება. დავძლიო სუბიექტური მიღვომა და ფერები სწორად გავანაწილო, თუმცა ეს სრული-ადაა არ ნიშნავს — ამა თუ იმ პოეტზე ჩემი აზრი არ მქონდეს. ის კი შემიძლია ვთქვა — ასეთ რამეს დროითი მანძილი ესაჭიროება. მაგალითად, შედარებით ოოლია 20-30-40-იანი წლების ქართული პოეზიის სურათის დახატვა; მით უმეტეს, გამოცემულია XX საუკუნის (ძირითადად პირველი ნახევრის) ქართული პოეზიის რამდენიმე ტომი, რაც დაინტერესებულ მყითხველს ერთგვარ სწორ წარმოდგენას შეუქმნის ქართული პოეზიის ნახევარსაუკუნეან გზაზე.

უშუალოდ თანამედროვეთა აზრი ჟრომანეთზე ხშირ შემთხვევაში ნაკლებად სარწმუნოა და ასეთი შეფასების დროს ნამდვილი კურიოზები ხდება ხოლმე. პუშკინი თავის უფროს მეგობარს, დახვეწილი გემოვნებისა და უსაზღვრო განათლების მქონე პიროვნებას — კატენინს საუკეთესო პოეტად და ერთადერთ კრიტიკოსად თვლიდა, დიდ ანგარიშს უწევდა მის მახვილგონივრულ შენიშვნებს და აღნიშნავდა, რომ მან იგი „აზროვნების ცალმხრივობას“

გადააჩვია. კატენინი, მოგვიანებით, პუშკინზე დაწერილ შეტად სა-
 ხელერესო მოგონებაში, ჩვენდა გასაოცებლად, თვით პუშკინის
 სულს მიმართავს: „მიპასუხე, ჩემო სინათლეე! როგორ ფიქრობ,
 შენი გენია იყო თუ არა ტოლფასი მოხუცი დერუავინის გენიისა,
 ვისაც ლიცეუმში შეკრებისას სადღაც დაემალე?“ კატენინი სულ-
 აც არ ხუმრობს და დაეჭვებული იქვე დასძენს, თქვენი ზუსტი
 ადგილი შთამომავლობამ გაარკვიოს.

ეს დაიწერა პუშკინის დალუპვიდან 15 წლის შემდეგ, რაც ცხად-
 ყოფს, რომ თანამედროვეებს მაშინაც ჯერ არ ჰქონდათ შეცნობი-
 ლი პუშკინის უნივერსალური გენიის მთელი სიდიადე. (ეს, რა
 თქმა უნდა, არ ეხება „მქვდარი სულების“ ავტორს, ვინაც იმთავით-
 ვე გაიაზრა პუშკინის კოლოსალური მნიშვნელობა). ასეთმა შედარე-
 ბამ დღეს მხოლოდ ღიმილი შეიძლება გამოიწვიოს.

მწერლობაში ყოველგვარი ჯგუფებად დაყოფა პირობითია;
 თითქოს საქმის გაადვილებას ისახავს მიზნად, მაგრამ ზოგჯერ
 უსაგნო კამათისა და არევ-დარევის საბაბი ხდება. ჩვენ მოწმე ვი-
 ყავით, ამ ათიოდე წლის წინათ ერთმა ჩვენთვის დიდად საყვარე-
 ლმა და ნიჭიერება ლიტერატორმა ქართული პოეზიის მდინარებაში
 არმდენიმე განშტოება რომ გამოჰყო და შესაბამისი ლიდერებიც
 დაასახელა. ფრიად უხერხული სურათი დაიხატა, ხელოვნური,
 ნაძალადევი. ეს სურათი კიდევ უფრო გულუბრყვილო და კომიკუ-
 რი გამოჩნდება მომავალი, უკვე კარს მომდგარი XXI საუკუნის
 გადმოსახედიდან. იმ დროისათვის, ვფიქრობთ, ბევრი რამ გარკვე-
 ული იქნება. ზოგ რამეს (შეუმჩნეველს და ოვალარიდებულს) და-
 გდება თავისი ნამდვილი ფასი, ზოგიც (დღესდღეობით ხელოვნუ-
 რად გაფუყული და გაბერილი) დაიჩუტება, ჩამოფასდება. ეს კი
 ყოველთვის თამამად შეიძლება ითქვას — დაკარგვით არაფერი
 დაიკარგება, ვინ რა სულიერი ძალა და სიმდიდრე ჩასდო თავის
 ქმნილებაში. საბოლოოდ, ცხადია, არ ექნება მნიშვნელობა — ვის
 ვინ ეპატარავება თვალში, ან კიდევ იმას, კრიტიკოსთა გამბუქველი
 პანეგირიკებისა თუ თაყვანისმცემელთა „ოპტიკური ცდომილების“
 შედეგად ვინმე იმაზე ბევრად დიდი რომ მოჩანს, ვიღრე სინამდ-
 ვილეშია. თანამედროვე ქართული პოეზიის განშტოებებად და ნა-
 კადებად დაყოფა არ მიმაჩნია საჭიროდ. ყოველი პოეტი თავად
 არის ნაკადი და თუ გნებავთ — მდინარეც, რომელიც ხშირად ერთ

კალაპოტში ვერც ეტევა. პოეტი ცალკე სამყაროა, განუმეორებელი, მოულოდნელი ხილვებითა და მიგნებებით აღსავსე; იგი, უპირველეს ყოვლისა, მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალობაა და ნამდვილ პოეტებს შორის არასოდეს არ არის ვასალური დამოკიდებულება: პირადად მე მრავალი სხვადასხვა „სადროშოს“ არ-იებობა ნაკლებად მწამს.

ირაკლი განცოშვილი: ვინაიდან თანადროული პოეტური პანორამის მოხაზვა და „განშტოებათა და ნაკადთა“ გამოკვეთა არ მიგაჩინიათ შესაძლებლად და გამართლებულად, ხომ არ ნიშნავს ეს რომ თქვენი აზრით — კრიტიკას არ ევსწება ან არ ძალუს შიმდინარე ლიტერატურულ პროცესებში ერთგვაროვან ძიებათა, ტენდენციათა თუ ნაკადთა შემჩნევა?

— მე ზოგადად არ უარყოფ კრიტიკის აღნიშნულ დანიშნულებას, მაგრამ, სამწუხაროდ, დღევანდელი ქართული კრიტიკა კერძობით თავს ვერ ართმევს ამ ამოცანას.

ხშირად ამბობენ და საკსებით სამართლიანადაც, ნამდვილი პოეტი საკუთარი დამღით აღბეჭდილ მონეტას უნდა ჭრიდესო. წარუგალი ლირებულების მქონე ნაწარმოები ყოველთვის განუზომლად მცირე იქმნებოდა და იქმნება და ამის გამოა, რომ ამჟამადაც საკმარისო რაოდენობის ყალბი „მონეტა“ ბრუნვაში გაშვებული. ჩვენ ხშირად ვართ იმის მოწმე, როცა ესა თუ ის კრიტიკოსი ჩვეულებრივ სპილენძს ბაჯალლო ოქროდ აცხადებს, მაგრამ ამაზე მას არავინ ედავება. სამწუხაროდ, ყველაფრის გარკვევა დროს გვინდა მიერთოთ, თუმცა ბევრ რამეს ახლავე შეიძლება დაერქვას თავისი სახელი.

ირაკლი განცოშვილი: თუ, თქვენი აზრით, დღეს ეს არ კი-თდება, რა გვიშლის ხელს?

— სიმამაცე, პირდაპირობა არ გვყოფნის. თითო-ოროლა სინდისიერი და გაბედული კრიტიკოსი ამინდს ეტე შექმნის. მთავარია, სალიტერატურო კრიტიკაში გულწრფელი სულისკვეთება დამკვიდრდეს, პირუთვნელად შეფასდეს ყველაფერი; მხოლოდ პირადი სიმპათია-ანტიპათიით დაწერილს ნაკლები სარგებლობა მოაქვს.

დღევანდედ საქართველოში სხვადასხვა ასაკის, ტემპერამენტის, ხმისა და ხელწერის არაერთი ძალზე მნიშვნელოვანი პოეტი მოღაწეობს და მათი ერთობლივი, პატიოსანი გარჯა ქმნის დღე-

ვანდელი ქართული პოეზიის საკმაოდ მიმზიდველ და მრავალფეროვან სახეს.

მე ძალიან მომწონს ურთი ძველი პოეტის ხატოვნად ნათქვამი აზრი: ლექსს, რემელსაც წერ, სხვა ლექსები უნდა უყვარდესო. სიძულვილს, ზიზრს არასოდეს არაფერი შეუქმნია (პირიქით, იგი ქლავს, ანგრევს, სპობს) და ამიტომაც არის, რომ ბოროტ, ღვარძლიან, შხამით დატენილ პიროვნებას არასოდეს არ გამოსდის ლექსი.

პოეზია დაუსრულებელი მარათონია; პოეტური ქმნილების საბოლოო გამოცდას წამიერი ემოციები არ ყოფნის, დიდი დრო, რუსთაველის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „შარა გრძელი“ ესაჭიროება და „ცხენთა შეჯიბრებაზე“ მხოლოდ მუხლმაგარ ბედაურებს უნდა ჰქონდეთ გამარჯვების იმედი. ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიამ არაერთი მაგალითი იცის იმისა, როცა ესა თუ ის ღირსეული სახელი საუკუნეთა განმავლობაში დავიწყებული ყოფილა, მაგრამ დროის დიდი მანძილით დაშორებული თაობების ხელში ახალი შექით აელვარებულა. ასეთმა პარადოქსებმა გული არ უნდა გაგვიტეხოს. ცალკეული მეტად საგულისხმო ძიებები და მიგნებები, ლექსის შექმნის საიმედო და ერთმანეთისაგან განსხვავებული გზები რომ არ არსებობდეს, დღევანდელ ქართულ პოეზიაზე ლაპარაკიც არ ეღირებოდა.

2. ქართული ლექსის ის თვისებრივი რეფორმა, გალაკტიონ ტაბიძის თაობამ რომ განახორციელა, პაერივით საჭირო და სასიცოცხლო მნიშვნელობისა იყო. გალაკტიონის წვლილი ამ დიდ გადახალისებაში მართლაც ყველაზე თვალსაჩინოა, მაგრამ მხოლოდ ერთი კაცის მონდომება და ნიჭი ასეთ ძირეულ და მრავლისმომცველ გარდატეხის პროცესს ვერ წარმართავდა და არც ეყოფოდა. დიდ განახლებას, ფერისცვალებას არერთმა სახელოვანმა „ლექსის მეხანძარემ“ შეალია სიცოცხლე და სულიერი ენერგია. იმ დროიდან მოყოლებული, ხდება ქართული ლექსის ყოველმხრივი სრულყოფა, რაც უპირველეს ყოვლისა, სხვადასხვა თაობების გამორჩეულ ოსტატთა შემოქმედებას უკავშირდება.

ეჭვი მეპარება, რომ ქართულ ლექსს ამჟამად რადიკალური ტეჭნიკური გარდაქმნა ესაჭიროებოდეს, თუმცა აშკარად იგრძნობა სიახლის მოთხოვნილება, უცნობი სივრცეებისაკენ გაჭრის მძაფრი

სურვილი, მაგრამ დიდი პროფესიონალიზმისა და ნამდვილი ტალანტისათვის ნიშნეული თავდაუზოგავი შრომის გარეშე ასეთ სურვილებს ასრულება არ უწერია.

ისიც ცხადია — პოეზიის სამკვიდროში ხსენებული ვერსიფიკაციული „რევოლუციები“ ყოველთვის ერთნაირი სიხშირით არ ხდება. ღროდადრო თვისებრივი სიახლეები აუცილებელა, მაგრამ დღევანდელი ვითარება ისეთია, რომ ამგვარ პროცესებს განსაკუთრებული დაფიქრება და ღრმა გააზრება ჭირდება. რა ოქმა უნდა, აუცილებელია თანამედროვე პოეზიის მონაპოვართა გათვალისწინება.

3. პაროდიას, როგორც ლიტერატურულ ხერხს, ბრწყინვალედ ფლობდნენ ჯერ კიდევ ძველი ბერძნები. გავიხსენოთ თუნდაც ღმერთებისა და ბრძენებაცთა უდიდესი გამომჯავრებელი არის ტოფანე, რომელიც მითებიდან მოყოლებული, თავის თანამედროვე ღრამატურგთა ტრაგედიებით დამთავრებული, ყველაფრის მარჯვე პაროდირებას ახდენდა. შემთხვევითი არ არის, რომ მის სატირას მჟიდრო კავშირი ჰქონდა ფოლკლორულ ძირებთან.

მოთლიო ლიტერატურამ არაერთი მაგალითი იცის მისა, როცა პაროდია ოსტატურად არის გამოყენებული ამა თუ იმ საქვეყნოდ გახმაურებულ ნაწარმოებში. ქართული მწერლობა ამ მხრივ შედარებით ნაკლებ მასალას იძლევა. უშუალოდ გამოვლენილი ხუმრობა, იჩონია და თვით მძაფრი სატირა ჩვენს კლასიკოსთა შემოქმედებაში საკმაოდ უხვად გვხვდება. ასეთი კუთხით საგანგებოდ არის შესასწავლი რუსთაველის, გურამიშვილის, ბესიკის, გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბაჩათაშვილის, ილიას, ვაჟას პოეზია.

განსაკუთრებით მრავალსახოვანია აკაკის სიცილი. მას რამდენიმე სუსტიანი პაროდიაც აქვს, თანამედროვეთა გასაკილად დაწერილი, მაგრამ ეს პაროდიები, რომელთაც ხუმრობით „მიბაძვას“ ეძახდა, მხატვრული ღირსებით აშკარად ჩამოუვარდება მისსავე ბრწყინვალე სატირულ ლექსებს, სადაც მთელი ძალით გამოჩნდა აკაკის საოცარი გონიერამახვილობა, მისი ნიჭის ელვარება, ხალხურ პოეზიასთან სანიმუშო სიახლოვე.

XX საუკუნის ქართულ პოეზიაში ირონიის, სატირის ელექტრები ყველაზე აშკარად გამოავლინა გალაკტიონმა, როგორც აკაკის ხაზის უშუალო გამგრძელებელმა. მას აქვს ერთი გვიანდელი

პერიოდის მცირე ლექსი, რომელშიც შეგვიძლია ავტოპორტრეტის ჟტრიხები დავინახოთ და, ამავე დროს, თითქოს აკაკის ესოდენ მშობლიური ნაკვეთებია გაცოცხლებული:

შენ თეთრ შუბლზე თვით გენის
 ზეციური მირონია,
 მხოლოდ ბაგის კუთხეში კრთის
 ლვთაებრივი ირონია.

სწორედ „ღვთაებრივი ირონია“ და არა წვრილმანი, დამცინავი ქირქილია ის ძალა, ლექსს რომ გაუხუნარ მადლს ანიჭებს. გალაკტიონ ტაბიძის მდიდარი მემკვიდრეობის გარკვეულ ნაწილს მის შეერვე ნახსენები „ზეციური მირონის“ შუქზე უნდა დავაკვირდეთ.

ირონიისა და სატირის ელემენტები საკმაოდ შეგვიძლია მოვიძიოთ ტიციან ტაბიძის, პალლ იაშვილის, ვალერიან გაფრინდაშვილის, გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანის, ალიო მირცხულავას და სხვათა შემოქმედებაში. მძაფრად გამოხატული სატირული ნიჭი ჰქონდა ლადო ასათიანს.

დღევანდელ პოეტებთან ირონია, მოვლენებისადმი სატირული მიღომა მეტ-ნაკლები სიმძაფრით ვლინდება მურმან ლებანიძის, მიხეილ ქვლივიძის, მუხრან მაჭავარიანის, გივი ძნელაძის, შოთა ნიშნიანიძის, მორის ფოცხიშვილის, ჯანსულ ჩარქვანის, ვახტანგ ჯავახაძის, ტარიელ ჭანტურიას, გივი გეგეტვირის, ზაურ ბოლქვაძის, ხუტა გაგუას, რეზო ამაშუკელის, იორამ ქემერტელაძის, დავით წერედიანის, ბესიკ ხარანაულის და სხვათა ლექსებსა და პოემებში.

„ირონიულ-პაროდიული ლექსი“ მეეჭვება ზუსტად გამოხატავდეს იმ მოვლენის არს, რის გამოსახატავადაც იგი არის გამიზნული. საერთოდ, ასეთი ნაკადი, თუკი იგი, გარკვეული სისტემისა თუ მოდელის სახით გამოხატული, მართლაც არსებობს, არ უნდა მომდლავრდეს არა მარტო ქართულ პოეზიაში, არამედ თვით ერთეულების შემოქმედებაშიც. აქ უეჭველად დაიბუდებს სკეფსის, სტანდარტული აზროვნება, ყველაფრის და თვით ლექსის უარყოფის ტენდენცია. ჩევნდა უნებურად შეიცვლება სიტყვასთან დამოკიდებულება, ხელში მეტწილად უსიცოცხლო, მშრალი სქემები შეგვრჩება. ნამდვილი ლიტერატურული ღირებულების მქონე „ლე-

ქსი-პაროდია” ასე წამდაუწუმ არ იწერება. სერიულად დამზადებული, გარკვეული ყალიბის მიხედვით დაწერილი ასეთი ლექსები უურნალ-გაზეთების სატირულ-იუმორისტულ განყოფილებაში დასაბეჭდად თუ გამოღება, რასაც, რა თქმა უნდა, სხვა უანრული სპეციფიკა და თავისი გამართლებაც აქვთ.

ზემოთ ნათქვაში ოდნავადაც არ ნიშნავს, თოთქოს ვინმე ლექსი ირონიის, სატირის ანდა ლიტერატურულად გააზრებული პაროდიის გამოყენების წინააღმდეგი იყოს. ჩვენ ცუდად, ცალმხრივად, ზედაპირულად გავებული, თვითმიზნური ირონიისა და პაროდიის ლიტებულება გვაეჭვებს. ახალი ამბავი არ გახლავთ — ყოველ ნაწარმოებს თავისთავად უნდა ჰქონდეს გარკვეული ლიტერატურული დონე და მხოლოდ ამის მერე ვეძებოთ მასში პაროდიაც, ირონიაც, პარაბოლაც, ვერლიბრის სპეციფიკური ნიშნებიც და რაც გნებავთ ის. საერთოდ, ლექსში სიცილის დანიშნულებასა და ფენომენზე ბევრად უფრო ღრმად, მიმზიდველად შეიძლება წერა, ვიდრე ამას ჩვენი ლიტერატურათმცოდნეები აკეთებენ.

აქვე მინდა შევნიშნო — ჩემი საყვარელი და დიდად საინტერესო მეგობარი პოეტები ტარიელ ჭანტურია და ვახტანგ ჯავახაძე, რომელთაც ამ ბოლო დროს ე. წ. „ირონიულ-პაროდიული“ ნაკადის თავიაცებად აცხადებენ (ვეჭვობ, თავად ისინი ამას დიდ პატივად თვლილნენ) სხვა, უფრო არსებითი ძიებებითა და სიახლეებით არიან მნიშვნელოვანნი და საყურადღებონი და მათი თვალსაჩინო წვლილიც დღევანდელ ქართულ პოეზიაში სხვაგვარად უნდა შეფასდეს. მიუხედავად იმისა, თუ ვინ იქნება მართალი ამა თუ იმ საკითხზე გამართულ კამათში, თვალსაზრისითა, პრინციპთა შეჯახება და პროფესიული მსჯელობა უთუოდ ხელს შეუწყობს კრიტიკული აზროვნების შემდგომ განვითარებას.

ირაპლი კონცეპციისთვის: მართლაც, თვალსაზრისთა, პრინციპთა შეჯახება აუცილებელია, ვინაიდან იმას, რასაც მომავალი იტყვის, აწმყოც განაპირობებს... თქვენ დაასახელეთ პოეტთა გრძელი რიგი, რომელთა ლექსებში მეტ-ნაკლები სიმძაფრით ვლინდება სიცილის საწყისი. არც თქვენი პოეზიაა განკერძოებული ამ თავისებურებისაგან. ამ მხრივ საინტერესოა თქვენი ლექსი „ვერ მოივლი“, რომელიც ფამილარულ, დაბალ უანრთა კილოზე იწყება: 5. კრიტიკა № 2

„ვერ მოივლი იმხელაა, იმგვარია, იმფერია, ვაკე-საბურთალოს გზაზე სასაფლაოს იმპერია“, ხოლო შემდეგ სხვაგვარად ვითარდება. ხომ არ ნიშნავს ყოველივე ეს, რომ რაღაც ზოგადი კანონზომირების მოწმენი ვართ, რომ ირონიის, პაროდიის, სატირის, სიცილის სხვადასხვა ფორმების მოჭარბება, და მათი „მაღალ“ და „სერიოზულ“ უანრებში შემოჭრა ახალი პოეტური კანონის, კერძოდ — ქართულ პოეტურ ანსამბლში „არაპოეტური“, „დამიწებული“ თემების, ლექსიკისა და შინაურული, ნაკლებად ეგზისტირებული და ნაკლებად პათეტიკური, ბუნებრივი ინტონაციისა და ფაზილარური უანრების დამკვიდრებისაკენ სწრაფვას მოახწავებს?

— რომელიმე დადგენილი უანრის საწინააღმდეგო ვის რა შეიძლება ჰქონდეს?! ყოველმა უანრმა, დაბალი იქნება ის თუ მაღალი, „ფაზილარული“ თუ „სერიოზული“, საუკუნეთა მიღმა გაამართლა არსებობა, მეტ-ნაკლებად გამოავლინა ცხოველმყოფელობა და ყოველ მათგანს თავისი ისტორია და პოეტიკა აქვს. უამრავი მაგალითია ცნობილი იმისა, რომ ე. წ. დაბალი უანრებიდან საქვეყნოდ ცნობილი, მსოფლიო მნიშვნელობის ნაწარმოებები შექმნილა. სერვანტესის „დონ კიხოტს“ სათავე ხალხური წარმოშობის თაღლითურ რომანებში ეძებნება. „დეკამერონის“ არაერთი ნოველა მოარულ ანექდოტეზბერა აღმოცენებული. ხალხურ ანდაზებზეა შექმნილი, მაგალითად, პიტერ ბრეიგელის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტილო და ა. შ. მთავარია, ვინ როგორ გამოიყენებს ამა თუ იმ უანრს, რა ძალისა და სიღრმის მხატვრულ ფასეულობას შექმნის.

„დამიწებული“, „არაპოეტური“ თემების, ლექსიკის სიჭარბე და ფაზილარული ინტონაციებისაკენ სწრაფვა, რა თქმა უნდა, გარკვეული ტენდენციის მაჩვენებელია, მაგრამ ისიც ცხადია — პოეტი ცდილობს, ეს ჩვეულებრივი, ყოფითი და ყოველდღიურ ცხოვრებაში აჩსებული ჭეშმარიტი ხელოვნების სიმაღლეს აზიაროს. თვით უანრის ფაზილარულობა, რასაკვირველია, არ ნიშნავს საყუთრივ პოზისათან ხაზგასმულ შინაურულ დამოკიდებულებას, შეხეულმებას, არასასურველ დაწვრილმანებას ან საკუთარი პერსონის წინა პლანზე გამოტანას, წამოყელყელავებას. შეიძლება რომელიმე ფრაზამ, სახემ ღიმილი გამოიწვიოს, მაგრამ საბოლოოდ ლექსი ვინმეს გასაცინებლად თუ გასამასხრებლად არ იწერება; მი-

სი დაბადების მიზეზი და დაშერის მიზანი გაცილებით ღრმაა, ტყუილად როდი შეგვასენებდა აკაკი, რომ „სიცილი ბევრჯერ ცრემლზე მწარეა“... „ფამილიობის“ ელემენტები ე. წ. „სერიოზულ“ უანრში მაშინ არის გამართლებული. როცა იგი სწორი ტონის აღებას უწყობს ხელს, სტილისტური ხერხის ფუნქციას ასრულებს.

4. ამაზე ახლა იშვიათად დავობენ — ბევრი რამ მიიღეს ეპროპული და მოგვიანებით გაჩენილი რუსული სიმბოლიზმისაგან; თემები, მოტივები, გამოსახვის საშუალებანი რამდენადმე ეროვნულ ნიადაგს შეუფარდეს. „სერიოზულობა“, „თავდაჭერილობა“ ჩვენს პოეზიას არც მანამდე აკლდა და, უნდა ითქვას — სიცილი, ლალობა, ირონიის ელემეტები არასოდეს ყოფილა პირწმინდად აღკვეთილი. გვიანდელ პერიოდზე რომ არაფერი ვთქვათ, ირონიული განწყობილება, ღიმილი, სატირული მახვილი მკვეთრად არის გამოხატული გალავტიონის ადრეული ლირიკის ზოგიერთ ნიმუშში („მძვარდნილი აივანი“, „რამდენიმე დღე პეტროგრადში“, „იყო“, „წიანდალელი ნათელა“, „ქალავ“, „მატარებელში“ და სხვ.).

მართალია, დღესდღეობით ეს ტენდენცია უჩვეულოდ გაძლიერდა, გახშირდა სიცილის ფორმები, მაგრამ ამას სხვა ახსნა უნდა მოეძებნოს, აյ ცხოვრებისეული მომენტებია მთავარი; გასათვალისწინებელია მოვლენებისაღმი ახლებური მიმართება, შესამჩნევი ცვლილებები ადამიანთა ურთიერთობაში, ზოგიერთი მყარი, ტრადიციული ღირებულებისაღმი ეჭვის თვალით ყურება, გაუცხოების გამძაფრებული გრძნობა, შიშის თუ სხვა უსიამოვნო ემოციების თითქოსდა უდარდელი ხუმრობით შენიღდვა და მრავალი სხვა რამ, რასაც კომპლექსურად სჭირდება შესწავლა და მხოლოდ ლიტერატორთა დაკვირვება არ ეყოფა.

არც ეს არის ახალი ამბავი — ლიტერატურის ისტორიაშ არაერთი შემთხვევა იცის იმისა, როცა სტილის სფეროში რამე უკიდურესობას საპირისპირ რეაქცია მოსდევს. ჩვენში, როგორც ვიცით, გასული საუკუნის 60-იან წლებში ილიასა და აკაკის თაბამ უმნიშვნელოვანესი რეფორმა განახორციელა — ხელოვნური, დამძიმებული მწიგნობრული ენის ნაცვლად ცოცხალ ხალხურ მეტყველებასთან დაახლოებული სალიტერატურო ენა დაამკვიდრა. „უკიდურეს სერიოზულობას“ და „სიცილის შიულებლობას“

რაც შეეხება, მეეჭვებოდა, რომ დღევანდელი მოძალება ხსენებული „სიცილის ფორმებისა“ პოეზიაში მანამდე არსებული ვითარების თუნდაც გაუცნობიერებელი უკურეაქცია იყოს. ამდენად, საკითხის ასე დასმა არ მიმაჩნია სწორად.

5. ტიპოლოგიურ ძიებებს დღეს ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება და შედეგიც მეტწილად საუკეთესოა. სხვისაგან მოწყვეტილად, იზოლირებულად არც ერთი ქვეყნის ლიტერატურას არ შეუძლია არსებობა და განვითარება. ქართულ მასალაზე როცა ვმსჯელობთ და გარკვეულ კანონზომიერებათა მიგნება გვინდა, ცხადია, სხვადასხვა პარალელების მოხმობა გვიწევს.

ინგლისურენოვან პოეზიასა ან რუსულ პოეზიაში ორი განსხვავებული ხაზის არსებობა არ ნიშნავს, რომ ეს ორივე ხაზი ქართულ პოეზიაშიც ასევე გამოკვეთილი იქნება. „მეტაფიზიკოსი“ პოეტების მამამთავარს ჯონ დონს ამდენადმე დავით გურამიშვილი შეგვიძლია შევუფარდოთ. თუმცა გართულებულ მეტაფორულ აზროვნებაზე „დავითიანის“ ავტორმა უარი თქვა. თავის მხრივ გურამიშვილის ხაზთან და სულთან ახლოს არიან აკაკი წერეთელი და ვაჟა ფშაველა, თუმცა მათი აზროვნების მანერა შედარებით კიდევ უფრო საღაა და გამჭვირვალე, მაგრამ არა ფილოსოფიურ სიღრმეს მოქლებული.

უფრო იოლი გამოსაყოფია ბარათაშვილიდან მომდინარე რომანტიზმის ხაზი, რომელიც ახალგაზრდა ილიამ განავითარა და რომლის სულიერი მემკვიდრე ჩვენს დროში, ლექსის მელოდიისადმი უჩვეულ ყურადღების მიუხედავად, გალაკტიონ ტაბიდე იყო. ამ საკითხს საფუძვლიანი დაკვირვება და შესწავლა ესაჭიროება.

ის კი უნდა გვახსოვდეს — სხვადასხვა მიმდინარეობისა თუ ხაზის პოეტებს შორის რკინის ჯებირი არ არსებობს. თითოეულ მათგანს მოეპოვება ლექსები, იმ მიმდინარეობის ფარგლებში რომ არ თავსდება.

ჯონ დონის ლირიკას სამართლიანად აყენებენ მისი უდიდესი თანამედროვის — შექსპირის პოეზიის გვერდით; ოთხასი წელია გასული ჯონ დონის გარდაცვალებიდან და დღესაც გვაოცებს მისი გაბედული აზროვნების კულტურა, სიღრმე, ლექსიკის არაჩვეულებრივი სიფართოვე — მისი რთული პოეტური სამყაროს სიტყვიერი გარსი — და, ამავე დროს, ემოციის სიძლიერე.

ირაკლი პეტრეშვილი: უცხოელ პოეტთაგან თქვენთვის

რომელი პოეტია ყველაზე უფრო ახლობელი?

— პირადად მე ყველაზე მეტად რომანტიკული ფრთის უბრწყინვალესი წარმომაღენელი ჯონ კიტი მაღალვებს და ვოცნებობ იდესმე მისი ლექსები ვთარგმნო.

6. ახალგაზრდა თაობის წარმომაღენელთა ნახელავი, ძალზე აშვიათი გამონაკლისების გარდა, ჩემს გულსა და გონებას არ ექარება. შესაძლოა ეს ჩემი მიუხვედრელობის ბრალია, მაგრამ რამე „ავანგარდულ საწყის“ ჯერჯერობით მათში ვერ ვხედავ. იქნებ ისიც იყოს მიზეზი, რომ ბოლო ათეულ წლებში შემოქმედი პიროვნება გვიან მწიფდება. იმედი უნდა ვიქონიოთ, ადრე იქნება თუ შედარებით გვიან, სასიკეთო ძრები მოხდება.

7. რვამარცვლინი შაირი კარგა ხანი არ იყო პატივში, მაგრამ თანდათან იბრუნებს (განსაკუთრებით მაღალი შაირი) თავის პოზიციებს. ათმარცვლიანი ლექსი ჩვენი ერთ-ერთი უძირითადესი საზომია, იგი ზედმიწევნით მოერგო ეპოქის სულს, რიტმს, განწყობილებას. ჩვენი საუკუნის 10-იანი წლებიდან მან ახალი ელვარება შეიძინა და ამ საზომის მდიდარი შესაძლებლობანი ალბათ ჯერ კიდევ არ არის სრულად გამოვლენილი. ნამდვილი ოსტატის ხელში იგი საოცრად მოქნილია, საშუალებას აძლევს პოეტს, თავისი ხმა და სახე გამოკვეთოს, ააჩქაროს ან მშვიდ მდინარებაში მოაქციოს ლექსის ტემპი. შემთხვევითი არ არის, რომ ლექსთა დიდი უმრავლესობა დღეს ათმარცვლიანი საზომით იწერება.

რეგულარული ლექსის დარღვევა ცალკეულ შემთხვევებში, როცა ამას აუცილებლობა მოითხოვს. ბუნებრივი მოვლენაა და ამაში საგანგაშო არაფერია. საეჭვო და შემაშფოთებელი ის არის, რომ ვერლიბრს, ჩვენდა ჭირად, ბევრი ხელმოცარული მიეძალა და მკითხველს უძნელდება ამ არეულობაში გარკვევა.

8. არც ერთი ამ ტერმინთაგანი არ გამოდგება ჩემი ნაცოდვილარის აღსანიშნავად. ჩემი ლექსების ერთ დიდ ნაწილში საგრძნობია ირონიის და გროტესკის ელემენტები, მაგრამ თავს ვერ მივცემ უფლებას, ჩემს სტილს (თუ ასეთი რამ გამაჩნია) ირონიულ-გროტესკული ვუწოდო.

ირაპლი კენცოშვილი: ლექსის წერის დროს რაზე ამაზვი-ლებთ ყურადღება?

— დიდ ყურადღებას ვუთმობ სტრიქონთა ბგერით აღნავობას (ხანდახან ლექსი ზედმეტად არის ალიტერიტული, რაც ყურს ჭრის, უვარგისია), ვესწრაფვი ხატი ესადაგებოდეს ლექსის მუსიკას (რამდენად ვახერხებ, სხვა საქმეა).

ირაპლი კენცოშვილი: როგორი სტილისაკენ მიისწრაფვით?

— ბოლო ხანებში გამიჩნდა მიღრეკილება სათქმელის სადაც, მარტივად თქმისა. სალექსო ტექნიკის სრულყოფა დაუსრულებლად შეიძლება და მრავალი საიდუმლო კიდევ მიუგნებელი რჩება კაცს. მთავარია, განცდილის უკიდურესი სისავსით გადმოცემა შეგეძლოს.

9. „სასაუბრო“ ენა უშუალოდ უკავშირდება ლექსში „პროზა-ზემების“ შეგნებულ გამოყენებას, რაც სტრიქონთა ინტონაციას განსაკუთრებულ, დამაჯერებელ იქრს აძლევს. ასეთი „პროზაიზმი“ ეშირად უფრო შთამბეჭდავია და აუცილებელი, ვიდრე რომელიც გნებავთ იშვიათი პოეტური სახე. პოეტი, რა თქმა უნდა, სასაუბრო მეტყველების ილუზიას ქმნის, თორემ პოეზიის ენა თავისი სპეციფიკით რადიკალურად განსხვავდება ყოფა-ცხოვრებაში დამკვიდრებული ჩვეულებრივი ენისაგან. „პროზაიზმებს“ რუსულ პოეზიაში თამამად გაუხსნა კარი პუშკინმა და ამით ინტონაციურად გაამდიდრა, ახალ საფეხურზე აიყვანა რუსული ლექსი. ჩვენში სასაუბრო მეტყველების ლექსში გამოყენების მეტად საყურადღებო ცდა ჰქონდა ბარათაშვილს („ლამე ყაბახზედ“), მაგრამ მას არ დასკალდა სრულად გამოევლინა ამ მხრივ თავისი შესაძლებლობანი.

სასაუბრო მეტყველების გამოყენება შეგნებული სტილისტური ხერხია და „ბალანსის დარღვევა“, ზომიერების ფარგლების გადაცილება უთუოდ ზიანის მომტანია, რისი აურაცხელი მაგალითებიც გვჯევს დღეს.

ირაპლი კენცოშვილი: რამდენადაც „პროზაული საწყისი“, ნატურის ფერწერის პრინციპი, რომელიც იგრძნობა ლექსში „ლამე ყაბახზედ“ და უფრო ადრე — დავით გურამიშვილის ლექსში „უზომვეა“, არ განვითარდა და არ იქცა პოეტური ქმედების ერთ-

ერთ მძღვანელ კონსტრუქციულ პრინციპად, ხომ არ იჩენს დღეს ამ „ხარვეზის“ შევსების აუცილებლობის შეგრძნება?

— დღევანდელ ქართულ პოეზიაში რომ გაცილებით ჭარბად შემოდის პროზის ელემენტები. ვიდრე XIX საუკუნესა და თუნდაც ამ საუკუნის პირველ ნახევარში იყო, ეს სავსებით აშკარაა. სხვა საქმეა, ყოველთვის ახლავს თუ არა ამ ნაბიჯს ის დიდი პროფესიონალიზმი, რაც ასეთ ღროს აუცილებელია. მიუხედავად იმისა, როგორია საერთო სურათი, აღნიშნულმა ტენდენციამ შეუძლებელია სასურველი შედეგი არ გამოიღოს. ინტონაციურად, გამომსახველობითი საშუალებებით გამდიდრდება ქართული ლექსი, დაიხვეწება დეტალის ხელოვნება, რაც თავის მხრივ კუთილმყოფელ გავლენას იქონიებს წერის საერთო კულტურაზე.

10. ბოლო ღროს ლირიკულმა პოემებმა იყო, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამ უანრის შემდგომი განვითარება და სრულყოფა არ შონდება. მე ამჟამად ე. წ. „ეგადრატული პოემები“ უფრო მიზიდავს, როცა ლექსს, ალაგ-ალაგ პროზაული ფრაგმენტები ენაცვლება. საინტერესო უნდა იყოს პოემის ის სახე, სადაც კლასიკურ ლექსს თავისუფალი და თეთრი ლექსი შეენაცვლება. თანამედროვე პოემაში სიუჟეტი აღრინდელი გაეგბით ველარ დაიჭერს ადგილს (ეს ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში გახდა ცხადი), მაგრამ გარკვეული ხაზი, მოტივთა ერთობლიობა მაინც საჭიროა, რომ ნაწარმოები კომპოზიციურად შეიკრას, ხერხემალი გააჩნდეს. ღლეს პოემის დაწერა განსაკუთრებულ სირთულეთა წინაშე აყენებს ავტორს და აზლო მომავალი დაგვანხებს, ვინ როგორ დაძლევს ამ სიძნელეებს.

ირაკლი კენჭოშვილი: პოემაში პროზაული ნაკვეთების ჩართვით რა მიზანს ისახავთ — წმინდა ინტონაციურს, თუ ხელს უწყობთ გარკვეული ლექსიების უფრო თავისუფალ მომარკვებას?

— პროზაული ფრაგმენტები პოემის ცალკეულ რგოლებს აკავშირებენ ერთმანეთთან და, რა დასამალია, ლექსიკაც არ იზღუდება, ღროებით მაინც თავისუფლდები ლექსის არტახებისაგან, სადაც შენს თავს მთლიანად აღარ ჲკუთვნი, უფრო მეტი შესაძლებლობები გეძლევა სხვადასხვა წიაღსვლებისთვისაც.

11. კმაყოფილების გრძნობა მეტისმეტად იშვიათი სტუმარია ჩემი. როცა რაიმეთი ასე თუ ისე კმაყოფილი ვარ, დაბეჭდილს შე-

მდეგ რამდენჯერმე წავიკითხავ ხოლმე, რომ გაცივდე და გავემიჭნო უკვე დაწერილს. რამდენადაც შემიძლია, ვცდილობ აღრე გამოქვეყნებული ერთგვარად გავაუქმო, „წავშალო“. გამორჩეულად არც ერთი ჩემი დაწერილი ლექსი არ მომწონს, თუმცა საკუთარი ლირსებაც და ნაკლიც შეცნობილი მაქვს. განსაკუთრებით მაღიზი-ნებს ჩემს ადრეულ ლექსებში უსიცოცხლი, შებორკილი სტრიქონები, „მკვდარი ქსოვილები“, საღაც ნერვი არ ფეხქავს, სისხლი არ მოძრაობს. მიმაჩნია, რომ ძალზე მცირე ნაწილი გავაკეთე იმისა, რაც შემეძლო და ჩაფიქრებული მაქვს.

12. ცნობილია, რომ ტომას ელიოტი ვერ იყო მთლად კეთილად განწყობილი მილტონისადმი და მას ალბათ თავისი გარევეული მიზანი და მოსაზრებანი პქნდა, როცა ინგლისური პოეზიის ერთ-ერთი გიგანტი „ინგლისური პოეტური სიტყვის განახლების“ შემფერხებლად გამოიყვანა. თვით მილტონმა უშუალო წინამორბედის, შექსპირისადმი უდიდესი თაყვანისცემის მიუხედავად, თავისთავადობა შეინარჩუნა და თავისი განუმეორებელი პოეტური სამყარო შექმნა. მე ვერ გამოვდგები იმის განმსჯელად, თუ რამდენად შეაყოვნა მან ინგლისური პოეზიის განვითარება, ოლონდ თვითონ და მომდევნო ხანის საუკეთესო ინგლისელი პოეტები — დრაიდენი, პოპი და ნაწილობრივ ბლეიკი კლასიციზმის პრინციპების დამცველები იყვნენ, რამაც გარევეული დაღი დასაცა მათს შემოქმედებას. მილტონის შემდეგ დადგა განმანათლებლობის ეპოქა; XVIII საუკუნე ევროპაში რაციონალიზმის ხანად ითვლება და ამ დროის პოეზია, ცალკეულ შემთხვევებს თუ არ გავიხსენებთ, დიდ აღმავლობას მართლაც არ განიცდიდა. ძნელია იმის დამტკიცება, თითქოს მილტონმა თავისი არსებობით რომელიმე ნამდვილი ტალანტი შეზღუდა ან ჩრდილში მოაქცია. ეს ასე არ ხდება. მილტონის მემკვიდრეობას მანამდე კრიტიკულად, მაგრამ უფრო ზომიერად მიუღა ედგარ პო, რომელმაც პირდაპირ არ ისურვა მისი გრანდიოზული ქმნილების — „დაკარგული სამოთხის დაწუნება მოცულობის გამო და აღნიშნა, დარწმუნებული ვარ, მილტონი თავის საუკეთესო პოემად „კომუსა“ თვლიდა. „კომუსი“ შეიძრე ზომის მართლაც ბრწყინვალე ალეგორიული ხასიათის დრამატული პოემაა, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, იგი მილტონს

თავისი ცხოვრების უმთავრესი წიგნისათვის ემჯობინებინა. ასეა თუ ისე, მიღწონის მაგალითი აქ არ გამოდგება.

არა მგონია, აგრეთვე სწორი იყოს პარალელი რუსთაველთან და მის დროსთან. ჯერ ერთი, საქართველოს რუსთაველის ეპოქის მეტე რომ გაეგრძელებინა არსებობა როგორც ძლიერ ფეოდალურ სახლშიფოს, მწერლობაშიც ცოტა სხვა სურათი გვექნებოდა, საუკუნეთა მანძილზე ასე კუნტად არ დარჩებოდა „ვეფხისტყაოსნის“ დამწერი, ამოდენა სიცარიელე არ გვექნებოდა. მეორე მხრივ, როცა ამხელა შევეტილის შემდეგ დადგა მცირეოდენი სულის მოთქმის დრო, ილორძინება იწყო ქრისტიანულ კულტურაზე დაფუძნებულმა ქართულმა მწიგნობრობამ. გამოჩნდა მძლავრი, ხალხურ, ეროვნულ ფესვებზე ამოხრდილი ნამდვილი ტალანტი — დავით გურამიშვილი. მან არა მარტო შეისისხლხორცა რუსთაველის ტრადიციები, კიდევაც გადალახა, დასძლია მრავალსაუკუნოვანი ინერცია ჩვენდა იღბლად გადარჩენილმა „დავითიანმა“ ახალი ადამიანი დაგვანახა, უზარმაზარი ეპოქა შექმნა ქართულ პოეზიაში, ახალი ხმები დაამკვიდრა, განახლებულ, გამდიდრებულ პოეტურ კულტურას დაუდო სათავე. თავისი პიროვნებითა და შემოქმედებით თუ ვინმე მიუახლოვდა რუსთაველის სიმაღლეს, ეს ისევ და ისევ დავით გურამიშვილია, თუმცა თვითონ ქრისტიანული თავმდაბლობით ირწმუნებოდა: „მე რუსთაველსა ლექსს არ უდრი, ვით მარგალიტს — ჩალის ძირსა“.

გალაკტიონ ტაბიძის სიყვარულში, ვფიქრობ, სხვებს არც მე ჩამოვრჩები; მისი სრულიად განსაკუთრებული როლიც კარგად მაქვს გაცნობიერებული, მაგრამ რაიმე მოვლენის უზომოდ გაფერიშება ჩვენს ლიტერატურას ვერ მოუტანს სარგებლობას.

გადამეტებამ და ორიგინალურად თქმის სურვილმა იქამდე მიგვიყვანა, რომ, ვგონებ, ესეც ითქვა — გალაკტიონის სიღიდის პოეტის დედამიწის ზურგზე არ გაუვლიათ. ეს რომ წაეკითხა, თვითონ გალაკტიონი, მიუხედავად იმისა, პატარა აზრისა არ იყო თავის თავზე, უეჭველად გაწითლდებოდა.

გალაკტიონ ტაბიძე რუსთაველური ტრადიციების ღიღი, ღირსეული მემკვიდრე იყო და ამ უკვდავი ხაზის ჩვენი ეპოქის შესაფერისად განმახლებელი და გამგრძელებელი. მას, ყველა დიდი

შემოქმედის მსგავსად, გათვალისწინებული პქონდა მსოფლიო პო-
ეზიის უძლიერესი გამოცდილება.

სხვისი დაღეჭილი ლუკმის ცოხნა ვერაფერი სახარბიელოა და
ამიტომაც ეპიგონებს, ბრძა მიმბაძველებს არასოდეს არაფერი შე-
უქმნიათ.

წინა თაობათა პოეტებმა ოქროს მთებიც რომ დადგან, მათი ხა-
ზი თავისებურად თუ არ გაგრძელდა და განვითარდა, თუ გაწყდა
ცოცხალი კავშირი, ყველაფერს აზრი ეკარგება. სხვისი სიღიადით
სამუდამოდ „მონუსხული“ და გაოგნებული პოეტი (ასეთი პოე-
ტის აჩვებობა საეჭვოა) ვერაფერს ლირებულს ვერ შექმნის. ამ-
დენად, ნამდვილი პოეტის, თანამედროვე ქართული ლექსის წინა-
შე არ შეიძლება გადაუჭრელ პრობლემად იდგეს „გალაკტიონის
მომნუსხველი პოეტური მოდელისაგან განმსგავსების სირთულე“.

ხშირად გაიგონებთ — გალაკტიონმა ლექსის ერთი მხარე (ალ-
ბათ ლექსის მელოდიურობას გულისხმობენ) მთლიანად ამოწურა
და ახლა სხვა გზით სიარულია საჭიროო. ყველა პოეტი იმ გზით
მიღის, რაც მის შინაგან ბუნებას შეჰვერის, ხოლო გალაკტიონ
ტაბიძე თავისი დასაწერი დაწერა, არაფერი არ ამოუწურავს (ალ-
ბათ არც საკუთარი უნარი); მას ერთი თემა, ერთი მოტივი, ერთი
რომელიმე საზომი თუ სალექსო ფორმა არ აულია და მისი ვარი-
აციები არ დაუტოვებია. იგი მრავალ სიძნელეს შეეჭიდა, ქართუ-
ლი ლექსის მრავალი ფარული შესაძლებლობა გამოავლინა, ათასი
ხმა მოსინჯა და ააელერა, ზოგი რამ მხოლოდ მიანიშნა...

გულუბრყვილობა იქნებოდა იმის ფიქრი, თითქოს პოეტის ეს
კოლოსალური გარჯა დაატყვევებს მის შთამომავლებს, ხანგრძლივი
დროით შეაჩერებს ქართული პოეტური სიტყვის განახლებას. არ-
ავისათვის არ აჩის ახალი ამბავი, რომ ცოცხალ ლიტერატურას ერ-
თი ადგილის ტკეპნა არ უყვარს და ასეთი რამ ამჟამად არც თანა-
მედროვე ქრთულ პოეზიაში შეიმჩნევა.

გა უაკტიონ ტაბიძის ფენომენი დამმუხტავი, ბიძგის მომცემი
უცროა, ვიდრე დამაბრკოლებელი, უცნობ მწვერვალთა დასაცარო-
ზად განაწყობს ახალ თაობებს და არა ნირგანაში დასანთქმელად.
სხვისი დანატოვარით ტკბობა, უმოქმედობა სიკვდილს მოაწავ-
ებს

ერთი რამაც უნდა აღინიშნოს. ჩვენ ხშირად ვართ ილუზიების



ტყვეობაში, იოლად ვიჯერებთ, ურყევ ჭეშმარიტებად ვთვლით, რომ ქართველი პოეტი ორჯერ პოეტია და საქართველო პოეტების ქვეყანაა, თითქოს სხვა, დიდი ლიტერატურის შემქმნელ ერებს აკლდეთ საქვეყნოდ სახელგანთქმული პოეტები და ჩვენ შემოგვნატროდნენ. თან ამით საქმეს ვიიღოთ, გრაფომანებს ვამზავლებთ, ვივიწყებთ, რომ მომადლებული, იშვიათი ნიჭის გარდა პოეტობას სატანური შრომა, მსხვერპლად შეწირგა ჭირდება.

ირაპლი პენოზვილი: ნება მიბოძეთ დავხძინო: შინაარსი, რომელსაც სდებენ ისეთ მოარულ ფორმულებში, როგორიცაა „საქართველო — პოეტების ქვეყანა“, „გალაკტიონი — მსოფლიოს უდიდესი პოეტი“ და სხვ., პროვინციული ყოყლობინობის გამოვლინებაა, რომელიც ნამდვილად არ შეგვიტრის. ამით დავამთავროთ საუბარი, რომელშიც, ვფიქრობ, როგორც თქვენი, ასევე ჩვენი პოზიცია საკმარისად გამოიკვეთა.

შოთა რეზნიანიძე

1. ყოველი ნამდვილი პოეტი სწორედ მისეული ძიებებისა და მიგნებების წყალობით არის პოეტად მიჩნეული. მაგრამ ეს ძიება-მიგნებები აღიქმება მხოლოდ როგორც საკუთარი ხელშერა და არა ისეთი განსხვავებული განშტოება თუ მიმართულება, რომელიც ლიტერატურათმცოდნების ტერმინს საჭიროებს.

2. XX საუკუნის 10-იან წლებში ქართულ პოეზიაში კარდინალური გარდატეხა მოხდა. ახლა სულ უფრო ხშირად გაისმის ხოლმე ხშები მოსალოდნელი გარდატეხების შესახებ, უმეტესად ახალგაზრდებს შორის, მაგრამ ჯერჯერობით ამგვარი ცვლილებები არ შეინიშნება. ჩვენი აზრით, ცვლილებები, თუკი ისინი ეროვნული ფესვებიდან არის ამზრდილი, სასურველია და აუცილებელიც. ჩემი რწმენით, ქართული პოეზიის რეფორმა მოსალოდნელია არა გარეგანი — ვერსიფიკაციული, არამედ შინაგანი — სულიერი.

ირაპლი პენოზვილი: ამ საკითხისათვის ჩვენს კრიტიკას ამგვარად ან ზუსტად ამგვარად არ შეუხდავს. ლირს ამაზე დაფიქრება!..

3. თუ არ ვცდები, გურამ ასათიანმა ამ სტილს „ირონიულ-ანალიტიკური“ სტილი უწოდა. მგონი ეს ტერმინი უფრო მისაღე-



ბია, რადგან უფრო ზუსტად გადმოსცემს სათქმელს. ასეთი პოეტი ჩია სათავეს იღებს შუა საუკუნეების არლეკინოების და შექსპირის „მესაფლავეების“ მონოლოგებიდან.

4. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქართულ პოეზიაში სიცილის ტრადიცია ოდითგანვე არსებობდა. აქ აუცილებლად უნდა გავიხსენოთ ჩვენი ფოლკლორი და ქართული პოეტიკის ისეთი რეფორმატორი, როგორიც დავით გურამიშვილი იყო. შემდეგ და შემდეგ ეს ტრადიცია არამც თუ ქრება, პირიქით, უფრო მძლავრდება ილის, აყავის, გალაკტიონის შემოქმედებაში. ამიტომ თანამედროვე პოეზიაში სიცილის მონათვლა „რეაქციის“ სახელით, ვგონებ, მცდარი უნდა იყოს. რამდენადაც მეხსიერება არ მღალატობს, დღემდე მსოფლიოში არავის უარუყვია უკიდურესად სერიოზული ლექსი და არც სიცილის გამოვლინება აუკრძალავთ პოეზიაში. ეს ორი მცნება მუდამ გვერდიგვერდ თანაარსებობდა და აღბათ იარსებებს კიდეც. აქ ამოსავალ წერტილად ერთი რამ არის გასათვალისწინებელი: სათქმელისათვის ფორმის მოძებნა, თორებ ნაკლებ სერიოზულ ლექსად სულაც არ მიმაჩნია „ჩვენისთანა ბეღნიერი განა არის სადმე ერი?“

ირაპლი პენჭოშვილი: მართლაც, არც ჩვენ გვაკონდება ის-გთი შემთხვევა, რომ სიცილის ფორმებით ან ელემენტებით აღბეჭდილი წევები არაესთეტიკურ მოვლენად ჩაეთვალოთ. კომიური ნილაბი (მე თქვენს აზრს ვაგრძელებ) სერიოზულობის გამოვლენის ფორმაა და არა მისი ანტიპოდი, რამეთუ „სიცილი ზოგჯერ ცრემლზე მწარეო“.

5. ამგვარი დაყოფა ქართულ პოეზიაში ცოტა ხელოვნურად მიმაჩნია.

ირაპლი პენჭოშვილი: ჭეშმარიტად! ქართული პოეტური ტრადიცია ნაკლებ დიფერენცირებულია, უოველ შემთხვევაში მის ცალკეულ ეტაპზე, ვიდრე ამას ადგილი აქვს ზოგიერთი დიდი ერთი ლიტერატურაში.

6. ახალგაზრდობას უმეტესად ახლის ძეგბა სჩვევია, ამიტომ აღბათ შესაძლებელია მათ შემოქმედებას პირობითად „ავანგარდისტული“ ვუწოდოთ. ამ ბოლო ათწლეულში მრავალი ახალი სახელი გაჩნდა ქართულ პოეზიაში. ისინი ახლა იდგამენ ფეხს. მაგრამ არც არ უნდა სხვადასხვაგვარი იყოს მათი პოეზია, ერთი არსები-

თი შტრიხი მაინც შეინიშნება — სწრაფვა ქართული კლასიკური ლექსის რღვევისა და ლექსის „გონიოთი“, შეიძლება ითვას მათე-მატიურად ზუსტი გააზრებისაკენ. რამდენად მისაღებია ან მიუ-ღებელი ასეთი პოეზია, მოღით ამაზე ნუ ვილაპარაკებთ. მაგრამ ცხადია — ამ ახალგაზრდებმა არც ის უნდა დაივიწყონ, რომ პოე-ზის უმთავრესი კომპონენტი ემოციურობა გახლავთ. პოეზიაში მაღალი დონე ვერ მიიღწევა ეროვნული და მსოფლიო პოეტური მემკვიდრეობის კრიტიკული ოთვისების გარეშე, რასაც დიდი დრო ჰქინდება და ახალგაზრდულ ასაკში ვერ მიასწრებ.

7. რვა და ათმარცვლიანი საზომები ტევადია და მოქნილი. სა-ზომების, რიტმების მრავალფეროვნება სულის მდიდარ გრადაცი-ებსა და რჩევებზე მეტყველებს. ხოლო რამდენად პერსპექტიულად მიმართია ქართული ლექსის რღვევა და მისი „გაპროზაულება“, ამის შესახებ მე უკვე მქონდა სერიოზული ლაპარაკი და ახლა მიზან-შეწონილად აღარ მიმართია მისი გამეორება.

8. უდველესი გამოქვებულების კედლებზე პირველყოფილი ად-ამიანების მიერ ამოკაჭრულ ნახატებში ხელოვნების სპეციალის-ტებმა აბსტრაქციონიზმის, ექსპრესიონიზმის და სხვა მიმართულ-ებათა ნიშნები აღმოაჩინეს. თუ შთაგონება ღვთაებრივი აქტია, მაშინ ასეთი ფენომენით აღმოჩენილ ნაწარმოებში თითქმის ყოველ-ნაირი მხატვრული ხელწერის სტილის ნიშნებს ამოვიყითხავთ, თუ-ნდაც ამ სტილის ფილოსოფიურ-თეორიული რაობა არც გვქონდეს გაცნობიერებული... საკუთარ სტილზე ვერაფერს გატყვით, ეს სხვების საქმეა.

9. ვეონებ ქართულ ენაში არც ისე მკვეთრია ეს „დადგენილი ბალანსი“, თუ, რა თქმა უნდა, „სასაუბრო ენაში“ უარგონს არ გუ-ლისხმობთ.

ირაკლი პენჯოზვილი: რასაკვირველია, მხოლოდ უარგონს არ ვგულისხმობთ.

— ლიტერატურული ენის სასაუბროსთან დაახლოება აღბათ თვით ლექსის თემატიკით არის გაპირობებული. თანამედროვე პო-ეზიაში თანდათან იკლებს პათოსი და პოეტური მეტყველება ინ-ტიმურ, მეითხველთან გულახდილი საუბრის ფორმას იღებს. თუმ-ცა უკიდურესობა არც ამ შემთხვევაშია დასაშვები. არ უნდა და-

გვავიწყდეს, რომ ქართული სალიტერატურო ენა საუკუნეთა შან-ძილზე ვითარდებოდა და ისიც უნდა გვახსოვდეს, ვინ გვიანდერ-და ეს ენა. ამიტომ თქვენს კითხვაზე ერთი სიტყვით შემეძლო მე-პასუხა: ზომიერება. მე საერთოდ ბუნებრივი ტონის მომხრე ვარ. გააჩნია თემას, განწყობილებას, ეს ბუნებრიობა ზოგჯერ ლიტერა-ტურული ენით მიიღწევა, ზოგჯერ — სასაუბროთი. სირთულის უბრალოდ გამოხატვა მიმაჩნია ოსტატობის უტყუარ მაჩვენებლად.

10. ამ ლირიკული პოემების მთავარი ნიშნებია სიუჟეტის არა-მკაფიობა, კომპოზიციის არასისტემური, დარღვეული ხასიათი. მა-თში დომინირებს ეთიკური, ფსიქოლოგიური პრობლემატიკა. ავტ-ორის ანდა ლირიკული გმირის განცდების სიმბოლური, ფილოსო-ფიური ხასიათი ჩრდილავს ყველაფერს, მოვლენათა აღწერასა თუ განვითარებას, ცხოვრებისეულ ყოფით დეტალებს. ლირიკული პოემების შთამბეჭდაობა ძირითადად მიღწეულია აზროვნების გზით, ლირიკული გმირის სულიერი სამყაროს რენტგენით.

11. ჩემი პირვანდელი ლექსები მხოლოდ მაშინ მომწონდა, რო-ცა მათ ვწერდი... ჩემი პირველი კერპები იყვნენ ისეთი განსხვავე-ბული პოეტები, როგორებიც არიან, ერთი მხრივ, ვაჟა-ფშაველა და რ. ბერნისი, მეორე მხრივ, შექსპირი და უიტმენი. მათ არც ახლა და-უკარგავთ ბრწყინვალება და პირველი აღმოჩენის სიხარული.

12. გალაკტიონმა ეპოქა შექმნა პოეზიაში. ეს ეპოქალურობა არც ისე ხშირია და საუკუნეში ერთხელ ან ორჯერ შეიძლება გან-მეორდეს. ამიტომ არც არის გასაკვირი, რომ წლების მანძილზე ქართული პოეზია გალაკტიონის გავლენას განიცდის. ბოლო ათ-წლეულში განსაკუთრებით იგრძნობა მისი პოეზიის მომნუსხველი ხიბლისგან განთავისუფლების ცდა. ნაწილობრივ ამითაც შეიძლე-ბა აიხსნას ჩემი პოეტების ვერლიბრით გატაცება.

ირაპლი პენზვილი: შეიძლება თუ არა ითქვას, რომ გა-ლაკტიონმა რაღაც ამოწურა, რაღაც დაამთავრა?

— გალაკტიონმა დაამთავრა გარკვეული ტიპის ქართული ლექ-სის ორკესტრიორება. პოეტების ძიება და მცდელობა ამ მიმართუ-ლებით, ალბათ, არცაა საჭირო. ეს ჩემი პირადი მოსაზრებაა, სხვას არავის გახვევ თავზე.

გალაკტიონის წყალობით ვირტუოზულად თრკესტრიორებულ



ქართულ ლექსის დღეს მეტი სილრმე სჭირდება. თუ ფიგურალუ-კონკრეტული რად ვიტყვით: საჭიროა ის სილრმე (ანუ ხარო), სადაც ორკესტრი ხმიანებს.

მორის ფოცეიზვილი

1. დღევანდელი ქართული პოეზიის მდინარება, მისი დინამიკა, გარკვეული აზრით, უშუალო გაგრძელებაა 50-60-იან წლებში დაწყებული პროცესებისა. ამასთანავე, ისიც უნდა ითქვას, რომ, მაგალითად, 10-იან წლებში პროცესები უფრო სწრაფად მიმდინარეობდა და ვულკანის გაღვიძებას ლავის გაღმოსვლა სწრაფად მოჰყვა. მაგრამ აშკარაა ისიც, რომ ამ ოცდაათი წლის წინათ დაწყებული პოეტური გაზაფხული დღეს ახალ განხომილებაშია გაღმოსული. სულ უფრო მეტად იჩენს თავს დაძლევა ისეთი ფორმებისა, რომლებიც ახალი სათქმელის გამოხატვისათვის შემბოჭველი აღმოჩნდა. ლაპარაკია მხოლოდ ფორმებზე, თორემ მარად უცვლელი რჩება ეროვნული პოეზიის გენეტიკური კოდი. ქართველი კაცი რტყვის: „გზა გველივით იყლაკნებოდა“. თავისთავად ეს გამოთქმა შედევრია პოეტური მეტყველებისა. მასში ჩანს ქართული მხატვრული სიტყვის მარადიული არსი: სიურრეალისტური, მაგრამ ერთ განხომილებაში დანახული რეალობა. მხატვრული ფორმები იცულება, პიროვნებას ეპოქა ყყალიბებს, მაგრამ პოეზიის „სული“, როგორც მას შეჰქერის, უცვლელი რჩება.. დღევანდელ ჩვენს პოეზიაში არაერთი განშტოებაა, ზოგი მათგანის კალაპოტი უფრო გამოკვეთილი და ჩამოყალიბებულია...

ირაპლი კენცოშვილი: როგორ ხედავთ ანა კალანდაძის პოეზიას ამ განშტოებათა სისტემაში?

— ანა კალანდაძის ლექსში ერთობ საგრძნობია ქართული პოეტური მეტყველების ძირების ნოსტრალია, რომელიც მდინარის სათავეებთან მისელას, მაგრამ არა იქ დარჩენას, არამედ მიღებული შთაგონებით უკან დაბრუნებას გულისხმობს. შეიძლება ითქვას, ანა კალანდაძის ლექსი ცალკე განშტოებაა.

ირაპლი კენცოშვილი: დიახ, სათავეებთან მისელით არის გაპირობებული ანა კალანდაძის ისეთი შედევრები, როგორიცაა,



ვთქვათ, „თქვი, არჩაკელო ხვიარა“. მაგრამ, ვფიქრობ, ან უკალანი დაძე ყოველთვის ვერ ახერხდს მდინარის სათავეებიდან გამობრუნებას. ამ მდინარის სათავეს — პიმნოგრაფიასა თუ ფოტოლირს თავისი ხიბლი აქვს, მაგრამ მათი პოეტიკა, ძველი ჭელური ხელოვნების მსგავსად, მყარი, სტაბილური ფორმებისაკენ მიისწრავ-ვის და ნაკლებად იძლევა ინდივიდუალიზმების საშუალებას. მე მგონი, საგულობლებთან თუ ხალხურ ლექსთან „შეჯიბრი“ ზღუდავს ანა კალანდაძის პოეტურ შესაძლებლობებს.

— ფორმა ყოველთვის გამართებულია, თუკი აუცილებლობითა და შინაგანი მოთხოვნილებითაა გამოწვეული. ნაზი კილასონის ლექსებშიც ვხედავთ მიბრუნებას უძველეს ძირებთან და შედეგი აქაც საგულისხმოა. თითქოს მთლიანად გაწყვეტილია კავშირი კლასიკურ ლექსთან მუხრან მაჟავარიანის პოეზიაში, მაგრამ — მხოლოდ ერთი შეხედვით. მის ლექსებში მძლავრად იგრძნობა ნოსტალგია ძველი ქართული ენის პლატიკურობისა. აქაც გენეტიკურად მოდის საკუუნეთა დამღით აღბეჭდილი სიტყვა. ავილოთ თუნდაც ლია სტურუას ლექსები. ზოგს, ვგონებ, აღიზინებს მისი მხატვრული ფორმის ორიგინალობა. მაგრამ აქაც არის ნაცნობი, ტრადიციული საწყისი, განახლებული და ახალი მიზნებისათვის გამოყენებული.

2. კრიტიკოსს აქვს უფლება ილაპარაკოს პოეზიის ამოცანებზე. მაგრამ თავად პოეზია იმდენად ბუნებრივი მოვლენაა, რომ მის წინაშე არავითარი სხვა ამოცანა არ დგას, გარდა ერთისა: დარჩეს პოეზიად, არ უღალატოს თავის დანიშნულებას. პოეტური სიტყვის სფეროში ახალი ტრადიციის დაწყება. და „რევოლუცია“ ერთობ პირობითად უნდა გავიგოთ. ზოგჯერ ამბობენ: ტრადიცია ბარათაშვილისა, აკაკისა, გალაკტიონისა. მაგრამ, თუ დავუკვირდებით, გალაკტიონში არის როგორც ბარათაშვილის, ასევე აკაკის და, სხვათა შორის, ბესიკის საწყისიც. დიდი სიახლითაა აღბეჭდილი პერედის სონეტები, მაგრამ თავად ფორმა არ-ახალია, ტრადიციულია. აღბათ თვით პირველი სონეტებიც კი არა სრულ, აბსოლუტურ ნოვაციას, არამედ უკვე არსებული ფორმების მხოლოდ დაწმენდილ, დაკრისტალებულ სახეობას წარმოადგენდნენ.

ირაპლი კენცოშვილი: თქვენს ლირიკაში, ისევე როგორც ჭოვიერთ სხვა პოეტთან, შეიმჩნევა მცირე, მინიატურული ლექსების მოქარება, რომლებიც ფართო ემოციური და լექსიკური სკექტრით ხასიათდებიან და ღლევანდელ ქართულ პოეზიაში საინტერესო და კრიტიკის მიერ წაკლებად შემჩნეულ და შევასებულ მოვლენას წარმოადგენენ. აქვთ თუ არა ამგვარ ლექსებს რაიმე საერთო იაპონურ და ჩინურ კლირიკულ მინიატურებთან?

— არაფერი. (სხვათა შორის, ერთმა იაპონერმა პოეტმა ჩემიან საუბრისას „თანქა“ და „ჰაიქუ“ წარმოსთქვა და არა „ტანკა“ და „ჰაიკა“, როგორც ჩვენში წერენ ხოლმე). თანქაც და ჰაიქუც, სონეტის მსგავსად, ლექსის მყარ, სტაბილურ და უაღრესად რთულ ფორმას წარმოადგენენ, ხოლო ღლევანდელი ქართული მინიატურული ლექსი იმპროვიზაციას ემყარება, მასში არის ერთგვარი „თამაშის“ ელემენტი და ბუნებრივად, შინაგანი მოთხოვნილებით იბრუნდება. სხვათა შორის, ჩემი ლექსი „ნიშნისმოგება“ ავალყოფობისას სიკეთილ-სიცოცხლეზე ფიქრისას ზეპირად ჩამოყალიბდა და მხოლოდ მოგვიანებით გადავიტან ქაღალდზე. ტრადიციულია თუ არა ეს მცირე ლექსები? ტრადიციულია და ასეთია ისინი იმ აზრით, რომ მათში იგრძნობა ნათესაობა, ორგანული კავშირი ქართული სენტრულიურობისა თუ ხუმრობის ბუნებასთან. ასე რომ, რაიმე ფორმის „გამოვონება“ არ მწამს. ადამიანის, პოეტის სული დინამიკურია; დინება თვითონ აყალიბებს თავის კალაპოტს. პოეზია ქმნის იმ ფორმებს, რომლებშიც „სული“ ბუნებრივად, აღეკვატურად თავსდება.

3. არა აქეს პრინციპული მნიშვნელობა, რას დავარქმევთ, რომელი სიტყვით მოვნათლავთ იმ ტიპის ლექსს, რომელსაც ირონიულ-არპოდიულს უწოდებენ. მოქლე ტერმინი — „ირონიული ლექსი“ აგრეთვე სავსებით მისაღებია. მთავარია არ გამოვეკიდოთ ტერმინის ეტიმოლოგიას და ვიცოდეთ, რა შინაარსს ვქვემოვთ მასში.

ირაპლი კენცოშვილი: იმგვარი ლექსებისადმი, რომლებსაც ჩვეულებრივ ირონიულს თუ ირონიულ-პაროდიულს უწოდებენ. კრიტიკოსთა თუ პოეტთა შორის სხვადასხვა დამკიდებულება არსებობს: დადებითი, უარყოფითი და „მომთმენი“. ზოგჯერ თავს 6. კრიტიკა № 2



იჩენს მათდამი დაპირისპირების ასეთი ფორმაცია: ამგვარი იშოგიშიძის უფლებამოსყლებას არ უარყოფენ, ოღონდ სკეპტიკურად უუურებენ დღევანდელი ქართული ირონიული ლექსის კონკრეტულ გამოვლინებებს. თქვენ როგორ აფასებთ ამ ტიპის ლირიკას?

— მე ღრმად მწამს, რომ ბოლო დროის ქართულ პოეზიაში შემოქმედის, პიროვნების სული, სიხარულისა და ტკივილის განუყოფელი ერთიანობით, ყველაზე მძაფრად და გამჭვირვალედ ირონიულ ლექსში გამოვლინდა. თუ რამ განაპირობა ამგვარი ლირიკის წინა პლანზე აღმოჩენა, სულის სწრაფვა ამ ფორმით გამოვლენისაჲნ, თუ რატომ გამოიკვეთა ირონიული ლექსის საერთო პოეტური დინებიდან ასე წმინდად და კამკამად, ამას მრავალი მიზეზი მოეპოვება ცხოვრებაშიც და ხელოვნებაშიც. უმიზეზოდ არათერი არ ხდება. პოეტის სული ამგვარ ლექსებში ბუნებრივად ვლინდება. ის რაღაც არსებითი, რაც ირონიული ლექსის სპეციფიკას ვანაპირობებს, დღეს ჩვენი ხელოვნების ყველა დარგში შეიმჩნევა, ფერწერაშიც კი... ქართველობა მხოლოდ „ხმალს“ არ გადაურჩენია, სხვა ღმერთიც გვიცავდა — სული ირონიული. თუ ღრმად დავუკვირდებით, სიტყვები — „საწუთო“, „წუთისოფელი“ ირონიის შემცველიცაა... წარმოიდგინეთ გრძელი ზამთრის მანძილზე ჩვენი მთის ერთმანეთისაგან დაშორეული, განცალკევებული დასახლებანი. აღამიანთა შორის სრული გაუცხოება მოხდებოდა, მაგრამ აი, ჯმუხმა მთიელმა ქედს გადაღმა რამდენიმე ირონიული სტრიქონი გადავზაგნა, ორ პუნქტს, ორ სულს შორის უშუალო, თბილი კავშირი დამყარდა. ეს კონტაქტი ხსნა იყო აღამიანის სულისათვის. დღეს, შეიძლება ითქვას, რომანტიკულ კილოს ირონიული კილოცვლის, თუმცა, რასაკვირველია, მათი სრული გათიშვა შეუძლებელია. რომანტიზმშიც არის ირონიის სული. მე ვფიქრობ, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსში „ფიქრი მტკვრის პირზედ“ ბოლო სტროფი, თავისი მოულოდნელი დასაწყისით — „მაგრამ რაღგანაც კაცნი გვქვინან...“ არ წმინდა რომანტიკული, არამედ ერთგარი ირონიული ინტონაციით ხასიათდება. მეორე მხრივ, შეცდომა იქნებოდა მუხრან მაჭავარიანის ლექსის მხოლოდ ირონიამდე დაყვანა. მუხრან მაჭავარიანის ლექსი არის რომანტიზმი პლიუს ირონია. ციდან ჩამოვარდნილები არავინ არა ვართ; სიცილს, ირონიას,

ხუმრობას, იმპროვიზაციის საწყისს ჩვენს ლექსში უძველესი ძირები აქვს.

ირაკლი კენჭოშვილი: თქვენს კრებულებში „სარკე სარკეში“, „დისკო“ და სხვ. მრავალი ორინიული ლექსია წარმოდგენილი. ვინაიდან ჩვენი საუბარი არ ატარებს კერძო ხასიათს, მე, როგორც კრიტიკოსმა, მინდა გამოვხატო ჩემი პოზიცია. ჩემი აზრით, სწორედ ირონიული ლექსები წარმოადგენენ თქვენი შემოქმედების განსაკუთრებით ნოვატორულ და ამასთანავე მკითხველთან უშუალო კონტაქტის დამყარების ხელსაყრელ ფორმას. გარეგნული უდარდელი თუ თამაშისათვის განწყობილი ნიღბისა თუ ინტონაციის გილმა მოჩანს მოვლენებისადმი სერიოზული დამოკიდებულება. ასეა როგორც ვრცელ ლექსებში, მაგალითად — „პირველი ხუმრობა რეანიმაციის მეშვიდე დღეს“ და „ანტიაერობიკა“, ისე მომცრო ლექსებში, როგორიცაა თუნდაც თქვენს მიერ ზემოდხსენებული შემდეგი ლექსი:

ნიშნისმოგება

შენამდეც

მოვა

ამასთანავე ზოგ კრიტიკოსსა თუ პოეტს ამგვარი ლექსები „ფორმალისტურ ვარჯიშად“ მიაჩნია. რას იტყვით ამ „ბრალდებაზე“?

— რაიმე ფორმის, უანრისა თუ ხერხის თვითმიზნური გამოყენება ყველა ყაიდის, ნებისმიერი ტიპის ხელოვნებაში ხდება ხოლმე და არა მგლნია ამ მხრივ ირონიული ლექსი განსაკუთრებულად ცოდავდეს. ზოგჯერ ფორმალისტურ ვარჯიშად ის მიაჩნიათ, რასაც არაა შეჩევეული თვალი და ყური.

4. სიმბოლიზმი, ეს ფარული დემონი, ჰეშმარიტებასთან მიახლოვება არა განსხის გზით, არამედ ნიშანთა საშუალებით, გარკვეული აზრით პოეზიის მუდმივი ფენომენია... ირონიული ლექსის დაწინაურება და საერთოდ — ლექსში უშუალო, ბუნებრივი საუბრის, ხუმრობის, ოხუნჯობის, აზრის პარადოქსულად ჩამოყალიბების მოთხოვნილება გარკვეული პოეტური კანონის რღვევითა და დევალვაციითაც უნდა იყოს გამოწვეული.

5. ქართულ პოეზიაში ორი საპირისპირო ხასიათის პოეტური ტრადიციის გამიჯვნა შეუძლებლად მიმაჩნია. ჩვენში ერთი კოხტა-



გორაა პოეზიისა. ზოგჯერ ხდება დაგვიანება, მაგრამ ცოტნე მხოლოდ იმიტომ იგვიანებს, რომ მრევლს კრებს... ჩვენში გამოცალკევება ყოველთვის ლამის ღალატს ნიშნავდა.

6. ახალგაზრდულ პოეზიაში ბევრი შენარევია, ამ უკანასკნელთა თანაფარდობა ყოველთვის არაა სათანადოდ მოწესრიგებული. კრიტიკოსებმა უნდა დაადგინოთ ამ შენარევთა ხსიათი. არ ვიცი რატომ ხდება, რომ ნაწარმოებები, ავტორები არ გვამახსოვრდება. ერთგვარი ერთფეროვნებაც შეიმჩნევა. მაგრამ მე მწამს, რომ მალე გამოჩნდება ახალი ტალღა.

7. ხელოვნებაში შემთხვევით არაფერი არ ხდება. თუ დღეს ადამიანმა ქართულ ლექსში მეტწილად 8 და 10 მარცვლიანი საზომით „გაისაუბრისა“, ეს აიხსნება იმით, რომ პოეტი ტოვებს სალონს, ქუჩაში გამოდის, მას უჩნდება ადამიანებთან უშუალო კონტაქტის მოთხოვნილება და ამ მოთხოვნილებას ყველაზე მეტად ეს საზომები პასუხობენ. თუ დავუკვირდებით, მყითხველთან თავისუფალი, ბუნებრივი კონტაქტის მოთხოვნილებით წარმოშობილი ვერლიბრის ნაკვთთა შემაერთებელი რგოლი 8 ან 10 მარცვლიანი საზომებია. თვით ორ და სამ ტავიან ლექსებშიც კი ამოსავალ თუ საყრდენ საზომებს 8 მარცვლები და 10 მარცვლები წარმოადგენენ.

8. დღეს პოეზიაში „სასაუბრო“ ენის მოჭარბება განსაკუთრებით ცხადად ვერლიბრში მოჩანს. ლექსი დღეს ყოველთვის აღარაა, ასე ვთქვათ, „მღერადი“. ეს გამოწვეულია იმით, რომ კლასიკური ფორმებით თქმული სიმართლე, ზოგჯერ უაღრესად მწარეც კი, თითქოს მაინც ტკბილია. ჩვენ ისეთ ეპოქაში ვცხოვრობთ, როცა კაცობრიობის გადარჩენაზეა ლაპარაკი. დღეს პოეზიის წინაშე დადგა ამოცანა — შეუმსუბუქოს ადამიანს ფიქრი კატასტროფაზე და სიკეთისათვის განაწყოს იგი. ადრე ამას რელიგია აკეთებდა. ამიტომ პოეზიას არ შეუძლია შემოიფარგლოს სალონის, რჩეულთა წრის ან თუნდაც უტკბილესი სიმღერის ენით.

10. ლირიკულ პოემათვან განსაკუთრებით გამოვყოფ ჯანსულ ჩარკვიანის „რწმენის კედელს“. ასევე მიიქცია ყურადღება ბესიკ ხარანულის, ტარიელ ჭანტურიას, ემზარ კვიტაიშვილის ლირიკულმა პოემებმა. ეს უანრული სახეობა საინტერესოა მაშინ, როდესაც იგი მონოლოგია (ასეთი მონოლოგი იყო ამ ბოლო დროს შოთა ნიშნი-



ანიძის „კატის რექვიეში“) და არა ლირიკული სენტრენციებით გაზიარდებული სხვადასხვა ამბავთა თხრობა. სწორედ თხრობისაკენ სწრაფვა მიმაჩნია, სხვათა შორის, ვოზნესენსკის, ევტუშენკოს, როუდესტვენსკის ლირიკული პოემების ერთ-ერთ ნაკლად, რაც არ შეიმჩნევა ბელა ახმადულინასთან.

11. შეუძლებელია ბევრი კერპი გყავდეს და მალე იცვლილ მათ. ჩემს პირველ ლექსებზე მაგონდება ა. აბაშელის სიტყვები: „მე ამ ლექსების ერთ მეოთხედს ახლად დავწერდი, რომ ნათქვამ სიტყვის დაბრუნება შეიძლებოდეს!“ მაგრამ იქაც უშუალო ვიყავი ალბათ.

12. ჩვენ გენიოსებზე ვლაპარაკობთ. მათში არის რაღაც „ტირანულიც“: შეთეისება იმისა, რაც მანამდე იყო და ზეგავლენა იმაზეც, რაც მათ შემდეგ იქნება. გენიოსთა „ტირანიის“ დაძლევა არც ისე ადვილია. ამას მხოლოდ ერთეულები ახერხებენ. ზოგს, მათ შორის ახალგაზრდებსაც, გალაკტიონის სიმზე გაურბის ხელი. გალაკტიონის პოეტური მოდელის დაძლევა მისგან გაქცევით შედეგს არ გამოიღებს. უფრო მიზანშეწონილად მიმაჩნია ასეთი მოძრაობა: გალაკტიონისაკენ! — და გალაკტიონისაგან!

ირაკლი კეცორშვილი: სასურველად მიმაჩნია ეს ფორმულა სათნადოდ გააცნობიერონ ახალგაზრდა პოეტებმა, რომელთა ლირიკის თქვენმიერ ხსენებულ „შენარევებში“, ჩვენი აზრით, მოჭარბებულად, გათავისების გარეშე იჩენს ხოლმე თავს „გალაკტიონიზმი“.

— თვითონ გალაკტიონი ყველა „იზმსა“ თუ „გავლენას“ თავისი სულის ქურაში ხარშავდა.

ენა და მნერალი

□ □ □

რა ვეღარ მისვადეს ქართულს...

□
 იზა ორჯონიძიძე
 □

ქართველი მწერლის ღირსებას, უპირველეს ყოვლისა, ქართულ სიტყვასთან პატიოსანი დამოკიდებულება განსაზღვრავს. არ უნდა გავაუფასუროთ ჩვენი უძველესი იარაღი — სიტყვა, არ უნდა დაუუკარგოთ მას პირველქმნილი ელვარება, უდარდელად არ უნდა მოვისროლოთ იგი საეჭვო მხატვრული ღირსების თხზულებებში. სხვას რაღა მოვკითხოთ, როცა ზოგჯერ თავად ქართველ მწერლად წოდებული ეპყრობა უდიერად ქართულ სიტყვას?! მხატვრულად სუსტი და უსუსური წიგნები რომ მრავლადა გვაქვს, ახლა ამაზე არაფერს მოგახსენებთ; ზოგმა პოეტმა ლირიკული სულის მოდელის შექმნა რომ გადაწყვიტა და სურს იგი იმავ ფასად მოგვყიდოს, რა ფასიც ჩვენთვის უანგაროდ ბოძებულ დიდსა და ნამდვილ პოეზიას აძევს, არც ამაზე ჩამოვაგდებ სიტყვას. უფრო დიდი უბედურება გვჭირს. არ იფიქროთ, ვაჭარბებდე — უბედურებაა, მაშ რა არის, როცა მწერალმა არ იცის მშობლიური ენა,

არ იცის უამრავი ქართული სიტყვის მნიშვნელობა და ათავსებული მაგალითების შეუფერებელ, ყოვლად გაუმართლებელ კონტექსტში! მწერალმა, რომელმაც არ იცის სიტყვის მნიშვნელობა, რა ან როგორ უნდა გამოხატოს ამ სიტყვით?!

ყოველივე თქმული ფუჭი რიტორიკად რომ არ ჩამეთვალოს, სათანადო მაგალითებსაც მოვიტან. მანამდე კი ძალიან უმტკივნეულოდ დავძენ, რომ გულდასაწყვეტია, როცა ჩვენი გამომცემლობები სერიოზულად არ ზრუნავენ ქართული სიტყვის ღირსების დასაცავად, ფუჭად იხარჯება ქალალდი, ფულადი სახსრები და სულიერი ენერგია, როცა გრაფომანებისა და მწერლობას ამგზავრებულთა ოღტკინებას სალიტერატურო პრესის, გამომცემლობების, კრიტიკის პროფესიული პრინციპები და პასუხისმგებლობა არ უპირისპირდება.

დილარ ივარდავა ათამდე წიგნის ავტორი მაინც იქნება. ამ წერილის წერისას ხელთ მქონდა მისი ხუთი კრებული:

1. „რტოები არ იმსხვრევიან“, 1968.
2. „ლარჭემის ხმები“, 1971.
3. „ნათლის სამოსელი“, 1973.
4. „ლექსები“, 1978.
5. „ზაფხულის ელვა“, 1982.

ციტატებს ამ ნუმერაციის მიხედვით მივუთითებ. ტექსტის ანალიზითა და კომენტარებით ნაკლებად შეგაწუხებთ, მხოლოდ თავს ნებას მივცემ, ზოგიერთი უადგილოდ მოხმობილი სიტყვა განვუმარტო მკითხველს, ხოლო კოლეგებს, თუმცა ძალზე მოგვიანებით, მაგრამ ერთხელაც შევახსენო: თუ რომელიმე სიტყვის მნიშვნელობა არ ვიცით, ლექსიკონში ჩახედვა არ უნდა ვითაკილოთ. ახლა მოვუსმინოთ დილარ ივარდავას:

და გავუძელი სიკედილს და ოვლემას
და... დღის ალერსი ბეჭედ მაღნება,
გამჭრალა ჩემი გაქრობის გემა,
გადაქცეულა ფოლიანტებად.
მე ვუფრთხილდები ჩუქურთმას ვაზის
და დამწვარ ხორბლის უკედავ კამეას, —
ეს საოცარი უინი და აზრი
გარადისობის ხმათა კვალია. (1, გვ. 7-8).

„გემა“ ძვირფასი ქვაა, რომელზეც ამოკვეთილია წარწერა ან გამოსახულება. ამობურცულ გემას კამეა ჰქვია, ჩაღრმავებულს — ინტალიო. „ფოლიანტებად ქცეული გემა“ სახე არ გახლავთ — ეს სტრიქონი ბუნდოვანების კუთვნილებად უნდა ჩაითვალოს („ფოლიანტი“ დიდი ფორმატის წიგნია. გაქრობის(?) გემა როგორ ან რატომ უნდა გადაიქცეს ფოლიანტებად!). იგივე უნდა რთქვას „დამწვარი ხორბლის უკვდავ კამეაზეც“...

თითქოს გალობს ჭრელი ქერუბიმი
გაზაფხულის და... სიმწიფის ტოტზე, —
მიმოცოცავს მინდვრებს ნისლა რბილი,
მიმოქვევს დაცვარგულა შოლტებს.
ფარავს ეზოს დაფნის მწვანე გული,
დასცემია ტყემალს თეთრი ლოხი... (2, გვ. 13-14).

რად არის ქერუბიმი (უმაღლესი რანგის ანგელოზი) ჭრელი, ვერ-გეტყვით, ამჯერად მაინტერესებს სიტყვა „ლოხი“, რომელიც ტე-ქსტის მიხედვით თეთრია და თანაც ტყემალს დასცემია. განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით ლოხი ნიშნავს: 1) ზანტს, ზარმაცს; 2) ჭუჭყს; 3) ორაგულის მსგავს დიდ თევზს. ამ სიტყვის არცერთი მნიშვნელობა არ გამოაღვება დ. ივარდავას მოხმობილ კონტექსტში, რომ ცხადად დახატოს სურათი და მკითხველს გააგებინოს, რისი თქმაც სურს; ზმია „დასცემია“ არ მისცემს ამის საშუალებას. იგი საეჭვოს ხდის ყოველგვარ ვარაუდს.

მითელემილია ცრიატი ზამთრის,
გაუღერულდა ძენძეზი ლელმა,
გაქრა ამინდი ბერწიან ავთვლის —
დაბრუნდებაო ისევე? — ვეღარ! (2, გვ. 17).

ცრიატი — მბჟუტავი, მკრთალი (სინათლე); უმზეო, ღრუბლი-ანი (დღე, ამინდი). „ცრიატს“ დაესმის კითხვა „როგორი?“ ამიტომ „მითელემილია ცრიატი ზამთრის“ უხეში შეცდომაა.

ძენძეზი (იგივე ძანძახი) არის წვიმა, ჭყაპი, ტალახი (დიდი წვიმების შედეგად). ლელმა ყინული ან შეყინული თოვლია, რომელიც ღნობას იწყებს. ორივე არსებითი სახელია, არც ერთის განსაზღვრებად გამოყენება არ შეიძლება.

გაუგებარია, რას ნიშნავს სტრიქონი „გაქრა ამინდი ბერწიან ავთვლის“. რომ ეწეროს „ბერწი ავთვალის“, მაშინ ორი უკანასკნელი სიტყვის გაება მიახლოებით მაინც შეიძლებოდა. „ბერწიანი“ არ ვიცი, რას ნიშნავს. „ავთვლის“ ადგილას, მგონია, რომ ავთვალი, ნავსი, თარისი, თვალბეღითი უნდა იგულისხმებოდეს. მაშინ ავთვალი ნათესაობით ბრუნვაში არ უნდა შეგვეკუმშა. სწორი იქნებოდა „ბერწი ავთვალის“, თუმცა საქმეს არც ეს უშველიდა.

ფიქრმოხარული ვდგვარ და... ვცდილობ,
რომ დღეს მეც ხელმყოს ამგვარ თვისებამ. (2, გვ. 18).

ამ სტრიქონთა შინ ლაპარაკია გაზაფხულზე. ავტორს სურს მასაც გამოაჩნდეს უნარი გაზაფხულისა, გადაიხალისოს გუნება, ფიქრი და რატომღაც ხმარობს შეუფერებელ სიტყვას — „ხელყოფას“; მას ორი მნიშვნელობა აქვს: 1. ხელის მიყოფა, დაწყება; 2. ხელის შემართვა რაიმეს საწინააღმდეგოდ, მაგალითად, ლირსების ხელყოფა, ქონების, თავისუფლების, ენის სიწმინდისა და ა. შ. აქ არც ერთი არ გამოდგება.

მზის შუქი(...) ერთგულ ტარიგად
არწევდა ჩემი ბავშვობის სიზმრებს. (2, გვ. 19).

ტარიგი — კრავი უბიწო, თოხლი, ცხვარი; გადატანითი მნიშვნელობით — ზვარაკი, შესაწირავი. ეს სიტყვაც უადგილოდ არის მოტანილი, თანაც ვითარებით ბრუნვაში.

ათი ათასი ფართქალებს ჩერო,
კახეთის მზეს რომ დასხლტა ქობად. (2, გვ. 20).

ქობა — სამოსლის ბოლოზე შიგნიდან ხელის სიბრტყედ შემოვლებული სარჩული. გადატ. ზოლი რისამე კიდეზე (ქეგლ). როგორ დაუსხლტა ათასი ჩერო მზეს ქობად?

ქერეჭად ახვევს ტალღებს არავი. (2, გვ. 22).

ქერეჭი „მწერთა ფრთაა“ საბას მიხედვით. რა შუაშია ეს სიტყვა აქ?

ფერი ქართულ მიწის,
 ჩანგი ჩემი ცის,
 დღეს ნერვებში იწვის,
 სისხლში ბარძიმს ცრის. (2, გვ. 46).

ბარძიმი — საეკლესიო ფეხიანი ჭურჭელი ლითონისა, იხმარება ზიარების შესანახად (ქეგლ). „სისხლში ბარძიმის ცრა“ ყოვლად წარმოუდგენელი რამ არის.

მიწის და ზეცის მღვრიე გავაზე
 გაწვა სიჩუმე პირველყოფილი. (2, 49).

უნდა წაეკითხა ეს სტრიქონები ავტორს დაწერის შემდეგ, ან გამომცემლობის თუნდაც ერთ მუშაქს დაბეჭდვის წინ.

ძალიან სამწუხაროა, როცა პორტმა ასე „შორიდან და ასე „მია-
 ლოებით“ იცის მშობლიური ენა.

ვიყავ სიმღერა — კათაქმეველი...
 ტაძარში ჩქეფდა მზე და ზედაშე. (4, გვ. 51).

კათაქმეველი არის „პირი, რომელიც ემზადებოდა ქრისტიანუ-
 ლი სარწმუნოების მისაღებად“ (ქეგლ). რას უნდა ნიშნავდეს „ვიყ-
 ავ სიმღერა — კათაქმეველი“ ძნელი სათქმელია.

ჰაერის კვეთი ჯერდება ველად,
 რომ აღრიალდეს დაჭრილ გიენად
 მამულის მიწა ახლაც და ძველად
 მაქს საფიცრად და ოვალსაწიერად.
 მინდა ამ კავკასის მთების ბალიში,
 იყოს ქართველთა თავსასთუმალი. (6, გვ. 52).

კვეთი — დედა (მაწვნის), საფუარი, საღუარი (ცომის), დვრი-
 ტა, მაჭიკი... ასეა ლექსიკონებში. როგორც ვხედავთ, ჰაერის კვე-
 თი არსად არის მითითებული, არც მის გაჭერებაზე გვეუბნებიან
 რამეს და ისიც ველად! როგორ უნდა აღრიალდეს დაჭრილ გიენად
 ჰაერის ველად გაჭერებული კვეთი? ბალიში და თავსასთუმალი სი-
 ცონიმებია, „კავკასის მთების ბალიში“ რა ქართულია?!

დათმენით, სიბრძნით, სახიერებით
 ჯერ ვერ მიწოდეს ცეცხლის მიმრექმელი. (6. გვ. 142).

საცოდავად გამოიყურებიან გაუგებარ სტრიქონებში ჩაყრილი ქართული სიტყვები. „მიმრექმელი“ ნათლიას ნიშნავს, ვინც ნათლაგს კაცს ქრისტიანული წესის დაცვით. ვინ ან რატომ უნდა უწოდოს ცეცხლის ნათლია დ. ივარდავას მომავალში?

ახლა სხვა ვნახოთ:

შენი თმენა და შენი ლუსკუმა,
 უმანქოების თრთოლა — საკანი —
 ფიქრშიც მომყვება და... ვით მზის უნარს,
 დარღს, სახვალიოდ ზაფრაც კანკალით. (6. გვ. 60).

ლუსკუმა — „მაღალი საფლავია“ (საბა) ან სამარხი ყუთი, კუბო. სხვა მნიშვნელობით იგივეა, რაც „ლუსკუმი“ — ლუსკუმი ღამე, ბნელი ღამე. რა კავშირი აქვს ამ სიტყვას დანარჩენებთან? იქნებ თმენა არის ქალის მაღალი საფლავი, სამარხი, კუბო?

ახლა გადავაბათ: თმენა ქალისა, მისი მაღალი საფლავი, სამარხი, კუბო, უმანქოების თრთოლა, საკანი თან მიჰყვება ავტორს და ვით მზის უნარს (მზის რომელ უნარზეა საუბარი, უცნობია!) დარღს სახვალიოდ ზაფრაც კანკალით. გაიგე რამე, ჩემო მკითხველო? მაინც ვთქვათ, რომ ზაფრა (ავადმყოფობა, სიყვითლე) გადატანითი მნიშვნელობით იხმარება — აქედან არის ნაწარმოები დაზაფრული. მოულოდნელად, უეცრად შეწუხებულს, ფერწასულს, გულგახეთქილს უწოდებენ დაზაფრულს. დარღიანი და დაზაფრულიც ხშირად სინონიმებია. რა სურდა ეთქვა ავტორს წინააღმდებით: „დარღს, სახვალიოდ ზაფრაც კანკალით“?

და ასე ძარღში სისხლის კოწოლი,
 ხორცის სამეფოს წამით ვერ გაცდა! (6. გვ. 64).

ნეტავი როგორ მოხვდა ძარღვში ეს „კოწოლი“ ანუ თმის ნაწნავი, დალალი, ან სხვა მნიშვნელობით — კორიანტელი (ფშაურში), ან კიდევ — ცეცხლის ალი (ლეჩხუმურში)? რა ლოგიკით როთავსდა ეს სიტყვა ამ კონტექსტში?

მარიამობის წარმართულ ვნებას,
 ჩვენი წადილი და რელიგია,
 გარდუვალივით ეხმანება,
 რაღაც სამყარო ხმობს ელეგიას!
 იმ პირველყოფილ დასაბამიდან,
 თუნდ დაიღვენთო ლოცვალ, ველრებად, —
 ვინც კი სინათლის გზაზე გავიდა —
 თურმე ჩნდება და... მერე ბერდება! (6, გვ. 59).

დააკვირდით, რა აღმოჩენას გვთავაზობს პოეტი ბოლო სტრიკონში!

მარიამობის დღესასწაული ღვთისმშობლის სახელს უკავშირდება და 15 აგვისტოს მოდის (ძველი სტრილი). აგვისტოსაც მარიამობისთვეს ეძახდნენ ჩვენი ძველები. წარმართობასთან მარიამობას არავითარი კავშირი არა აქვს, წარმართულ ვნებასთან ამ სახელის დაკავშირება მკრეხელობაა. ელეგიას, სევდიანი განწყობილების ლირიკულ ლექსს, ან მუსიკალურ ნაწარმოებს, ასევე სევდიანს, რატომ ან როგორ ხმობს ანუ ეძახის სამყარო? რა კავშირი აქვს ყოველივე ამას „ჩვენს წადილთან და რელიგიასთან“, რომლებიც „გარდუვალივით ეხმანება მარიამობის წარმართულ ვნებას“? ვეჭვობ, ამისი ახსნა ვინმემ შეძლოს!

გაუქმებული შენი კითარა,
 კედელზე, როგორც მრავალწერტილი
 ჰქიდია და დარდს ვეღარ იქარვებს
 ჩემი სიმღერა გულდაწყვეტილი.
 ვიცი, იქნება ეს გახსენებაც
 გაუქმებული შავი კითარა... (6, გვ. 129-130).

კითარა — ძველ ბერძენთა სიმებიანი საკრავია. რა აქვს საერთო კითარას მრავალწერტილთან? გახსენება რატომ იქნება გაუქმებული შავი კითარა, არავინ იცის.

აწ გულის ზროსგან რაც დაიღვენთა,
 წმიდაა, როგორც ცოტნეს ზარადი. (7, გვ. 10).

ზრო — ისრის წვერი, საბას მიხედვით „ისრის ტანი“.

ზარადი — იგივეა, რაც მუზარადი.

გულის წვერიდან, ან გულის ღეროდან რაღაც დაღვენთილა,

რაც ისეთივე წმინდა ყოფილა, როგორც ცოტნეს მუზარადი?! გა-
ნა აქედან რაიმე აზრის გამოტანა შეიძლება?

ამოჩინჩხვრდება მთვარის ტიარა,
დაიცხილება ღრუბლის სარგანი
და ღვთაებრივი ჩემი იარა
სულს აკვენესებს, როგორც არგანი. (7, გვ. 10).

„ამოჩინჩხვრდება“ დ. ივარდავას მიერ შექმნილი სიტყვაა, ფუ-
ძე უნდა იყოს ჩინჩხვარი — ფიჩხი. სარგანი საბას მიხედვით არის
„მაგარი დიდი სფირიდი“, ხოლო სფირიდი — „არს ჭურჭელი ნა-
იახაზი ჭილთაგან, ბაიასაგან და ხის ქერქისაგან“. ეს სიტყვა გაუ-
აზრებლად არის ამოწერილი ლექსიკონიდან. ავუაროთ გვერდი
„ღვთაებრივი იარას“, რომელიც სულს აკვენესებს, როგორც რა?..
როგორც არგანი! რაც საბას მიხედვით არის ჯოხი „კვერთხის უს-
ტოსი, საბრჯენელად და საყრდნობელად კაცთა უძლურთათვის“.

„დიდხანს ვისმენდი შენი ხმის ტოტემს და... ახლა ნავი ზღვის
მკერდს მიჰყვალავს. თვალი აკვდება მთვარის ხის ტოტებს (ეს
სტრიქონი გალაკტიონის ჯიბრზეა შექმნილი — ი. ო.) და სარდაფ-
ტებში ვლანდავ ნიკალას (ეს კიდევ ლადო ასათიანის ჯიბრზე — ი.
ო.). იქნებ მასწავლოს — დავუხვდე ცვედანი(?), ყველაზე უფრო
ფერთა ქაოსი, აჯანყებული სასაფლაოსი, სულს როგორ უდგამს
ასი წლის ცხედარს“ (6, გვ. 97).

იცის ავტორმა რას ნიშნავს სიტყვა „ტოტემი“? თუ იცის, მა-
შინ „ხმის ტოტემი“ რალა? საერთოდ, რა აზრის გამოტანა შეი-
ძლება სიტყვების გროვიდან?

დამძიმდა გული — გრიფელის დაფა,
და ვზევრავ ოთახს, ვით დიზაინი. (6, გვ. 127).

მართლაც რომ დამძიმდა გული რა უნდა აქ „დიზაინს“, ტერ-
მინს „რომელიც გამოხატავს საგანთა დაპროექტების პროცესისა-
დმი ახალ მიღვიმას... ხმარიბენ აგრეთვე დაპროექტების შედეგ-
ის გამოსახატავად“ (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია).

ასეა დაწერილი ეს წიგნები. ასე წერა კი არ შეიძლება. ასეთი
ლექსების გამოცემა უხერხულია.

მოძმე ლიტერატურებში

□ □ □

„ცხოვრება საფსეა მუსიკით“

□
იმანა აუზინი
□

ჩვენი სახალხო პოეტის ოიარ ვაციეტის ეს სტრიქონები ზედ-მიწერნით გამოხატავს თანამედროვე ლატვიური პოეზის პათოსს, მის უჩვეულო გზებს აგრძ უკვე მეოთხედი საუკუნის მანძილზე.

პოეზიის სახოვადოებრივი პრესტიუი, მისი როლი მთელ კულ-ტურულ ცხოვრებაში საგრძნობლად გაიზარდა ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში; სამოციან წლებში კი არა მარტო შინა-არსობრივად და მხატვრული თვალსაზრისით გამდიდრდა იგი, არა-მედ საყითხავ უანრადაც კი იქცა. ლირიკისა და ლიროპიკის განვი-თარებამ გარკვეული მოქცევითა და უკუჭცევით თვალსაჩინო მწვერ-ვალებს სამოცდაათიან წლებში მიაღწია.

ეს საერთოდ აღიარებული, შეიძლება ითქვას, ლიტერატურულ-ისტორიული ფაქტია. ოთხმოციანი წლების პირველი ნახევარი ამ მნიშვნელოვანი პროცესის გაგრძელებაა, შეიძლება დასასრულიც.

„პოეზია — პოეტები არიან!“ — ლიტერატურის ცნობილი კრი-ტიკოსის ალექსანდრე მაკაროვის ეს სიტყვები უნდა გავიხსენოთ,

როცა ლატვიურ პოეზიაზე ესაუბრობთ. უდროოდ დავკარგეთ, ალბათ, ყველაზე გამოჩენილი ლატვიელი პოეტი რაინისია და ალექსანდრე ჩაკის შემდეგ — ოიარ ვაციეტი (1933—1983), რომლის ნიჭი აღრევე შენიშვნეს და დააფასეს საქართველოშიც. პოეტის შემოქმედებითი გმირობა, მისი განუმეორებელი ნიჭი და ლვაშტლი 1982 წელს სსრკ სახელმწიფო პრემიით დაგვირგვინდა. ეჭვი არ გვეპარება, რომ ო. ვაციეტი თავისი ცხოვრების ზენიტში ერთ-ერთი გამოჩენილი საბჭოთა პოეტი იყო.

მოულოდნელად წავიდნენ ჩვენგან ცნობილი ლირიკოსი არია ელქენე და სხვა პოეტები.

ოთხმოციანი წლების თავისებურება გახლავთ ის, რომ დიდად საგრძნობია ახალგაზრდა თაობის ხევდრითი წონა პოეზიის მიმღინარე პროცესში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ოცი წლის ასაკის პოეტების გამოჩენა ჩვენი პოეზიის ცის ტატნობზე, ხანგრძლივი დროის შემდეგ. აქ თუ გავიხსენებთ ბევრი ჩვენი პოეტის შესაშუალებელი შემოქმედებითს ხანდაზმულობას (მ. ბენდრუჟე, მ. კრომა, ა. სკალბე და სხვა), მაშინ პოეზიის გარეგანი კონტურები რამდენადმე მოხაზული იქნება: დომინირებს საშუალო თაობა, რომელსაც ჰქონდა და აკისრია მთავარი როლი პოეზიის სახელის განსამტკიცებლად ბოლო ათწლეულში, თუმცა პოეზია იცვლება, ეძიებს და პოულობს ახალ პრობლემატიკასა და ახალ პოეტურ მოდელებს.

ლატვიაში პოეზიისადმი ინტერესი არ იცვლება, რადგან თავად პოეზია ცვალებადი. თუმცა აქ აუცილებელია შენიშვნა, დაზუსტება. ჯერ კიდევ ამ ათი წლის წინათ ხმა დაირჩა, რომ პოეზიის არა-ჩვეულებრივი პოპულარობა დაბლა ეცემაო... ზოგი გარეგანი ფაქტი თითქოს აღასტურებდა კიდეც ამას. მაგრამ მათ, ვისაც პოეზიის როლში ეჭვი შეჰქონდათ, ავიწყდებოდათ არაერთი მნიშვნელოვანი მომენტი: მთელი პოეზია არასოდეს ყოფილა პოპულარული; პოპულარობა არაა პოეზიის ღირებულების გადამწყვეტი კრიტერიუმი; დაბოლოს, დაახლოებით მილიონნახევრიანი ერისათვის 8-33 ათასიანი ტირაჟი ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია როგორც საბჭოთა კავშირში, ისე მთელ მსოფლიოში.

თუმცა აზრი პოეზიის ოპტიმალურ აუდიტორიაზე დღეს იყოფა, ლატვიელი პოეტები დიდად აფასებენ მკითხველის გამოხმაურებას, შემოქმედებითს მიდგომას, სხვადასხვა აუდიტორიასთან კონტაქ-



ტებს. სხვათა შორის, ამას ადასტურებს დისკუსიები პოეზიის უბრა-ლოებასა და სირთულეზე, გაეგბასა და გაუგებრობაზე. ამ დისკუსიების ზოგი არსებითი დასკვნა შეიძლება ასე დაჯამდებს: პოეზია პო-პულარულია იმიტომ, რომ მნიშვნელოვანია და მნიშვნელოვანია არა იმიტომ, რომ პოპულარულია. თვითემაყოფილი, პრიმიტიული პოეზია მჭიდროდაა დაკავშირებული დახლართულ, მოჩვენებით რთულ პოეზიასთან; პოეზიის საზოგადოებრივი ფუნქცია მისი აღამიანური ფუნქციისაგან აღმოცენდება.

რა თქმა უნდა, ძნელია ეს მოთხოვოთ ყოველ ორსტრიქონიან ლექსს, მაგრამ პოემას, ციქლს, კრებულს კი ეს მოეთხოვება.

და მაინც, ლატვიური პოეზიის ღიღი წარმატებები დაკავშირებულია კონცეფციასთან, რომელიც მოკლედ ჩამოაყალიბა ლიტველ-მა კრიტიკოსმა ვ. კუბილიუსმა: პოეზიაში პანორამას კი არ უნდა ელოდო, არამედ კარდიოგრამას, აღამიანის, ხალხის, ეპოქის კარ-დიოგრამას.

* * *

„სიცოცხლე პირთამდე სავსეა მუსიკით და „თოვლი თოვდას“ კა-რაბინა მღერის...“ საკმარისია მოვიტანოთ ლექსის ორი სტრიქონი და თვალნათლივ დავინახავთ ლატვიური პოეზიის რამდენიმე მნიშვნელოვან მიმართულებას. „თოვლი თოვდა“ ესაა ლატვიელი რე-ლუციონერი მსროლელების ერთ-ერთი საყვარელი ხალხური სიმ-ლერა, რომელიც მათ სამოქალაქო ომის გზებზე დაჰკონდათ თან. პოეზიის ძალა თავიდანვე ის იყო, რომ მან, როგორც ახალი ეპოქის „მუსიკის ნაწილმა“, შეძლო ეჩვენებინა ახლო და შორეული წარსული, ხალხის ხსოვნა, სადაც პირველი აღგილი უკავია მებრძოლი, ახ-ლის შემქმნელი აღამიანის სახეს.

და მაინც წარსული — ბრძოლა ჯვაროსნებთან, შუასაუკუნეების რიგის კონტრასტები, ჩვენი საუკუნის დრამა და ტრაგედია — ლატ-ვიურ პოეზიაში კვლავ ეძებს კავშირს ფოლკლორის სამყაროს აღ-ქმასთან და მხატვრულ გამოცდილებასთან. საინტერესოა, რომ ეს ასე იყო პოეზიის ყველა მნიშვნელოვან ისტორიულ მონაკვეთში: ეროვნული ლიტერატურის ჩასახვისას ჩვენი საუკუნის დასაწყისის ლიტერატურულ მიმდინარეობებში, თვით ღიღი სამამულო ომის

დღეებშიც. ასეა უახლოეს პოეზიაში, განსაკუთარებით კი ოთხმოცან
 წლებში.

რატომაა ასე?

ლატვიურ ლიტერატურაში ფოლკლორის ადგილი განუზომელია. მადლობა საქვეყნოდ ცნობილი ფოლკლორისტის კრიშიან ბარონის (მისი დაბადების 150-ე წლისთავის იუბილეს მიმდინარე წელს ფართოდ აღნიშნავს მთელი ჩევნი ქვეყანა) და მისი მიმდევრების ღვაწლს, კაცობრიობის კულტურას შემოენახა დაახლოებით მილიონნახევარი ხალხური სიმღერა — დაინა და მისი ვარიანტები; როგორც ახლა ვამბობთ ხოლმე, თითო ლატვიელზე თითო დაინა მოდისო... ამ უზარმაზარი განძის ფილოსოფიური, ეთიკური და ესთეტიკური როლი თვალსაჩინოა; ცხადია, აგრეთვე, რა ღირებულება აქვს ას და ზოგჯერ იქნება ათასწლოვან დაინებს, როცა წარსული ეპოქების საბუთები ქრონიკები და ამდაგვარი რამ მეტად მცირე შემოგვრჩა, თანაც ესენიც დამპყრობლებისა და მათი დამქაშების მიერაა დაწერილი, მაგალითად, XIII საუკუნის ქრონიკები.

ერის კულტურამ შეისისხლხორცა ის, რაც ეთანხმებოდა ანდა არ ეწინააღმდეგებოდა მაინც ფოლკლორის გამიცდილებას. ნიშანდობლივია, რომ გარდატეხის ეპოქაში, გადამწყვეტი ცვლილებების წლებში ამ გამოცდილების როლი ყოველთვის იზრდებოდა. შეიძლება იყითხონ: რა დიდი გარდაქმნები მოხდა ანდა ხდება დღეს, რომ ასე საგრძნობლად გაიზარდა ფოლკლორის სამყაროს აღქმის როლი, როცა აშკარად იგრძნობა წარმატებული თუ წარუმატებელი ცდები პოეზიაში ძველი გამოცდილების მრავალმხრივი გამოყენებისა?

აქ უნდა გავიხსენოთ პოეტ დავით სამოილოვის აზრი: „ჩვენ ისეთ ხანაში ვცხოვრობთ, როცა იცვლება, მე ვიტყოდი, ერის სტრუქტურა. წინათ, ახლო წარსულშიც კი, „ხალხის“ ცნება მციდროდ იყო დაკავშირებული გლეხობასთან. შემდეგ დაიწყო უჩბანიზაციის ძლიერი პროცესი, მოსახლეობის მიგრაცია ქალაქისაკენ. ეტყობა, ეს ჩვენი ეპოქის ეპოქეაცაა“ (ლიტ. ობოზრ., 1983, 8, გვ. 45).

პოეზიამ პირველმა შეამჩნია ეს გარდაქმნები და ყველაზე მგრძნობიარედ მან მოახდინა ჩეაგირება. ჩევნი ეპოქის ეპოპეას ვერ შეგვმნით წარსული საუკუნეების ღირებულებათა გარეშე. უფრო მარტივადაც შეიძლება ვთქვათ: ხალხის ეთიკის გარეშე შეუძ. კრიტიკა № 2

ლებელია თანამედროვე სრულყოფილი პიროვნების ჩამოყალიბება, მხატვრულად კი — შრომას მივანიჭოთ განმსაზღვრელი ძალა, გაქანება, ეპიკურობა (მონუმენტურობა!). ოთხმოციანი წლების მონაპოვრებამდე დიდი გზაა გამოვლილი.

ჯერ კიდევ ორმოცდაათიან და სამოციან წლებში შექმნეს მირდაწემპემ და ბრუნო საულიტმა მრავალი მნიშვნელოვანი ნაწარმოები რომლებშიც შემოქმედებითადაა გამოყენებული დაინების გამოცდილება. მაგრამ მნიშვნელოვან ზღვარდამდებად იქცა არვიდ სკალბეს ლექსების კრებული „სურაბელე“ („მაჟალო“ — 1959).

შემდეგ კი ო. ვაციეტის, ი. ზიედუნის, ა. ელქისნეს, ი. სირბარდის, მ. ჩაკლაის, ი. პეტერისა და სხვათა ლექსებში, პოემებსა და ბალადებში ეს ძიებანი უფრო გაიშალა და გამრავალფეროვნდა. აქ საუბარი არაა დაინების მხოლოდ პირდაპირ ციტირებასა და სტილიზაციაზე, თუმცა ამასაც ჰქონდა ადგილი. დაინების პოეტიკა იმდენად თავისთავადია, რომ პირდაპირი სტილიზაცია ხშირად ძარცხით მთავრდება.

ჩემი აზრით, ამ ბოლო ათწლეულის სიახლე ის არის, რომ ფოლკლორის გამოცდილებას ჭარბად იყენებს არა მარტო ლირიკა, არა-მედ ლიროებიკა და ლიროდრამატიკა. მაგალითად, იმანტ ზიედუნის პოემებში „პოემა რძეზე“ და ორთავთავშუა“ (რომელსაც ზოგჯერ პოემას პურზე უწოდებენ). ავტორი, თითქოს ცდილობს ძველი და თანამედროვე სამყაროს დაკავშირებას. ამ მხატვრული განხოგადების გარეშე თანამედროვე სოფლის ცხოვრებისა და შრომის სურათები ძალიან ბევრს დაკარგვდა.

მარა ზალიტე თავის ღრამატულ პოემაში „ბედნიერების ოთახი“ დაინების დასკვნებსა და სახეებთან მჭიდრო კავშირში აცოცხლებს სამი ქმის ზღაპარს, რომელიც ერთსა და იმავე ღროს ძველიცაა და თანამედროვეც. თავის მხრივ იან აეტერმა პოემაში „ღამე დაინების შემდეგ“ თანამედროვე ქალაქისა და სოფლის ურთიერთობაზე, დემოგრაფიისა და სხვა აქტუალურ საკითხებზე მძაფრი პოლემიკით სცადა ძველისძველი დასკვნებისა და მშვენიერების სამყაროს სინთეზირება (პოემა ახლახან დაჯილდოვდა ო. ვაციეტის პრემიით, რომელიც 1984 წელს დაარსდა).

უკვე ეს რამდენიმე მაგალითიც ადასტურებს, რომ ლატვიურ პოეზიაში გრძელდება ფოლკლორის შემოქმედებითი ათვისება. უნდა დავძინოთ, რომ პოემის ეს მნიშვნელოვანი ნაწილი, სამწუხაროდ,

შეტად ძნელი სათარგმნელია, ჯერჯერობით რუსულ ენაზეც არაა ბევრი დაინა თარგმნილი, მისი სახეები და ცნებები ყოველთვის არაა დამაკაყოფილებლად გადმოცემული. ამიტომაც, როგორც ჩანს, კიდევ კარგა ხანს გაძნელდება სხვა ერის მკითხველს გავაცნოთ არვიდ სკალბეს, კნუტ სკუინიეკისა თუ ულდი ბერზინის პოეზიის საკმაოდ დიდი ნაწილი, სადაც ამ სახეებსა და ცნებებს მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ. ამასთან ერთად საკმაოდ ბევრია სახეები-სა თუ სხვა ენობრივი შრეებიც, მაგალითად, ისტორიული ლექსიკა, დიალექტური სიტყვები, ქალაქური უარგონები და სხვა. ასეთი და ამგვარი შრეები ყოველ ენაშია მათი ხმარების ინტენსივობა პოეზიის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა პოეტის შემოქმედებაში საგრძნობლად განხსავებულია.

და კიდევ ერთი შენიშვნა: იქმნება შთაბეჭდილება, რომ ოთხმციან წლებში გამოცემულ ბევრ რწიგნში (ო. ვაციეტის „განწირულება“ — ეს კრებული პოეტის სიკვდილის შემდეგ გამოვიდა, მ. ჩაკლას „ადამიანის ხმისაწიერზე“, ვ. ლუდენის „ნავი“, ლ. ბრიელის „იანობის შემდევ“, ასევე ახალგაზრდა პოეტების მ. მელგალვის, ე. მარტუქას, ა. რანცანესა და სხვ.) ფოლკლორთან კავშირი სხვაგვარად მუღავნდება, რაც ღრმად საძიებელია თვით ადამიანის სახეში, მის ეთიკურსა და მშვენიერების გრძნობაში. აქ ყოველთვის პარმონია არაა, ზოგჯერ ერთმანეთს ეჭახება სხვადასხვა მსოფლშეგრძნება. დაინები სახეთა „სახელდახელო“ საგანძურო კი არაა, არამედ ხელოვნების ბრწყინვალე ძეგლი, რომლის არსებითს ნაწილთან აკოველი ეპოქის პოეტს მეტად რთული დამოკიდებულება აქვს...

ჩვენ არ ვიქნებით მართალი, თუ ოთხმოციანი წლების ლატვიურ პოეზიაში ფოლკლორის როლზე ზედმეტად გავამახვილებთ ყურადღებას; ეს როლი დიდია, მაგრამ არა ერთადერთი, — პოეტის ძიებაზე გავლენას ახდენს სხვა კონტექსტებიც. საგრძნობია კლასიკური და განსაკუთრებით XX საუკუნის სხვადასხვა ხალხების პოეზიის კატალიზატორის ფუნქცია პოეტური სიტყვის საზღვრების გაფართოებაში, ახალი პოეტური გამომსახველობის ძიებებში. განვითარებული პოეზიის ყოველი ეტაპისათვის ესეც დამახასიათებელი მოვლენაა. ახალი ისაა, რომ პოეტები და მკითხველები უფრო კარგად ეცნობიან, თუ შეიძლება ასე ითქვას, არატრადიციული რეგიონების პოეზიას. ლატვიელი პოეტებისა და მკითხველებისათვის

ეს რეგიონებია, მაგალითად, ლათინური ამერიკის, ბალკანელი და კავკასიელი ხალხების პოეზია.

ამ ბოლო წლებში ნიჭიერი პოეტების საკმაოდ დიდმა ნაწილმა თარგმანს მოჰკიდა ხელი. ამავე დროს, ისინი ცდიან საკუთარი ენისა და პოეზიის შესაძლებლობებს, ეძიებენ ახალს. ხშირ შემთხვევაში ახალგაზრდა პოეტებს უფრო ადრე ვამჩნევთ და ვაფასებთ, — როგორც მთარგმნელებს.

აი, თვალსაჩინო მაგალითი. რაღაც თხუთმეტიოდე წლის განმავლობაში მივიღეთ სხვა ხალხების პოეზიის რჩეულებისა და ანთოლოგიების მთელი წყება, მათ შორის რუსული და გერმანული, პოლონური და ფრანგული, უკრაინული და ქართული, ესტონური და მოლდავური XX საუკუნის პოეზიის კრებულები, რომელთაგან ბევრი პირველად გამოვიდა ლატვიურად. გასაკვირი არაა, რომ ასეთი მნიშვნელოვანი შრომები, რომელთა შემსრულებლებიც ძირითადად თანამედროვე პოეტები არიან, ჩვენს პოეზიისაც გაამდიდრებს.

პოეზია, ცხადია, ყოველ მხრივ დაკავშირებულია თავისი დროის მხატვრულ კულტურასთან, და არა მარტო, ვთქვათ, დიდებულსა თუ უღიძლამო საესტრადო სიმღერების ტექსტებთან. ეს ასეა, მაგრამ დღეს არის კიდევ ერთი ლიტერატურული უანრი, რომელიც საგრძნობლად ახდენს გავლენას პოეტის შემოქმედებაზე. ეს გახლავთ რომანი, პროზის ფართო ფორმა საერთოდ. ამას წინათ ო. ზიედუნმა აღნიშნა, რომ ახლა ლატვიელი მკითხველი რუსულ, უკრაინულ, ქართულ, ყირგიზულ, მოლდავურ და სხვა ხალხების მაღალმხატვრულ პროზას ისევე ღებულობს, როგორც საკუთარს. ამ ნაწარმოებებს არა აქვთ მხოლოდ ინფორმაციული, თემატური თუ სხვა ღირებულება. პოეტებმა არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიონ ამ ათი-თხუთმეტი წლის მანძილზე საბჭოთა ხალხების პროზის თვალსაჩინო მიღწევებს. ყველაზე აშკარად ეს ვლინდება თავისივე ხალხის პროზასთან ურთიერთობაში — ორივეს ხომ არა მარტო საერთო ენა აკავშირებს, არამედ მნიშვნელოვანი ძიებებიც. თუ გავიხსენებთ, რომ იყო წლები, როცა პოეზია მკითხველთა რაოდნობითაც სჭობდა პროზას, ახლა რ. ეზერას, ვ. ლამის, ი. ინდრანეს, ა. ბელისა და სხვათა ნაწარმოებები საგრძნობ გავლენას ახდენენ მთელ ლატვიურ ლიტერატურულ ატმოსფეროზე.

ლატვიურ პოეზიაში სულ ცოტა ორი მკვეთრად განსხვავებუ-

ლი გზა შეიმჩნევა: კარგად შეიცნოს და გამოიყენოს პოეზიის სპეციფიკური შესაძლებლობანი (ერთი გზა) ან — უხვად გამოიყენოს, შეადუღოს პოეზიაში ლიტერატურის სხვა უანრების შესაძლებლობანი და თვით ხერხები (მეორე გზა). ზედმეტია თქმა, რომ თითოეულ ამ გზას თავისი მყარი მხარე გააჩნია.

დიდი ხნის მანძილზე ჩვენი პოეტების კრებულებში ეს ორი ხაზი მუდავნდებოდა, ერთი მხრივ, როგორც სწრაფვა „ტოტალური პოეზიისაკენ“, ე. ი. „მთელი ცხოვრება“ მოექციათ პოეზიაში, თითქმის არაპოეტურიც კი — საზოგადოებრივ-მეცნიერული ინფორმაცია და სხვა (ამ სტილის ყველაზე ბრწყინვალე წარმომადგენელი იყო ო. ვაციეტი; ამ მიმართულებით ვითარდება ი. ზიედუონის, მ. ჩაკლასი, ვ. ლუდენისა და სხვათა თავისებური პოეტური სამყარო) ანდა, მეორე მხრივ, მაქსიმალურად გამოიყენონ ლექსის მცირე მოცულობა, მოაშორონ მას ყველაფერი და მაინც პოეზიად დარჩეს. ეს ორი უკიდურესობაა, მაგრამ ამ აპელიტულაში მოჩანს ლატვიური პოეზიის მრავალი მოვლენა, სხვანაირად პოეტის შემოქმედება ძნელი ასახსნელია. ამ მეორე გზის მიმდევრებში შეგვიძლია დავასახელოთ ე. პლაუდი, კ. სკუინიეკი, ლ. ბრიედი, აგრეთვე ბევრი ახალგაზრდა პოეტი.

სამოცდაათიანი წლების დასაწყისში, როცა პოეზიაში დომინირებდა „მთელი ცხოვრების“ ასახვა, როცა მართლაც ძლიერი ნაწარმოებები იქმნებოდა პოეზიის ფართო უანრებში, მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით გაისმა უცნობი ახალგაზრდა პოეტის სიტყვები: „სიტყვების ნახევარი ზედმეტია — ნახევარ მელანს მიწაზე დღვრი“... მაგრამ ვერც ამის მთქმელმა და ვერც მისმა თანამოაზრებმა შეძლეს ამის დამტკიცება. თუმცა თანდათანობით (ეს პროცესი კვლავ გრძელდება) გამოიკვეთა ლაკონიზმის კიდევ მეტი შესაძლებლობანი, ძიებებმა ბევრ ნაწარმოებში გაამართლა. ნიშანდობლივია, რომ დღემდე წარმატებას მიაღწეის იმ პოეტებმა, რომელთაც გულმოდგინედ შეისწავლეს ენები და თარგმნიან სხვა ხალხების პოეზიას.

ლატვიაში პოეზიის სპეციფიკური შესაძლებლობების სრულყოფილად გამოყენებისათვის სხვადასხვა გზაა გამოვლილი. საკმაოდ ბევრმა სცადა ძალა მინიატურულ ფორმაში, უსიცუეტო ციკლური სტრუქტურის ასპარეზზე — ტანკისა და პოკუს ფორმებიდან სხვა-

დასხვა ინდივიდუალურ შოდელებამდე. აღმოჩნდა, რომ მინიატუ-
 რაც ასევე „რთული“ უანრია: ითხოვს ძლიერი ლირიკოსის ნიჭი,
 ფილოსოფიურ საფუძვლებს. ლატვიური პოეზიისათვის ნაყოფიერი
 გამოდგა უ. ბერზინის გზა: ეპიკურობიდან მცირე უანრის პოეზიაში
 მისვლა. იგი თხოულობს შეტად ზუსტი და მრავალმხრივი გამომსახ-
 ველობითი ხერხების არსენალს, სიტყვათა დიდ ეკონომიას.

სხვა მიმართულება: განმტკიცდა ინპრესიონისტული გამომსახვე-
 ლობის შესაძლებლობათა გამოყენება. ეს პოეტები (მაგ., ო. ლი-
 სოვსკა, ლ. ლივენა, ჰ. მ. მაევსკი) ემყარებიან სწორ დაკვირვებას,
 რომ ჩვენს პოეზიაში მეტად გაძლიერდა რაციონალიზმი, მცირდე-
 ბა სათავეგადასავლო, მრავალსაქეტიანი პოეტური განწყობილების
 როლი. საუკეთესო ნაწარმოებებში მათ მიაღწიეს, განცდის გამო-
 ხატვისას გაეზარდათ სიტყვის შესაძლებლობანი, სრულებულ დახ-
 ვეწილი ლირიზმის პოეზია. „იმპერსიონისტების“ სუსტი წერტილი:
 ზოგ შემთხვევაში განწყობილების თვითმიზნურობა, რომლის იქი-
 თაც ჭირს დიდი ამოცანის შეგრძნობა. ამ მიმართულების მომავალ-
 ზე ნაადრევია საუბარი. ლატვიის ისტორიაში XX საუკუნე ისეთი
 დრამატული იყო, რომ „წალკოტის ხელოვნებამ“, იმპრესიონიზმის
 ბეჭედდასმულ სტილს როგორც ზოგჯერ უწოდებენ ხოლმე, ვერ
 მოიპოვა ფართო გამოხმაურება.

დაბოლოს, პოეზიის კიდევ ერთი მიმართულება: მეტაფორების
 თავმოყრა. თავის თანამიმდევრულ განვითარებაში (ი. ჭელდი და
 სხვები) ეს პოეზია მიისწრავთვის წაშალოს დროისა და სივრცის საზ-
 ღვარი, პოეტურ მოდელში შეაერთოს სხვადასხვა ხალხებისა და
 ეპოქების მხატვრული სახეები, შექმნას უჩვეულო პოეტურობა. სა-
 უკეთესო ნაწარმოებისათვის დამახასიათებელია ემოციურობა, გა-
 მოკეთოლი ხატოვანება, თუმცა მეტისმეტად მოწყვეტილია არა
 მარტო ეროვნული კულტურის წყაროებს, არამედ ადამიანის თანა-
 მედროვე ბრძოლისა საქმისა და ოცნებებისაგან ქმნის ცალმხრივო-
 ბასა და ერთგვაროვნებას. მეორე მხრივ, ამ პოეზიას რაც უნდა
 სურდეს ზეადამიანური და ზედროული იყოს, სინამდვილეში იგი
 შინც სარგებლობს ავტორისათვის ნაცნობის სახეებითა და წარმოდ-
 გენებით, ჩვეულებრივ — ხმელთაშუა ზღვის აუზის ძველი კულტუ-
 რის ხალხთა მითოლოგიის სახეებით — და აერთიანებს მათ თავის
 პარალოგებალურ გამონაგონთან. შედეგი არის და რჩება ორიენტა-



ცია გარკვეულ, თუმცა ჩვენთვის შორეულ, კულტურაზე. ფასეული ლია, ჩემი აზრით, გამახვილებული მიმართვა ადამიანის ცხოვრების აზრისა და სიკვდილ-სიცოცხლის საკითხებისადმი, პოეზიის ერთმა ნაკადმა არასაკმარისად რომ შეაფასა. ერთ თავის საუკეთესო ლექ-სში ი. ჰელდი ადამიანის გზის შესახებ ამბობს:

ეს არს გზა რომლითაც მოვსულვართ
ფარებით ბავშვებითა და მაწანწალის ძონძებით
ეს არის გზა რომლის სიმებსაც ეხება ფრინველის ნისკარტი
ეს არის გზა რომლითაც მოვდივართ და მოვდივართ
ერთი სულით ხმობილი
უკანასკნელად.

მაგრამ გარკვეული სოციალურ-ისტორიული გამოცდილების მიღმა ეს ადამიანი ეთიკურად განმარტოვებულია და მხარდაჭერას ვერ პოვებს მოკვდავ ადამიანთა მორალში, რისთვისაც საუკუნეთა მანძილზე იბრძოდნენ კაცობრიობის დიდი მოაზროვნები. წარმოიშვება დეპერსონალიზაციის საშინელებანი.

პოეზიის ყოველი მიმართულება რაღაც მოვლენის ამხსნელი თუ არა, სიმპტომია. ასევეა ეს განხილული ზოგიერთი ეს მიმართულებაც — წარმატებას მეტად მიაღწია თუ ნაკლებად — უპირველეს ყოვლისა იგი დასტურებს, რომ ღლეს გაბატონებული პოზიცია უკავია ადამიანის სწრაფვას ჭეშმარიტი პოეზიისაკენ, ჭეშმარიტი კულტურისაკენ. ლატვიელმა პოეტებმა დაძებნეს გზები, თუ როგორ ასახონ თანამედროვე სულისკვეთება.

* * *

ოთხმოციან წლებში პირველად ჯამდება მთელი ჩვენი პოეზიის გამოცდილება ომისშემდგომი წლებიდან დღევანდლამდე. რა თქმა უნდა, ცალკეული კრებულები და რჩეული ზურულებანი ადრეც გამოღილდა, მაგრამ ისე მოხდა, რომ მხოლოდ ახლახან დაიწყო გამოცემა პოეზიის ყველაზე შეღეგიანი თაობის პირველი რჩეულებისა. ახლა უცნაურად გვეჩვენება, მაგრამ ოიარ ვაციეტმა მხოლოდ სიკვდილის წინ ორი კვირით ადრე ნახა თავისი მოზრდილი რჩეული. უკვე მივიღეთ თანამედროვე პოეტების ოცზე მეტი რჩეული კრებული (სხვადასხვა მოცულობის), მათ შორის მეტად პოპულარუ-

ლი სერია „პოეზია ახალგაზრდობისათვის“. ბევრ მკითხველს, გან-
საჯუთო ებით ახალგაზრდა თაობას, საშუალება მიეცა მთლიანობა-
ში ნახოს თანამედროვე პოეზია. ამ სერიის წიგნების შოვნა მაღა-
ზიაში ძნელია, მიუხედავად იმისა, რომ მათი ტირაჟი ყველაზე დი-
დია 20-დან 33 ათასამდე.

ეს არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კონტექსტი, რასაც ანგა-
რიში უნდა გაუწიოს უახლოესმა პოეზიამ. მორიგი კრებულისათვის
ადვილი არ იქნება რჩეულის შინაარსობრივ-მხატვრული კომპაქტუ-
რობის შილწევა. რამდენადაც უფრო მეტად იზრდება პოეზიის კარგ,
სპეირო გამოცემათა ხვედრითი წონა, იმდენად კლებულობს მკითხ-
ველის ინტერესი სიტყვამრავალი კრებულებისადმი, იზრდება შე-
უწყნარებლობა ინერციის, ერთხელ მიგნებულის ვარიირების მი-
მართ.

ლატვიაში პოეზიას საკმაოდ ბევრი ჰყავს დაკვირვებული მკითხ-
ველი, რომელთაც ესმით ექსპერიმენტების, გაბეჭდული ცდებისა,
შეიქრან ახალი ცხოვრებისა და პოეზიის სფეროში. აშკარა მაგალი-
თი — უფრო და უფრო გაიზარდა და განმტკიცდა ინტერესი „ქალა-
ქის პოეტებისადმი“. ამ სიტყვებს ბრძყალებში ვსკვმ, რადგან წმინ-
და ურბანისტი (ისევე როგორც, ვთქვათ, წმინდა მარინისტი — ჩეენ
ხომ ზღვასთან ვცხოვრობთ!) ლატვიურ პოეზიაში არა გვყავს. ჩვე-
ულებრივ ასეთად თვლიან მონტა კრომას, მაგრამ მის პოეზიაში, ჩე-
მი აზრით, დიდი ხვედრითი წონა აქვს ფიქრს მომავლის ადამიანზე,
სოციალურ უტოპიაზე. ახალ კრებულში („აზვირთებული ზღვა“,
1982) მ. კრომა თავგამოდებით გვიხატავს დიდ ქალაქ რიგას. რამ-
დენადაც სხვებისთვის ძვირფასია ბუნება თუ სოფლური ცხოვრე-
ბა, იმდენად მ. კრომასთვის — მილიონიანი ქალაქი.

პოეტი თითქოს ცდილობს შეარიგოს ადამიანი და მზარდი დი-
დი ქალაქი, შეათანხმოს მისი ცხოვრებისა და ქალაქის ზრდის რიტ-
მები. საინტერესო დეტალია: თვით ჩვენს საერთო სახალხო დღეო-
ბას — ლიგურს მ. კრომას პოეზიის ქალი ზეიმობს... შადრევანთან,
ქალაქის შუაგულში და... მარტოდმარტო. ის ჩურჩულებს და ჩვენ-
თვის ღირს ამ ჩურჩულის მოსმენა:

ეი, რანიტ, უფლის ვაუო! შენ, მშვენიერო, შუა ზაფხულში!

წინათ. კიდან. წვეთებიდან. მიგქონდა შორეთში. ახლა.

შადრევნიდან. იმავე წვეთებიდან. მიგაქვს მწვერვალზე.

იანის გზა, ქალწულების, ვაევნის, სულის გზა არის.

აი, კიდევ ერთი სულის გზა, მაგრამ ამჯერად — კონკრეტულ თანამედროვე ქალაქში, რომლის წინააღმდეგობებს დუმილით არ უვლის გვერდს პოეტი ქალი. უფრო კი, იქნებ იმავ დროს, საჩიაროდ ცდილობს მათ შეთანხმებას. მთელი სულითა და გულით იგი პროგრესის, განვითარების, ურბანიზაციის მხარეზეა, მისი პოეზიის გმირი ფიქრობს ერის ბედზე ამ მომავალ სამყაროში:

იმ რიგაში დავძრწი, სამასი წლის შემდეგ რომ იქნება.
ველარ ვპოულობ მიწას, რომელმაც ენა მომცა მე.

ქალაქის ცხოვრებას თითქმის მთლიანად ეძღვნება კიდევ მრავალი პოეტის შემოქმედება. მაგ., ი. რუოქფელნის მეორე კრებულს ჰქვია „რიგის მკვიდრი“ (1981). ჯერჯერობით მას პოეტურ ენერგიას აძლევს ირონიული მიდგომა ყოველივე „არაქალაქურისადმი“ — ბუნების, სოფლის ცხოვრების, უფრო სწორედ კი, ცალმხრივი რომანტიკულ-სენტიმენტალური აღმაფრენისადმი. შემდგომი გზა ძნელი ჩანს: წინააღმდეგობები უნდა აღმოაჩინოს თვით ხოტბაშესხმულ ქალაქში. შედეგებზე მსჯელობა ჯერ ნააღრევია.

თანამედროვე ქალაქში ადამიანის მდგომარეობას გვიხატავს ო. გუტმანი თავის კრებულში „დაბრუნების გზა“, მ. მისინია კრებულ-ში „იყიდე ლაბადა, პეპელავ“ და ბევრი სხვა პოეტი. ეს პოეზია საინტერესოა აგრეთვე თავისი დაკვირვებით ადამიანის ახალ სოციალურ მდგომარეობაზე, თუმცა გასაგებია, რომ სწორედ პოეზიისათვის ამის ახსნა აღვილი არაა.

მაგრამ სული იზრდება სიმებისაგან
მე მეშინია, ისინი არ გავთელოთ.

ცხოვრების ჩატარები, სულის სიმები, ფესვები არის იმ კითხვების რეალი რომელიც ჩვენს პოეზიაში აერთიანებს მკვეთრად განსხვავებულ პოეტებს. პოეზიაში ვერავითარი აფორიზმები, ვერავითარი რაციონალური კონსტრუქციები ვერ შეცვლის არსებობის ღრმა განცდებს. აქ განსაკუთრებული წონა აქვს ლირიკოსის შრომას, ტკივილს, სიხარულს. მ. ბენდრუპე, ე. პლაუდი, ვ. კრილე — ეს სახელები მხოლოდ ნაწილია...

აქ უნდა შეგახსენოთ, რომ ძლიერი ლირიკული სიმი ო. ვაცხეტის

უკელა კრებულშია, თუმცა მის პოეზიას ახასიათებს უკელაფრის გამომხატველი საზოგადოებრივი ტემპერამენტი; მისი პოეზიის ძალისა და მიმზიდველობის ერთ-ერთი ელემენტი, როგორც ჩანს, ლი-რიკის, პუბლიცისტიკის, გროტესკისა და სხვა ელემენტების ორგანული სინთეზია.

თვით ლირიკაც (ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით) ო. ვაციეტშა, ვ. ბელშევიცაშვილი, ა. ელქსნერი, ი. ზიედუონმა, მ. ჩაკლაიძე და სხვა საშუალო თაობის პოეტებმა გაათანამედროვეს, ე. ი. თანამედროვე ადამიანის რთული გამოცდილების შესატყვისად აქციეს. შესაძლებელია, რომ ზოგიერთი გერმანული ლიტერატურული მიმდინარეობის გავლენით წინა პერიოდების ჩვენს პოეზიაში ზოგჯერ დიდი აღგილი ეკავა სენტიმენტულურ, მელოდრამატულ ლექსებს. ო. ვაციეტმა მრავალგზის აღნიშნა, რომ ჩვენს ლირიკას კიდევ ერთი დამატებითი ამოცანა აკისრია — ებრძოლოს „შლაგერებს“... ოთხმოციანი წლების ლირიკაში მნიშვნელოვან ფურცლებს ამჟამად ახალი თაობის — ოცი-ოცდაათი წლის პოეტები წერენ. მაგალითების ძებნა ძნელი არა ნიჭიერი, მრავალი ხალხის პოეზიის მთარგმნელის ლეონ ბრიელის წიგნებში, ა. აიზპურიეტესა თუ ე. მარტუას დებიუტში.

ოთხმოციან წლებში კვლავ ახალი სახით წყდება ზნეობრივ-ეთიკური პრობლემები. ლირიკამ ადამიანის სული რომ წარმოაჩინა „წინაპლანში“ (მ. კრომას სამოციანი წლების ლექსთა კრებულის სახელწოდება, რომელიც გამოხატავს იმ დროის პოეზიის ერთ-ერთ მიმართულებას), მასში არ შეეძლო მხოლოდ ნათელი და კარგი დაუნახა. პოეზია ანალიზური გახდა. მაგალითად, ველგა კრილე თავის კრებულში „მე დღედალმე ვარ“ (1982) ჩამდენიმე სტრიქონით გამოხატავს ამ თვითკრიტიკულ თვალსაზრისს:

ვზიგარ საკუთარ ჩრდილის წინ გარტო
 და თითებით ვსრესავ ჩემს ნალვლიან გულს...
 ვერა, ვერ ვაღწევ თავს მე ჩემს ორეულს,
 და ჩემს ცხოვრებას ვუყვები მძიმელ,
 როგორც საკუთარ მტერს, ისე ვხდი ნიღაბს.

ღრმად ჩასწვდე თანამედროვე ადამიანებსა და თანამედროვე სამყაროს, გიყვარდეს, მაგრამ პირში არ ეფერო მათ — პოეზიის ეს გზა ნაყოფიერი აღმოჩნდა. თუმცა ეს უბრალო გასეირნება არ ყო-



ფილა და, როგორც ჩანს, არც იქნება. პოეტს, ისევე როგორც სწავლითი რომელიც გნებავთ, ადამიანს, სულ უფრო მეტად უძნელდება იპოვოს ხელშეუხებელი ადგილი ბუნებასა თუ სულიერ სამყაროში; უკელვან შექრილია დღევანდელი პრობლემები.

ლატვიურ პოეზიას ამ მხრივ გარკვეული შრომა აქვს გაწეული. სატირულმა, ირონიულმა და თვითირონიულმა პოეზიამ გროტესკის გამოყენებით წარმატებას მიაღწია ბოლო ათწლეულში სწორედ იმიტომ, რომ შეძლო ამაღლებულიყო განზოგადებამდე, დამაჯერებლად ეჩვენებინა ადამიანის ნაკლი, ვიდრე ამას აკეთებდა და აკეთებს ყოველდღიური კრიტიკა სატირულ გამოცემებში. პოეზია გამოვიდა ცხოვრების ღირებულებათა უგულვებელყოფისა და გაუგებრიბის წინააღმდეგ.

ზოგჯერ მიახლოებით თარგმანში ეს პოეზია შეიძლება მეტად მარტივად მოგეჩვენოს, მაგრამ უნდა გავიხსენოთ, რომ ლატვიელი მკითხველი მას ჩვეულებრივ ასციაციით უკავშირებს კლასიკური პოეზიის სახეებსა და ხერხებს, ამავე დროს, ეკამათება რაინისია და სხვა გამოჩენილი პოეტების ცალკეულ ცალმხრივად გაშუქებულ დასკვნებს. და ირონია ეხება არა ხალხის საყვარელ პოეტს, არამედ მათ, ვინც მაღალი იდეალების გამომხატველ სიტყვებში, რომელთაც ასე განიცდიდა პოეტი, ექებენ საფარს თავიანთი ანგარებისა და სულის კომფორტისათვის. ამ ხერხს მარჯვედ იყენებენ მ. ჩაკლაი, ი. პეტერი, კ. სკუინიეკი და სხვები. თვალსაჩინოებისათვის მოვიტან ვიქტორ ავუოტინის ბასრ სტრიქონებს მათ მიმართ, ვინც ეგო-იზმის გამო ყველაფერს სწირავენ:

სადაც უძლურთა გუნდი, გაუთავებელ წუწუნით,
ამ მიწას სანთელს კანკალით უნთებს.
მაღალ ტაძრში, რასაც ანგარება ჰქვია.
მათი ჩვევაა, მაჭით მოიწმინდონ ცხირი.
სულერთია, პირუტყვივით, სად იქნებიან და რა ძოვონ;
როგორ გლიჭონ ყვავილები, ბალახი თელონ თუ ლუდი წრუპონ.

ამებად პოეზიის ეს ნაწილი (განსაკუთრებით ოცდაათწლოვანთა წიგნებში) ექვს ლრმა ფილოსოფიურ და სოციალურ ზუსტი მისამართის ბაზას, თუმცა შეიძლება უკვე აღინიშნოს პირველი წარმატებები. ზემოთ დასახელებულ, აგრეთვე მ. ზალიტეს, ა. ლიცეს,



ვ. გუნესა და სხვა ლატვიელი პოეტების ნაწარმოებები მოტექსტების
საფუძვლიან კვლევასა და შეფასებას. ეჭვი არაა, რომ გლობალური
თუ საკავშირო პრობლემების გვერდით დგას აგრეთვე გარკვეული
რეგიონისა თუ რესპუბლიკისათვის დამახსაითებელი პრობლემები.
ლატვიაში ეს პრობლემები საკმაოდ მწვავეა და პოეზია დუმილით
ვირ აუვლის გვერდს.

3. გუნე წერს:

აღამიანის სიახლოეს შიმშილს
საქმეში ვიკლავ.

უნდა ვითქმიქროთ, რომ აქ ახლოს ვართ აგრეთვე სხვა ნაკლთან
და სიძნელეებთან: იქ, სადაც ომის, ომისშემდგომი სიძნელეების,
დიდი სოციალური გარდაპმების წლებში შეირყევა აღამიანური
ღირებულებები, იქ ყველაზე სწრაფად აღმოცენდება სიხარბე, თავ-
აშებული ლოთობა, ფუქსისავატობა...

ყველაზე დიდი უბედურება მაშინ იქნებოდა, თუ საზოგადოება
უერ შიხვდებოდა აქას, ანდა ეცდებოდა დუმილით აევლო გვერდი.
სასიამოვნოა ალინიშნოს, რომ ბოლო წლებში პასუხსმებლობის,
სიტყვისა და საქმის ერთიანობის თაობაზე გამწვავებულ კამათში
ლიეტრატურას უდავოდ დიდი წვლილი მიუძღვის. პოეზიას კი, ჩე-
მი აზრით, განსაკუთრებული, თუმცა მისი მოძრავი, კრიტიკული
პათოსის წინააღმდეგ არაერთხელ გამოსულან იდეალების დაცვის
სახელით. ცხოვრებამ ბევრჯერ დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ ასეთ
შემთხვევებში იდეალების დაცვა კი არ ხდება, არამედ უფრო უბ-
რალო საქმეების.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ ლატვიური პოეზიის უახლოესი
მონაკვეთი ცდილობს დაეყრდნოს ყველაფერ საუკეთესოს, რაც
მიღწეულია სამოც-სამოცდაათიან წლებში, მაგრამ, ახალი ცხოვრე-
ბისეული და მხატვრული გამოცდილებით რომ მდიდრდება, უფრო
წინ მიიწევს, ავსებს თავის საგანძურს. ეს ბუნებრივი და პერსპექ-
ტიული გზაა. თუმცა ჯერ-ჯერობით ვერ ამართლებს ფორსირებუ-
ლი ექსპერიმენტები, გამოგვეყენებინა თაოსნობა, რასაც გვთავა-
ზობს ისტორიულად თუ გეოგრაფიულად შორეული ხალხების პოე-
ზია, ისევე როგორც ვერ გაამართლა მხოლოდ ლატვიური პოეზიი-



სათვის დამახასიათებელმა, „ტრადიციულთან“ მორიდებულმა და მოკიდებულებამ. ძიებათა პლაციარმი მეტად ფართოა.

პოეზიაში კვლავ დიდ ადგილს იკავებს პოემა და სხვა ფართო უნრები. პოემის ცენტრში ახლა საფრთხეში მყოფი სიცოცხლეა და მისი წყაროებიც — ფოლკლორში, კულტურაში, ბუნებაში, შრომასა და სიყვარულშია. ბევრი აქ დასახელებული და დაუსახელებელი ფართო პოეტური ნაწარმოები გადაუდებელ ამოცანას ასრულებს: წინააღმდეგობათა გვერდის აუვლელად ქმნიან სოფლის სოციალურ და ფსიქოლოგიურ სურათებს, რომლებიც სწრაფ ცვლილებას განიცდიან, ერის საუკუნოვანი ეთიკისა და მომავალი იდეალების შუქზე ფასდება დღევანდელი მონაპოვრი და დანაკარგი. ი. ზიედუონის „თავთავებშუა“, მ. ჩაკლაის „სათიბი“, პ. იურცინის „გარმონით“, ი. იაკაიტის „შვიდი დღე — დედამიწა“ და სხვა პოემები პირველ რიგში დაკავშირებულია თანამედროვე ცხოვრების მდიდარ მასალასთან, დიდი კონკრეტულობით გაღმოსცემენ ახალ მოვლენათა არსს.

პოემის მეორე განშტოება ისტორიული პოემაა, რომელსაც თვალსაჩინო ადგილი ეკავა ჭერ კიდევ სამოციან წლებში. ა. პელეცის, ვ. ლუდენის, მ. ჩაკლაისა და სხვათა ახალი ნაწარმოებები გვაჩვენებს, რომ არსებობს ახალი შესაძლებლობანი; ბოლოს და ბოლოს, ერის ისტორია არის და რჩება ერთ-ერთ ამოუწურავ წყაროდ. ლატვიაში ახალი ინტერესი იგრძნობა 1905 წლის რევოლუციისადმი, დიდ სამაულო ომში რესპუბლიკის ტერიტორიაზე დატრიალებული ამბებისა და გამოჩენილი ისტორიული პირების მიმართ. თანამედროვე ასახვაშიც ხშირად უღერს ისტორიის დრამატული ფურცლები. ასე, მაგალითად ი. იატკი დასახელებულ პოემაში ცხოვრების სიცარიელის ერთ-ერთ მიზეზად ისტორიის დავიწყებას მიიჩნევს:

მათში დაიხოცნენ ისინი, ვინც სისხლით და ოფლით
ხნავდნენ და თესავდნენ ამ მიწას, თავს იმიტრებდნენ და
ითხოვდნენ,

იხრწნებოდნენ ციხის მტვერში, სარდაფებში სივდებოდნენ.

წამებული, მათრახით ნაცემები, დაფლეთილი

კარტეჩებით. „სტროით“ გარეკილები ციმბირისაკენ.

ცნობილი და უცნობები.



პოემა ყველაზე თვალსაჩინოდ აღასტურებს: ის, რაც დაუმიმდევრებელი ნელოვანი იყო და დაუვიწყარი ერის ისტორიაში, ის დიდმიმიშვნელოვანი და დაუვიწყარი უნდა უღერდეს პოეზიაშიც. ამავე დროს, აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს თანამედროვე ადამიანის „ტკივილის წერტილების“ მიმართ. ადამიანის მდგომარეობა მუდამ მოუმზადებელ და საფრთხეში მყოფ მსოფლიოში არც ადვილია და არც ისე მარტივი. სამწუხარო იქნებოდა, თუ პოეზია ჩაიძირებოდა თვითკმაყოფილებაში, სოციალურ ილუზიებსა და მოვლენათა ცალმხრივ თვალსაზრისში.

მრავალი წიგნი და პუბლიკაცია აღასტურებს, რომ ლატვიურ პოეზიაში არ შეიმჩნევა დალლილობა და გამოფიტვა.

* * *

„ახლა ვინ გაზომავს ან ვინ აწონის იმ შრომას, რაც გაუკეთებია ლიტერატურას ადამიანის განახლებისათვის, ადამიანის მეშვეობით კი — მთელი ცხოვრების განახლებისათვის!“ — წერს ლიტველი პოეტი იუსტინ მარცინკევიჩი თავის „უთარიონ დღიურში“.

ეს სიტყვები მახსენდება, როცა ვფიქრობ ლატვიური პოეზიის მნიშვნელოვან ფურცლებზე. კრიტიკოსმა ინტა ჩაქლამ ჯერ კიდევ სამოცდაათიან წლებში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ო. ვაციეტის პოეზია იბრძვის პიროვნების ფრაგმენტარიზმის, სოციალურ როლებად დანაწილებისა და გათიშულობის წინააღმდეგ. ეს სიტყვები თანაბრად ეხებათ ტრაქტორისტებსაც და აკადემიკოსებსაც, მწველავ ქალებსაც და პრიმადონებსაც, რაც გინდა ახლოს თუ შორს იღგნენ პოეზიასთან.

ოთხმციანმა წლებმა ბევრს დაანახვა ის, რაც პოეზიის დაკვირვებული მკითხველისათვის უკვე ღიღიხნის წინათ იყო ნათელი: პოეზიას განსაკუთრებული აღგილი უკავია ჩვენს კულტურულ ცხოვრებაში. პოეზიამ მისცა სახელი ადამიანის ბევრ ფიქრსა და განცდას. პოეზია დაეხმარა ხელოვნების ბევრ სხვა დარგს თავისი თავის შეცნობასა და წარმოჩენაში. ლატვიური პოეზიის გარეშე წარმოუდგენელია მუსიკის მრავალი უნრის განვითარება, უფრო და უფრო საგრძნობი ხდება პოეზიის ხმა თეატრის სცენიდან; თუ რა დიდ როლს თამაშობს პოეზია მათ შემოქმედებითს ცხოვრებაში, ხაზგასმით აღნიშნავენ ცნობილი მხატვრები, არქიტექტორები, კინორეჟისორები...

„ცხოვრება პირთამდე საესეა მუსიკით“...

მხოლოდ ერთი რამაა ძნელი — „დაიჭირო“ ეს მუსიკა სიტყვაში, ხმაში, ფერებში...

ყოველწლიურად გამოცემულ ოც-ოცდაათ კრებულსა და რჩეულში ოთხმოციან წლებშიც ვპოულობთ საკმაოდ ბევრ ნიჭიერად დაწერილ ლატვიურ პოეტურ ნაწარმოებს, რათა ღამაჯერებლად ვთქვათ, რომ პოეზიის განვითარება დინამიკური და პერსპექტიულია. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი პოეზიის ხმა უფრო და უფრო აქცენტურება მთელ საბჭოთა პოეზიაში, ახლო თუ შორეულ რესპუბლიკებში, სხვა ქვეყნებში. ეს პროცესი უკვე დაწყებულია.

რიგა

ლატვიურიდან თარგმნა უშანგ სახლოთხუციშვილმა

მეცნიერის

ღვაწლი

□ □ □

ოთარ ჯინორიას გოეთელოგიური
გამოკვლევები

□
ლეილა თეთრუაშვილი
□

ამ თორმეტიოდე წლის წინ, ოთარ ჯინორიამ წერილი მიიღო კაიმარიდან, რომლის ქართული თარგმანი ჰქონის უნივერსიტეტის გაზეთმა ღაბეჭდა, შემდეგ „ახალგაზრდა კომუნისტმა“ და ამგვარად გახდა ცნობილი საზოგადოებისათვის. წერილს ხელს აწერენ გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების პრეზიდენტი — კარლ ჰაინც ჰანი. იგი დაბადების დღეს ულოცავს თავის ქართველ კოლეგას, შემდეგ აღნიშნავს:

„კაცხა რომ თქვას, წინა პლანზე უნდა წამომეწია და მეხსენებინა გოეთეს შემოქმედებისა და მისი ნაზრევის სფეროში თქვენი მეც-

ზერული კვლევა-ძიება. განსაკუთრებული მოხსენების ღირსია „ფაუსტის“ შესახებ თქვენი შტუდიები. ცალკეულ ასპექტში ჩვენი თვალსაზრისების განსხვავებათა მიუხედავად, უნდა აღნიშნო, რომ თქვენს მიერ აღძრულმა საკითხებმა და გამოხმაურებებმა ხელი შეუწყეს ამ უნივერსალური ქმნილების უფრო ღრმად გაგებას. არ შეგიძლება იშის უარყოფა, რომ სწორებელ ეს ნაშრომები წარმოადგენენ არსებით წვლილს ამჟამად გოეთეს გარშემო მსოფლიო მასშტაბით მიმდინარე კამათში. (დაყოფა ჩემია — ლ. თ.).

ხოლო ქ. კნიტლინგენში (გვრ) არსებული ფაუსტის საზოგადოების ბეჭდვითმა ორგანომ „ფაუსტბლეტტერ“-მა ამ ათი წლის წინ წერილი გამოაქვეყნა გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების (ვაიმარი, გვრ) პრეზიდიუმის წევრისა და ფაუსტის საზოგადოების წევრის ოთარ ჯინორიას შესახებ:

„როგორც მეცნიერმა, მან (ოთ. ჯინორიამ) სახელი გაითქვა გოეთესა და თომას მანის ნაწარმოებთა ინტერპრეტაციებით, რომელთა ნაწილი დაიბეჭდა „გოეთეს წელიწლეულში, რამაც მას საერთაშორისო აღიარება მოუპოვა. იგი ენერგიულად იღწვოდა სხვებთან ერთად ფაუსტის აკადემიის შექმნისათვის... ორივე საზოგადოების წევრები მასთან ძალიან ახლოს იყვნენ. საბჭოთა კავშირისა-ათვის ამ გამოჩენილი მეცნიერის დაკარგვა დიდი დანაკლისია, რადგან ოთარ ჯინორიას შესწევდა ძალა სულიერი ბარიერის მიუხედავად, მრავალ კვეყანას შორის დაემყარებინა კავშირი. ქართულენოვან სამყარში გერმანისტების დარგში ეს ხარვეზი დიდხანს ერ შეიიგნება; რაშეთუ ის იყო სწავლებისა და კვლევის ოსტატი და ძალუძღვისა და გერმანული ენისა და ლიტერატურისადმი სიმპათიის, უფრო ძეტიც, ენთუზიაზმის გაღვიძება, როგორც არავის მანამდე. მისი სახით მთელმა გერმანულმა ლიტერატურათმცოდნეობამ დაკარგა ინტერპრეტატორი, რომელზე უკეთესსაც ვერ ისურვებდა“.

1975 წლის 15 ოქტომბერს კი გაზეთი „ნოიეს დოიტბლანდი“ ოთარ ჯინორიაზე წერს როგორც „გოეთეს შემოქმედების კეთილ-სინდისიერ მკვლევარზე“, „გოეთეს სიტყვის ნაფიც ჰეროლდზე“.

ეს „კეთილ-სინდისიერება გოეთეს შემოქმედების კვლევისა“, ეს „ნაფიცი მაცნეობა“ გოეთეს სიტყვისა, ეს არსებითი წვლილი ამ-8. კრიტიკა № 2

უამაღ გოეთეს გარშემო მსოფლიოს მასშტაბით მიმდინარე კამათ-ში“, ანუ ყველაფერი ის, რაც ოთარ ჭინორიას სამეცნიერო მოღვა-წეობის „უმთავრეს მონაპოვარებს“ აკადემიურ-შემოქმედებითი ფუნდამენტურობის ნიშნით აღმოჩენის, გაცილებით „შორს მოქ-შედი“ ჩანს, ვინემ დღეს შევძლებთ მის შეფასებას. იგი სიღრმისე-ული თავისთავადობითა აღმოჩენილი და მომავალ თაობათა მიუ-კერძოებელ მეისტორიეს საჭიროებს.

თანაც, გოეთეს პერიოდრაზით თუ ვიტყვით, ალბათ, „მსგავსი სულითაც უნდა განიკვერიტოს, რათა ე.წ. „დროულისათვის“ დამა-ხასიათებელი დანალექისგან განტვირთვის შემდეგ ის „ზედროუ-ლის“ ასპექტებიც წარმოჩინდეს, რასაც ოთარ ჭინორიას სამეცნიე-რო მემკვიდრეობა ჭეშმარიტად მოიცავს.

აქერად კი მხოლოდ იმას შევეცდებით, რომ ოთ. ჭინორიას გოეთელოგიური კვლევის ზოგიერთი მთავარი ასპექტი მოვიხილოთ, ის ასპექტები, სადაც განსაკუთრებით ჩნდება მისი, როგორც მკვლე-ვარის ტალანტი, შესაშური ერუდიცია; სადაც ოთარ ჭინორიას ინ-დივიდუალობა თუ ხალასი პატიოსნება, პირველქმნილი უშუალო-ბით აღმოჩენილი მისი მგზნებარე სული ისე ორგანულად ერწყმის ღრმა დემოკრატიზმა და მაღალ-ჰუმანისტური იდეალისათვის უკ-ომპრომისო, გასაოცარი სიმკაცრით აღმოჩენილ ბრძოლას, რო-გორც მისი პიროვნება მოიცავს ამაღლებულისა თუ ტრაგიკული-საღმი სათუთი სიაღალით უდრეკ თანადგომას, ყოველივე ნათლისა და კარგისაღმი გულითადობას, ნაკლოვანისაღმი ვაჟკაცური დიდ-სულოვნებით აღმოჩენილ ტაქტიან, ღრმად თანამგრძნობელ შეწყა-ლებას, უმეცრებისა და ბორიოტებისაღმი, აგრეთვე ჭეშმარიტების გაყალბებისაღმი სრულიად აშკარა მტრობას და, რასაც საერთოდ ოთარ ჭინორიას პიროვნება ეწოდება.

ოთარ ჭინორიას გოეთოლოგიური შტუდიები ძირითადად თავ-მოყრილია მონოგრაფიული ხასიათის წიგნში „გოეთეს შემოქმედე-ბითი გზა“, რომელიც 1966 წელს გამოვეყნდა. ავტორი წიგნის წინათქმაში აღნიშნავს, რომ მას აქ ყურადღება აქვს გამახვილებუ-ლი გოეთეს „მთავარზე უმთავრეს თხზულებებზე“, ხოლო „განუ-ხილველი რჩება მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობის მთელი დარ-გებშიც კი, მაგალითად, ლირიკა და ესთეტიკური მოძღვრება“. ამ



ფაქტს იმიტომ აღვნიშნავთ, რომ შემდგომ წლებში (1967-75) პე-
ტრომა რამდენადმე შეავსო თავისი შტუდიები ამ მიმართულებით.

1967 წელს, „ლიტერატურულ გაზეთში“ (11 აგვისტო) დაიბეჭ-
და მისი ვრცელი სტატია გოეთეს ესთეტიკის, ე.წ. „მიმეზისს“ შე-
სახებ სათაურით: „პოეზია და სინამდვილე“, რომელშიც ოთარ ჯი-
ნორიამ თვისებრივად ახალი, საფუძვლიანი დებულება დააყენა
გოეთეს ესთეტიკის კვლევის საკითხში. დაიბეჭდა მისი არა მხოლოდ
ეკადემიური ხასიათის კომენტარები გოეთეს ფილოსოფიურ ლირი-
კაზე, არამედ ამ ლირიკის ოთარ ჯინორიასეული თარგმანებიც.
(იხ. წიგნი: „გერმანული ფილოსოფიური ლირიკა“, თარგმანი და
კომენტარები ოთარ ჯინორიასი, თსუ გამომცემლობა, თბილისი,
1981).

ქართველი გოეთელოგის შტუდითა ლაიტმოტივია გოეთეს პი-
როვნება — ინდივიდუალობის საკამათოდ ქცეული პრობლემატი-
კის თავის პირველ, წმინდა უფლებებში აღდგენისათვის უკომპარ-
მისო ბრძოლა. ამ პროცესში ოთარ ჯინორიას, როგორც მეცნიერი-
სა და მოქალაქეების მიზანი მხოლოდ ჭეშმარიტების დადგნის პათო-
სით ისაზღვრება.

ჩვენ აქ საკითხთა რქალის დაწვრილებით განხილვა თუ არა,
ჩამოთვლა და, რამდენადმე, მიმოხილვა მაინც მოგვიხდება. ეს ის
პრობლემებია, რომელთა მრავალი პლანით წვდომა და განსჯა, აგრე
უცვე თითქმის ორი საუკუნეა, გოეთელოგიამ თავის მასშტაბურ
საქმედ იქცია.

ეს, უპირველესად, გოეთეს პირვენებას შეეხება. „ბევრი სხვა
დიდკაცისა არ იყოს, — წერს ოთ. ჯინორია, — არც გოეთეს ასცდე-
ნია მეტნაკლებ გაუგებრობაზე აღმოცენებული უსამართლო თუ
გადაჭარბებული განსჯები. მენცელის მსგავს გამოხდომებზე აქ არა-
ფერს ვიტყვით: იგი ერთნაირად ესხმის თავს გოეთე-პოეტს და
გოეთე-პიროვნებას. მაგრამ აკი თვით ჰაინც აქილიკებდა გოეთეს
როგორც პიროვნებას, იმისდამიუხედავად, რომ მის შემოქმედე-
ბით ნიჭის არ უარყოფდა.

„მაინც რა ღორია ეს გოეთე, როგორც პიროვნება“, — ანიშ-
ნავდა ბელინსკი. ხოლო ყველაზე საგულისხმო, ალბათ, პისარევის



განცხადებაა ამ თვალსაზრისით: „გოეთეს საკუთარი თავისადან დღეს გარდა არავინ უყვარდა“.

„იდეების სიყვარულს“ რაც შეეხება, ოთარ ჯინორია მხოლოდ თ. მანისეულ ასპექტში მიიჩნევს გამართლებულად გოეთეს დასახვას „ეგოისტად“. რომანში „ლოტე ვაიმარში“ გოეთე მართლაც გვევლინება უდიდესი ეგოიზმით შეპყრობილ არსებად. მაგრამ ეს „ეგოიზმი“ არა ჩვეულებრივი თავკერძობა. ამ „ეგოიზმის“ არსი ისაა, რომ გოეთე თავის მხატვრულ მიზანთა საშუალებად, თავისი შემოქმედებითი წვის „მასალად“ იყენებს ხოლმე მთელ მის გარე-მოძღველ ცხოვრებისეულ სინამდვილეს, საკუთარ მახლობლებსაც. ნათესავსა თუ ნაცნობ მეგობრებს, რომელთაც უმოწყალოდ სწირავს, მას შემდეგ სტოვებს და იშორებს, რაც მათ, ვითარცა განცდის მიზეზს, შთაგონების წყაროს „ამოსწურავს“, „დასძლევს“. ამ აზრით მას მართლაც არაფერი უყვარს თავის „იდეებზე“ მეტად. ნაგრამ აქ მეორე ასპექტიცაა და ზედმიწევნით მაღალადამიანურიც. რაზეც ოთ. ჯინორია ამავეილებს ყურადღებას თ. მანის კვალხედ: „ცალკეულ ადამიანთაღმი თავის ამ დანაშაულს გოეთე მარტი იმით კი არ ასწორებს, რომ ხელოვნების სამსხვერპლოზე მათი და-დებით უმაღლეს მიზნებს ესწრაფვის, არამედ პირველ რიგში იმით გაძოისყიდის, რომ ამავე სამსხვერპლოზე საკუთარ პიროვნულ კე-თილსვეობას, თავის ხორციელ არსებასაც ჰქონდას“. და ამგვარად ემსგავსება იგი „ანთებულ სანთელს“, რომელიც მხოლოდ შექს დახარბებულ მწერებსა და პეპლებს კი არ ანადგურებს თავისი ალით, არამედ მანამდე „საკუთარ სხეულს სწირავს, რათა სინათლემ ინათოს“.

რაც შეეხება პეგელის შენიშვნას იმის თაობაზე, რომ გოეთეს „უფრო დახშული ჰქონდა გული, ვიდრე გახსნილი“, ოთარ ჯინორიას კომენტარისამებრ, „ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ გოეთეს საკუთარი თავის გარდა არავინ უყვარდა, არამედ იმიტომ, რომ გარემომცველი „ყოველდღიურობა“ ერთოთავად „მოოქრული მეშჩანობის სამყაროს“ წარმოადგენდა, რომლისთვის „გულის გახსნა“ მის წინაშე განიარაღებასა და კაპიტულაციას ნიშნავდა“. გოეთემ, ცხადია, იცოდა, რომ მას, როგორც „ბუნების იშვიათ მოვლენას“, ზეგენიოსს, საკუთარი თავის საიმისოდ დაცვა და



შენახვა მართებდა, რათა „ფაუსტისა“ და ბევრი სხვა რამის შექმნა დასცლოდა. ეს იყო მისი მორალური ვალდებულება როგორც მისი ხალხის, ისე მთელი კაცობრიობის წინაშე. საამისოდ კი ერთ-ადერთი გზა არსებობდა: „სიცივითა“ და „მიუკარებლობით“, დიახ, „უგრძნობლობითა“ და „სიმკაცრით“ შეეჯავშნა თავისი მაღალ-მგრძნობიარე გული“.

შეორე სკიოთხი, რომელიც გოეთელოგიის „მარადიული“ განსჯის საგნად რჩება სხვადასხვაგვარი ვარიაციის, აშკარად და ფარულად — საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციისადმი გოეთეს დამოკიდებულებაა. აქ პოლემიკის ობიექტიდ ქცეულა ე. წ. „ძალდატანებისადმი“, „იაკობინური პრაქტიკისადმი“ გოეთეს წინააღმდეგობრივი მიმართება.

ამ პრობლემის ინტერპრეტაციისას ოთ. ჭინორიას მეცნიერული კეთილსინდისიერებისათვის დამახასიათებელი ერთი თვისება განსაკუთრებით იჩენს თავს: სრულად მოუხმოს ფაქტობრივ მასალას, ე. წ. წინასწარ შემუშავებული მოდელის დაზარალების შიშით არ შიჩქმალოს მოვლენათა ჭეშმარიტი არსი. მას გასაოცარი შეუპოვრობით მოაქვს ის ფაქტები, სადაც გოეთე აშკარა უარყოფით დამოკიდებულებას იჩენს რევოლუციისადმი „იაკობინური პრაქტიკის“ გამო და რასაც არაჩვეულებრივი ერთსულოვნებით მოუქმნებენ ხოლმე გოეთელოგები, როცა რევოლუციისადმი დიდი შემოქმედის უარყოფითი მიმართების უეჭველობაზე სდებენ თავს. ოღონდ ისე მოუხმობენ, რომ არაჩვეულებრივი ერთსულოვნებითვე უვლიან გვერდს გოეთეს საპირისპირო განწყობილებებს, ვთქვათ, ასეთს და მრავალ ამნაირს: „ყოველი დიდი იდეა, სათნოება, როგორც კი განხორციელებას იწყებს, ტირანულად მოქმედებს“.

ოთარ ჭინორიას დასკვნა ამ საკითხთან დაკავშირებით, ასეთია. „ვაიძარელ ბრძენს უკვე ნაპოვნი და აღიარებული აქვს ის ობიექტურ-რეალისტური კრიტერიუმი, რომლითაც ყოველი დიდი სიახლეა აღსაქმელი, ის ღრმა ჭეშმარიტება, რომ ყოველი რევოლუციური, დიდი მოვლენა უნდა შეფასდეს იმდენად არა მისი დამკვიდრებისათვის გაღებული ცალკეული და დროებითი მსხვერპლის, რამდენადც მისი არსებითი და ხანგრძლივი ნაყოფის მიხედვით“.

ფრანგული რევოლუციის სული გოეთემ ყველა გრძმანელზე



უკეთ, მაგრამ მაინც „გერმანულად“ შეითვისა, რაც ალბათ უწოდესაც ნიშნავს, რომ იგი ფილოსოფიისადმი იმაზე ძლიერ მიღრეკილებას იჩენდა, ვიდრე ეს ხელოვანს „ჩვეულებრივ“ მოეთხოვება.

საურნალო სტატიისთვის განკუთვნილი ე. წ. „რეგლამენტის“ გამო, ამჯერად ჭირს, აზროვნებისა და ემოციის დინამიკაში ვაჩვენოთ ოთარ ჯინორიას დამოკიდებულება ამ საკითხისადმი.

იმავე მიზეზით, სამწუხაროდ, სხვა საკითხებთან დაკავშირებითაც ალბეჭდება ჩემი სტატია ამ ყაიდის „გასაჭიროთ...“

ოთარ ჯინორია წერს, რომ „გერმანულისათვის“ ტიპიურად ქცეული აბსტრაქციების საპირისპიროდ, გოეთეს მსოფლაოქმას „პრაქტიკის პირველადობის“ იდეა გამსჭვალავს, რომელმაც კლასიკური გამოხატულება ცნობილ ფაუსტურ ფორმულაში მიიღო: „დასაბამით იყო საქმე“.

ახლა ის განვმარტოთ, როგორ ესახება ოთარ ჯინორიას გოეთეს შსოფლაოქმაში ეს „პრაქტიკის პირველადობის“ იდეა, ეს „საქმე“, მით უფრო, რომ იმავე განმარტებაში მკვლევარის სულაერ ლირუბულებათა პათოსიც ვლინდება:

„ეს იყო მსოფლაოქმა, — წერს ოთარ ჯინორია, — რომელსაც გოეთეს ნამდვილ-აღმიანური, დიდ-კაცური ბუნების შესაბამისად, — ორგანულად ეუცხოვებოდა წვრილმანი, ფილისტერული უძალობის ნიშნით ალბეჭდილი „დუნე“ და „მორცხვი“ საქმიანობა, მას ერთიანად გამსჭვალავდა სინამდვილისადმი ენერგიული და ქმედითი, აქტიური და გარდამქმნელი დამოკიდებულების, დასხ, მებრძოლი დამოკიდებულების სული და სწორედ ეს სული უდგას მის მთელ შემოქმედებასაც, რომლის ლაიტონტივიც ბრძოლი, თეშაა; აკი გოეთეს პირველი გმირიც გოც ფონ ბერლიჰინგენი თუმცა არასრულფასოვანი, მაგრამ მაინც რაინდია თავისუფლებისა, როლო მისი სიმწიფის დროინდელი ორეულის — ფაუსტის — სიბრძნის უკანასკნელი დასკვნაც ხომ ესაა: „თავისუფლების და სიცოცხლის ლირი ის არის, ვინაც ყოველდღე, განუწყვეტლივ ამისათვის იბრძვის.“

მაგრამ ამ ამონაწერს კიდევ ერთი გარემოების გამოც მოვუბნეთ: როგორც ვხედავთ, ოთარ ჯინორია გოეთეს ახალგაზრდობის-დროინდელ შტურმერ გმირს — გოც ფონ ბერლიჰინგენს — თა-

ეისუფლების ჩაინდს კი უწოდებს, მაგრამ არასრულფასოვნადაც მოიხსენიებს მას. ეს ორმხრივი დამოკიდებულება „შტურმერული“ გმირისადმი შეიძლება განვაზოგადოთ მქვლევარის პოზიციად საერთოდ „შტურმ უნდ დრანგის“, გერმანული კლასიკური ლიტერატურის ამ ხანმოკლე მაგრამ ფრიად მნიშვნელოვანი პერიოდის მიმართ, საიდანაც გოეთე თავის დამოუკიდებელ შემოქმედებას იწყებს. ოთარ ჯინორიას აზრით „ქარიშხლისა და შეტევის“ პერიოდი ერთგვარი შემაერთებელი რგოლია გერმანული განმანათლებლური ლიტერატურის პირველ, ლესინგის მოღვაწეობით დაგვირგვინებულსა და მეორე, გოეთე-შილერისეული „კლასიკით“ წარმოდგენილ პერიოდებს შორის. თანაც ორივე ამ პერიოდისადმია უალრედსად წინააღმდეგობრივად მიმართული: ერთის მხრივ პოზიტიურად ავითარებს, ახალ თვისებრივ დონეზე ამაღლებს ლესინგისეულ მემკვიდრეობას და მეორეს მხრივ ამ მემკვიდრეობის წინააღმდეგ ნეგატიური რეაქციის სახეს იღებს, როთაც საბოლოოდ გერმანული განმანათლებლობის გარკვეულ კრიზისადაც იქცევა, ხოლო ამის შესაბამისად მისივე საუკეთესო წარმომადგენლები — ჰედერი, გოეთე და შილერი — თავინთი შემოქმედებითი სიმწიფის ხანაში მის დადებით მონაპოვართა შემდგომი განვითარებით კი არ კმაყოფილდებიან, არამედ პირველ რიგში, მის მანკიერ ტენდენცია დაძლევას ცდილობენ, სწორედ ამ ტენდენციათა დაძლევის გზით აღწევენ თავინთ შემოქმედების სიმწიფეს, და ამასთან ერთად, გერმანული განმანათლებლობის უმაღლეს კლასიკურ მწვერვალებს“.

როცა ოთარ ჯინორია „კრიზისულს“ უწოდებს ამ მიმდინარეობას და წიგნის თითქმის 60 გვერდზე აქვს „გაშლილი“ მისი გამოვლენის ფაქტები. აქ უკვე ჩანასახიობრივადაც მოცემული ამ კრიზისის გამოშვევი ფაქტორების პოზიტიური ტრანსფორმაციის პერსპექტივა „გვიანდელი“ გოეთეს გმირთა ხასიათებში, რაც წიგნის შემდგომ თავებში აღწევს სრულ რალიზაციას.

ალბათ, გასაგები უნდა იყოს, რომ ხელალებით არ შეიძლება იმის თქმა, ოთარ ჯინორია შტურმერ გოეთეს და საერთოდ „ქარიშხლსა და შეტევას“ აბსოლუტურად ნეგატიურად აფასებსო. ეს რომ ასე იყოს, მაშინ გასაგები იქნებოდა მისი პოლემიკა

გერმანული ლიტერატურის ბურჟუაზიულ ისტორიკოსებთან — ძველებთანაც და ახლებთანაც — (პეტერთან, კორფთან), რომლებიც ამ მიმდინარეობას განიხილავენ ლესინგისეული რაციონალიზმის დაძლევად (ოთ. ჭინორია აკი პირიქით ირჩება — იგი შტურმერთა მიერ ლესინგის ზოგიერთი პოზიციის შემდგომი სრულყოფის ფაქტზე მიუთითებს!) ასე ვე იქნებოდა გასაგები ოთარ ჭინორიას პოლემიკა ზოგიერთ მარქსისტ ლიტერატორთან, ვთქვათ, ი. მიულერთან და პ. რაიმანთან, რომლებიც, და, მეტად-რე, პაულ რაიმნი ერთობ გულუხვია „შტურმერთა“ პოზიტიური არსის შეფასებაში და მათ არსებით ნაკლს მხოლოდ იმუამინდელი პირობებით შემოფარგლავს (ოთარ ჭინორია აკი გარკვეულ რეგლამენტაციას მიმართავს შტურმერთა დადებითი ტენდენციების შეფასებისას!)

მაგრამ გაუგებარი დარჩებოდა, რა აქვს საკამათო ოთარ ჭინორიას ოსკარ ვალუელთან, რომელიც სწორედ წევატიურს მიიჩნევს „შტურმ უნდ დრანგის“ თვისებრივ ნიშნად, სულიერთიან უარყოფითად აფასებს მას იმისდა მიუხედავად, რომ აღიარებს შტურმერთა მიერ ლესინგის საქმის განვითარებას. ასე ვე დარჩებოდა გაუგებარი, რატომ უდგას გვერდით ოთარ ჭინორია რუმინელ ლიტერატორს — პ. ლანგფელდერს, რომელიც სურთოდ კი არ უარყოფს „შტურმ უნდ დრანგისა“ და აღრინდელი გოეთეს მემკვიდრეობის პოზიტიურ მნიშვნელობას, არამედ მხოლოდ შედარებით „ნაკლებ პროგრესულს“ უწოდებს მას „კლასიკა-სთან“ მიმართებაში.

ოთარ ჭინორია შტურმერული იდეოლოგიის და გოეთეს აღრინდელი გმირების ორ მთავარ ნაკლზე მიუთითებს: 1. სუბიექტურ-ინდივიდუალისტურ „მზაობრობაზე“, რომლით შეპყრობილ აღამიანს თვითნებობის უფლებებით აღჭურვილ არსებად მოაქვს თავი; და 2. სინამდვილის ზერელე, სუბიექტურ-ემოციურ აღქმაზე, რომელიც ვერთერს უძლურს ხდიდა, ყოფიერების წინააღმდეგობრივ ძალა ჭიდილის წინაშე.

ინდვიდუალისტის მწარე ხვედრმა კი ვერთერი ორი დიდი ჭეშ-მარიტების წინაშე დააყენა: ერთის მხრივ, იგი აღიარებს, რომ „დღითი დღე სულ უფრო და უფრო ვრწმუნდები: ცალკეული არ-

სების ყოფნას თითქმის არაგითარი მნიშვნელობა არა აქვსო“, შე-ორეს მხრივ, იგი მზადაა, „მკერდი გაიპოს და თავის ქალა გაიხეთ-ქოს“, როცა იმაზე ფიქრობს, „თუ რაოდენ მცირე შესაძლებლო-ბა მისცემიათ ადამიანებს, რათა ერთმანეთისთვის რაიმე იყვნენ“.

გოეთეს ვაიმარული კლასიციზმის მთავარი ამოცანაც იმ გზის მოძებნა გახდა, რომელზედაც დადგომით, ოთარ ჭინორიას აღნი-ებიშვილისამებრ, ცალკეული ადამიანი თანაადამიანად იქცევა, ვინც მარტო — „თავისითვის“ კი არ კაცობს, არამედ სხვებისთვისაც ცდილ-ობს კაცად ყოფნას. საამისოდ კი აუცილებელი გახდა იძულებით კომპრომისზე წასვლა, ოლონდ ისეთზე, რითაც გოეთეს ხელი კა არ აულია თავის იდეაზე, შინაგანად კი არ მიუღია მა-შინდელი გერმანული უბადერუკი ყოფა და მის აპოლიგე-ტად კი არ ქცეულა, როგორც ეს გოეთეს თუნდაც ახლობ-ლებს — მერქასა და ბევრ სხვასაც ეგონა და გოეთელოგთა გარკ-ვეულ ნაწილს — აქა-იქ დღესაც მიაჩნია, არამედ, როგორც თა-ვად გოეთეს კვალზედ ოთარ ჭინორია აღნიშნავს, მან მხოლოდ თავ-ის უმაღლეს პირად მოთხოვნილებებზე აიღო ხელი სწორედ იმით, რომ ვაიმარის ჰერცოგის მინისტრი, დიახ, კარისკაცი გახდა, ხელი აიღო საიმისოდ, რომ მტრულ ცხოვრებისეულ ვითარებაში საარსებო ადგილი შეენარჩუნებინა, თავისი იდეალური მრწამსის ერთგული დარჩენილიყო, მისთვის თუნდაც შეზღუდული ბრძოლის, მისკენ თუნდაც ნელი სვლის უნარი და შესაძლებლობა შეენარჩუნებინა.

და ამგვარად გამოიკვეთა გოეთეს ცხოვრებასა და შემოქმედე-ბაში ე. წ. რეზინაციის. „ენტზაგუნგ“-ის პრობლემა. მრავალნა-ირი განსჯისა და შეფასების საგანი გოეთელოგისა, მისი განვი-თარების თითქმის ყოველ ეტაპზე.

ოთარ ჭინორია „რეზინიაციას“ გოეთეს ყაიდაზე უწოდებს „მომთმენიან წინაღმდეგობას“, რაც ვფიქრობთ, მქელევრის დამ-ოკიდებულებასაც ავლენს ამ საკითხისადმი. თანაც იგი ხაზგასმით აღნიშნავს: „რეზინიაციას, პიროვნების თვითგამოვლენისა და თვი-ოდადგინების სილალეზე და სისრულეზე ხელის ალებას, გოეთე სახავს ცხოვრების სიბრძნის არა აბსოლუტურ, სამარადისო კანონად, არამედ მარტო მანკიერ-სოციალური სინამდვილისათვის აუცილე-ბელ პირობად“. ხოლო რაოდენ მძიმე უნდა ყოფილიყო ამ „ენტ-ზაგუნგ“-ის განხორციელება გოეთესთვის. რა ტრაგედიად ექცა



გას ეს „პირადულზე ხელის აღება“, ამას მოწმობს ტრაგიკული პათოსი — მისივე ტორკვატო ტასსოსი, რომელსაც გოეთე გულით თანაუგრძნობს, რადგანაც მკვლევარის აღხიშვისაძებრ, ტასსოს „კადნიერ პრეტენზიას ისეც მისი ადამიანური დიდბუნებრივობა ასაზრდოებს“ და მხოლოდ გონებით, მწარე გამოცდილების კარნახით ეთანხმება, უთმობს ანტონიოს, „ალბერტის ამ გაუარესებულ განმეორებას“.

ოთარ ჯინორიას გოეთელოგიური ძიებების ყველაზე მნიშვნელოვანი მონაკვეთი „ფაუსტის“ პრობლემატიკის კვლევაა. იგი უმდგომ განვითარებასა და სრულქმნას აღწევს მკვლევარის კომენტარებში გოეთეს ფილოსოფიურ ლირიკაზე.

ჩემი სტატიის ამ ნაწილს მეცნიერის რამდენიმე დებულებით შემოვფარგლავ, ისიც მხოლოდ „ფაუსტზე“.

აქ ვლინდება ოთარ ჯინორიას ულრჩესი და უკეთილშობილესი ბუნების ყველაზე ნათელი ასპექტები, მისი ემოციურ-ინტელექტუალური სამყაროს მრავალფეროვნი და ამაღლებული ინტერესები. — სწრაფვათა მგზნებარება, დარბაისლური უდარდელობა, სადაც მაღალი მიზნისათვის ჭირთამზენის აუცილებლობის შეგრძნებას სრულძალოვანი პიროვნების სილალე ჟრწყმის, აქ იჩენს თავს ოთ. ჯინორიას უნარი ყოფიერების იდუმალ არსთა უფაქიზესი გამოშვარავებისა, მისი დამკვიდრებისათვის რაღაცნაირი თავგადადება, ანუ: აქ ვლინდება ყველაფერი ის, რითაც ოთარ ჯინორია გოეთეს ამ გრანდიოზულ ქმნილებას აღამიანისათვის მისაწვდომს, ახლობელსა და მეგობრულს ხდის, კი არ უპირისპირებს და უბუნდოვანებს კაცს ამ გენიალური ნაწარმოების არსს, არამედ ანათესავებს და ინტერესთა, მიღრეკილებათა ახსნას, სულაც, ამჭვევნად არსებობის შესაძლებლობას აძენინებს მის უღრმეს ხვეულებში, სიკეთისათვის ბრძოლის იმ პოტენციას აღუძრავს, რაც, გოეთეს კვალზედ, ოთ. ჯინორიას ღრმა რწმენით, აღამიანის სულს კეშმარიტად გააჩნია.

აქ საკითხთა მრავალფეროვანი რეალია. ფაუსტის ზოგადსაკაცობრიო და ეპოქალური მნიშვნელობა, ფაუსტური პიროვნების კონკრეტული ნიშნები, ფაუსტის რადიკალური განსხვავება ნიც-შესეული ზეკაცისაგან, ღმერთისა თუ პანთეიზმის პრობლემა, ფაუსტის ევოლუციური გზის შემოქმედებითად გააზრება ან ტრა-

გედის I ნაწილის გმირის ნაკლოვან განშეყობილებათა პოზიტიური ტრანსფორმაცია II ნაწილში, გრეთქენის ტრაგედიის მნიშვნელობა ფაუსტის „კათარსისათვის“, უმაღლეს რანგში გამოვლენილი ნეგატიურობა და სარკაზმი მეფისტოფელისა, რომელიც გააზრებულია ფაუსტის იმპულსად, მისი პოზიტიურ-მადგინებლური ბუნების ასევე უმაღლეს ხარისხში გამოსავლენად, „ელენეს ფაქტორის „ულრმესი მნიშვნელობა ფაუსტის მსოფლმხედველობრივი სისრულის გზაზე, ბუნებისა და საზოგადოების მიმართ ფაუსტური გარდამჯნელ-აქტუალური დამოკიდებულების განშეყობილება, ე. წ. „ზრუნვისა“ და „რადიკალური მოქმედების“ კატეგორიათა გოეთესეული გააზრება.

ჩვენ ზოგიერთ საკითხზე შევჩერდებით, ისიც რამდენადმე, დებულებების სახით:

„გოეთეს „ფაუსტი“ განეკუთვნება იმ მცირერიცხოვან სუმარულ ძეგლებს, რომელშიც გარდამავალი ეპოქის მრავალსაუკუნოვანი მემკვიდრეობა იმგვარად ჯამდება, რომ მომავალ ისტორიულ ეტაპთა პროფილიც ისახება. მას ორი მთავარი წყარო ასაზრდოებს: 1. საფრანგეთის პირველი ბურუუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია, რომელსაც ზოგად-ევროპული რეზონანსი ჰქონდა, და 2. საკუთრივ გოეთესეული ფილოსოფიურ-მეცნიერული ძიებანი, რითაც გოეთე მძლედ იყაფავდა გზას დიალექტიკურ-მატერიალისტური მსოფლალქმისაჟენ.“

„ფაუსტური ადამიანის მთავარი კონკრეტული ნიშანი ისაა, რომ იგი წარმოადგენს ძლიერ, დიახ, გენიალურ პიროვნებას, რომლის მიერ მაღალკუმანისტური იდეალისათვის ჭიდილი მიმდინარეობს „უქანასკნელ საზღვარზე“, „ყოფიერების კიდეზე“, მისი ძალახმევა მოქმედებს ყოველგვარი „ნახევრულობის“, კოშპროშისების გარეშე, მთელი სისრულით, აბსოლუტურ მასშტაბებში“.

„ფაუსტის ეს ზეადამიანური ძალთხმევა სულაც არ აქციეს მას ნიცშესეულ ზეკაცად, მარტოდმავლად, რომელიც მტრულად უპირისპირდება ჩვეულებრივ ადამიანს, თრგუნავს მას, როგორც არა-სრულფასოვანს, უმწეოს. ასეთად ფაუსტს მხოლოდ თანამედროვე დეკადენტები წარმოადგენენ, მათ კონცეფციაში ფაუსტური სახის შინაარსი ირლევა, ისე განიცდის დეზინტეგრაციას, რომ მის პოზიტიურ-შემოქმედებით საწყისს ნეგატიურ-მნგრეველი საწყისი ახ-

შობს. ნიცვეს „ზეკაცისა“ და ფაუსტის მსგავსება მხოლოდ ვარე-
 გხული ხასიათისაა. მათ შორის რაღიკალურ განსხვავებას გვაგრძ-
 ნობინებს ის, რაც ცხოვრების გოეთესეულ და ნიცვესეულ კონ-
 ცეფციებს შორის არსებობს. ამ განსხვავებას ის საზღვრავს, თუ
 ვისთვის აბრძოლებენ თავიანთ გმირებს გოეთე და ნიცვე. საქმე ის
 რის, რომ ფაუსტი მხოლოდ მაშინ იგრძნობს დაკარგილებას,
 ინატრებს დროის შეყოვნებას, როცა „დახსნილ მიწაზე თავისუფ-
 ლად მოფუსფუსე ხალხს“ იხილავს. ე. ი. მისთვის უმაღლეს კრი-
 ტერიუმს კაცობრიობის ბეღნიერება წარმოადგენს და არა საკუ-
 თარი, პირადი დალხინება. ხოლო ზარატუსტრას უკანასკნელი აღი-
 რება ესაა: „განა სხვათა ბეღნიერებისათვის ვიღწვი, მხოლოდ
 ჩემს საქმეს ვესწრაფვი“. თუკი ნიცვეს გმირი უსულეულო ბატო-
 ნის ცივი მზერით ისე გადასცემრის ადამიანთა „ქვეყანას“, თით-
 ქოს უღაბნოს გაპყურებდეს, მოხუცი ფაუსტის ულმობელი ცეც-
 ხლოვანების წყარო ის შინაგანი გზებაა, რომლითაც იგი აღამიან-
 თა ბედისათვის თავად იწვის. იგი ნიცვეს გმირივით „მაცური“ და
 „წამტყუებელი“ კი არაა, რომელიც მხოლოდ თავისი ე. წ. „ზე-
 კაცური“ პიროვნების თვითდაღინების საშუალებად იყენებს აღა-
 მიანებს, არამედ ნამდვილი თავკაცია, ჰეშმარიტი მწყემსია“, იგი
 იმ გზით „მიერეკება“ თავის ძვირფას „ფარას“, რომლითაც მის
 წევრებს, როცა საამისო დრო მოატანს, საკუთარ ფაუსტურ დო-
 ნემდე აამაღლებს, ანუ, ადრე თუ გვიან, უპიროვნო და ინერტულ
 „მასას“ სრულფასოვან აღამიანთა ერთობად, თავისუფალ საზოგა-
 დოებად, „გენაინშაფტად“ აქცევს“. ესაა ფაუსტის ე. წ. „შვენი-
 ერი წამის“ პოტენციური არსი! ამ საკითხის დასბუთებას ეძღვ-
 ნება ოთარ ჯინორიას წიგნის უკანასკნელი თავი: „კაცური კაცი და
 არა ზეკაცი“.

„ფაუსტის“ კარდინალური პრობლემა ღმერთის საკითხია, სა-
 დაც დიდი შემოქმედის ღრმად პუმანისტური პოზიცია ვლინდება.
 გოეთეს „ღმერთის“ შესახებ ორი თვალსაზრისი უპირისპირდება
 ერთმანეთს: პირველის მიხედვით იგი პიროვნულ-ორთოდოქსული,
 არელიგიური ღმერთია, მეორის თანახმად — ფილოსოფიურ-პანთ-
 ეისტური ღმერთი ანუ ბუნება. ოთარ ჯინორია განიხილავს რა
 „დოგმატური“ ღმერთის ანტიპუმანურ რაობას, აღნიშნავს: „დო-

გმატური რელიგია თავისი უკიდურესი დუალიზმის შედეგად ადა-
 მიანს უსაზღვრო დაძცირებით ღმერთს განადიდებს უსაზმოდ, მათ
 შორის ბატონყმურ ურთიერთყავშირს ამყარებს და ენგელსის-
 თქმით ამით იქცევა „ფეოდალური წყობილების უმაღლეს განზო-
 გადოებად და სანქციად“. და ცხადია, ამ ფიქტიურ „ღმერთს“ გო-
 კე ვერ აქცევდა და არც აქცევდა თავისი უძვირფასესი ქშილე-
 ბის „დედააზრის მესიტყველ“. მეორე თვალსაზრისის განსამტკიცებ-
 ლად და შემდგომი განვითარება-სრულყოფისათვის შკვლევარი
 „ფაუსტის“ ღმერთის გარეგნულ-ალეგორიულ ატრიბუტებს უკ-
 უაგდებს და მისი ეთიკურ-ფილოსოფიური შინაარსის გადააზრე-
 ბით, ამგვარად ასკვნის: „იგი მხოლოდ გარეგნულად გვევლინება
 რელიგიურ ღმერთად, ხოლო არსებითად წარმოადგენს სწორედ
 ,ფილოსოფიურ დემიურგს“, რომელიც თავის თავსა და საკუთარ-
 ქმნილებებს შორის თვისებრივ სხვაობას შლის, სუბსტანტურ იგ-
 ივეობას ამყარებს“. ხოლო ამით გორეთე ჯერ „ღმერთისა და ბუნე-
 ბის ცნებათა პანთეიისტურ გაიგივებას, საბოლოოდ კი ღმერთისა და
 ადამიანის სწორობას ხდის შესაძლებელს“.

„ელენეს ტრაგედიას“ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს „ფა-
 უსტის“ მეორე ნაწილისათვის. „ელენეს საკითხს“ ოთარ ჯინორია,
 სხვა მკვლევართაგან განსხვავებით, განიხილავს ფაუსტის მორიგ
 „ცოლნებად“, ოღონდ ისეთად, რომელსაც თავისი დიდი პოზიტი-
 ური მნიშვნელობაც აღმოაჩნდა გმირის მსოფლაღქმის გარდაქმნის
 გზაზე: თუკი ფაუსტი ტრაგედიის დასაწყისში სინამდვილის მხო-
 ლოდ მკვდარ ფორმებს აღიქვამდა, ვითარცა „გონების ქურუმი“,
 ხოლო გრეთქნენთან ურთიერთობის შედეგად, სიცოცხლის იმპუ-
 ლსებს კი შეიგრძნობდა, მაგრამ თავად ეს იმპულსები იყო უფო-
 რმო, — ელენესთან კავშირის წყალობით ფაუსტის სული ემოცი-
 ური შინაარსით ავსებს ინტელექტუალურ ფორმებს, გონებას სი-
 ცოცხლეს, სითბოს სძენს, ხოლო გრძნობას — ფორმას, ზომას მა-
 ტებს. გრეთქნისაგან განსხვავებით, რომლის თუმცა უმწიდვლო,
 მაგრამ მიამიტურობით ზღვირდებულ ბუნებას სრულიად არ შეე-
 რწლო მოეცვა ფაუსტი, მშევნიერი ელენეს უპირატესობა ისაა, რომ
 იგი თავისი ინტელექტუალური განათლებულობით, — დიახ, განათ-
 ლებულობით და არა განსწავლულობით, — სულიერობის იმ დო-

ნეზე უტოლდება ფაუსტს, რომელზედაც ქალისა და კაცის ურთიერთობა სექსუალურის ფარგლებს სცილდება და აღამიანური კავშირის სისრულეს აღწევს. კერძოდ, ფაუსტთან მის ამ სულიერ ტოლობას. დიახ, თანაბარუნარიანობას. III აქტის ის სცენა წარშოგვიდგენს, სადაც ელენე, ანტიკური ურითმო პოეზიის შვილი, მაღალნიჭიერი შეგირდის სილალით აჰყვება ფაუსტს გარითმული ლექსით „ტკბილსა და მშევნიერ ბააშში“.

მაგრამ, მეორეს მხრივ, ელენესთან ფაუსტის კავშირის უარყოფითი ასპექტი ისაა, და „ცოუნებადაც“ იმდენად განიხილავს მას ოთარ ჯინორია, რომ ამ გარდასული დროის, ლანდის, უსახო სქემის ე.წ. „დედათა მხრიდან“ გამოხმობითა და მასთან შეულლებით გოეთეს გმირი საბედისწეროდ მოსწყდა სინამდვილეს, რამაც თავი იჩინა შესაძლოა, ამალლებული, მაგრამ სიცოცხლისათვის უუნარო ევფორიონის ტრაგედიაში.

„ელენეს იდეა, პრინციპი“, წერს ოთარ ჯინორია, „მხოლოდ იმას მოუტანს რეალურ სარგებელს, ვინც მის ახლებურ ტრანსფორმაციას შესძლებს, ახალ მატერიულობას მიანიჭებს ამ უსახო სქემას“. ამ ასპექტით განვითარა და სრულყო თ. ჯინორიამ ელენეს თემა ვრცელ ნაშრომში — ელენეს შელოცვით გამოხმობა გოეთეს „ფაუსტში“ და სტატიაში „გოეთე თავისი ფაუსტის ელენესადმი დამოკიდებულების საკითხში“. ორივე შრომა გერმანულ ენაზე გამოქვეყნდა.

აქ, მეტადრე, უკანასკნელ სტატიაში წარმოაჩინა ოთარ ჯინორიამ ის დისტანცია, რომელსაც გოეთე იცავს (თავისი ფაუსტისაგან განსხვავებით) „ელენეს იდეის“ მიმართ. ოთარ ჯინორია მოუხმობს გოეთეს გვიანდელ ლექსს „1832 წლის 18 იანვარი“, რომელშიც გოეთე თავის გმირს ამგვარად ემიჯნება: „ჯადოქარ“ ფაუსტისაგან განსხვავებით, რომელიც შმავი ვნებით გამოუხმობდა ელენეს ზეცისა თუ პალესისაგან, მას, პოეტს, ძალუძს, სიხარულის მომნიჭებელი შემოქმედებითი აქტის უამს პპონს სასურველი იდეალი ელენს „ურფენომენის“ გარდათქმით.

„ელენეს ტრაგედიის“ შემდეგ ფაუსტს აღარ ხიბლავს მეფის-ტოფელის ბრაგალნარი სატყუარი. აქამდე მის ამოსავალ წერტილს საკუთარი პიროვნება წარმოადგენდა, რომლის თვითდად-

გინებისაკენ სწრაფვა მხოლოდ თავისსავე მოთხოვნილებებს ჩდება საზღვრად და აწყვეტილ ენებათალელვაში გარდამავალი, სხვ-ბის ან უხეშ ძალმომრეობად, ან სულაც, სასტიკ გულგრილობად ატყდებოდა. ამიერიდან კი ფაუსტს კრიტერიუმად ქცევია საზო-გადო თავისუფლების პრინციპი. „დიადი საქმე“ იტაცებს, ბუნე-ბისა და საზოგადოების მიმართ გარდამქმნელი განწყობილების სული ეუფლება. და ამ „დიადი საქმის“ წამოწყების წინაშე მდგარს, აუცილებლობად ექცევა ე. წ. „რადიკალური ზომების“ მიღება (ბავკიდესა და ფილებონის ეპიზოდი).

ფაუსტის უკანასკნელი ტრანსფორმაცია ზრუნვის მიერ მისი დაბრმავების შემდეგ ხდება.

ხოლო „ზრუნვის“ კატეგორიას ასე განმარტავს ოთარ ჭინორია. „ესაა ადამიანის „მყაცრი მეგზური“, წყევა კაცისა, მაგრამ ცხოვ-რების მყაცრი კატალიზატორიც. ზრუნვა სურვილია, ვნებაა, მაგ-რამ გაჭირვებით ოძრული სურვილი, სიმწრით ოძრული ვნება. ესაა სასტიკი რეალობის დაძლევის საჭიროების შეგრძნება, აუცი-ლებლობის მათრახი, რომელიც გარჯას, ბრძოლას გვაიძულებს, უკეთესისაკენ მიგვერეკება, თანაც: ყველას როდი შველის; ვი-თარცა მძიმე განსაცდელი, სუსტია და გლახას სტეს, მარტო ძლი-ერს, ვაჟკაცს აკაუებს.

ფაუსტისაც ასე ექცევა“.

„ფიზიკური დაბრმავებით, ზრუნვა ფაუსტში ფილისტერს აშ-თობს, რომელსაც მხოლოდ ფიზიკური თვალი უკრის, რომლის თვალთახედვა შისი გარემომცველი „არემარის“ საზღვრებით იზ-ღუდება.. ხოლო ფილისტერის ამ დაბრმავებასთან ერთად ფაუსტს ის შინაგანი მხედველობა ეხსნება, ის გონების თვალი ეხილება, რომლითაც კაცი ემპირიული არსებობის საზღვრებს სცილდება. და თავის ადამიანურ სპეციფიკას, საკუთარ თავზე აღმატების ფა-უსტურ უნარს იძენს, ნამდვილ გმირად, ამაქვეყნის შემოქმედად იქცევა“.

„იგი პირველად აქ ევლინება თავის „მსახურთ“ ნამდვილ ბე-ლადად, რომელსაც ვეღარავითარი დაბრკოლება ააღებინებს ხელს დასახული მიზნისკენ სწორი, მაგრამ უმძიმესი გზით სვლაზე“.

მაგრამ აქ ერთი საკითხიც ჩნდება: როგორ უნდა შეუთავსდეს ერთი მეორეს ფაუსტის ერთპიროვნული ბელადობა, მისი ე. წ..

ძალდატანებითი პრაქტიკა და მისივე იდეალი „თავისუფლების უმაღლესი საგანე“. ამ საკითხისაღმი ოთარ ჯინორია ისეთივე და-მოკიდებულებას იჩენს, როგორც „იაკობინური პრაქტიკისა“ და „რეზინიაციის“ მიმართ; „სრულ და უმაღლესი თავისუფლების სა-ვანეში — წერს იგი, — თავად ფაუსტსაც კი ოარ დარჩება ად-გილი, როგორც ერთპიროვნულ ბელადს, „ბატონს“ რომელიც დიადი მიზნისკენ იძულებით წარმართავს ხალხის ჭერ კიდევ ნა-კლებ შეგნებულ და ინერტულ მასას. აქ ინდივიდუალური ფაუს-ტური ნება ხალხის საყოველთაო ნებად განივრცობა და ამოქმედ-დება, ისე რომ ერთიანი შეგნებულ-ნებაყოფლობითი აქტივობა თავისთვალ გამორიცხავს როგორც თვითნებობის შესაძლებლობას, ისე ძალდატანების აუცილებლობას.“

ამ ზემდიწვენით საკამათოდ ქცეული და მრავალნაირი ინტერპრე-ტაციის საგნად დღესაც მოქმედი საკითხისაღმი ოთ. ჯინორიას პო-ზიციის სწორად გაგების სურვილით, მის ამ დებულებასაც მოვი-ტანთ: „ფაუსტს მხოლოდ არსებითად ახალი, ყოველგვარი ძალა-დობისაგან თავისუფალი ცხოვრების იდეალი ხიბლავს და არა ამ იდეალის განსახორციელებლად ჭერ კიდევ ძველი, ძალმომრეო-ბის საყაროდან გადმოყოლილი მეთოდებით წარმოებული თავი-სი პრაქტიკა. და ამ პრაქტიკით დაგვირგვინებულ საკუ-თარ ცხოვრებასაც ფაუსტი მხოლოდ იმდენად თვლის ღირებულ-ად, რამდენადაც მის მიზანს იმ ნათელი მომავლისკენ გზის გაკაფ-ვა წარმოადგენს: მისი სიცოცხლის „ქვალი“ მხოლოდ მაშინ არ შთაინთქმება უამთა სრბოლაში, თუკი ამ „ქვალს“ „დახსნილ მი-წაზე თავისუფლად მოფუსფუსე ხალხის“ ხილვის „დიადი წამი ღაგვირგვინებს“.

თანაც ოთ. ჯინორია სქოლიოში ასე შენიშნავს: „გოეთეს წი-ნაშრობედად აქ ჰიუგოს გმირები გვევლინებიან — სიმურდენი და გოვენი, რომლებიც საბოლოოდ იმაზე შეთანხმდნენ, რომ პირველის „მახვილის რესპუბლიკა“ აუცილებელია მეორის „გონების რეს-პუბლიკის“ დასამყარებლად“.

ოთ. ჯინორიას ნაშრომი — „ფაუსტის ფინალი“ გერმანულ ენ-აზე გამოქვეყნდა. მაგრამ მისი არსი და ღირებულება მხოლოდ ზემოაღნიშნული პრობლემის ინპერპრეტაციით არ იფარგლება. ეს ნაშრომი მოიცავს კიდევ ერთ საკითხს, რომლის შესახებაც ოთარ

ჯინორიამ 1972 წელს „ლიტერატურნაია გრუზიაში“ გამოაქვეყნა სტატია: „გოეთეს „ფაუსტის“ ომის შემდგომდროინდელი ჩეცეპცია“. იგი ეხება ლიტერატურის ისტორიაში თანამედროვე ბიურგერული იდეოლოგიების ფსევდოპუმანისტურ პოზიციას გოეთეს „ფაუსტის“ მიმართ და მის კრიტიკას ოთარ ჯინორიას მიერ მარქსიზმის პოზიციებიდან.

ოთარ ჯინორიას კრიტიკის სფეროში აქ მოქცეულია გერმანული ლიტერატურის ცნობილი ისტორიკოსები: ჰ. კორფი, ი. მიულერი, ი. რიკერტი, ბ. ფ. ვიზე. მეტადრე ეს უკანასკნელი, რომლის ჩეცეპტიაში ფაუსტი და მისი შემოქმედი არსებითად დაქვემდებარებულია საესტებით ორდინალური ქრისტიანული კათოლიზმის სულს. ამ მკვლევართა არაკულიფიციურ ეპიგრანად ჩვენში ქართველი გერმანისტი მიიჩნევს ი. ზოლოტუსკის, — წიგნაკის „ფაუსტი და ფიზიკოსების“ ავტორს.

ოთარ ჯინორიას პათოსი აქ ასე ვლინდება: „ზემოაღნიშნულ მეცნიერთა პოზიცია შეიძლება შეფასდეს, როგორც ურთგვარი ცდა, კაცობრიობას ისევე წაართვას ჭრილობის გმირული ადამიანის. გოეთესული ფაუსტის სიმბოლო, როგორც ჩვენი საუკუნის სასოწარევეთილებით შეპყრობილმა „იდეალურმა“ დეკადენტმა — თომას მანის ადრიან ლევერჟიუნმა ჩაიფიქრა: თავისი კანტატით დეპუმანიზირებულ დოქტორ ფაუსტუსზე გაეარაფრებინა ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონია და ამით კაცობრიობისათვის ჩაექცია გმირული ენთუზიაზმის სული, სიხარულის განცდა მოქსპო მისთვის.

დასასრულ, ესეც სათქმელად მესახება:

ოთარ ჯინორიას გოეთელოგიური შტუდიების და საერთოდ, მისი მეცნიერული მექანიდრეობის დიდი მნიშვნელობა მსოფლი დ მის ერუდიციასა და აკადემიზმში, თუნდაც შემოქმედებით ნიჭისა და კეთილსინდიერება-სიმართლეში კი არ მდგომარეობს, არამედ მისი პოზიციის ლრმად დემოქრატიულ-პუმანისტურ არსებიც, იმ ვიწრო პირადულის ზღუდებს რაღიკალურად გამიჯნულ მაღალ-ადამიანურ პათოსშიც, რომლის წყალობითაც მას არც ფაუსტური სწრაფვის აწმენა გაქრობია და არც ადამიანთათვის სიხარულის მიმნიჭებელი ენერგია დაშრეტია.

თარგმანის

საკითხები

□ □ □

ვჩანც კაფეა „პროცესი“ გთარგმელის თვალი

□
ელი ახაზურელი
□

ვუძღვნი დათო დავლიანიძის ხსოვნას

მოსაზრებანი როგორი

ფრანც კაფეას რომანი „პროცესი“ იწყება ყოველგვარი ექსპოზიციის გარეშე, პირდაპირ ფაქტით, რაც ამავე დროს ანტიფაქტიკაა: „ეტყობა ვიღაცამ ცილი დასწამა იოზეფ კ-ს, რადგან არაფერი დაუშავებია და ერთ მშვენიერ დილას მაინც დააპატიმრეს“. სიტყვები, — „ეტყობა“ და „ვიღაცამ“, ბევრის მთქმელია და კონკრეტულად არაფერს ნიშნავს. როცა ცხოვრება ვიღაცის ახირებაზეა

დამოკიდებული, სიკეთეს არავინ უნდა ელოდეს. საზარელი ნათქვამია „ცილი დასწამა“, რაც სტულიად საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ კ. დააპატიმრონ, რაღაცნაირ უცნაურ პატიმრობაში ამყოფონ, უფრო სწორად, იყოს და არც იყოს პატიმარი, არავითარი პროცესი არ შედგეს და ბოლოს განცვითხავად ძალლივით დაჭლან. რომანის ასე დაწყება მკითხველს თავიდანვე უცნაური ეჩვენება და უჭირს იმის გათვალისწინება, თუ როგორ განვითარდება მოქმედება შემდგომში. ამ ხერხს კაფეა მარტო „პროცესში“ არ იყენებს, თითქმის ამგვარადვე იწყება მისი ერთ-ერთი საუკეთესო მოთხოვა „მეტამორფოზა“.

როცა იოზეფ კ. ფრაუ გრუბახს თავის დაპატიმრებაზე ჩამოუგდებს სიტყვას, მის მიმართ სიმპათიით განწყობილი პანსიონის დიასახლისი ამშვიდებს, ქურდივით კი არ დააპატიმრეს, თქვენს დაპატიმრებაში არის რაღაც მეცნიერული. მე ამისი არაფერი გამეგება, ეს არც უნდა იყოს გასაგებიო. თან თვითონ უბოლიშებს, სისულელეს ვრომეო. არა, ეს არ არის სისულელე. მერე რა, რომ კ-ს დაპატიმრება გაუგებარია, სამაგიეროდ მეცნიერულადაა დასაბუთებული და ამდენად საჭიროცაა. საშუალო დონის მოქალაქის ეს პოზიცია ხელისუფლებისადმი ბრძან მორჩილებაზე, მის გონიერობის დასულიერ სიბერიავეზე მეტყველებს. მას არ აინტერესებს კ. მტყუანია თუ მართალი, მისთვის მთავარია ფაქტი და არა ამ ფაქტის წარმოშობი მიზეზი, რადგან მას არ სურს იფიქროს იმაზე, რისი ამოხსნაც არ ძალუდს. ამიტომ ყოველთვის იოლ, გათელილ გზას ადგება — დააპატიმრეს, ალბათ ასეა საჭირო.

ფროილაინ ბიურსთნერი კ-ს ეუბნება: „სასამართლოს თავისებური მიმზიდველობის ძალა აქვს, არა?“ თვითონ ხომ ამ აზრისაა, მაგრამ კ-საგანაც მოელის დასტურს. ამ აზრის გაგებაც ორნაირად შეიძლება: რადგან არსებობს ბოროტმოქმედება, დანაშაული, კანონმდებლობა, რადგან არსებობენ სასამართლოები და მოსამართლენი, ამ ცხოვრებაში ბევრი ადამიანი სასამართლოს ვერ ასცდება, ე. ი. დაცემისა არ იყოს, ერთხელაც იქნება მაინც მოიტეხს კისერს, იმ დროს აღმოჩნდება საბრალდებო სკამზე, როცა არ ელოდა. გარდა ამისა, დანაშაულსა და სასამართლო პროცესში არის რაღაც ქვეცნობიერად მიმზიდველი და ბევრს სასამართლოსაკენ ცნობისმოყვა-

რეობა ეჭაჩება. ტყუილად როდი ათქმევინებს კაფკა ვექილს, ლენის ბრალდებულები ლამაზ აღამიანებად მიაჩნიაო.

სანამ სასამართლოს სტრუქტურას გაიცნობს, კ-ს პირველ რიგში მდგარი ხანში შესული მამაკაცების იმედი აქვს, ჰავნია, გადამწყვეტი ხმის უფლება სწორედ მათ აქვთ და კრებაზე გავლენას მოახდენენ. როგორ სწამს, ან როგორ უნდა, რომ სწამდეს უმცროს თაობას ცხოვრების გამოცდილებით აღჭურვილი, ჭკუადამჯდარი უფროსი თაობისა, მაგრამ, ვაი, რომ ეს ასე არ ხდება და ისევე გაწმილებული რჩებიან, როგორც კ. დარჩა.

კ-ს თქმით, სასამართლოს ღონისძიებების, ანუ მისი დაპატიმრებისა და გამოძიების უკან დგას დიდი ორგანიზაცია, რომელსაც ემსახურებიან მექრთამე მცველები, უგუნური ზედამხედველები, გამომძიებლები, რომელსაც ქმაყოფაზე ჰყავს მაღალი და უმაღლესი რანგის მოსამართლეები მოსამსახურეების, მდივნების, უანდარმებისა და სხვა დამხმარე პერსონალის მთელი ამაღლით, იქნებ ჯალათებიც კი. ამოდენა ორგანიზაციის არსებობას ის აზრი აქვს, რომ დაპატიმროს უდანაშაულო აღამიანები და მათ წინააღმდეგ აღძრას უაზრო და მეტწილად უშედეგო სისხლის სამართლის საქმე. როცა მთელი სისტემა ერთნაირად ასე უაზროა, როგორ შეიძლება ავიცილოთ თავიდან მოხელეთა უსაშინელესი კორუფცია. ასეთ ვითარებაზი უზენაესი მოსამართლეც კი ვერ დარჩება პატიოსანი... ამიტომ ცდილობენ მცველები დაპატიმრებულს ტანსაცმელი წაგლიჯონ. გულზე მოგხვდება გასაწერებლი მცველის სიტყვები: „რომ იცოდეთ, რა ცოტას გვიხდიან... ცდილობ წალლიტო ყველას ყველაფერი, რისი წალლეტაც კი შეიძლება. მარტო ხელფასით ვერ იცხოვრებ, თუნდაც დღე და ღამე გასაწორო. რომ არ დაგებეზღებინეთ, თითსაც არ დაგვაკარებდნენ“. მაშ, წამლლეტაობა ნორმა ყოფილა. ამიტომ იჭრებიან ზედამხედველები სხვათა ბინებში, ამიტომ ელის „დამნაშავეს“ დაკითხვის ნაცვლად მთელი კრების წინაშე ღირსების შელახვა.

აი, ასეთ სახელმწიფოში, ასეთ ვითარებაში უხდებოდა კაფკას-თანა ფაქტზე აღამიანს ცხოვრება და რა გასაკვირია, რომ ასეთი რთული და შემზარევი სამყარო დახატა თავის რომანებში, კერძოდ „პროცესშიც“. მწერალმა ეს სამყარო მგრძნობიარე აღამიანებით დასახლა და ისინი გარდუგალობის წინაშე დააყენა. ყველა წაგლე-

ჯაზეა, ყველა ხელს ითბობს, ნამდვილი ადამიანი კი უმწეოა. არავითარი დანდობა იმას, ვინც საერთო ფერხულში არაა ჩაბმული და ფიქრობს, თუ წესიერად შეასრულა დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობა, მოქალაქეობრივი ვალი მოხდილი აქვს და არავითარი საფრთხე არ ემუქრება. ერთადერთი, რაც ამ უსახურ, რუს მასაში ბრწყინავს, სამკერდე ნიშნებია (წარმოიდგინეთ, შიკრიკის ღილებიც კი). საზარელია კ-ს სიტყვები დაკითხვაზე: „თქვენ ერთსა და იმავე ლროს მსმენელებიც ხართ და ჯაშუშებიც, ბანდიტურ კორუფციას განასახიერებთ“.

ასეთი მომაკვდინებელი განაჩენი იშვიათად გამოუტანია მწერალს თავისი ძირმომპალი სისტემისათვის. ჰაქსლის „ტაკიმასხარათა ფერხული“ უსუსური ბავშვის ტიტინია კაფკას „ჯალათების ფერხულთან“ შედარებით.

ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს კაფკას თავიდან ბოლომდე დაწერილი ჰქონდა წიგნი გონებაში (პირიქითაც ხდება, ხომ გახსოვთ ტოლსტოის გაოცება, ეს რა მიქნა ნატაშამო), მაგრამ მასალის დალაგება ვერ მოასწრო (აკი თვითონაც დაუმთავრებლად თვლიდა თავის ნაწარმოებებს და მაქს ბროდს პირობაც კი ჩამოართვა, რომ ყველა მის ნაწარმოებს დაწვავდა. ღმერთო, ზოგჯერ პირობის დარღვევაც კი დიდი მადლია!). სათქმელი იმდენი ჰქონდა, რმდენად იყო აღშფოთებული, აღშფოთებული კი არა, შეძრწუნებული ყოველგვარი უხამსობით, უგუნურობით, უსამართლობით, რომ თავიდანვე თქვა, რაც მთავარი იყო.

კ. კატეგორიულად, პრინციპულად ილაშქრებს მექრთამეობის წინააღმდეგ. ამ გზით მასაც შეუძლია დაიხსნას თავი, რადგან მშვენივრად ხედავს, რომ სასამართლოს ყოველი მსახური და მოხელე მექრთამეა, მაგრამ მექრთამეობა ეწინააღმდეგება მის პრინციპებს და ამიტომ მზადაა უამრავი უსიამოვნება გადაიტანოს, ოღონდ ისინიც დაისაჯონ, ვინც მის მსგავს ადამიანებს ჩავრავს. კ-ს ენატრება სამართლიანობა, დიახ, მხოლოდ და მხოლოდ სამართლიანობა.

თუმცა ერთხელ ისიც დაუშვებს კომპრომისს და ცდილობს გამოისყიდოს მცველები, რომელნიც მის გამო უნდა გაწყებლონ. „ფულს არ დავიშურებ, თუ ამათ გაანთავისუფლებ“, — ეუბნება გამწერლავს და საფულეს ისე ამოილებს, არც შეხედავს; ასეთ საქ-

შეებს ა-რიცე მხარე თავდახრილი მშვენივრად აკვარახჭინებს, დას-
ძენს კ.

საინტერესოა სიტყვები, მრეცხავი ქალი რომ ამბობს გამომძიე-
ბელზე (თუმცა არ ვიცით მრეცხავია თუ არა, ხომ შეიძლება ოჯახის
სარეცხს ჭეჭყავდეს?!). მის ნათქვაში თუ ვირწმუნებო, გამომძიებე-
ლი უამრავ მოხსენებით ბარათს წერს, ზევით აგზავნის, განსაკუთ-
რებით ბევრს წერს კ-ზე და ეს რაღაც გავლენას ახდენს მის პრო-
ცესზე. კ. დარწმუნებულია თავის უდანაშაულობაში და იმაშიც,
რომ გამომძიებელი ცილისმწამებლურ ბარათებს თხზავს.

მხატვართან მიმავალ კ-ს კიბეზე პატარა გოგოები შემოხვდები-
ან. არც ერთი არ ჰგავს მამა აბრამის ბატყანს, მაგრამ ერთი 13 წლის
კუზიანი გოგონა სულით ხორცამდე გახრწნილია. იგი კიბეზე ამა-
ვალ კ-ს მუჭლუგუნს უთავაზებს და გამომწვევად უყურებს თვალე-
ბში. მოვიანებით კ. მხატვრისაგან გაიგებს, რომ სასამართლოსთან
ამ გოგოებსაც აქვთ კავშირი. თუ გავიხსენებთ იმ ლოკებლაულაჟა
ბიჭსაც, კრებაზე კ. გამომძიებელთან რომ მიიყვანა, აშკარა ხდება,
ბავშვებსაც არ ინდობენ, ნაადრევად ხრწნიან და თავიანთ დამქაშე-
ბად ხდიან.

პირველად რომ ვექილთან მივიდა, კ-ს უნდოდა ეკითხა მისთ-
ვის, რომელ სასამართლოში მუშაობთ, იუსტიციის სასახლეში რო-
მაა თუ სხვეზეო, ე. ი. არსებობს რაღაცნაირი იღუმალი სასამარ-
თლო, ოფიციალური სასამართლოსაგან განსხვავებული, ბნელით
მოცული, საზარელი. იქნებ იუსტიციის სასახლეში მოთავსებულ
სასამართლოს უფრო ფართოდ რომ გაეხილა თვალები და თავისი
მოვალეობა პირნათლად შეესრულებინა, იატაკევეშა სასამართლო
ასე ვერ იპარჩაშებდა.

ვექილი კ-ს უხსნის, რომ სასამართლოში, რომელთანაც დაკავ-
შირებულია, არა მარტო საზოგადოებისაგან, არამედ თვით ბრალ-
დებულისაგანაც ფარულად ირჩევა საქმე. მისთვის სასამართლოს
ოქმები ხელმიუწვდომელია და არ იცის, რომელი ოქმი უდევს
ბრალდებას საფუძვლად. ამიტომ რა სამართალზე შეიძლება აქ ლა-
პარაკი? ყველაზე სწორი პოზიცია ისაა, შეეგუო არსებულ ვითარე-
ბას, რაღაც რაიმეს შეცვლა შეუძლებელია. ასე იყო, ასე არის და
ასე იქნება, ასკვნის ილაჯგაწყვეტილი კ.

მხატვარს მოსამართლეებთან ურთიერთობა, ანუ მათი დახატვის

უფლება მექანიზმებით ერგო მამისაგან. ამ საქმეში უცხო პირის ჩარევა არ შეიძლება.

აპრიორი გამოდის, რომ კაფეასათვის, და აქედან კ-სთვისაც, ადამიანს რაღაცაში ყოველთვის მიუძღვის ბრალი და მისი გამართლება შეუძლებელია. მაქს ბროდის საწინააღმდეგოდ, ბევრი მეცნიერი ამტკიცებს, კაფკა რელიგიასთან მშყრალად იყოო. იქნებ ბროდია მართალი, იქნებ კაფეასთან ორი შრეა არეული ან დაპირისპირებული? პირველი — უზენაესი მსაჯული, ღმერთი, რომლის წინაშეც ყველა დამნაშავე და ცოდვილია, ცხადია, თუ სიკეთისა და სიწმინდის აბსოლუტურ კრიტერიუმებს მივუყენებთ და მეორე — ცოდვილი შიწა მთელი თავისი ფარული, ბნელი ზრახვებით და აქედან გამომდინარე ასეთივე ბნელი განმსჯელი და დამსჯელი ორგანიზაციებით.

კომერსანტი ბლოკი ამბობს: ამ სასამართლოს წინააღმდეგ ჯგუფური მოქმედებათ ვერაფერს გააწყობ, მხოლოდ ერთეულები აღწევენ ზოგჯრ მცირე წარმატებას, ისიც მაღულად, ბრალდებულებს საერთო ინტერესები არ გააჩნიათო. დამაფიქრებელი ისაა, რომ ბრალდებულთა რიცხვი საკმაოდ დიდია და თუ ასე გათიშულები არიან, როგორდა დაძლევენ დამკვიდრებულ, ფესვგადგმულ, ყოვლისმომცველ ბოროტებას.

ფრიად მნიშვნელოვანია, რომ მღვდელი, რომელიც ტაძარში ქადაგებს, ციხის კაპელანიც ყოფილა. კაფკა არ გვეუბნება, იგი იქ შეთავსებით მუშაობს, თუ ტაძარსა და ციხეს შორის განსხვავება არაა? ციხის კაპელანის მიერ დასაკუთრებული ტაძარი დიდი ხანია დარავის აინტერესებს, არც მღლოცველებს (ტაძარში კაციშვილი არ ჭაჭანებს, ერთი დედაბრის გარდა), არც ტაძრის მახლობლად მცხოვრებლებს. კ-ს გაახსენდა, ბავშვობაში შეუმჩნევია, ტაძრის ვიწრო მოედნის ირგვლივ აგებულ სახლებში ფანჯრებზე მუდამ ფარდები იყო ჩამოფარებული.

ტაძარში მღვდელი ეუბნება კ-ს, საქმის გარჩევა თანდათან განაჩენში გადაიზრდებაო. ეს იმას ნიშნავს, ბრალდებული და მსჯავრდადებული სინონიმები ყოფილა. აკი მხატვარმაც უთხრა, სრული გამართლება არ არსებობს.

მწერალი გვიყვება იგავს კანონის საუფლოს მექარისა და სოფლელი კაცის შესახებ. მექარე სოფლელს კანონის საუფლოს ძლევა-



შოსილი დარაჯების მთელი იერარქიით აშინებს. გლეხს უკვირს კანონის საუფლოს ასეთი შეუვალობა — კანონი ხომ ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყოველთვის. მართლაცდა, თუ არ იცი კანონის არსი, არც ის გეცოდინება, რითი დაარღვიე კანონი და რითი არა. ფაქტიურად ესაა მთელი რომანის კვინტესენცია. კ-ს პროცესიც გლეხის ლოდინივით დაუსრულებელია, მის საქმესაც კანონის საუფლოს დარაჯებივით უამრავი მოსამართლე იკვლევს. გლეხი რწყილებს ეხვევება, დაეხმარონ მექარის გულის მოგებაში. ამ მხრივ კ-ს ქალების იმედი უფრო აქვს, რადგან იცის, მთელი სასამართლო მექალთანეთაგან შედგება. ამგვარი ალეგორია იმაზე ხომ არ მიგვითითებს, რომ ქალიც რწყილივით დაუდეგარი და ამჩატებულია. თუმცა სხვანაირი როგორ შეიძლება იყოს ელზა, რომელიც საწოლში დილიდანვე გამზადებული წევს კლიენტების მისაღებად, ფრონლაინ ბიუროსთნერი — მიყრუებულ ჭუჩებში მამაკაცებთან რომ დასეირნობს დამატებითი შემოსავლის იმედით ან თითქმის მთელი სასამართლოს (კექილებიან-კლიენტებიანად) დამაკებელი ლენი. მაგრამ ხომ შეიძლება იმ დასკვნამდეც მიხვიდეთ, რომ როგორც რწყილის, ასევე ქალის სიმსუბუქე ვერაფერს ცვლის კანონიერების „მიმე“ სასწორის ერთ ან მეორე მხარეს გადახრაში. მღვდელი კ-ს აცნობს კანონის კრებულთა შინაარსისა და მის მიერ ბოყოლილი იგავის განშმარტებელთა სხვადასხვა, ურთიერთსაწინააღმდეგო ან ერთმანეთის გამომრიცხავ თვალსაზრისს და ბოლოს დაეჭვებული კ. ასეთ რამეს ამბობს: „სავალალო თვალსაზრისია, მაშინ ხომ მსოფლიო წესრიგს სიცრუე დაედება საფუძვლად, განზოგადების რამოდენა მასშტაბია“. მსოფლიო წესრიგი პატარ-პატარა წესრიგებისაგან შედგება: კონტინენტების, სახელმწიფოების, ქალაქების, სოფლების, უბნების და ა. შ. და თუ სადღაც რომელიმე რგოლი მოისუსტებს ან წყდება, ეს დიდ ჯაჭვასაც აზიანებს. კაფკას თქმით, კ-მ ამით თითქმის ყველაფერი შეაჯამა, მაგრამ საბოლოო დასკვნამდე მაინც ვერ მივიდა... მას ეჩოთირებოდა აზრთა ამგვარი დინება, იყო ამაში რაღაც არარეალური. რეალური და არარეალური, სად გადის ზოგარი მათ შორის, ან საერთოდ არსებობს კი?

რომანის მიხედვით კ-ს რამდენიმე ქალთან აქვს ურთიერთობა, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ერთი მათგანი არ უყვარს. იგი დილით „დაპატიმრეს“, საღამოთი კი ელზასთან უნდა მისულიყო, მაგრამ

აღარ მისულა (თუმცა გათვალისწინებული წინასწარ ჰქონდა). ამ შემთხვევის გამო მწერალი კ-ზე ამბობს: „იმის ანაზღაურება, რაც დააკლდა, არ გაუჭირდებოდა“. წესიერ კაცს ცხოვრების ეს მხარეც უნდა ჰქონდეს მოწესრიგებული, ბუნებას ხარჯი უნდა გადაუხადოს. მართალია, ფრონტიან ბიურსთნერს კი კოცნიდა ხარბად, მაგრამ მათი ურთიერთობა ამას იქნით არ წასულა, ხოლო რაც შეეხება ლენის, მათი ურთიერთობა ყველაფერს ჰგავს, გარდა სიყვარულისა. ამიტომ იოზეფ კ. ამ მხრივაც მარტოკაცია, ცხოვრობს უსიყვარულოდ, უსიხარულოდ.

კ-ს პროცესი მთელი წელი გრძელდებოდა. იგი იმ დღეს დააპარიმრეს, რა დღესაც 30 წელი შეუსრულდა და სიცოცხლეს იმ დღეს გამოასალმეს, რა დღესაც 30 წელი დაასრულა. წინასწარ კ. არავის გაუფრთხილებია, არავის უთქვამს მოგაყითხავენო, მაგრამ მან მაინც შავი ტანსაცმელი ჩაიცვა და ისე მოკალათდა სავარძელში კარის მახლობლად, თითქოს სტუმრებს ელოდებოდა. მას არ გავეირებია, როცა კარი გაიღო და მის ბინაში დაუკითხავად შემოვიდა ორი მამაკაცი. იგი მხოლოდ ცნობისმოყვარეობით შეაჩერდა მათ სახეში და ორივეს ჰქითხა: „მაში თქვენ ჩაგაბარეს ჩემი თავი?“ კ. სულ სხვა ხალხს ელოდა, ვის, არ ვიცით, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ელოდა. მწერალი არ გვეუბნება, სწამდა თუ არა კ-ს ბედისწერა, გარდუგალობა, იქნებ წინასწარ იგრძნო, მისი ცხოვრება რომ ამ ღამეს დამთავრედოდა, იქნებ უცხო, იღუმალმა ხმამ ჩააგონა ეს აზრი.

როცა მამაკაცები ოთახში შევიდნენ, კ. წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და გარეთ გაიხედა. მოპირდაპირე მხარეს მღვარი სახლის თითქმის ყველა ფანჯარა ჩაბნელებული იყო, ზოგან ფარდაც კი ჩამოეშვათ, მხოლოდ ზედა სართულზე, ერთ-ერთ განათებულ ფანჯარასთან, გისოსებს უკან პატარა ბავშვები თამაშობდნენ. ისინი იმდენად უსუსრნი იყვნენ, რომ სიარულიც კი არ შეეძლოთ და ერთმანეთს პარტია ხელებს უთათუნებდნენ. იქნებ მწერალს იმის იმედი ჰქონდა, რომ ბავშვები უფრო გონიერნი გაიზრდებიან? იქნებ ადამიანს მომავალში მაინც ეშველოს რამე? ან იქნებ იმის თქმა უნდოდა, რომ როცა გაიზრდებიან და სიარულს ისწავლიან, ერთმანეთს წიხლებს დაუშენენ.

მის წასაყვანად მოსული მამაკაცები კ-მ ყავლგასულ მსახიობებს

მიამსგავსა: „რა იაფთასიანი ხერხით ცდილობენ მომილონ ბოლო“, ფიქრობს იგი, მათ კი ეკითხება: „რომელ თეატრში თამშობლი?“ უცელაფერს, რაც კ-ს ირგვლივ ხდება, კოშმარულ სანახაობად თუ აღიქვამს კაცი, ორემ მოწესრიგებულ, აღამიანის სასიკეთოდ შექმნილ ცხოვრებას სრულიად არაფერი უგავს.

ის გარემო, რომელშიც კ-ს უხდება ცხოვრება, აღამიანს უსულო საგნად აქცევს. აი, როგორ აღწერს კაფკა მამაკაცების მიერ კ-ს გარეთ გამოყვანას და სასაკლაოსაკენ გატაცებას: „უკნიდან მხრებით მჭიდროდ მიეკრძნენ მხრებზე, მკლავები მკლავებზე შემოხვივს და ათასგზის გაწაფულ-ნავარჯიშები მაჯები სალტესავით მოუჭირეს. კ-წელში გამართული მიაბიჯებდა მათ შორის და სამივე ისე იყო შეკრული ერთ სხეულად, ერთისათვის რომ დაგერტყა, სამივეს მოხვდებოდა. ასეთი მთლიანობა მხოლოდ უსულო საგნებისთვისაა და-მახასიათებელი“. ხომ არ ნიშნავს ყოველივე ეს, რომ ცხოვრებისა და აღამიანების გადაგვარებაში თანაბრად მიუძღვის ბრალი როგორც მტანჯველსა და მჩაგვრელს, ასევე ტანჯულსა და დაჩაგვრულს. პირველის წრეგადასული მოძალადეობა, ყოვლისშემძლეობა და მეორის ასევე წრეგადასული მორჩილება და სიბერიავე თანაბრად ათასისირებს ცხოვრებასაც და აღამიანებსაც. როგორ შეიძლება აღამიანი იმდენად დაცეს და დაკინძღეს, რომ ნებისმიერი პროტესტი, თუნდაც შინაგანი, ისეთ ასოციაციას იწვევდეს, როგორიც რომანის მთავარი გმირის მეხსიერებაში ამოტივტივდა: „კ-ს გაახსენდა, როგორ მოსწყდებათ ხოლმე ბუზებს ფეხები, როცა ცდილობენ წებოვან წკეპლას თავი დააღწიონ“.

რომანში კიდევ ერთი გარემოება იქცევს ყურადღებას: როცა ქალიშვილს და ცნობათა ბიუროს გამგეს უჰაერობისაგან ლამის გულშელონებული კ. კანცელარიებიდან გაპყავთ და რაღაცას ეუბნებიან, კ-ს არაფერი ესმის, გარდა ყველაფრის დამტევი ხმაურისა, რასაც სირენის კივილის მაგვარი ერთი გაბმული, მაღალი, უცვლელი ბგერა აპობს. აღრეც, როცა გამწკეპლავი მცველს წკეპლას გადაუჭერს, მცველი ისე გაბმულად და ცივად ყვირის, თითქოს ეს ხმა აღამიანს კი არ აღმოხდა, არამედ რომელიღაც მუსიკალურ საქავა აწვალებენო. როგორ აქესნათ ეს? იქნებ ეს ცივი ხმა იმ უსულო საგნად გადაქცეული, განწირული აღამიანის კივილია, შველას რომ : ითხოვს?

საგულისხმოა, რომ კაფკა არსად არ ასახელებს არც სახელმწიოდოს, რომლის სამართლიანობას ნეგატიურად აფასებს, არც ქალაქს, სადაც კ. ცხოვრობს, არც სოფელს, საიდანაც ბიძა ჩამოდის და არც რომანის გმირის გვარს. სწორედ ამიტომ ახდენს რომანი კიდევ უფრო შემზარავ შთაბეჭდილებას. როცა მოქმედება ხდება საღმე აბდერაში ან შილდაში, მკითხველს ეცინება და ადამიანურად ეცოდება სისულელის სიმბოლოდ ქცეული შილდბიურგერები ან აბდერიტები. ამ შემთხვევაში კი რა ვქნათ, სად წაუხვალ ამოდენა განზოგადებას და გლობალურობას. ეტყობა, ადამიანი მეტისმეტად უგუნური არსება ყოფილა. ტყესა და გამოქვაბულებს თავი დააღწია, ცხოვრების გაადვილებისა და მოწესრიგების მიზნით შექმნა სახელმწიფოები, მთაგრობები, კანონმდებლობა და სასამართლო, მაგრამ ყველა ამ ინსტრიტუტის შექმნამ კი არ გაადვილა და გააუმჯობესა ცხოვრება, არამედ გაართულა და გააძნელა, რადგან თვით ადამიანი ისეთივე დარჩა, როგორიც იყო. ეგოისტებმა, მხევებელებმა და სხვის ხარჯზე ცხოვრების მოყვარულებმა საზოგადოებისა და ადამიანის ექსპლუატაციის ათასგვარი საშუალება გამოიგონეს და პათოლოგიურად გაზარმაცებულებს არაფრის გაკეთება უნდათ. დაე, მის მაგივრად სხვამ იმტკრიოს თავი, სხვამ წეროს კანონები, მოაწესრიგოს ყოფა, იგი კი, რაც შეიძლება მეტს დაითრევს, თუნდაც იმიტომ, რომ მეზობელს გაუხეთქოს გული. წესიერი, მშრომელი ადამიანები კი ასეთ ვითარებაში თავიანთი გამონაგონის მსხვერპლი ხდებიან. სახელმწიფო იქცა უზარმაზარ, დამთრგუნავ მანქანად, რომელსაც ველარც თავს გაუგებ და ვეღარც ბოლოს ისეთ იმპერიაში, რომელსაც კაფკა აგვიწერს.

გარეაო და ადამიანები

კაფკას რომანში ბული, შეხუთული ჰაერი და სიმყრალე დიდ როლს თამაშობს, მოქმედების ფონია. ირგვლივ ყველაფერი მუქი და ნაცრისფერია, მაგრამ ამგვარი გარემო არავის აღიზიანებს, არავის უწუხებს გულს. მათთვის ეს ჩევეულებრივი ამბავია. მხოლოდ კ-ს ეკვრის სუნთქვა სხდომათა დარბაზშიც, კანცელარიებშიც, და ძხატვრის ოთახშიც, ცნობათა ბიუროს გამგე ხვდება, რომ კ-ს კანცელარიების ატმოსფერო უხუთავს სულს პირდაპირი და გადატანითი გაეგებით. ისინი, ვინც სიმყრალესა და უჰაერობას არიან



შეჩერეულნი, თავს ნორმალურად გრძნობენ, მათ მხოლოდ უსუფთა
ჰავერზე გამოსვლა ხდის ცუდად.

რომანის პერსონაჟებს ძირითადად შეზღუდულ, ვიწრო სივრცე-
ში უხდებათ მოქმედება. ეტყობა, ფრაუ გრუბახს მოზრდილი ბინა
ჰქონდა, რაკი ამდენი მდგმური ჰყავდა, მაგრამ სასადილო ოთახში,
სადაც ყველა დიდი, გრძელი მაგიდის ირგვლივ იყრის თავს, ეს მა-
გიდა მთელ ოთახს ავსებს. მას რომ მიუჯდე, გვერდულად, თითქმის
კედელზე გაკრულმა უნდა იმოძრაო. ვექილის ბინაში ბლოქს ისეთ
ჰაწაწინა ოთახში სძინავს, სადაც საწოლის მეტი არაფერი ეტე-
ვა. ვიწროა სხდომათა დარბაზი, კანცელარიები, მოსაცდელი ოთა-
ხები. ყველგან სული გეხუთება. ამით კაფეას იმის თქმა უნდა,
ურთებს მაინცდამაინც ფართოდ ნუ გაშლით, საამისო სივრცე აღა-
რსადაა, ჩვენ მხოლოდ მიწაში კი არ ვიქნებით ოთხ ფიცარს შორის
ჩაჭედილი, არამედ იგივე გველის მიწის ზედაპირზედაცო.

უცნაურია ბანკის შენობა. ოთახები იქ ისეა გადაბმული ერთმა-
ნეთზე, რომ ყოველ წუთს შეიძლება რომელიმე კარიდან დირექტო-
რი, მისი მოადგილე, შიკრიკი და უცხო კაციც კი შემოვიდეს. ყვე-
ლა დაწესებულება გაჰქიდილია, ყველგან უამრავი ხალხი ირევა. ცა-
რიელია მხოლოდ ტაძარი, იქ გარდა კ-სა, ვიღაც დედაბრის, კოჭ-
ლი მსხურისა და მღვდლის მეტი არავინაა. მიწიერი ცხოვრების
ორომტრიალში ვიღას სცალია ღმერთისა და ლოცვისათვის.

ყველა ორგანიზაციაში, მათ შორის ბანკშიც, ქალალდების კო-
რიანტელია, ყველგან ყრია ქალალდი — მაგიდებზეც, თაროებზეც,
კლიენტებს ჯიბეები ქალალდით აქვთ გამოტენილი. ყველა იბრძვის,
ყველა ლუქმა პურს აცლის ერთმანეთს პირიდან. რას არ კადრულო-
ბენ კლიენტების გადასაბირებლად. იღუმალ სასამართლოშიც უჩინა-
რი ქალალდების მთებია დახვავებული. ვერ გაიგებ, რომელი ქალა-
ლდი სად შედის და საიდან გამოდის. ლეგალური ორგანიზაცია —
ბანკი და საიდუმლო ორგანიზაცია — სასამართლოები ლამის წალე-
კოს ქალალდებმა, ადამიანი იხრჩობა ქალალდების ზღვაში.

სასამართლოს კანცელარიები ფუტკრის სკის მსგავსი მრავალბი-
ნიანი სახლების სხვენებზეა მოთავსებული, ღარიბ, უბადრუკ აღა-
მიანებს თავზე აწვება და ცასა და მიწას შორის რაღაც შუალედურ
შრეს ქმნის. თითო ოთახს ყველგან რომელიმე მოსამსახურეს უთ-
მობენ, რომ იქვე გვერდით ჰყავდეთ. ასე რომ, მთელი ქვეყანა სა-

სამართლოს ქსელშია გაბმული. ეჭეს არ იწვევს ის ამბავი, კანცელარიები რომ ზუსტი მითითების მიხედვითაა მოწყობილი, რადგან გაჭრილი ვაშლივით ჰეგანან ერთმანეთს. ყველგან გაბატონებულია ერთფეროვნება და უსახურობა. წარმოიდგინეთ ბანქის იმ საკუჭნაოშიც კი დაბალი ჭერია, სადაც გამწევპლავი კ-ს მცველებს წკეპლავს და წვრილი ვექილების ოთახშიც ასეა.

სხვებზე განლაგებული კანცელარიების თანამშრომლები გისოსებიანი კედლების მიღმა სხედან. საინტერესოა გისოსების დანიშნულება. ეს არის ერთგვარი ზოოპარკი, სადაც დამწყვდეულნი არიან გადაგვარებული ადამიანები, ან იქნებ ზემდგომ ორგანოებს ეშინიათ კლიენტები და თანამშრომლები ერთმანეთს არ დაერიონ. ხომ შეიძლება ორივე მხარეს გაუწყდეს მოთმინების ძაფი. სახარბიელო არც ერთი მხარის მდგომარეობა არაა. უსახურობისა და გარდუვალობისადმი მორჩილების შესანიშნავი მაგალითია კანცელარიების დერეფანში ერთმანეთისაგან თანაბრად დაშორებული, მერჩე ჩამომსხდარი ბრალდებულები. ვიღაცას აზრად მოუვიდა და ქუდი მერჩის ქვეშ დადო, სხვებიც მექანიკურად იმასვე იმეორებენ. არც ერთს არ გააჩნია საკუთარი აზრის ნატამალიც კი, დათრგუნვილნი და დამტრთხალნი მხოლოდ ერთმანეთის წამხედურობით ცხოვრიბენ. ამგვარი სახელმწიფო იმის მიღწევას ცდილობს, რომ არავინ არ გამოირჩეოდეს არავისაგან, ყველა ერთ თარგზე იყოს მოჭრილი, სულ ერთია, სად იქნებიან ისინი, სხდომათა დარბაზში თუ კანცელარიების მოსაცდელებში, რადგან უსახო ბრძოს მართვა ბევრად უფრო ადვილია.

კაფკა გაკვრით, მაგრამ მაინც ეხება სასამართლოს მაღალი რანგის მოხელეების ცხოვრებას. ვექილის კაბინეტი მძიმე, ძველებური ავეჯით გაწყობილი მაღალჭერიანი ოთახია, სადაც ლარიბ კლიენტებს თავგზა ერევათ. მის კაბინეტში დგას უზარმაზარი საწერი მაგიდა, ეს კი მკვეთრ კონტრასტს ქმნის სხდომათა დარბაზში ფიცარნაგზე დადგმულ პატარა მაგიდასთან შედარებით, რომელიც მიქარებისთანავე შეიძლება წაიქცეს. აი, ასე გაკვრით და ძუნწად აღწერს მწერალი ბრალმდებელთა გარემოს, ამავე დროს რამდენ ადგილს უთმობს ბრალდებულებს, ლარიბებს, რა დაწვრილებით აგვიწერს მათ ყოფას. დიდი ფანტაზია არა საჭირო იმის წარმოსადგენად, თუ როგორ ცხოვრობს ზედა ფენა.



კ. ყოველთვის უცნაური ადამიანების გარემოცვაშია. სასამართლოს შიკრიკის ცოლი ყოველგვარი მორიდების გარეშე ეუზნება: „თქვენი სიტყვის... დასასრულის დროს სტუდენტთან ერთად ვიწევი იატაჭე“. აი, ასეთ ცხოველურ დონემდე დაჰყავს კ-ს ყველა, ვინც სასამართლოს ემსახურება. სტუდენტიც ხომ სასამართლოს მსახურია და ბრალდებულის დაკითხვის დროს თავს იმის უფლებასაც კი აძლევს, რომ ქალთან ერთად იატაჭე იგორაოს. ერთხელ კი იგი დღისით-მზისით იმავე ქალს ხელში აიტატებს და ასე მიჰვრის გამომძიებელს, ვის მაგიდაზეც კანონთა კრებულის ნაცვლად პორნოგრაფიული და ბულვარული წიგნები აწყვია.

საგულისხმოა, რომ თვით შიკრიკი, რომელიც სასამართლოს მსახურია და არა ბრალდებული, შურისძიებაზე და სისხლის დაღვრაზეც კი ოცნებობს, სურს ბაღლინჯოსავით მიასრისოს სტუდენტი კედელს. თუმცა რა გასაკვირია, მას რომ ბოლმა ახრჩობდეს: ბინა აქვს და არცა აქვს, იმ დღეებში, როცა დაკითხვა მიმდინარეობს, ე. ი. ყოველ კვირა დღეს ოთახიდან ავეჭი უნდა გაიტანოს და ბინა გამომძიებელს დაუთმოს. ამგვარივეა მისი ოჯახური მდგომარეობაც. ცოლი ჰყავს და არცა ჰყავს. ჯერ სტუდენტს უნდა დაუთმოს, შემდეგ გამომძიებელს და ბოლოს ალბათ ყველას, ვისაც თვალში მოუვა ეს ლამაზი ქალი. ადგილის დაკარგვის შიშით შიკრიკი ყველაფერს ითმენს, ეგუება ამგვარ შეურაცხმყოფელ და დამამცირებელ მდგომარეობასაც კი.

ნიშანდობლივია, რომ ყველას, ვინც სასამართლოს ემსახურება, წვრილი, გამჭრიახი შავი თვალები აქვთ და ერთთავად აქეთ-იქეთ აცეცებენ. ბევრ მათგანს უცნაურად აცვია. მაგალითად, თოვლიან ამინდში გამწევპლავი ლრმად ამოჭრილი, უსახელო, ტყავის მუქი ტანსაცმლითა შემოსილი. ესაა ნახევრად ადამიანი, ნახევრად მხეცი, რომელსაც ბეჭვი გასცვივდა და უხეში ტყავილა მოსაეს.

მთელ რომანში კ-ს ბიძა ერთადერთი ადამიანი, ვისაც მასზე გული შესტეკივა და სურს ქმედითი დახმარება გაუწიოს, მაგრამ ამას იგი მარტო თანაგრძნობის გამო კი არ აქეთებს, არამედ იმის დარღიც კლავს, თუ კ-მ პროცესი წააგო, ამით მთელ ნათესაობას მოსცხებს ჩირქეს, მათ უკიდურესად დამცირებენ და მიწასთან გაასწორებენ. ამით კაფეას იმის თქმა უნდა, რომ პროცესი ერთი კაცის ბედს კი არ წყვეტს, არამედ ჯაჭვურ რეაქციას იწვევს.

რომანში ვექილების მთელ იერარქიას ვხვდებით: მსხვილი, წვრილფეხია, იატაქეშელი ვექილები. თუ როგორ ექცევიან ამ უკანასკნელთ, ეს ნათლად ჩასნ მათთვის მიჩენილი ოთახის ფონზე და იმ ეპიზოდში, როცა ღამენათვეი, გაცეცხლებული მოხელე მათ საოთაოდ ბურთივით აგორებს კიბეზე, მაგრამ ისინი მაინც მაღლა მიიწევენ მანამდე, სანამ მოხელეს ქანცი არ გაუწყდება და ამ უაზრო საქმიანობას არ მოეშვება.

მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს სცენა, როცა ვექილი კ-ს თანდა-სწრებით ბლოკს ძალლზე უარესად ექცევა. ესაა ადამიანის დამცირების კულმინაცია. ამას ვექილი იმიტომ აკეთებს, რომ კ-ს შეავნებინოს, ბრალდებული არარაობაა, ადამიანად მას არავინ თვლისო.

ამის შემდეგ რაღა დარჩენიათ საბრალო ბრალდებულებს. ისინი მხოლოდ თავიანთ პროცესზე ფიქრობენ და ფიზიოგნომობას იჩემებენ, ირწმუნებიან, ბრალდებულის სახით გამომეტყველებისა და ტუჩების მოხაზულობის მიხედვით შეიძლება ამოიცნო, რით დამთავრდება პროცესიონ. გამოქექილი, მაგრამ ბოლომდე გათელილი ბლოკი ამას ცრურწმენას უწოდებს, თუმცა კ-ზე ოქვეს, მალე გამოუტანენ განაჩენსო და ასეც მოხდა. შემთხვევითობაა? ვინ იცის.

პირობითობა, გაურავეველი პერსონაჟები

რომანში ბევრია პირობითობა, უცნაურობანი, გაურკვეველი პერსონაჟები. ზოგჯერ პირობითობა აბსურდამდეც კია მისული, მაგრამ აბსურდი ხელწამოსაქრავი სიტყვა როდია. რაც ერთს აბსურდი ჰგონია, მეიძლება მეორეს ღრმააზროვან მოვლენად მოეჩვენოს. ავილოთ თუნდაც რომანის დასაწყისი. რის დანახვა და გაგონება შეუძლია მოპირდაპირე სახლში მცხოვრებ დედაბერს, რამ აღუძრა ასეთი დაუოკებელი ცნობისმოყვარეობა, საიდან იცის, რა ხდება კ-ს ბინაში. რატომ ამოუდგება მას კიდევ უფრო დაჩაჩანაკებული ბერიყაცი გვერდით?

„აი, კიდევ ერთი პირობითობა. ზედამხედველი ეუბნება კ-ს: „დაპატიმრებული კი ხართ, მაგრამ ხელი არ უნდა შეგვ შალოთ სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულებაში და საერთოდ თქვენი ცხოვრება ჩვეულებრივად უნდა მიმღინარეობდეს“. პატიმრები ჩვეუ-

ლებრივ ციხეში სხედან, არსებობს შინაური პატიმრობაც, მაგრამ კ-ს პატიმრობას ისანა პატიმრობა არავის გაუგონია. იქნებ კაფეას აგსტრო-უნგრეთის იმპერია საპყრობილებ მიაჩნდა, ხოლო ყველა მისი მოქალაქე პოტენციურ პატიმრად. თვით რომანის მთავარ გმი-რსაც კი უკვირს ის, რაც მის თავს ხდება. იგი ცხოვრობს სამართ-ლებრივ სახელმწიფოში, ირგვლივ სიმშვიდე სუფევს, ყველა კანო-ნი ძალაშია და, მიუხედავად ამისა მას მისავე ბინაში დაესხნენ თავს და იმ დღიდან ისევ ისე საქმეში ჩაფლული, თავისუფლად მო-სიარულე პატიმარია.

რომანის დასაწყისში ერთ მცველს წიგნი უჭირავს ხელში. რად უნდა წიგნი ყოვლად უწიგნურს?

გაოცებას იწვევს ის ამბავი, რომ მცველები ფრანცი და ვილემი (თუმცა ევროპაში ერთმანეთს გვარებით მიმართავენ, მაგრამ ჩვენ გვარებიც კი არ ვიცით მათი) კ-ს ურჩევენ ძვირფასი საცვლები საწყობში კი არ ჩააბაროს, არამედ მათ აჩუქოს. მაგრამ განა მცვე-ლებმა არ იციან რომ კ-ს ციხეში არ სვამენ? რომანში ყველამ ყვე-ლოფერი იცის. გაუგებარია, რატომაა საწყობში შენახული ნივთების შეფასებისას გადამწყვეტი ქრთამი და არა მათი ნამდვილი ღირებუ-ლება? მათ ხომ გარკვეული დროის შემდეგ ყიდიან. არც ისაა გასა-გები, ვინ, ვის და რისთვის აძლევს ქრთამს. იმისთვის ხომ არა, რომ ნივთები იაფად შეაფასონ და მერე თავადვე გამოისყიდონ?

წინასწარი გამოძიების დაწყების დღეს და მისამართს კ-ს ტე-ლეფონით ატყობინებენ, ეუბნებიან მომავალ კვირას უნდა მოხვი-დეთ და შემდეგ თითქმის ყოველ კვირა დღეს მოგიწევთ გამოცხა-დებაო. შესაძლოა თქვენ ეს დღე არ გაწყობთ, მაგრამ სხვა დღეები გამორიცხულია, რადგან სამსახურში ხელი შეგეშლებათ, დაკითხ-ვის ჩატარება ღამდამობითაც შეიძლება, მაგრამ ეს თქვენთვის არ უნდა იყოს სასურველი, საღად ვერ იაზროვნებთო. კ-ს ზუსტად არ უთხრეს გამომძიებლის აღგილსამყოფელი, მაგრამ გარეუბნის მიყ-რუებულ ჭუჩაზე გაახსენდა მცველ ვილემის ნათქვამი: „დანაშაული თვითონ იზიდავს მართლმსაჯულებას“ და იფიქრა, არჩეული კიბე ყველა შემთხვევაში გამომძიებლის კაბინეტამდე მიმიყვანსო. საქ-ვირველია, ამდენს ზრუნავენ, რომ კ. საქმეს არ მოსცდეს, ხოლო როცა ძალლივით ასალმებენ წუთისოფელს, მის სამსახურზე არავინ ფიქრობს.

როცა კ. საგამომძიებლო კომისიას დაეძებს, თითქოსდა კვალის ასაბნევად უცხო ქალს ეკითხება, სად ცხოვრობს დურგალი ლან-ციო. ქალი, რომელსაც კ. ადრე არსად უნახავს, პირდაპირ იმ ოთა-ხის კარჩე მიუთითებს, სადაც გამოძიება წარმოებს. თუმცა ადრეც რომ ყოლოდა ნანახი, საიდან უნდა სცოდნოდა, რომ კ. სწორედ ამ გვარს იკითხავდა.

ოთახს, სადაც კ. შევიდა, ჰერის მახლობლად ხალხით გაჭედილი ქანდარა უვლიდა ირგვლივ. ქანდარაზე ყველა წელში მოხრილი დგას, რაღაც თუ გაიმართა, თავს ჰერს მიარტყამს. უეცრად კ-სთან ლოყებლაულა ბიჭი მოდის, ხელს ჰერის და ვიწრო გასასვლელით, ორ მოწინააღმდეგე ჯგუფს ერთმანეთისაგან რომ ჰყოფს, დარბაზის ბოლოში მიჰყავს. ორივე ჯგუფის წევრთა უმეტესობას შავი, გრძელი სერთუკი აცვია. ეს რომ არა, კ-ს ეგონებოდა, რომელი-ლაც პოლიტიკური ორგანიზაციის სარაიონო კრებაზე მოვცედიო. დაყითხვა იწყება შეკითხვით: „მღებავი ხართ?“ ამაზე უფრო აბსურდული რა უნდა იყოს? ისიც კი არ იციან, ვინ დაიბარეს. პირველად კ-ს დარბაზის მარჯვენა ნახევარი უკრავს ტაშს, მარცხენა ლუმს. რატომ? კაციშვილმა არ იცის.

საიდან გაიგო კ-მ, რომ მოხელეთა სიზარმაცის, გულმავიწყობი-სა და სიმხდალის გამო მისი საქმის წარმოება შეწყდა. მას გაცი-ლებით გვიან აუხელენ თვალებს იღუმალ სასამართლოზე ვექილი, მხატვარი, ბლოკი და მღვდელი.

სასამართლოს შიკრიკი პირველად ხედავს კ-ს და უკვე იცის, ვინც არის. კ-ს მართლაც ჯადოსნური წრე არტყია ირგვლივ და რაც უფრო ახლოვდება გარდუგალობა, მით უფრო იკვრება ეს წრე.

კ. რატომლაც ფიქრობს, რომ ფრაუ გრუბახის ძმისწულის, კა-პიტნის ხელზე კოცნამ ფრონილაინ მონთაგი იმ ბანაკში გადაისროლა, რომელიც უწყინარობასა და მიუკერძოებლობას ამოეფარა და ამ გზით ცდილობს კ. ფრონილაინ ბიურსთნერთან არ მიუშევას. რა ბანაკია ეს, ან რა დიდი შენაძენია მისთვის უბრალო მემანქანე ქალი-შვილი?

როგორ აღმოჩნდნენ გამწკებლავი და კ-ს ორი მცველი ბანქის საკუჭნაოში. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ყველა და ყვე-ლაფერი სასამართლოს ხელშია.

კ-ს არ უნდოდა, უფრო სწორად, ეთაკილებოდა ბანქის შიკრი-10. კრიტიკა № 2



კებს გაეგოთ, თუ რა ხდებოდა საკუჭნაოში, მაგრამ მეორე დღეს, როცა გამწკეპლავი და ორივე მცველი იქვე აღმოჩნდნენ, კ-მ იმავე შიკრიკებს სპეციალურად დავალა საკუჭნაო დაელაგებინათ. რის-თვის, რატომ?

კ-ს ცხოვრებასთან და ბედთან გაურკვეველ პერსონაჟებსაც აქვთ კავშირი. ზემოთ ჩვენ უკვე გავიხსენეთ მოპირდაპირე სახლში მცხოვრები დედაბერი, უჩვეულო ცნობისმოყვარეობით რომ იმზი-რება მისი ბინისაკენ და კ-ს ნერვებს უშლის. შემდეგ მას ერთი და-ჩაჩანაკებული ბერიკაცი და ვიღაც გაურკვეველი ასაკის მამაკაცი შეუერთდება. ვინ არიან, რა უნდათ? შეიძლება კაფეას ამით იმის თქმა სურს, რომ მეთვალყურებად ყველა გამოღება — ღრმა მო-ხუცებიც და პატარა ბავშვებიც, ამ შემთხვევაში ასაკს მნიშვნელო-ბა არა აქვს. თუმცა მეორე მამაკაცს გარკვეული ფუნქცია აკისრია, მოხუცებს უნდა შეეყუდოს, რომ არ წაიქცნენ.

გაურკვეველი და გაუგებარია, რა ფუნქცია აკისრიათ ბანკის სამ ახალგაზრდა მოხელეს — სარგადაყლაპულ რაბენშთაინერს, თვა-ლებჩაცვენილ ქულიშს და ქიმენერს, რომელიც ისე ათამაშებს სა-ხის კუნთებს, რომ საძაგლად იღიმის. რით არიან ისინი დაკავშირე-ბული კ-ს პირად ცხოვრებასთან და მის პროცესთან. სამივე ახალ-გაზრდა მოხელე მახინჯია, მაგრამ რომანში მახინჯი პერსონაჟები სხვაც ბევრია, ზოგი კოშლია (ფროილაინ მონთაგი, ეკლესიის მსა-სური), ზოგი მოურჩენლად ავაღმყოფი (ვექილი), ლენის კი ცალ ხელზე ექვსი თითი აქვს.

ბანკიდან შინ დაბრუნებულ კ-ს ალაყაფის კარებში ვიღაც ახა-ლგაზრდა კაცი, სახლის პატრონის ვაჟი შეეჩეხება და გული გადა-უქანდება. რაღა მასთან შეხვედრა სჭირდებოდა ისედაც შიშნაჭამს. ამ პერსონაჟს მოქმედების განვითარების თვალსაზრისით არავითა-რი ფუნქცია არ აკისრია. იგივე შეიძლება ითქვას კაპიტან ლანც-ზეც... მისი ფუნქცია მხოლოდ ისაა, რომ პანსიონის საერთო ოთა-ხში სძინავს. თუმცა ერთხელ მანაც მოახერხა კ-ს შეშინება, იმ ღა-მეს, ფროილაინ პიურსთნერს რომ ესაუბრებოდა.

ისეთ ლიტერატურულ ტრადიციებზე აღზრდილ ადამიანს, რომ-ლის თანახმადაც, თუ კედელზე თოფი ჰქიდია, აუცილებლად უნდა გავარდეს, თუნდაც თავისით, თორემ მის მხატვრულ ნაწარმოებში




შემოტანას არავითარი გამართლება არ ექნება, ცხადია, ეჩოთის უკანონობა
და ასეთი გარემო და ამგვარი პერსონაჟები.

განცხვავებული თვალსაზრისი

სანამ მხატვრული ნაწარმოების თარგმნას დაიწყებდე, ბუნებრი-
ვია, სათანადო ლიტერატურას ეცნობი, მით უმეტეს, როცა აპირებ
შეეჭიდო ისეთ რთულ ნაწარმოებს, როგორიც კაფეს „პროცესია“.
მართალია, ლიტერატურის მკვლევარი არ გახლავართ, მაგრამ ორი-
ოდე მოსაზრება მეც გამიჩნდა და მინდა გაგიზიაროთ.

სადღაც ამოვიკითხე, კ. მშვენივრად ერთობოდა, დროს სასია-
გნონდ ატარებდა და არც სიყვარულს იყლებდაო. ნუთუ დროს
ტარება ჰქვია სამსახურივით ერთსა და იმავე კაფეში ან რესტორან-
ში გამოცხადებას, ანუ Stammtisch—თან, ე. ი. ერთსა და იმა-
ვე მაგიდასთან, ერთსა და იმავე ადამიანებთან ერთი და იმავე სას-
მელის წრუპვას. განა შეიძლება სიყვარული ეწოდოს ნაცნობ ქალ-
თან კვირაში ერთხელ დაწოლას და თანაც ისეთ ქალთან, დღისით
საკუთარ სხეულს რომ ყიდის. არა, კ. უფრო ხარჯს უხდის ფეხმო-
კიდებულ ჩვევას, რასაც გერმანელები „გეზელლიგეს ბაიზამმენზა-
ინ“-ს (მეგობრულ შეხვედრას) უწოდებენ, და თავის ადამიანურ
ბუნებას.

არც ის აზრია სწორი, როცა კაფეს სამყაროს რეალურად და
არარეალურად, რაციონალურად და ირაციონალურად ყოფენ. უბ-
რალოდ, დღემდე და ალბათ უკუნითი უკუნისამდე, სამყარო სავ-
სეა ამა თუ იმ დროის განვითარების დონისათვის გაუგებარი მოვ-
ლენებით, ხოლო ზოგ მოვლენას საერთოდ ვერ ამჩნევენ. ხომ და-
წვეს ჯორდანონ ბრუნო. მისი დანაშაული მხოლოდ ის იყო, რომ,
მისდა საბედისწეროდ, თავისი დროისა და განვითარების გაშინდელ
დონეზე უფრო ადრე დაინახა მოვლენა, რაც სხვებმა, ჰქვიანებმა
და განსწავლულებმა, ვერ შეამჩნიეს. კაფეა იხრჩობა ამ ეგრეთ
წოდებულ მოწესრიგებულ, განაშენიანებულ, როლებგანაწილებულ
სამყაროში, საღაც ყველაფერი იმდენადა მოწესრიგებული, რომ
ამ მოწესრიგებულობამ სრული უწესრიგობა გამოიწვია, ძალ-



ლი პატრონს ვეღარ ცნობს ,მარჯვენამ არ უწყის, რასა იქმის მარტ-სენა. ყველაფერი ისეა განაშენიანებული, რომ სახლებს წესიერი ჭერიც კი არა აქვს. რაც შეიძლება მეტი სართული, რაც შეიძლება ნაკლები ჰაერი, შევავსოთ სივრცე სართულებით, ავიდეთ მაღლა, მოვთავსდეთ ვიწრო ხერელებში, როგორმე დავეტიოთ, რომ შემდეგ, როცა დრო მოვა, უფრო მაგრად დავენარცხოთ დედამიწაზე.

არ არის მართალი რუსული თარგმანის წინასიტყვაობის ავტორი ბ. სუჩიოვი, როცა ამბობს, კაფუას მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არ ესმოდათ. როცა მწერალი აცხადებს: „შემთხვევითობას უწოდებენ ისეთ მოვლენათა დამთხვევას, რომელთა მიზეზობრიობა ცნობილი არ არის, მაგრამ მიზეზობრიობის გარეშე სამყარო არ არსებობს“ — ამ სიტყვების ავტორს ვერ დავწამებთ მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არ ესმისო. შემდეგ კაფუა განაგრძობს, შემთხვევითობანი სამყაროში კი არა, ჩვენს გონიერაში, ჩვენი ოლქმის შეზღუდულობაში არსებობენ და ჩვენი შემეცნების ჩარჩოებზე მიგვითოთებენ, ბრძოლა შემთხვევითობის წინააღმდეგ ყოველთვის არის ბრძოლა ჩვენივე თავის წინააღმდეგო (გუსტავ იანოუპი „საუბრები კაფუასთან“, მაინის ფრანკფურტი, 1951).

კაზკას მნა

„პროცესის“ თარგმნისას დიდ სიძნელეს წავაწყდი. რომანში სულ 153 გვერდია (უზრნალი „საუნჯე“). თუ აკადემიკოს ვინოგრადოვის ნათქვამს ვირწმუნებთ, არსებობს ერთი საერთო ენა და მრავალი ქვეენა (სამედიცინო, ეკონომიკური, მათემატიკური და ა. შ.). რომანში სპეციფიკურ, ე. წ. იურიდიულ ქვეენას 53 გვერდი უჭირავს, ანუ მთელი რომანის მოცულობის მესამედზე მეტი (გავიხსენოთ მცველები, ზედამხედველი, ფრთილიან ბიურსთნერი, მრეცხავი ქალი, სასამართლოს შიკრიკი, სტუდენტი, კ-ს საჯარო გამოსვლა, ჭალარა მამაკაცი კანცელარიების მოსაცდელში, ცნობათა ბიუროს გამგე, კანცელარიაში მომუშავე ქალიშვილი, ფრთილიან მონთავი, გამწკებლავი, ლენი, კ-ს მსჯელობა ვექილზე, ფაბრიკანტი, მხატვარი ტიტორელი, კომერსანტი ბლოკი, კ-ს საუბარი ვექილთან, მღვდე-

ლი, ანუ იგივე ციხის კაპელანი და უფრო უმნიშვნელო პერსონაჟები). ყველა ამ ეპიზოდში მშრალი, ხან ლაქონიური, ხანაც ვრცელი ლაპარაკია კანონზე, სასამართლოზე, მოსამართლებზე, ვექილებზე, პროცესებზე და ა. შ.

როცა სამეცნიერო ლიტერატურას თარგმნი, მაშინ ყველაფერი რიგზეა, წინასწარ დაზუსტებ ტერმინებს და წიგნს სპეციალისტთა გარკვეული წრე წაიკითხავს. რაც შეეხება მხატვრული ნაწარმოების თარგმნას და თანაც ისეთი მწერლის ნაწარმოებისა, რომელიც ძალიან გიყვარს, დიდ მოწიფებას იწვევს შენში და შენი დროის ერთ-ერთ უდიდეს მოაზროვნედ მიგაჩნია, საქმე რთულდება. ცდილობ წიგნი ფართო მკითხველისათვის ხელმისაწვდომი, წასაკითხად საინტერესო გახადო (თორემ გერმანისტებმა ლამის ზეპირად იციან კაფეკა ორიგინალში და მკითხველი საზოგადოების დიდი ნაწილი რუსულ თარგმანსაც იცნობს). ძნელი სათარგმნელი აღმოჩნდა უგრძესი, ერთი შეხედვით მშრალი პასაუები, რომელთაც ღრმა და საინტერესო აზრები თუ მოსაზრებანი უდევს საფუძვლად. ვერაფრით ვერ მივაღწიე იმას, რომ ამ ადგილების წაკითხვა ერთი ამოსუნთქვით ყოფილიყო შესაძლებელი. ვწერდი, ვხევდი, ისევ ვწერდი, ისლა მაკლდა კაფეკას ანდერტი შემესრულებინა და თარგმანი მაინც დამეწვა. მხოლოდ ის მკითხველი შემებრალა, ვინც ამ ბრწყინვალე რომანს ქართულად ვერ წაიკითხავს, დასამალი არც ისაა, რომ არ შინდოდა გავწილებულიყავი, დამენანა ჩემი შრომაც, დროც, იმედიც და ბოლოს მაინც მიგიტანე დასაბეჭდად.

* * *

კაფეკა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, როცა ავსტრო-უნგრეთის იმპერია დაირღვა. მისი მესვეურები შემოდგომის ბუზებივით იქმინებოდნენ, ალბათ ფიქრობდნენ, ჩვენს შემდეგ წყალმა და მეწყერმა წაიღოს ყველაფერიო. არავინ არავითარ ანგარიშს აღარ უწევდა, ვისთვისლა სცხელოდათ დღედათვლილებს. თუმცა ამ იმპერიაში არც ადრე იყო ელდორადო და რაღა ახლა მოინდომებდნენ მის შექმნას.

ცხადია, ჩემი მოსაზრებები ფრაგმენტული ხასიათისაა. თუკი კაფკა თავის ნაწარმოებებს ფრაგმენტებად თვლიდა, მთარგმნელს სხვა გზა არც ჰქონდა.

რაც შეეხება რომანის სათაურს, პროცესი შეიძლება ორნაირად გავიგოთ, როგორც სასამართლო პროცესი და როგორც ცხოვრების პროცესი. კაფკა ერთსაც ავტიწერს და მეორესაც.

წიგნი შემდეგი სიტყვებით თავდება: „ძალლივით დამკლეს“, — თქვა კ-მ ისე, თითქოს ეს სიჩცხვილი მასზე მეტხანს იარსებებდა“.

აღამიანებო, გრცხვენოდეთ, გონს მოდით, — ამაზე მეტი რა ეთქმის დღესაც კაცობრიობის სვე-ბელზე დაფიქრებულ აღამიანს.

შენიშვნები. რეპლიკები

□ □ □

ორი რეპლიკა

□
გიორგი ააკუშავილი
□

ჩვენს წინ არის პროფესორ ალექსანდრე ლლონტის „შედგენილი „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა“ (მეორე გამოცემა, 1984 წ.).

ანოტაციაში ვკითხულობთ: „„ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა“ წარმოადგენს ქართული დიალექტური ლექსიკონის შედგენის პირველ ცდას და ძირითადად საცნობო ხასიათისაა. ეყრდნობა იგი არსებულ მცირე ლექსიკონებს, ჩვენი სიტყვის მოყვარულთა კოლექციებს, მწერლობის ძეგლებსა და პირადად შემდგენლის მიერ წლების განმავლობაში აღგილებზე შეკრებილ მასალებს. სიტყვის კონაში შეძლებისდა მიხედვით ასახულია ყველა დიალექტური ერთეულის ლექსიკური მასალა და იგი წარმოდგენას გვაძლევს იმ ამოუწყავ სიმდიდრეზე, რასაც ჩვენი ეროვნული საუნჯე შეიცავს, მაგრამ სისრულის პრეტენზია მას არა აქვს. სიტყვის კონა გათვალისწინებულია მკითხველთა ფართო წრეებისათვის.“

აქედანვე შევნიშნავთ, რომ ამგვარი ლექსიკონი არა მხოლოდ

მცირე ლექსიკონებსა და სიტყვის მოყვარულთა კოლექციებს უნდა ეყრდნობოდეს, არამედ ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებსაც და დიდ ლექსიკონებსაც, თუკი რომელიმე სიტყვაზე მითითებულია, რომ იგი ამა თუ იმ კუთხისთვის არის დამახასიათებელი. ყოველ შემთხვევაში მისასალმებელი და დიდად საჭიროა ამგვარი ლექსიკონის გამოსვლა, რადგან მას შეუძლია მნიშვნელოვანი სამსახური გაუწიოს არა მარტო ფართო საზოგადოებას, არამედ მწერლებს, ენათმეცნიერებს და ქართული ენის სიმდიდრით დაინტერესებულ ყველა პიროვნებას.

გარდა ამისა, ეს წიგნი იმ მხრივაცაა საინტერესო, რომ იგი ბევრი ისეთ სიტყვასა და გამოთქმას გადაარჩენს, რომელიც ამა თუ იმ ხელობასთან ან საქმიანობასთან იყო დაკავშირებული. ხელობისა თუ საქმიანობის მივიწყებასთან ერთად ტერმინოლოგიაც მივიწყებას ეძლევა. არადა იმ სიტყვების ხმარება მომავალშიც შეიძლება ოღვეს მსგავსი ხელობის ან საქმიანობის გაჩენასთან ერთად. ყოველ შემთხვევაში, დასავიწყებლად არც ერთი ქართული სიტყვა გასამეტებელი არ არის და ისინი ლექსიკონებში მაინც უნდა ცოცხლობდნენ, რათა ოდესმე გამოვიყენოთ. ტრაქტორი როცა შემოვიდა ჩვენს ქვეყანაში, ყველა მისი ნაწილის სახელი, რა თქმა უნდა, არაქართული იყო, მაგრამ უჩემთან, გუთანთან თუ სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღთან დაკავშირებული ქართული ტერმინოლოგიდან მრავალი სიტყვა მიესადაგა და დღეს ისევ ხმარებაშია: სახნისი, ჭანჭიკი, ქანჩი, ჭინჭილაქი და სხვანი.

ასე რომ, ამ წიგნის დიდ მნიშვნელობაზე ლაპარაკი ზედმეტია. დგი ჩვენი ენის სისხლ-ხორცი და უცილებელი შემაღლებელი ნაწილია, ოღონდ შევნიშნავთ ზოგიერთ წვრილმანს.

ზოგჯერ განსამარტავი სიტყვა უმართებულოდ მიეწერება მხოლოდ ამა თუ იმ კუთხეს და გათვალისწინებული არ არის, რომ იგივე სიტყვა სხვა კუთხეებშიცაა, თუნდაც განსხვავებული მნიშვნელობით. ასე მაგალითად, სიტყვა აბეჩხარი ამგვარად არის განმარტებული:

აბეჩხარი-ი (მთიულ.) მამული, რომელიც ცუდ მოსავალს იძლევა (ლ. კაშ.)

საქმე ის არის, რომ „აბეჩხარი“ კახეთის რომელ კუთხეშიც უნდა ახსენოთ, ყველა აგისსნით, რომ ეს არის დაბერებული ან ცუ-

დად მოვლილი, ამოვარდნას მიტანებული ვენახი ან ხილნარი. ეს სიტყვა ქართლშიც ცნობილია და ამავე მნიშვნელობით იხმარება.

ჩავიხედოთ სხვა ლექსიკონებში:

„მიგდებული, გაოხრებული ვენახი, პარტახი, აბეჩხარი“ (ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, გვ. 175, განათლება, 1978 წ.).

„აბეჩხარი (აბეჩხისა) მოუვლელობით ნახევრად გამხმარი, გაშეჩხერებული, გაპარტახებული (ვენახი, ბალი)“ (ქართ. ენის გან. ლექს-ი).

მაშასალამე, ამ სიტყვის განმარტებისას მარტოდენ მთიულური კილოთი შემოზღუდვა უხერხეულია, მით უფრო მაშინ, რომ, სავარაუდოა, ეს სიტყვა მთაში ბარიდან ავიდა, რაკიდა ძირითადად ვენახთან არის დაკავშირებული, ვენახი კი უმეტესად ბარშია.

ასევეა სიტყვა „დამარაგებული“.

ჯერ ლექსიკონს მოვუსმინოთ:

„დამარაგებული (ქსნის ხეობა) მოღუშული, მოღრუბლული. „ცა დამარაგებულიაო“ (ვ. სომხიშვ.).

მართალია, ამ მნიშვნელობით ხმარობენ აღნიშნულ სიტყვას, მაგრამ არა მხოლოდ ქსნის ხეობაში, არამედ მთელ ქართლში, კახეთსა და მესხეთ-ჯავახეთში, თუშ-ფშავ-ხევსურეთში და, შეიძლება, სხვა კუთხეებშიც, რომლებიც ჩვენ არ ვიცით. ისე კი, მოვუსმინოთ, საბა რას ამბობს:

„მარაგი ცაი რა თხელითა ორუბლითა შემოსილ იყოს, იგი არს მარაგი, ხოლო აქა იქ ლრუბელი და ვარსკვლავ-მჩენი იალკიალი არს“.

ეს სიტყვა ასევეა განმარტებული ქართ. ენის გან. ლექს-ში.

ამით იმის თქმა გვწადია, რომ ამა თუ იმ კუთხეში ჩაწერილი სიტყვა მხოლოდ ამ კუთხის კუთვნილებად არ უნდა ვაქციოთ. უნდა გავარკვიოთ, სხვა კუთხეშიც ხმარობენ თუ არა და, თუ ხმარობენ, რა მნიშვნელობით. ასე აღგენდნენ თავიანთ უპრეტენზიო სიტყვის კონებს ჩვენი დიდი მოქართულეები გიორგი ლეონიძე და გიორგი შატერეაშვილი. როგორც კი რომელიმე კუთხის კაცს ხელში ჩაიგდებდნენ, თავიანთ ჩაწერილ სიტყვებს ამოწმებდნენ, თქვენთან ეს სიტყვა თუ იხმარება და რა მნიშვნელობითო. თავიანთ ნაცნობ-მეგობრებს ხომ სისტემატურად ამოწმებინებდნენ ყველა სიტყვას.

დავუბრუნდეთ ისევ ლექსიკონს:

„დანდალი“ (ქართლ., ქიზიყ., იმერ.) ურმის ნაწილი, ხელნებში გაყრილი ხეები (...) ურმის სახიდარი, ხელნებში გაყრილი და მათი გადამბმელი ოთხეუთხად დათლილი ლარტყები. აქედან გადანდვლა.

ეს სიტყვაც თითქმის მთელ საქართველოშია გავრცელებული. სადაც ურმი იციან, დანდალიც ცნობილია. ამიტომ არის, რომ საბა ორიოდე სიტყვით განმარტავს: „დანდალი — კიბისა და ურმის სახიდარი“. მთლიანად გასაგებია. იგი ყოფილა ურმის ხელნების შემაერთებელი სახიდარი, ხიდი. დანდალი ჩქმევია აგრეთვე კიბის გვერდების ანუ ჩანების შემაერთებელს. არც ქეთებ მიიჩნევს ამ სიტყვას დიალექტიზმად.

ახლა ვნახოთ, რას ნიშნავს „ლარტყა“, რითაც დიალექტურ ლექსიკონში დანდალი იყო განმარტებული.

ლარტყა (იმერ.) ნ. ლარტყა.

ლარტყა (გურ.) თხელი და ვიწრო ფიცარი, ხმარობენ სახლის სახურავის გასამართავად: მასზე კრამიტს ალაგებენ. ნ. ფინი (ა. ღლ. გურ.). შდრ. საბა, ქეთებ ღლ.

კეთილი და პატიოსანი. ჩავხედოთ საბას:

ლარტყა — ბრტყელი ლატანი. ლატანი ბრტყლად გათლილი.

როგორც ვხედავთ, ლარტყა ანუ იგივე ლარტყი არც გურული ყოფილა და არც იმერული. იგი ბრტყლად გათლილი ლატანი ყოფილა და გურულები და იმერლები ვითომ რატომ ვერ გამოიყენებენ სახლის სახურავზე კრამიტის დასაწყობად? ვითომ სხვა კუთხის შვილებს კი გაუჭირდებოდათ, ამ დანიშნულებით რომ ეხმარათ? ამისთვისაც ხმარობდნენ და ურმის დანდლებზე დასაკრავადაც, რათა ურემს იატაკი ჰქონოდა. ხმარობდნენ და აქაც ლარტყას ანუ ლართხას ეძახდნენ.

ჩავიხედოთ ისევ ლექსიკონში:

ზმუილი-ი (ხევსურ.) ძროხის ხმამაღალი ხმიანობა (ა. ჭინჭარ., 233). შდრ.: საბა, ნ. ჩუბ., დ. ჩუბ., ქეთებ ღლ.

ზმუილს რად უნდა ავტორიტეტების მოშველიება, ან რატომ არის იგი მხოლოდ ხევსურული სიტყვა? ზმუილი ყველგან ზმუილია, სადაც ძროხაა. ძროხა, საერთოდ, ზმუის. ისე რომ, ამ სიტყვას კუთხურ კილო-თქმათა ლექსიკონთან საერთო არაფერი აქვს.

X X X

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მეოთხე ტომში მოთავსებულ სტატიაში „ერეკლე II“ გვითხულობთ:

„...ქართლ-კახეთის მეფე, თეიმურაზ II-ის ძე. ერეკლე II აკავშირებდა ქართლისა და კახეთის ბაგრატიონთა ორ შტოს. დედამისი, თამარი, ვახტანგ VI-ს ასული იყო, ხოლო მამა, თეიმურაზ II, — კახთა მეფე დავით II-ის (იმამყული-ხანი) ძე“ სტატიის ავტორია მ. დუმბაძე.

ერთბაშად შეგვაცბუნა ამ განცხადებამ. აქამდე ჩვენ თეიმურაზ მეორის მამად სხვა პიროვნებას ვიცნობდით და არა დავით იმამყული-ხანს.

მოვძებნეთ მესამე ტომში სტატია „დავით II“, სადაც აღნიშნულია:

„დავით II, იმამყული-ხანი... 1711 (წელს) ირანში გაემგზავრა და კახეთის მმართველად თავისი ძმა თეიმურაზი და დედა — დედოფალი ანა დატოვა“ (სტატიის ავტორია ნ. ასათიანი).

დიახ, დავით II, იგივე იმამყული-ხანი თეიმურაზ II-ის ძმა იყო და არა მამა. „საქართველოს ისტორიის ნაჩვევების“ მეოთხე ტომში გარკვევით წერია ეს 446-ე გვერდზე:

„ერეკლე მყოფმა ნაღირმა მეფე თეიმურაზი და ქართლ-კახეთის დიდებულები თავისთან დაიბარა. მრავალი მათგანი დააპატიმრა. ქართლ-კახეთის მმართველებად კი თეიმურაზის ძმის დავითის (იმამყული ხანის) ძე ალექსანდრე დანიშნა“.

თეიმურაზ მეორისა და დავით იმამყული-ხანის ძმობაზე ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს. ისინი ერეკლე პირველის ძენი არიან და არა მამა-შვილი.

ଶ୍ରୀପ ଶ୍ରୀରାଧା ମିଠାଟିଲାଙ୍ଗା

□ □ □

ଜାତାତିଥିର ଏବଂ ସତିରତିଥି

□
ଉଚ୍ଚାନ୍ତି ହିତିନାଶବିଲୀ
□

ଏହା ସାଂପାରିପ ଏହା ଉନ୍ଦା ର୍ଯ୍ୟାନ୍, ଅଲ୍ଲାଜିଶାନଫର୍ରେ ରୁଦ୍ରେନ୍ଦ୍ରିଯ-ଲେସନୋକ୍ଷିଳ
ଫିଙ୍ଗି „ନିଲଦଳିବାନ୍ତି ଦେଇଲି କରମେନତ୍ରାର୍ଥେବି“ ନାରୀର ଦୁର୍ମଦ୍ଦାଦିଲି ଶ୍ରୀମନ୍ଦମ୍ଭେ-
ଦେବିସାରମି ମିଳଦିବିଲି ତିରସ୍ତେଲି ଫିଙ୍ଗିବା. ସାଂପାରିବା, ହାତଗାନ ଏହିତାର
କଥି ଶ୍ରୀଵିକ୍ରିଦିତ ପ୍ରସ୍ତରାଘ୍ୟରୀରି, ଏହାପରି ଏହା ଶ୍ରୀମଦ୍ଭୂଲାର୍ଯ୍ୟାର୍ଥୀରେ ଶାନ୍ତିରୀତି
ମଧ୍ୟରାଲିଖି ଦାଖିରିଲା, ଏହାମଧ୍ୟରୀମେ ମନ୍ତ୍ରିରଦିଲି ତୁମି ଗାମର୍ବା
ଦା ମନ୍ତ୍ରିରାଲିଖି ଦେଇରାର ଗାମାକାରଦେବୀ ମିଳି, ଏହାପରି ହିନ୍ଦୁଗାନ ଶ୍ରୀମନ୍ଦ-
ମିଳଦଳିବାନ୍ତି ନାରୀର ଦୁର୍ମଦ୍ଦାଦୀରେ ଦାଖିରିଲା. ଏହା ମାନ୍ଦିବି ଏହା ତିରସ୍ତେଲି ଫିଙ୍ଗିବା.
ତୁମରୀ ଏହା ପ୍ରାଚୀରିଲି ଆଶିନା ଶ୍ରୀମନ୍ଦମ୍ଭେଦୀରୀରି ଏହା ଏହାରୀରି ନାରୀର
ଦୁର୍ମଦ୍ଦାଦୀରେ ଶ୍ରୀମନ୍ଦମ୍ଭେଦୀରୀରି ଏହା ଏହାରୀରି ନାରୀରି ଏହା ଏହାରୀରି

ლი ჩვენი ქვეყნის ცოცხალ, მფეთქავ, ცვალებად ლიტერატურულ პროცესში, რომ მისი იქიდან ამორიდება, განმხოლოება და იზღულირება, ყოვლისმომცველი მონოგრაფიული კვლევის საგნად გადაჭევა, უბრალოდ, შეუძლებელი ჩანდა. ერთი სიტყვით, ცნობილი გამოთქმისა არ იყოს, „როცა პირისპირ შეჰყურებ, კარგად არ ჩანს“, თუმცა ზოგიერთი შტრიხი, მწერლის ფიზიონომიის „საერთო გამომეტყველების“ დამახასიათებელი, შენიშნული და ფიქსირებული იყო. მაგრამ ნოდარ დუმბაძის „ფენომენი“ კვლავინდებურად საჭიროებს უფრო დაკვირვებულ და, თუ გნებავთ, ჰოლოგრაფიულ განხილვას. აქედან გამომდინარე, ა. რუდენკო-დესნიაკის ეს წიგნი ამგვარი ნაშრომის შექმნის პირველი ცდაა.

ა. რუდენკო-დესნიაკმა ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაზე დაწერილი თავისი გამოკვლევისათვის ანალიზის საკმაოდ უჩვეულო და, ეს ვიტყოდი, არატრივიალური ფორმა აირჩია, რომელსაც საფუძვლად პოლიფონიური პრინციპი უდევს: ნაშრომში ისმის ხმები — საკვლევი ავტორისა, გამოკვლევის ავტორისა, ნოდარ დუმბაძის გმირებისა, ქართველი, რუსი და უცხოელი კრიტიკოსებისა. ეს ხმები ერთიანდებიან თავისებურ კონტრაპუნქტად, ქმნიან ულერადობის განსხვავებულობას, რაც ასე აუცილებელია სიმღერის ასაწყობად, სიმღერისა, რომელიც გვაგონებს დახვეწილ და ნოდარ დუმბაძისთვის ეგზომ საყვარელ გურულ კრიმანულს. ყველაზე მცდელი წიგნში ნოდარ დუმბაძის „პირველი“ ხმაა, რომელიც მტკიცედ წარმართავს მის მელოდიკას.

უდიდეს მადლიერებას იმსახურებს ჰეშმარიტად თავდადებული შრომა ალექსანდრე რუდენკო-დესნიაკისა, რომელსაც ჩაუწერია თავისი საუბრები ნოდარ დუმბაძესთან და მომავალი მკითხველებისა და მკვლევარებისათვის შემოუნახავს შესანიშნავი მწერლის არამარტო ფიქრთა და აზრთა წყობა, არამედ მისი განუმეორებელი ინტონაციაც, განსაკვიფრებელი იუმორი, მახვილგონივრული დაკვირვებანი და მოსაზრებანი ცხოვრებაზე, ლიტერატურაზე და საკუთარ შემოქმედებაზე. ეს ჩანაწერები, წინ რომ უძღვის გამოკვლევის ყოველ თავს, წარმოადგენენ აგრეთვე თავისებურ კამერტონს, რომელიც განსაზღვრავს კრიტიკოსის გამონათქვამთა სიმაღლესა და სიზუსტეს. ალექსანდრე რუდენკო-დესნიაკი ოსტატურად და ტაქტით წარმართავს საუბარს, რომლის დროსაც ხელმძღვანელობს.

არა ვიწრო პრაგმატული მოსაზრებებით, მაგალითად, თავისი გამოკვლევის ამოცანებით, არამედ ესწრაფვის გამოავლინოს მოქალაქისა და მწერლის — ნოდარ დუმბაძის აზროვნების მთელი ასოციაციური სიმღიდრე და სისრულე.

აქედან მომღინარეობს ფართო თვალსაწიერი და არაშაბლონურობა ა. რუდენკო-დესნიაკის კრიტიკული პასაკებისა თანამედროვე ქართული პროზის ყოფითობასა, პარაბოლურობასა და ისტორიზმზე, რაც ასე თავისებურად და მკაფიოდ ვლინდება ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში, მწერლის იუმორზე, როგორც მისი ადრეული ნაწარმოებების მაკონსტრუირებელ პრინციპზე. აქედანვე მომღინარეობს მტკიცებითი პელაცია, რისთვისაც მოხმობილია საერთო-საკავშირო და მსოფლიო ლიტერატურული კონტექსტი, რომლის ხორცი ხორცავანი იყო ნოდარ დუმბაძის მწერლური ძიებანი და მონაპოვარნი, ძალუმად და თვალნათლივ რომ წარმოდგება ჩვენს წინაშე მისი შემოქმედების მწვერვალში „მარადისობის კანონი“. დიახ, სწორედ „მარადისობის კანონში“, რომელსაც ლენინური პრემია მიენიჭა, ნოდარ დუმბაძემ მიაღწია იმ სოციალურ, მოქალაქეობრივ და შემოქმედებით სიმწიფეს, რამაც მას მკითხველთა საყოველთაო აღიარება მოუტანა, მაგრამ კრიტიკის მიერ არაერთმნიშვნელოვანად იქნა აღქმული და შეფასებული.

ა. რუდენკო-დესნიაკი მწვავედ, მაგრამ წინასწარშემუშავებული მოსაზრებების გარეშე ეკამათება ნოდარ დუმბაძის ოპონენტებსაც და „დამცველებსაც“, თანდათან ააშკარავებს მათ ნებსით თუ უნებლივ სწრაფვას საერთო საზომებით მიუღინენ მწერალს, მათ მცდელობას ჩატიონ იგი წინასწარგამზადებულ კრიტიკულ სქემებში, დაანაწილონ მისი შემოქმედებითი გზა „სწორ“ და „არასწორ“ მონაკვეთებად, რათა შემდეგ ისინი ერთმანეთს დაუბირისპირონ. ა. რუდენკო-დესნიაკი წარმატებით ართმევს თავს მწერლის შემოქმედებით სწრაფვათა მთლიანობის, თანმიმდევრულობისა და ორგანულობის დამტკიცებას, რაც სულაც არ გამორიცხავს მათ გარჩვეულ წინააღმდეგობრიობასაც. ნოდარ დუმბაძე კიდით კიდე კი არ აწყდებოდა კრიტიკოსთა მიერ მისი მისამართით გამოთქმული ქებისა ან ძაგების შესაბამისად, არამედ ვაჟკაცურად და მტკიცედ იცავდა საჭმით თავის სიმწრით მოპოვებულ შემოქმედებითსა და იღეურ მრწამს. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ნოდარ დუმბაძე გუ-

ლგრილი და უგრძნობელი იყო ლიტერატურაში თავისი მუშაობის შეფასებისა და კვალიფიკაციებისადმი. არა და არა. უბრალოდ, იგი თავისი ახალი ნაწარმოებებით ეკამათებოდა ოპონენტებს, მუდამ ჩიხში აქცევდა მათ და აიძულებდა, ეძებნათ და განესაზღვრათ რა- დაც „ახალი ეტაპი“ მის შემოქმედებაში.

ნოდარ დუმბაძის სიცილის ხასიათის კვლევისას ა. რუდენკო- დესნიაკი მის ლიტერატურულ წინამორბედთა სიცილის კულტუ- რის ექოს კი არ ეძებს, არამედ ააშკარავებს ღრმად ხალხურ, ერო- ვნულ საფუძველსა და ტრადიციას, რაც ნოდარ დუმბაძის შემოქმე- დებაში ახალი წახნაგებითა და იპოსტასებით გამობრწყინდა. იუმო- რი, რომელიც აადამიანურებს, ბუნებრივსა და პიროვნულსა ხდის ჰალფარდოვან სიტყვებს და ამაღლებულ ცნებებს, იყო და და- რჩა ნოდარ დუმბაძის თავისებურ „საფირმო“ ნიშნად, ინდიკატო- რად, უშეცდომოდ რომ გვიჩვენებს მის განუწყვეტელ სისხლხორ- ცეულ კავშირს მშობლიურ მიწასა და ხალხთან, მაგრამ ამავე დროს წარმოადგენს საერთოსაკაცობრიო ცივილიზაციასთან მქაფიო ნათე- საობის დაღასტურებასაც. ამ ორერთოიანობის არაპარადოქსულობა და ორგანულობა დამაჯერებლად გვიჩვენა ა. რუდენკო-დესნიაკმა ნოდარ დუმბაძის ფენომენის თავის ინტერპრეტაციისას.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ა. რუდენკო-დესნიაკის წიგნი და- ზღვეულია ხარებებისაგან? არ ვიცი, მაგრამ პირადად ჩემთვის სა- კმარისი არ არის სიღრმე და მოცულობა, როცა ავტორი ახასიათებს „ქართულ“ კონტექსტს, იმ ეგრეთ წოდებულ „სამოციანელებს“, რომელთა წიაღშიც ნოდარ დუმბაძის სახე და ხმა ყალიბდებოდა. ეს გარკვეული აზრით აქვეითებს იმ ჭეშმარიტად მეტეორული, ფეოქე- ბადი ეფექტის შეცნობის ხარისხს, რაც ნოდარ დუმბაძის მოსვლამ მოახდინა ქართულ ლიტერატურაში.

მაგრამ... ეს პირველი წიგნია. ყველა მომდევნო წიგნისათვის, ისინი კი უეჭველად დაიწერება, ა. რუდენკო- დესნიაკის გამოკვლე- ვა, დარწმუნებული ვარ, გაკვეთილად და სტიმულად იქცევა.

კინორეცენზია „ლიტერატურულ საქართველოში“

□
 რამაზ გვერდითელი
 □

საყოველთაოდ ცნობილია ის დიდი როლი, რომელიც ენიჭება ხელოვნებას აღამიანის აღზრდაში, მის მსოფლმხედველობრივ თუ ძორალურ-ზნეობრივ ჩამოყალიბებაში. კინემატოგრაფი, ხელოვნების ეს შედარებით ახალგაზრდა დარგი, საიმედოდ ამოუღა მხარში ლიტერატურას, ფერწერას, თეატრს, მუსიკას ამ როული და საპატიო მისიის ასრულებაში. და არამარტო მხარში ამოუღა, არამედ მოწინავე პოზიციებიც დაიყავა. კინო დღეს ხელოვნების სხვა დარგებს შორის ყველაზე უფრო მასობრივია, განსაკუთრებით კი ჩვენს ქვეყანაში. ეს პოპულარობა, აღბათ, მისი სინთეზურობითაც არის გამოწვეული, რადგან, როგორც ვიცით, მის შექმნაში ლიტერატურაც მონაწილეობს, ფერწერაც და მუსიკაც. ასეა თუ ისე, ფაქტი ფაქტად ჩეხება — კინო დღეს ყველას უყვარს.

საბჭოთა კინემატოგრაფი აღრეც და ახლაც აქტიურად ეხმაურება იმ სოციალურ გარდაქმნებს და მოვლენებს, რომელიც ხდებოდა და ხდება ჩვენს ქვეყანაში. ჩვენ ვუყურებთ საბჭოთა კინოს, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების აქტიურ მონაწილეს. სწორედ ის კინონაწარმოებები ჩეხება კოლექტიურ მეხსიერებაში, რომლებიც ამ მიზანდასახულებას ასრულებენ.

ფილმმა შთაბეჭდილება რომ დატოვოს კიდეც მაყურებელზე, ეს ჯერ ბევრს არაფერს ნიშნავს. ყველა დაკვირვებულმა რეჟისორმა რცის: არც ისე ძნელია გამოიწვიო მაყურებლის თანაგრძნობა კეთილი ადამიანისადმი, ანტიპატია — უკეთურისადმი, თანადგომა — დაჩაგრულისადმი. მაგრამ ხშირად მღელვარება, გამოწვეული ფილმით, მალევე ქრება, იმდენად მაღე, რომ ხანდახან ვერც კი გავიხსე-

ნებთ, რამ აგვალელვა გუშინ კინოკადრში. რეჟისორებს არ შეუძლიათ არ იფიქრონ შთაბეჭდილების სიმყარეზე, იმაზე, თუ რა შემთხვევაში რჩება მათ მიერ შექმნილი მხატვრული სამყარო მაყურებლის შეხსიერებაში წლების, მით უფრო, მრავალი წლის მანძილზე.

ცხადია, გაიზარდა მაყურებლის მოთხოვნა ფილმის შექმნელთა მიმართ. დღევანდლელი მაყურებელი დიდად განსხვავდება საუკუნის დასაწყისის მაყურებლისაგან. კინოაუდიტორიის დიდი ნაწილი ეკრანზე ასახულ ცხოვრებას რეალური ცხოვრების ანარეკლად აღიქვამს. იგი ელოდება გარკვეულ ზენობრივ შეფასებებს, სიუჟეტის ენერგიულ განვითარებას, ნათელ კომპოზიციას. ის ადვილად იღებს და ითვისებს იმ მხატვრულ სახეს, რომელიც ცხოვრებისეულია და ნათელია; მის თანაგრძნობას მეტწილად დადებითი, აღამიანური სიკეთით საესე გმირები იწვევენ. ეს უბრალო ჭეშმარიტება მტკიცდება ჩვენი და საერთოდაც კინოს მრავალწლიანი გამოცდილებით. ასეთი მაყურებელი იყო და კვლავაც იქნება, ამის უგულვებელყოფა არ შეიძლება. ადრე მაყურებელი ტაშს უკრავდა პერსონაჟების მოქმედებას და არა რეჟისორულ და მსახიობურ მიგნებებს, ეთიკური აღქმა ფილმისა წინ უსწრებდა ესთეტიკურს.

ახლა სხვა დროა. და ვგონებ, უცნაურიც კი იქნებოდა შედარება, რაიმე ანალოგიების გავლება ჩვენს დღევანდელ განათლებულ, განვითარებულ, ინფორმირებულ მაყურებელსა და თითქმის წერა-კითხვის უცოდინარ, გულუბრყვილ მშრომელებს შორის, რომელიც მოჯადოებულებივით შეჰქურებდნენ ეკრანს ამ საუკუნის დასაწყისში. ცხადია, ვერავითარი კეთილი ზრახვები ვერ გადაარჩენს ფილმის ავტორებს, თუ ისინი შეეცდებიან ფონს გავიდნენ თუნდაც ყველაზე კეთილშობილური დეკლარაციებით. ყოველ დეტალსაც კი ახლა უზუსტესი მხატვრული გააზრება სჭირდება. მაყურებელი დღეს საკმარისიად განვითარებულია მხატვრული თვალსაზრისით. იგი მოითხოვს მსახიობების გულწრფელ თამაშს, ჭეშმარიტ ვნებებს. მას ფილმის აღქმაში ხელს უშლის არაემოციური მუსიკა, ცუდი გამოსახულება. მაგრამ მაინც, და სწორედ ეს გახლავთ მთავარი, ეს-თეტიკური დონე ფილმისა განუყოფელია მისი ეთიკური პათოსისაგან, მისი ზენობრივი მუხტისაგან. სწორედ ეს ერთიანობა უზრუნველყოფს ფილმის ჭეშმარიტ წარმატებას. ერთი შეხედვით, ამას უველაფერს თითქმის ნაკლები კავშირი უნდა ჰქონდეს კინორეცენ-

ზიასთან, რასაც ეძღვნება წერილი, მაგრამ თუ ლრმად ჩავუკვირდებით, ეს ეჭვი გაგვიქარწყლდება. სწორედაც კინოს სიახლეების და მაყურებელთა საერთო დონის გათვალისწინებაა მთავარი რეცენზირებაში, რომელიც ერთგვარი შუამავლის როლს ასრულებს მათ შორის.

ზემოთ აღვნიშნე, რომ კინო სინთეზური ხელოვნებაა, მაგრამ ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ფილმი ხელოვნების სხვა დარგებიდან ნასესხები ელემენტებით არის შეკრწიწებული და რომ მას არ გააჩნია საკუთარი მთლიანი, ერთიანი სახე და კონცეფცია. როდესაც დასაბუთებულად ლაპარაკობენ იმაზე, თუ რა აიღო კინემატოგრაფმა ხელოვნების უძველესი დარგების — თეატრის, ფერწერის, მუსიკის არსენალიდან, ეს გასაგებიც არის და სწორიც. მაგრამ როცა კინემატოგრაფის სპეციფიკას და პოეტიკას ხელოვნების სხვა დარგებში ჯერ კიდევ კინემატოგრაფის გამოჩენამდე ეძიებენ, ეს უკვე უმართებულობაა და უცნაურიც.

თუ თავის დროზე კინოხელოვნება ისე ენერგიულად უწევდა ექსპლოატაციას ხელოვნების სხვა დარგებს, რომ კინოს მათი „ოკუპაციის“ ბრალდებაც კი წაუყენეს, ახლა, ამ სიტუაციაში, როდესაც იგრძნობა სიტყვის, ფერის, პოლიტონიურობის მზარდი მნიშვნელობა, დამხმარე დარგები საშიში გახდნენ თვითონ კინემატოგრაფისათვის. სულ უფრო და უფრო შესამჩნევი ხდება მხატვრობის, მუსიკის, ლიტერატურის და სხვა კომპონენტების გამოყოფის ტენდენცია კინოხელოვნების პრივილეგირებულ ნაწილებად.

„ხელოვნებათა სინთეზი ეკრანზე ხასიათდება არა მარტო სილრმითა და ორგანულობით, არამედ თავისებური პლასტიკურობითაც, სხვადასხვა სახის შერწყმის შესაძლებლობითაც“. ეს სიტყვები ეკუთვნის ლეონიდ ფრადეკინს. თავის საინტერესო წიგნში „მეორედ დაბადება“, რომელიც ეკრანიზაციის პრობლემებს ეძღვნება, იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კინო უნდა იყოს არამარტო უბრალო შეერთება ან შერწყმა სხვადასხვა სახის ხელოვნებისა, არამედ ორგანული შენაერთი, რომლის შედეგადაც იბადება სრულიად ახალი სახე — კინოსახე.

საკუთარი ავტონომიის გამყარების მიზნით კინემატოგრაფი შეეცადა უარი ეთქვა სხვა მომიჯნავე ხელოვნების დარგებთან თანამშრომლობაზე. ასე მაგალითად, ზოგ შემთხვევაში იგნორირებულ

იქნა მუსიკა და ფილმი მაინც საქმაოდ შთამბეჭდავი გამოვიდა, ან ტიდევ, თურმე შეიძლება ფილმის გადაღება ბუნებრივ გარემოში, ყოველგვარი პავილიონებისა და დეკორის გარეშე და სხვა.

გასაგებია, ეს ექსპერიმენტები, რომლებიც ზოგიერთ შემთხვევაში დიდი წარმატებით დაგვირგვინდა, ნაკარნახევი იყო არა მარტო იმით, რომ კინოს თავისი დამოუკიდებლობა დაემტკიცებინა. მთავარი მიზანი ახალ შესაძლებლობათა ძიება გახლდათ და ამ ძიების გზებზე კინომ გაიხსენა თავისი ყმაწვილობის ხანა — პერიოდი „დიდი მუნჯისა“ (როგორც უწოდებდნენ საუკუნის დასაწყისის კინემატოგრაფს) და მისი გამოცდილება, ის გამოცდილება გაიხსენა, რაღანაც ძირითად მეტოქედ მისთვის სწორედ სიტყვა იქცა, ანუ ის სიახლე, რაც ეკრანზე კინოს ძირითადმა მეკავშირემ — ლიტერატურამ მოიტანა.

კინოსა და ლიტერატურის ურთიერთყავშირის პრობლემას დიდი ხნის ისტორია აქვს. ეს პრობლემა კინემატოგრაფის დაბადების მომენტიდან გაჩნდა. მას შემდეგ, რაც კინემატოგრაფი ხელოვნებად იქცა, კინო და ლიტერატურა განუყოფლები გახდნენ.

დრომ და გამოცდილებამ, თვითონ კინოხელოვნების განვითარებამ, კინოსა და ლიტერატურის ურთიერთობის უმდიდრესმა პრაქტიკამ მათი ორგანული კავშირის მრავალსახოვანი ასპექტები წარმოაჩინა. ყოვლად ნათელი და უდავო გახდა არა მარტო არსებობა კინოდრამატურგიისა, როგორც ლიტერატურის ერთ-ერთი გარკვეული ყანჩისა, არამედ ისიც, რომ კინოსცენარი — ეს ის მყარი ფუნდამენტია, რომელზედაც შენდება გასაოცარი და მომხიბვლელი სამყარო კინოხელოვნებისა.

ინტერესი არ იყო ცალმხრივი: არა მარტო კიხოს სჭირდებოდა ლიტერატურა, არამედ ამ უკანასკნელმაც უცბადვე გაიაზრა ახალი ხელოვნების მნიშვნელობა და პერსპექტივები. ამიტომ მწერლებიც სიამოვნებით თანამშრომლობდნენ კინოს პიონერებთან. ცნობილია ცხოველი ინტერესი რუსი მწერლებისა, თვით ლევ ტოლსტოისაც, ისეთი საოცრებისადმი, როგორიც იყო კინემატოგრაფი, საქართველოში კი იმ შორეულ ხანს სწორედ ცნობილმა მწერალმა შალვა დადიანმა დასდო ამაგი ეროვნულ კინემატოგრაფს.

მე შეგნებულად გავაგრძელე სიტყვა კინოს სინთეზურობაზე და იმ დიდ როლზე, რომელიც ენიჭება ლიტერატურას ამ სინთეზში —

ჩვენი ძირითადი მსჯელობის საგანი ხომ ისეთი სპეციალური ლიტერატურული ორგანოს კინოსთან დამკადებულებაა, როგორიც „ლიტერატურული საქართველოა“.

1984 წელს კინოსთან დაკავშირებით გამოქვეყნებული მასალა გაზეთში საქმაო რაოდენობით ჩანს — წლის მანძილზე გამოსულ 52 ნომერში ამ ხასიათის 35 წერილია. დიდი ნაწილი აქედან, ანუ 23 წერილი მეტად თუ ნაკლებად ინფორმაციული ხასიათისაა და ორი რუბრიკის — „მსოფლიოს გარშემო“ და „კულტურული ცხოვრების“ — ქვეშაა დაბეჭდილი.

ინფორმაციული სახის წერილები და მასალები თავისთავად საჭირო და კარგია, მით უფრო, როცა ბევრი მათგანი ისეთ ფაქტებთანაა დაკავშირებული, რომლებისაღმიც მკითხველი ცხოველ ინტერესს იჩენს, მაგრამ ეს მაინც დამხმარე მასალაა და ვერ შეცვლის კინორეცენზიას. სანამ ზოგიერთ მათგანზე კონკრეტულად შევჩერდებოდე, მინდა აღვნიშნო ერთი თვალშისაცემი ფაქტი. გაზეთში არც ერთი ინფორმაციული წერილი თუ მასალა არ არის მიძღვნილი ჩვენი ქვეყნის მოძმე რესპუბლიკების კინემატოგრაფისადმი და კინოს მოლვაწეებისადმი. არადა, ისინი ამის ღირსნი არიან, რადგან მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ბალტიისპირეთისა თუ ჩვენი ქვეყნის სხვა სტუდიებში მუშაობენ კინოს თვალსაჩინო ოსტატები და ქმნინ ისეთ საინტერესო ფილმებს, რომლებიც არ უნდა რჩებოდეს ჩვენი ყურადღების მიღმა, მითუმეტეს, რომ ამ ფილმებს სიამოვნებით ნახულობს ჩვენი რესპუბლიკის კინოაუდიტორია.

რაოდენ აოგნიშნე, გაზეთში ქართულ თუ უცხოურ კინოსთან დაკავშირებით არაერთი საყურადღებო საინფორმაციო ცნობა და წერილია დაბეჭდილი. ზოგიერთ მასალაზე, თავისი მნიშვნელობით რომ გამოიჩინეა, შევაჩერებ ყურადღებას.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა დიდ ინტერესს იწვევს კანის საერთაშორისო კინოფესტივალი, მსოფლიოს ეს ერთ-ერთი ყველაზე პრესტიული კინოფორული. ჩვენც ყოველთვის დიდი ყურადღებით ვაღევნებთ ხოლმე თვალს მის მსვლელობასა და შედეგებს, განსაკუთრებით თუ მასზე საბჭოთა კინო ქართული ფილმით არის წარდგენილი. ქართულ ფილმებს არაერთი დამსახურებული გამარჯვება უზემითა ამ ფესტივალზე. შესაბამისად დიდია ინტერესი

კანის ფესტივალის ორგანიზატორებისა ქართული კინოსაღმი, განაცხადი საყუთრებით მას მერე, როდესაც დებიუტანტი ახალგაზრდა რეჟისორების თენის აბულაძისა და რევაზ ჩხეიძის ფილმი „მაგდანას ლურჯა“ ფესტივალის აღმოჩენა და ნამდვილი სენსაცია გახდა. ამდენად, ყურადღების ღირსია „ლიტერატურული საქართველოს“ 17 აგვისტოს ნომერში დაბეჭდილი მასალა „კანის ფესტივალის ექი“, სადაც ლაპარაკია ამ ფესტივალზე წარდგენილ ქართულ ფილმზე „დღეს ღამე უთენებია“ (დამდგმელი რეჟისორი ლანა ღოღლობერიძე), იმ ინტერესზე, რომელიც გამოიწვია ამ ფილმმა. თავისითავად შრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ სხვა უამრავი ფილმიდან უიურიმ საკონკურსოდ შეაჩერია ქართული ფილმი. ეს ლანა ღოღლობერიძისათვის, საერთოდ ქართული კინემატოგრაფისათვის, ღიღი პატივია. ქვე დაიბეჭდა ბევრი გამოჩენილი უცხოელი კინოკრიტიკოსისა და კინომოღვაწის აზრი ფილმზე, საიდანაც ნათლად ჩანს ის აღიარება, რომელიც მოუტანა ფილმმა მის შემქმნელებს.

მაგრამ ერთი რამ იწვევს გაკვირვებას. თუკი „ლიტერატურული საქართველო“ 1984 წლის კანის ფესტივალით და მისი შედეგებით დაინტერესდა, სათანადოდ უნდა ღერინშნა ის ღიღი გამარჯვება, რომელიც მოიპოვა მოკლემეტრაჟიანი ფილმების კონკურსში ქართულმა მულტიპლიკაციურმა ფილმმა „ჭირი“. მას ხომ პირველი პრემია მიენიჭა. მისი შემქმნელები არიან კინოდებიუტანტები. შეითა ჩუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის კინოსარეკისორო ფაკულტეტის კურსდამთავრებულები დავით თაყაიშვილი (რეჟისორი) და დავით სიხარულიძე (სცენარის ავტორი და დამდგენელი მხატვარი). განა ეს ღიღი სასიხარულო ფაქტი არ გახლავთ?

საერთოდაც, თუ კანის ეს ღიღი კინოდათვალიერება უფრო დართოდ გაშუქდება გაზეთის ფურცლებზე, უკეთესი იქნება, რაღან მკითხველთა ინტერესების სფეროში, ქართულის და მთლიანად საბჭოთა კინოს გარდა, საზღვარგარეთული კინოც შემოდის, მითუმეტეს, რომ ამ ფესტივალზე არაერთი მნიშვნელოვანი უცხოური ფილმი დემონსტრირდება.

ქვე ისიც უნდა ითქვას, რომ საზღვარგარეთ პროგრესულ კინემატოგრაფს სულ უფრო და უფრო მეტი წინააღმდეგობა ხდება. დასავლეთის კინომეწარმეთა ძირითადი ყურადღება იქითაა მიმართული, რომ გასართობი ფილმებით მაქსიმალურად მოიხვეჭონ ფუ-

ლი, მაგრამ მათი მიზანი უფრო სხვა და საშიშია. ბურუუაზიული იდეოლოგია ყველა ხერხით და საშუალებით ცდილობს საზოგადოების ყურადღება აარიდოს მწვავე სოციალურ და პოლიტიკურ პრობლემებს, რომ ამან ნაკლები გამოხატულება პპოვოს ისეთ მასობრივ ხელოვნებაში, როგორიც კინოა. საამისოდ ისინი საკმაოდ შზაკვრულ ფანცებსაც მიმართავენ. ასე მაგალითად, ცდილობენ გამოიყენონ სახელმოხვეჭილი, პროგრესულად მოაზროვნე მწერლების პოპულარული ნაწარმოებები, შეისყიდონ ისინი საექრანიზაციოდ. ამით ისინი ორ კურდღლელს დასდევენ: ერთი მხრივ, მათი იდეოლოგიისათვის საშიში მხატვრული ნაწარმოების გამოშივნის, დამახინჯების, გაყალბების და, ამდენად, უვნებელყოფის საშუალება ეძლევათ, მეორეც კიდევ, მწერლის სახელი და ნაწარმოების პოპულარობა დიდ მოგებებს უქადით. მაგრამ ორი კურდღლის მაღვარის ბედი ხომ ცნობილია და დასავლეთელი კინომწარმოებლები და იდეოლოგები მეტწილად ხელმოცარული რჩებიან, რადგან სულ უფრო იზრდება და ძლიერდება საზღვარგარეთული პროგრესული კინემატოგრაფი, სულ უფრო აშკარა და ნათელი ხდება ბურუუაზიული იდეოლოგიის მსახურთა შზაკვრული ზრახვები. კინემატოგრაფისა და კინომაყურებლის წინააღმდეგ მიმართული ამგვარი აქციები საჯარო მხილებას მოითხოვს და ეს პრესის ერთ-ერთი უპირველესი მოვალეობა არის.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა „ლიტერატურული საქართველოს“ 20 ივლისის ნომერში დაბეჭდილი წერილი „რატომ ვთქვი უარი მილიონზე“, რომელიც ცნობილ კოლუმბიელ მწერალს გაბრიელ გარსია მარკესს ეკუთვნის. ამ წერილში მარკესი ფაქტობრივი მასალით მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ და რა ხრიკებით ცდილობდნენ დასაცლეთის სხვადასხვა ქვეყნების პროდუსერები მის დაყოლიერას იმაზე, რომ საექრანიზაციოდ შეესყიდათ მთელს მსოფლიოში გახმაურებული რომანი „მარტონბის ასი წელი“. მარკესი იმასაც გვიხსნის, თუ რატომ არ დათანხმდა ამაზე, რატომ თქვა უარი მილიონზე. მან უბრალოდ ვერ გაიმეტა თავისი რომანი დასასახიჩრებლად, არ ჩაუგდო ხელში ბიზნესმენებს საჯიჯნად. ნამდვილი ხელოვნება არასოდეს იყიდებოდა და არც არასოდეს გაიყიდება. ამაშია მისი ძალაცა და მომხიბლაობაც, რისი კიდევ ერთი სარწმუნო მაგალითი მოგვცა მარკესმა თავისი საქცი-

ელით. „ლიტერატურული საქართველოს“ ეს პუბლიკაცია ბურუუ-აზიული იდეოლოგიის კონტრპროპაგანდის საუცხოო ნიმუშია და კარგი იქნება, თუ ამგვარი ხასიათის მასალები უფრო ხშირად დაიბეჭდება მის ფურცლებზე.

დღეს მთელი მსოფლიოს პროგრესული საზოგადოება იბრძვის გამალებული შეიარაღების შეჩერებისათვის, ატომური ომის კატასტროფის თავიდან აცილებისათვის. თავისი წვლილი შეაქვთ ამ საქმეში დასავლეთის სხვადასხვა ქვეყნის პროგრესულად მოაზროვნე რეჟისორებსაც. ისინი ცდილობენ შექმნან ისეთი ფილმები, რომლებიც თვალნათლად დაგვანახებენ ამ ომის მთელ საშინელებას, კაცობრიობისათვის იმ დამღუტველ შედეგს, რაც შეიძლება მოპყვეს ბირთვულ ომს. მაგრამ თავიანთ ამ კეთილშობილურ საქმეში ისინი დიდ წინააღმდეგობებს აწყდებიან იმ რეაქციული ძალების მხრიდან, რომლებიც არა თუ ხელს უწყობენ ასეთი ფილმების შექმნასა და დემონსტრირებას, არამედ ყოველნაირად ზღუდავენ მათ. „ლიტერატურული საქართველოს“ 22 ივნისის ნომერში დაბეჭდილია იტალიურ გაზეთ „უნიტას“ კორესპონდენტის საუბარი ინგლისელ კინორეჟისორ პიტერ უოტკინსთან, რომელიც მუშაობს თავის ახალ სურათზე „ფილმი ბირთვული ომის შესახებ“. ამ საუბრიდან მკითხველი იგებს, თუ როგორ ცდილობს ინგლისის მთავრობა შეავიწროვოს რეჟისორი, რომლისთვისაც ამ თემაზე შექმნილი ეს ფილმი პირველი არ არის და, იმედია, არც უკანასკნელი იქნება.

ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია ყველა ხერხს მიმართავს იმისათვის, რომ ჩაუნერგოს ამერიკელ ხალხს შიში „წითელი საფრთხის“ წინაშე. ეს პროვოკაციები, რომლებსაც, ცხადია, სინამდვილესთან არავითარი კავშირი არა აქვს, შეერთებული შტატების მთავრობას სუირდება იმ კოლოსალური თანხების კიდევ უფრო გასაზრდელად, რომელსაც ის ხარჯავს სამხედრო შეიარაღებაზე. ერთ-ერთი მეკავშირე ამ პროვოკაციებში შეერთებული შტატების აღმინისტრაციისა გახლავთ ამერიკული კინოც, რომელიც ცდილობს რაც შეიძლება მეტი მწვავესიუეტიანი „ანტისაბჭოური“ ფილმი გამოუშვას ეკრანებზე. უკანასკნელ რამდენიმე ასეთ „შედევრზე“ გვესაუბრება თავის წერილში საყდესის კორესპონდენტი ნიუ-იორკში ე. მენეჯესი. მისი წერილი „ლიტერატურული საქართველოს“ 14 სექტემბრის ნომერშია დაბეჭდილი სათაურით „პროვოკაცია ეკრან-

ჰე”. ავტორი საინტერესოდ გაღმოვცემს ინფორმაციას ამ ფილმებზე და მათ მესვეურებზე, რომლებიც მთელი ძალებით ცდილობენ ქვეყანაში ანტისაბჭოური ისტერიის გაჩალებას.

სასიხარულო ფაქტია, რომ კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ და მკვიდრდა ტრადიცია ძველი ქართული ფილმების აღდგენისა. არ შეიძლება მაღლიერების გრძნობით არ გაიმსჭვალო ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვინც ამ საშვილიშვილო საქმეს ემსახურება. ერთ-გრთი ინიციატორი და აქტიური მონაწილე ამ საქმისა გახლავთ გორგი დოლიძე, რომელსაც, როგორც რეჟისორს უკვე 14 მხატვრული ფილმი აქვს აღდგენილი. თავის წერილში „ლერმონტოვის გმირები ქართულ ეკრანზე“, 19 ოქტომბრის ნომერში რომ დაიბეჭდა, ავტორი გვესაუბრება იმ საკითხებსა და პრობლემებზე, რომლებიც წარმოიშობა ძველი ფილმების აღდგენის დროს, გვაცნობს თავის მოსაზრებებს. აქვე ვეცნობით გიორგი დოლიძის ახლახან აღდგენილი კინოტრაილოგის „თავადის ასული მერის“, „ბელას“ და „მაქსიმ მაქსიმიჩის“ შექმნის ისტორიას, რომელიც 1926-27 წლებშია გადაღებული ლერმონტოვის ცნობილი რომანის „ჩვენი დროს გმირის“ მოტივებზე.

გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ კიდევ ბევრი სხვა ინფორმაციული ხასიათის მასალაა დაბეჭდილი. ეს თავისეთავად სასარგებლოცაა და აუცილებელიც, რადგან დიდია მკითხველის ინტერესი იმ მნიშვნელოვანი ფაქტების მიმართ, რომელთაც ადგილი აქვთ ჩვენი თუ უცხოური კინოს სამყაროში. ცხადია, საინტერესოა, თუ რაჩე მუშაობენ ახლა დასავლეთის კინოს ისეთი ცნობილი ოსტატები, როგორებიც არიან ფელინი, ანტონიონი, ბერეგმანი; საინტერესოა აგრეთვე იტალიური კინოს ვარსკვლავების სოფი ლორენისა და მარჩელო მასტროიანის ახალი როლები, ანდა ის, თუ სად შედგა ამა თუ იმ ქართული ფილმის პრემიერა და სად იზეიმა ჩვენმა კინემატოგრაფმა კიდევ ერთი გამარჯვება, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ ყოველივე ეს ინფორმაციული მასალებია და ისინი ვერ ანაზღაურებენ სერიოზული ხასიათის წერილების ნაკლებობას „ლიტერატურული საქართველოს“ 1984 წლის ნომრების ფურცლებზე.

განსაკუთრებით საგრძნობია, კინორეცენზიების სიმცირე გაზეთში, არადა რეცენზია აუცილებელი პირობაა კინოს პოპულარიზაციისა. კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ბევრი საინტერესო ნაწა-

რმოები პრესის ოპერატორული განხილვის გარეშე ჩემი. რეცენზიის ძირითადი მიზანი ხომ ის არის, რომ დაეხმაროს მაყურებელს ფილმის აღქმაში, დაანახოს მას ის ძირითადი, რითაც არის სურათი საინტერესო, გახსნას ფილმის იდეა, ყურადღება გაამახვილოს მის მხატვრულ კომპონენტებზე. არასწორია ის ტენდენციაც, რომელიც შეიმჩნევა ჩვენი პრესის ფურცლებზე, როცა მხოლოდ იმ ფილმების რეცენზირება ხდება, რომლებიც მოიპოვებენ საერთო აღიარებას, ანდა, უბრალოდ რომ ვთქვათ, იბეჭდება მხოლოდ დადებითი რეცენზიები.

სამწუხაროდ, ჩვენში იქმნება ნაკლებად საინტერესო, დაბალი დონის ფილმებიც, რომლებსაც კინომცოდნები არანაკლებ ყურადღებას უნდა უთმობდნენ, ვიდრე კარგ ფილმებს. ეს დიდ სამსახურს გაუწევს არამარტო მკითხველს, არამედ ფილმის შემქმნელებსაც. ცხადია, თუ სუსტი ფილმების ნაკლოვანი მხარეები საჯარო განხილვის საგანი გახდება, სურათის ავტორები თავიანთ მომდევნო ფილმებში შეცდებიან აღარ გაიმეორონ ეს შეცდომები და ამით ხელი შეეწყობა საერთო მიზნის მიღწევას — შეიქმნას მეტი საინტერესო, მაღალი მხატვრული ღირებულების ფილმი.

„ლიტერატურულ საქართველოში“ ქართულ მხატვრულ ფილმებზე 1984 წლის მანძილზე სულ ორი კინორეცენზიაა გამოქვეყნებული. ერთი მათგანი, „ცისფერი მთები, ანუ დაუჭრებელი ამბავი“, რომელიც 4 მაისის ნომერშია დაბეჭდილი, ამავე სახელწოდების კინოსურათს ეძლება. რეცენზიის ავტორია კინომცოდნე ნათია ამირეგიბი.

აღსანიშნავია ამ კინორეცენზიის მაღალი პროფესიონალური დონე. იგი რეცენზიის ყველა მოთხოვნას უპასუხებს. ავტორი მოკლედ გვაცნობს ფილმის დამდგმელ რეჟისორს, ასევე მოკლედ გადმოგვცემს ფილმის სიუჟეტს. რეცენზია ზუსტად წარმოაჩენს ფილმის იდეას, იმ ძირითადს, რისი თქმაც უნდოდათ მის შემქმნელებს და იმასაც ნათელყოფს, თუ რამდენად შეძლეს ამის მიღწევა ფილმის ავტორებმა. ზუსტად არის განსაზღვრული ყოველი კინოსახის როლი ფილმში. განხილულია ამ კინოსახეების შემქმნელი მსახიობების თამაში. ლაპარაკია ოპერატორის მაღალ პროფესიონალიზმზე. ყველაფერი ეს საბოლოო ჯამში გვაძლევს მაღალპროფესიულ კინორეცენზიას, რომელიც წასაკითხადაც საინტერესო და სასიამოვ-

ნოა და, რაც მთავარია, ასრულებს იმ თავის ძირითად დაწიგნულებას, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი — ეხმარება მაყურებელს ფილმის აღქმაში, მის სწორად გააზრებაში.

მეორე რეცენზია, დაბეჭდილი გაზეთის 1984 წლის ბოლო, 28 დეკემბრის ნომერში, მიმოხილვითი ხასიათისაა. მისი ავტორია ავ-თანდილ გველესიანი. რეცენზიაში ლაპარაკია 1984 წლის ზოგიერთ მხატვრულ ფილმზე, რომელიც შეიქმნა კინოსტუდია „ქართულ ფილმში“. კერძოდ ეს ფილმებია: „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“, „დღეს ღამე უთენებია“, „გაზაფხული გადის“ და „ცისფერი მთები, ანუ დაუჭერებელი ამბავი“.

ჩემი აზრით, როდესაც ავტორი განსახილველ ფილმებს არჩევდა, უნდა გაეთვალისწინებინა, რომ განსილული ოთხი ფილმიდან ორზე უკვე იყო საუბარი „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე. „ცისფერ მთებზე“, როგორც უკვე აღვნიშნე, ამომწურავი რეცენზია დაბეჭდა, ხოლო ფილმზე „დღეს ღამე უთენებია“ ლაპარაკი იყო წერილში „კანის ფესტივალის ექო“. მართალია, ეს უკანასკნელი ინფორმაციული მასალაა, მაგრამ მასში საქმაოდაა საუბარი ფილმის ავ-კარგზე. როგორც ა. გველესიანის რეცენზიიდან ჩანს, არც მას აქვს პრეტენზია კინოსურათის ღრმა და დეტალური გარჩევისა, ასე რომ ერთი და იმავე ფილმზე, ერთი და იმავე გაზეთში ორჯერ საუბარი, მაშინ როცა არსებობს სხვა ფილმები და მათზე მთელი წლის განმავლობაში არაფერია ნათქვამი, მიზანშეწონილი არაა. ჩემი აზრით, აქაც თავს იჩენს ზემოთალნიშნული ტენდენცია, რომ მხოლოდ კარგი ფილმები ხდებიან რეცენზიის ღირსნი, თუნდაც სხვადასხვა ავტორებს ერთხელ უკვე ნათქვამის გამეორება უხდებოდეთ.

ყველა ის მასალა, რომელზედაც აქამდე გვქონდა საუბარი, მხატვრულ ფილმებს ეხებოდა. კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სამეცნიერო-პოპულარულ და დოკუმენტური ფილმების სტუდიაში იქმნება ისეთი სურათები, რომლებიც მხატვრულ ფილმებზე არანაკლებ ინტერესს იწვევენ. თუ მხატვრული ფილმების რეცენზირებასთან დაკავშირებით ხშირად გამოთქმულა საყვედური, რომ ეს რეცენზიები არასაკმარისია, დოკუმენტურ ფილმებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მდგომარეობა ჩვენი პრესის ფურცლებზე მათდამი ყურადღების მხრივ სავალალოა.

ცლებზე ორად ორი მასალაა დოკუმენტურ ფილმებზე. ესენია: „რევზ ჭაფარიძის „კიდევ ერთი გამარჯვება“ (30 მარტის ნომერი), რომელიც რეზო თაბუკაშვილის ორ ახალ ფილმს „პირველად იყო სიტყვა“ და „ფურცლები ფრანგული დღიურიდან“ ეძღვნება და ნინო ნატროშვილის „ფილმი ქართველ რესტავრატორებზე“, რომელშიც საუბარია შ. შონიასა და ლ. შონიას ფილმზე „იამბე, ციხის ნაშალო...“ (11 მაისის ნომერი).

უნდა აღინიშნოს, რომ რევზ ჭაფარიძის „კიდევ ერთი გამარჯვება“ ფაქტურად რეცენზია კი არ არის ფილმზე, არამედ გამოხმაურებაა იმ მართლაც საშვილიშვილო საქმიანობაზე, რასაც ეწევა რეზო თაბუკაშვილი და რომლის ნათელი დადასტურებაცაა მის მიერ ბოლო წლებში შექმნილი ფილმები. მწერალი აღფრთვანებით გვიზიარებს იმ დიდ სიხარულს, რომელიც მიანიჭა მას რ. თაბუკაშვილის ფილმებთან შეხვედრამ, გვიხსნის და გვიყვება იმ ულიდეს შრომაზე, რაც გასწია ფილმის ავტორმა ამ სურათების შესაქმნელად, რომელიც ეძღვნება უცხოეთში მცხოვრებ და მოღვაწე ჩვენს თანამემამულებს.

მართალია, რევზ ჭაფარიძის ეს პუბლიცისტური წერილი თავისთავად ძალზე საინტერესოა, მაგრამ მას კინორეცენზის როლს ვერ დავაკისრებთ. ასე რომ, გვრჩება ერთი რეცენზია დოკუმენტურ ფილმზე, ნინო ნატროშვილის „ფილმი ქართველ რესტავრატორებზე“.

როგორც სათაურიდან ჩანს, რეცენზია ეძღვნება დოკუმენტურ ფილმს რესტავრატორებზე, რომელშიც ასახულია ამ პროფესიის ადამიანთა მძიმე და კეთილშობილური შრომა. ეს გახლავთ დაცვეწილი, მაღალ პროფესიონალურ დონეზე დაწერილი კინორეცენზია, რომელიც ამ სახის ლიტერატურული წერილების ყველა საუკეთესო თვისებას შეიცავს. ფილმი განხილულია დეტალურად, დაწყებული იქიდან, თუ როგორ წარმოიშვა მისი სათაური და დამთავრებული იმით, თუ რა საინტერესო ოპერატორული მიგნებებია აქ. ავტორის მიერ ზუსტად არის განსაზღვრული, რა მიზანს ისახავს ფილმი, რატომ არის ის გადაღებული, რა საშუალებებით ახერხებენ ფილმის შექმნელები გამოიწვიონ მაყურებელთა შეუნელებელი ინტერესი, გაანალიზებულია ყველა ეპიზოდი, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს მთლიანად ფილმის აღქმაში, გამოყოფი-

ლია ის ფაქტორები, რომლებიც ხდიან მაყურებელს ეკრანზე მომხდარი ამბების თანამონაწილედ.

რეცენზიაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ფილმის იმ ნაწილს, საიდანაც ჩანს რესტავრაციული სამუშაოების მთელი სირთულე და, ამავე დროს, მისი დიდი როლი საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საქმეში.

„ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე დაბეჭდილია სამი შემოქმედებითი პორტრეტი, რომლებიც თანამედროვე ქართული კინოს სამ გამოჩენილ ოსტატს ეძღვნება. ესენი არიან თენგიზ აბულაძე, რეზო ჩხეიძე და ოთარ იოსელიანი.

ია მუხრანელი თავის წერილში „ბედის სცენარი“ (16 მარტის ნომერი, გადმობეჭდილია „სოვეტსკაია კულტურადან“) გვესუბრება რეზო ჩხეიძის შემოქმედებაზე, აგვიწერს მის როთულსა და ძიებებით აღსავს გზას, გზას, რომელმაც მიიყვანა რეჟისორი დამსახურებულ აღიარებამდე. წერილში ყურადღება გამახვილებულია რეზო ჩხეიძის, როგორც პიროვნებისა და შემოქმედის, იმ ძირითად თვისებებზე, რამაც გახადა იგი ქართული კინოს ერთ-ერთი წამყვანი მოღვაწე. ავტორი მიმოიხილავს რა რეჟისორის შემოქმედებით ბიოგრაფიას, ყურადღების გარეშე არ ტოვებს დღევანდელ მის საქმიანობასაც, თუ რაზე მუშაობს ახლა რეზო ჩხეიძე, რა გამხდარა მისი, როგორც ხელმძღვანელის (კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორის) საზრუნვა.

მეტ ყურადღებას ითხოვს თენგიზ აბულაძის შემოქმედებითი პორტრეტი (3 თებერვლის ნომერი), რომელიც ნანა ღვინეფაძეს უკუთვნის. სამწუხაროდ ეს წერილი ყურადღებას თავისი ნაკლოვანებებით ითხოვს.

წერილი ასე იწყება: „თენგიზ აბულაძის შემოქმედებითი პორტრეტი ადგილი დასაწერი როდია. იგი კაცური კაცი გახლავთ, ჩვენი სასიქადულო კინორეჟისორი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი“.

ჯერ ერთი „კაცური კაცი“ უფრო სხვა „უანრიდან“ არის ნასესხები და ნაკლებ შეეფერება კინოკრიტიკონის სტილს, მეორეც კიდევ, ნანა ღვინეფაძის ამ პირველი ფრაზიდან ისე გამოდის, თითქოს ტიტულოვან ხელოვანზე წერა უფრო როთული იყოს, ვიდრე არატიტულოვაზზე. ან კიდევ, ნ. ღვინეფაძე: „თენგიზ

აბულაძის ჩემეულ პორტრეტში სიმართლე იძალებს“. მყითხველმა „შეიძლება იფიქროს, რომ თენგიზ აბულაძის სხვა შემოქმედებითი პორტრეტები ტყუილებითაა სავსე და რომ ტყუილი თავადნ. ღვინეფაძისეულ პორტრეტშიც იქნება. მაგრამ უფრო მეტს სიმართლეს უნდა ველოდეთ. ცოტა ქვემოთ ვკითხულობთ — „არ ყოფილა ხალხის, რესპუბლიკის ცხოვრებაში არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც თენგიზ აბულაძე სიტყვით თუ საჭით არ გამოხმაურებოდეს“. როგორც ცნობილია, ჩვენს რესპუბლიკაში, განსაკუთრებით ამ ბოლო ხანს, ყოველწლიურად ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენა ხდება, და ყოველ მათგანს რომ ეხმანებოდეს თენგიზ აბულაძე, ამისთვის არც დრო ეყოფოდა, არც ენერგია და არც მთლიანად კინოსტუდია „ქართული ფილმისათვის“ გამოყოფილი კინოფირი. გასაგებია ის დადგებითი ემოციები, რომლებიც, აღბათ, ასე ჭარბად მოეძალა ავტორს ისეთი შესანიშნავი ხელოვანის პორტრეტის წერისას, როგორიც თენგიზ აბულაძეა, მაგრამ მოჭარბებულმა ემოციებმა აზრი და სათქმელი არ უნდა დაგვავიშვილს.

და კიდევ, თენგიზ აბულაძის შემოქმედების განხილვისას ნიმუშად აღებულია მხოლოდ ერთი ფილმი „ველრება“, რომელიც აეჭისორის მოღვაწეობის აღრინდელ პერიოდშია შექმნილი. მართალია, ყველაფერი ის, რითაც საიტერესოა ხსენებული ფილმი, წერილის ავტორის მიერ საქმაოდ ზუსტად არის მინიშნებული, მაგრამ თენგიზ აბულაძის შემოქმედებითი პორტრეტის შესაქმნელად მოხშობილი უნდა ყოფილიყო რეჟისორის შემდგომი ნამუშევრებიც, რომლებშიც არანაკლები ძალით გამოვლინდა შემოქმედის ნიჭი და ოსტატობა. თუ არადა, ავტორს თავიდანვე უნდა აღენიშნა, რომ პორტრეტი დაიწერებოდა ერთი ფილმის მაგალითზე, ისე როგორც, ვთქვათ, ეს გაყეოებული აქვს ნოდარ კაკაბაძეს თავის წერილში „შტრიხები პორტრეტისათვის“ (14 სეტემბრის ნომერი), რომელშიც იგი ოთარ იოსელიანის შემოქმედებითი პორტრეტის შესაქმნელიდ, გასანალიზებლად იღებს ამ რეჟისორის ერთ-ერთ ცნობილ ფილმს „პასტორალს“. და რაკი ასე მოიქცა ნ. კაკაბაძე, იმიტომაც დაარქვა თავის წერილს მხოლოდ „შტრიხები პორტრეტისათვის“.

ნოდარ კაკაბაძის ეს წერილი საინტერესოც არის და ანალიტიკურიც. ოთარ იოსელიანი ის რეჟისორია, რომლის ფილმები საჭი-

როებენ დეტალურ განხილვასა და ანალიზს, რათა მაყურებელი სწორად ჩაწვდეს ფილმის სათქმელს, სწორად ამოიცნოს ის ფილოსოფიური ნააზრევი, რომელიც მხატვრულად არის შენიღბული ყველ ეპიზოდში. ხშირად მაყურებელს, ეს წერილშიცაა აღნიშნული, ერთგვარად აღიზიანებს ოთარ იოსელიანის ფილმები, რადგან მათ არ ახასიათებს სიუჟეტის მძაფრი განვითარება, აյ უფრო ხშირად ჩვეულებრივი, ყოფითი სიტუაციების მოწმენი ვხდებით და ამ გზითაა გახსნილი რეჟისორის ნაფიქ-ნააზრევი. რეჟისორი კინომეტაფორების საშუალებით ამასვილებს მაყურებლის ყურადღებას ფილმის მთავარ სათქმელზე, მაგრამ ხშირ შემთხვევაში მოუმზადებელი მაყურებლისათვის ეს შეუმჩნეველი რჩება, რაც იწვევს კიდევ მის უკმაყოფილებას.

ასეთი სახის წერილი, რომელშიც გახსნილია რეჟისორის სულიერი სამყარო, მსოფლმხედველობა, მისი მხატვრული აზროვნების სტილი, გვეხმარება სწორად, ღრმად, მთლიანად აღვიჯვათ ფილმები.

ჩვენი კინემატოგრაფი თავისი მრავალფეროვანი უანრებით ფლობს უზარმაზარ შესაძლებლობებს ადამიანის იდეურ, ესოეტიკურ და ზნეობრივ აღზრდაზე ქმედითი ზეგავლენის მოსახდენად. ყველას ვალია, მათ შორის პრესისაც, ხელი შეუწყოს კინემატოგრაფს ამ კეთილშობილური მისიც ასრულებაში. ეს ხელისშეწყობა გამოიხატება კინოს უფრო მეტ პოპულარიზაციაში, რაც თავის მხრივ გულისხმობს მეტი და კვალიფიციური კინორეცენზიების გამოქვეყნებას, რადგან, როგორც ზემოთ მქონდა საუბარი, კინორეცენზია ერთ-ერთი ძირითადი განმაპირობებელია ფილმის სწორად აღქმისა, მისი საფუძვლიანი გაზრებისა.

შინაარსი

სკეპა XXVII ყრილობა და ქართული მწერლობის ამოცანები	3
ცხოველება. ლიტერატურა. პრიბიკა	
გურამ ბერაშვილი. ყოფიერების პროზაული მისტერიები	12
ჩევაზ გიშველაძე. შევაფასოთ მაღალპროფესიულად, სწორი მეთოდოლოგიით	29
არჩილ უირცხალავა. ცოტნეს გულით და მამულის სიბრძნით	48
ჩვენი საჯისეულო დარბაზი	
საუბარი პოეტებთან პოეზიაზე	57
ენა და გავრალი	
იზა ორგონიკიძე. რა ვეღარ მიხედუ ქართულა...	86
მოძველე ლიტერატურებში	
იმანტ აუზინი. „ცხოვრება სახესა მუსიკით“	94
მეცნიერის დღიული	
ლეილა თეთრუაშვილი. ოთარ ჭინორიას გოეთელოგიური გამოკვლევები	112
თარგმანის საპიტაგო	
ნელი აბაშუკელი. ფრანც კალკას „პროცესი“ მთარგმნელის თვალით	130
უმცირესები. რეპლიკები	
გომგი პაპუაშვილი. ორი რეპლიკა	151
რეცეზია. გიგონილება	
უშავგი რიგინაშვილი. გაკვეთილი და სტიმული	156
რამაზ გვერდწითელი. კინორეცენზია „ლიტერატურულ საქართველოში“	160

გამომცემლობის რედაქტორები —

ალექსანდრე გაბელია
ნოდარ გრიგორიშვილი

გამომჟვები — რევაზ კუბაბრია
ყდა — საარტაკ ცინცაძისა

გვ. 10760

КРИТИКА
Альманах Союза писателей Грузии
(на грузинском языке)
№ 2 (57)
1986
Издательство «Мерани»

გადაეცა ასაწყობად 13. 03. 86. ხელმოწერილია დასაბეჭდად 7. 05. 86. ნაბეჭდი
თაბახი 10,23, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7,69, ზომა $60 \times 84^{1/16}$. ბეჭდვა
მაღალი.

შეკვ. № 650.

უე 10760.

ტირაჟი 5.000

ფასი 60 კპ.

საქართველოს ქა ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენისანი
სტამბა, მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Ордена Трудового Красного Знамени типография изд-ва ЦК КП
Грузии, Тбилиси, Ленина, 14.



0640560 76133